საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№39 (177)
17 - 23 ოქტომბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**ვინ და როდის დააკანონა საბანკო სექტორს ხალხის ძარცვის უფლება?** 18

# ბატონო ბიძინა, მოგვაშორეთ ეს მავნებელი! 2




**ორი ნაბიჯი განსასჯელის სკამამდე** 4



6 **ირაკლი ღარიბაშვილი - რკინის ხელი თუ ხავერდის ხელთათმანი?**

**შესაძლებელია, ციხეებში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ** 8





**მიკვირს, ასეთ ვითარებაში თანამდებობებისთვის რატომ იბრძვიან?!** 10



ირაკლი ალასანია: **თუკი რომელიმე ყოფილ მინისტრს დანაშაული დაუდასტურდება, ჩრდილოეთ პოლუსზეც რომ იყოს წასული, იქიდან ჩამოვიყვანთ** 5




მამა დავითი: **ამ ბიჭების დაპატიმრება გიგა ბოკერიას ცოლის კაბინეტში დაიგეგმა** 12

ნუცა თოფჩიშვილი: 13 **ბოკერიას, ჩერგოლეიშვილს, კეზერაშვილს პასუხს ვაგებინებ ჩემი შვილის დალუპვისთვის**

მურმან ომანიძე: 14 **«ხელისუფლების სათავეში მოსული ბიჭები «ქვიშაში თამაშით» ერთობოდნენ»**

ახალი მესაიდუმლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც უფრო მეტს გააკეთებს და დათმობს ივანიშვილი სააკაშვილის, როგორც ამერიკელების წარმატებული დემოკრატიული პროექტის, სახის შესანარჩუნებლად, მით უფრო გაუჭირდება მას საკუთარი სახის შენარჩუნება და მით უფრო დაშორდება ქართველ ხალხს.**

# ბატონო ბიძინა, მოგვაშორეთ ეს მავნებელი!




**ჭამის წინ ვიბანთ ხელებს, დილით ვიხეხავთა კბილებს — ეს პირადი ჰიგიენის განუხრელი ნორმაა. ძალიან კარგი იქნება, თუკი ჰიგიენის ნორმებს არა მარტო საკვების, არამედ ინფორმაციის მიღების დროსაც დავიცავთ და არ „შევჭამთ“ ლანგრით მორთმეულ დეზინფორმაციას. ასეთი პარადოქსული დეზინფორმაციაა ის, რომ დასავლეთი ცდილობს, სააკაშვილის არჩევნებში დამარცხება წარმოაჩინოს, როგორც ამერიკული პროექტის „დემოკრატიის შუქურა სააკაშვილი“ არნახული წარმატება და ეს ყველაფერი ჩვენც და დანარჩენ მსოფლიოსაც შემოგვასაღოს არა როგორც დესპოტური რეჟიმის რღვევა, არამედ როგორც „ძალაუფლების დემოკრატიული გადაცემა“. ეს სატყუარა არ უნდა „ვჭამოთ“! თუმცა, სანამ მთავარს გეტყოდეთ, ორიოდე ნაციონალურ პარადოქსზეც მინდა მოგითხროთ.**

## პარადოქსების ქვეყანა

**პარადოქსია, აბა, რა დოზანაა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გამარჯვებული „ქართული ოცნების“, ანუ საკუთარი ხალხის ოპოზიციაა?!**

ქართველი ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ (დიახ, აბსოლუტურმა, რადგანაც, მიუხედავად შინ თუ გარედან ამ პროცესის „ძალაუფლების დემოკრატიულ გადაცემად“ შეფასებისა, კარგად ვიცით, რომ მსგავსი არადემოკრატიული, ტოტალიტარული არჩევნები დღემდე თვით „ნაცებსაც“ კი არ ჩაუტარებიათ) „ნაციონალურ მოძრაობას“ უთხრა უარი, მაგრამ უზნეო ხელისუფალი საქართველოს მასშტაბით უპრეცენდენტოდ გაყალბებული არჩევნების ფაქტიურ შედეგებზე აპელირებასაც კადრულობს და დასავლეთს „მყარი“ არგუმენტით მიმართავს — რატომ უნდა გადავდგე, ორმოც პროცენტზე მეტი მხარს მიჭერს და პრეზიდენტობის ერთწლიანი ვადა კიდევ წინ მაქვსო.

ამ ჭკუაზეა გიგი უგულავაც. შე კაი კაცო, დედაქალაქში ყველა და ყველაფერი პირწმინდად წააგე და, მაშ, ვისი მერი ხარ? ადექი და წადი რაღა, მაინცდამაინც საკუთარი ცოლის ნახევრადშიშველი ფოტოები უნდა გამოგიქვეყნონ?

მაგრამ არც ამის მერე რომ არ აპირებს არსად წასვლას? წასვლას კი არა, აგერ ახლა, თბილისობაზე კიდევ ერთხელ შეურაცხყვეს ქართული ღვინოც და ვაზიც, როგორც ერის კულტურული ფენომენი, რადგან იმას, რაც ვიხილეთ, ყურძნის ჭყლეტა ჰქვია და არა დაწურვა, ყველა ქართველისთვის საკრალური რიტუალი!

აქეთ მიშასაც „არ ასვენებს გამჩენი“ და ახალ-ახალ გუბერნატორებს ნიშნავს კიდევ ერთი „ზნეობრივი გმირის“ და ყოფილი თბილისის მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის, სახით, რომელსაც ქართლის დედის ხელში თასი და ხმალი საშო-ფალოსად ეჩვენება!

ეს ყველაფერი იმის საილუსტრაციოდ, რომ ერთი ბრძოლა კი მოვიგეთ, მაგრამ ომი არ დამთავრებულა — „ომს აწი ვიწყებთ ჩვენ“, როგორც ნოდარ დუმბაძის ერთი პერსონაჟი იტყოდა...

დიახ, ომს, რადგანაც ჩვენი დღევანდელობის უმთავრესი პარადოქსი ისაა, რომ, მართალია, ფორმალურად კი ითვლება „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსულად, მაგრამ ოპოზიციადქცეულ „ნაცმოძრაობას“ ეკუთვნის ქვეყანაში რეალური ძალაუფლება — ასეთი რამ საერთოდ გაგონილა სადმე?

**მიუხედავად საპარლამენტო არჩევნებში გამანადგურებელი მარცხისა, ადგილობრივ თვითმმართველობებში აბსოლუტურ უმრავლესობას ისევ „ნაცები“ ფლობენ.**

თვითმმართველობა, რომელიც აქამდე ფეხებზე ეკიდათ და მხოლოდ დემოკრატიულობის ბუტაფორია, ფასადი იყო და მხოლოდ ერთი კაცის ნებით იმართებოდა, დღეს რევანშის განხორციელების იარაღად უნდათ გამოიყენონ და სააკაშვილმა მათ სახელდახელოდ გაუზარდა ჯამაგირი.

ამის პარალელურად წამებულ-დაჩაგრულების მანტრის მორგებაც გავიხსენოთ და მათი ყოველდღიური წუწუნი-მოთქმა დასავლეთის გასაგონად: არიქა, გვემუქრებიან, გვავიწროებენ, ზეწოლა, ქვეწოლა და სურათიც ნათელი გახდება — რეალურად თვითმმართველობებში ისევ ერთი კაცის, გაოპოზიციონერებული მიშა სააკაშვილის ნება გატარდება. ხოლო საკრებულოების ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, ფორმალურად ადგილობრივი თვითმმართველობების, „ხალხის ნებას“ მიაწერენ და ამის საწინააღმდეგოდ „ქართული ოცნების“ ქმედებებს დასავლეთში გაასაჩივრებენ — ნახეთ, როგორი დემოკრატები არიან, თვითმმართველობებს ებრძვიანო!

## ამათი გამოსწორება არ იქნება!

ე. წ. ნაციონალურ ტელემაუწყებლობებზე მოგახსენებთ: თუ ვინმემ გულუბრყვილოდ დაიჯერა ეკა კვესიტაძის „გონს მოსვლა“, გადართეთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ნახავთ, რომ ამ ქალბატონის იქამდე დემარშიც კი, რომ „კავკასიაზე“ ესტუმრა აქუბარდიას, მხოლოდ წუთიერი ამჩატება იყო და ახლა ეკუნა „ისევ ის გოგოა“, ცუნცულა, პატარა — შოთა უტიაშვილის ცოლი!

დიახ, ამჩატება, რადგანაც მაშინ, ალბათ, არაფერი იცოდა ნაცების რევანშის გეგმისა. და კიდევ, ჩვენ რომ სამუდამოდ დამარხული გვეგონა ე. წ. ფსევდოოპოზიცია, გალსტუკიანი ხვლიკების, „ახალი მემარჯვენე“ ძველი თითლიბაზების და სხვა გველაძუა ექსპერტ-პოლიტოლოგების სახით, მაგათი გაპიარებაც დაიწყება — ვინ იცის, ეგებ „განუმეორებელი“ ინგა გრიგოლიაც ვიხილოთ გიორგი თარგამაძის „პიარშიკად“! აკი განაცხადა სამტრედიელმა კონკიამ, რომ საკუთარ პოლიტიკურ გუნდთან დაპირისპირებას არ ვაპირებო!

რა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოვა, რადგან ქართული საზოგადოება ამას „აღარ ჭამს“, მაგრამ ეს იმად მოგახსენეთ, რომ რევანშის მსურველთა არსენალში ტელევიზიებიც მოიაზრება!

**ახლა პირველი რიგის ამოცანაა რეალური ძალაუფლების ართმევა ოპოზიციადქცეული „ნაცებისთვის“.** რასაც არანაკლები, იქნებ უფრო მეტიც, ძალისხმევა და ფილიგრანული ტექნიკა სჭირდება, ვიდრე არჩევნებში გამარჯვებას (ეს ყველაფერი რომ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება და არა სხვა ვინმეს, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს!).

**ერთადერთი, რაც არ შეიძლება ვინმეს ვაცალოთ, ის არის, რომ სააკაშვილით დაწყებული, ყველამ უნდა აგოს პასუხი იმ ჯოჯოხეთისთვის, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური ჭირის“ 9-წლიანი ზეობა ჰქვია საქართველოში — მეგის ქარდავები, დათა-ბაჩოები, „მასტერები“ მიწაშიც რომ ჩაძვრნენ, იქიდანაც უნდა ამოვიღოთ!**

## ბატონო ბიძინა, მოგვაშორეთ ეს მავნებელი!

**როგორც კი სააკაშვილმა არჩევნები წააგო, როგორც კი მის რეჟიმს ნიღაბი საბოლოოდ ჩამოეხსნა და გაირკვა, რომ დემოკრატიის შუქურად აღიარებული ამერიკული პროექტი – მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არა დემოკრატიას არამედ სისხლიან დესპოტურ რეჟიმს აშენებდა, მომენტალურად აფუსფუსდნენ...**

აფუსფუსდნენ იქ, დასავლეთში, და ამერიკაც და ევროპაც ერთხმად გვასაღებს სააკაშვილს, როგორც დემოკრატიის გურუს, საქართველოს როგორც ზეწარმატებულ ამერიკულ საგარეოპოლიტიკურ პროექტს, სადაც დემოკრატიამ გაიმარჯვა და მოხდა ხელისუფლების გადაცემა...

**სააკაშვილის რეჟიმი არასდროს ყოფილა დემოკრატიული, ეს მშვენივრად იცოდნენ ამერიკელებმაც და ევროპელებმაც, მაგრამ ბოლომდე ხელს აფარებდნენ მას და დააფარებდნენ კიდეც, რომ არა ის გარემოება, რომ მიშასეული დესპოტია ამერიკისათვის კონტრპროდუქტიულად იქცა და ვაშინგტონისათვის ცხადი გახდა, რომ ანტიამერიკული განწყობების უპირველესი გენერატორი სწორედ სააკაშვილი იყო და, თუ მას არ ჩაანაცვლებდნენ, დაკარგავდნენ სახეს, სერიოზულად შეილახებოდა მათი იმიჯი არამარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. ამიტომაც გადაწყდა, რომ ჩაერეცხათ მორიგი „ჩვენიანი შობელძაღლი“ და ახლა უკვე როდესაც ჩარეცხვის პროცედურა მიმდინარეობს, ყველანაირად ცდილობენ, ამ ყველაფერს არა დესპოტური რეჟიმის რღვევის, არამედ „ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემის“ შეფასება მისცენ.**

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ თურმე ძალიან ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, რომ, თუ ვილაცებს დავიჭერთ, სააკაშვილი საბოტაჟს მოგვიწყობს და სხვ. ამ არგუმენტების მოშველიებით ცდილობენ იმ მხარდამჭერების დამშვიდებას, რომლებიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაკვირვებულნი არიან სააკაშვილთან „ოცნების“ ერთგვარი ფლირტით.

ის, რომ სააკაშვილი სადღაც გამოვა, რაღაცას იტყვის, მოაწყობს საბოტაჟს, ბლეფია, რადგან **ამერიკელები არ დაანებებენ მიშას, ხელი** ▶



**ერთადერთი, რაც არ შეიძლება ვინმეს ვაცალოთ, ის არის, რომ სააკაშვილით დაწყებული, ყველამ უნდა აგოს პასუხი იმ ჯოჯოხეთისთვის, რომელსაც «ერთიანი ნაციონალური ჭირის» 9-წლიანი ზეობა ჰქვია საქართველოში — მეგის ქარდავები, დათა-ბაჩოები, «მასტერები», მიწაშიც რომ ჩაძვრნენ, იქიდანაც უნდა ამოვიღოთ!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ საქართველოში დემოკრატიის ნასახი არ იყო, მაგრამ მხარს უჭერდნენ სააკაშვილის რეჟიმს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილის მხარდაჭერის გაგრძელება დამთავრდებოდა არამარტო ანტისააკაშვილური, არამედ ანტიამერიკული აფეთქებით საქართველოში. ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილიც და ვაშინგტონი აჰყვა ამ რეალობას.**



# თუ სააკაშვილი რევანშსა და არეულობას გადაწყვეტს, სადაც ვიწროა იქ გაწყდეს. ქართველი ხალხი თავად მოიყვანს სისრულეში იმ განაჩენს, რომელიც 1 ოქტომბერს საარჩევნო ურნასთან გამოუტანა მიშნაცებს და მიშა საბოლოოდ დამთავრდება

**რა უფრო მნიშვნელოვანია ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდისთვის: აშშ-ის, როგორც მსოფლიოში დემოკრატიის მშენებლის, იმიჯზე ზრუნვა (რაც ჩვენი პრეროგატივა სულაც არ არის), თუ ზრუნვა იმაზე, რომ შეასრულოს ქართველი ხალხის მოთხოვნა — დასაჯოს და გაასამართლოს რეჟიმის ხელმძღვანელობა?**

◀ **შეუშალოს საქართველოში ხელისუფლების დემოკრატიულ გადაბარებაში ვაშინგტონის „დიდი დამსახურების" აღიარებას და ამერიკის იმიჯი შელახოს.**

მეორე მხრივ, ამერიკელებს მშვენივრად ესმით, რომ, თუ ივანიშვილი დაიწყებს გამოძიებას, ის ქვედა რგოლებიდან ადრე თუ გვიან აუცილებლად გავა სააკაშვილის, ანუ „დემოკრატიის შუქურის" მიერ ჩადენილ ყველა იმ საშინელ დანაშაულზე, რომელთა შესახებაც ქართულმა საზოგადოებამ დიდი ხანია იცის. და როდესაც ეს მოხდება, მითი იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და ამერიკელები საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებდნენ, დაინგრევა, ყველასთვის ცხადი გახდება, რომ **ამერიკელები მარიონეტი სააკაშვილის ხელით „დემოკრატიულ საქართველოს" სისხლზე, ტერორსა და უმსგავსობებზე აშენებდნენ და ამ საშინელებათა ჩამდენ სააკაშვილს არათუ არ აკრიტიკებდნენ, არამედ აქებდნენ, „დემოკრატიის შუქურას" უწოდებდნენ და გულუხვად ეხმარებოდნენ.**

ამრიკელების მოტივაცია გასაგებია. ისინი ცდილობენ, შეინარჩუნონ სახე და სისტემა, რომელიც სააკაშვილის მეშვეობით შექმნეს, რისთვისაც მათი მთავარი ამოცანაა, არ დაუშვან ხმაურიანი საქმეების გახსნა და მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის სააკაშვილის, დაჭერა.

მაგრამ ასევე გასაგებია, რომ სააკაშვილისა და ივანიშვილისთვის ერთდროულად სახის შენარჩუნება მათ არ გამოუვათ.

ვინაიდან ორივე მხარით მანიპულირება შეუძლიათ, ამერიკელებს სწორედაც რომ ხელს აძლევთ ეს ერთგვარი ორხელისუფლებიანობის მდგომარეობა, როცა ივანიშვილი გახდება პრემიერი და სააკაშვილმა კი წააგო, მაგრამ, არათუ პასუხი არ უგია, ძალაუფლების მნიშვნელოვან ბერკეტებსაც კი ინარჩუნებს.

**ცხადია, რომ ამერიკელებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ საქართველოში დემოკრატიის ნასახი არ იყო, მაგრამ მხარს უჭერდნენ სააკაშვილის რეჟიმს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილის მხარდაჭერის გაგრძელება დამთავრდებოდა არამარტო ანტისააკაშვილური, არამედ ანტიამერიკული აფეთქებით საქართველოში. ამ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილიც და ვაშინგტონი აჰყვა ამ რეალობას.**

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის დაინტერესებულია ხმაურიანი საქმეების გახსნითა და რეჟიმის საკვანძო ფიგურების დაჭერით, რადგან ეს გამოიწვევს ამერიკის როლის დისკრედიტაციას. ამერიკისთვის სახისა და სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის შენარჩუნებაა მნიშვნელოვანი, ამიტომაც არის იძულებული ბიძინა ივანიშვილი, ლამის ყოველდღიურად უმასპინძლოს აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდს და ეტაპობრივად თქვას უარი შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაყოფაზე, სოდისა და კუდის გაუქმებაზე, განაცხადოს, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა არ შეიცვლება, აზიზის მეჩეთიც აშენდება, ანუ, ფაქტობრივად, **ივანიშვილი იძულებულია, აკეთოს ის, რაც მნიშვნელოვნად ვნებს პირადად მის და „ქართული ოცნების" რეპუტაციას.**

**ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილს უწევს არჩევანის გაკეთება, მისი ამომრჩევლის, ქართველი ხალხის, ინტერესებსა და ამ რეგიონში აშშ-ის ინტერესებს შორის.**

**თუ ივანიშვილი დაიწყებს ხმაურიანი საქმეების გამოძიებას და დაჭერებს, ესე იგი მან საქართველოს ინტერესები უფრო მაღლა დააყენა, თუ მან არ დაიწყო დაჭერები და ეს ყველაფერი მიაჩუმათა, სანამ მიშა საპრეზიდენტო ვადას არ ამოწურავს და მერე სადმე საერთაშორისო ტრიბუნიდან არ დაიწყებს მსოფლიოს დამოძღვრას, თუ როგორი დემოკრატია ააშენა საქართველოში და როგორ უნდა აშენდეს ამგვარი დემოკრატიები ძია სემის დახმარებით სხვა ქვეყნებში, ესე იგი ივანიშვილიც არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში და საქართველოს ინტერესები მისი ხელისუფლების პირობებშიც მეორე პლანზე დადგება.**

ამერიკელები და ევროპელები ახლა იმას, რაც საქართველოში მოხდა, წარმოაჩენენ, როგორც ამერიკელების წარმატებული დემოკრატიული პროექტის გამარჯვებას. ამდენად, **ივანიშვილმა ახლა უნდა აჩვენოს ყველას, სინამდვილეში რა დემოკრატია იყო ეს. რა ხდებოდა 9 წლის მანძილზე, როგორ შენდებოდა დემოკრატიის შუქურა სისხლზე, დახვრეტებზე, წართმევებზე, ცოცხით გაუპატიურებებზე, რეზინის ხელკეტებზე და ათას საშინელ უმსგავსობაზე. ქართველმა ხალხმა ეს იცის და ამიტომაც ითხოვს დამნაშავეების სამართლიან დასჯას, სისხლისსამართლებრივ დევნას ყველა იმ ადამიანისა, ვინც ცოცხებითა და ტყვიებით, ხელკეტებით, ტერორითა და ძალადობით აშენებდა „დემოკრატიულ საქართველოს".**

რაც უფრო მეტს გააკეთებს და დათმობს ივანიშვილი სააკაშვილის, როგორც ამერიკელების წარმატებული დემოკრატიული პროექტის, სახის შესანარჩუნებლად, მით უფრო გაუჭირდება მას საკუთარი სახის შენარჩუნება და მით უფრო დაშორდება ქართველ ხალხს.

ქართველი ხალხის იმ ამომრჩევლების, რომლებმაც პირველ ოქტომბერს 41 შემოვხაზეთ, უმთავრესი მოტივაცია, მოთხოვნა და შეკვეთა ჩვენ მიერ მხარდაჭერილი ივანიშვილის მიმართ იყო ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის მთელი ხელმძღვანელობა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ დესპოტიის დანაშაულებრივ ქმედებებს, უნდა გასამართლდეს და ჩაჯდეს, და არავითარი გარანტიები — არავის, მათ შორის არც რეჟიმის თავკაცს! თუ ივანიშვილმა ეს რეჟიმი და მისი თავკაცი მიშაც წყნარად გაუშვა, ეს მის ავტორიტეტს დასცემს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, **თუკი ამერიკელები საპრეზიდენტო არჩევნებამდე სააკაშვილის „წაყვანაში" ითხოვენ გარანტიებს მისთვის და მაღალი თანამდებობის პირებისთვის, მათ ეს გარანტიები არ უნდა მიიღონ.** მესმის, რომ, თუკი ივანიშვილი სააკაშვილისა და რეჟიმის სხვა თავკაცების მიმართ გარანტიების მიცემაზე არ დათანხმდება, მოინდომებს მისი ნამდვილი სახის წარმოჩენას, ეს აზარალებს ამერიკულ მითს „საქართველოში გამარჯვებული დემოკრატიის" შესახებ და სანაცვლოდ, შესაძლოა, ვაშინგტონმა დაიწყოს სააკაშვილის გაძლიერება, რევანშისტული ქმედებებისკენ წახალისებას, რაც უსათუოდ გამოიწვევს არეულობას, მაგრამ... სამართლიანობასა და დამნაშავეთა დასჯას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ნებისმიერ ფასად, თუ სააკაშვილი რევანშსა და არეულობას გადაწყვეტს, სადაც ვიწროა იქ გაწყდეს. **ქართველი ხალხი თავად მოიყვანს სისრულეში იმ განაჩენს, რომელიც 1 ოქტომბერს საარჩევნო ურნასთან გამოუტანა მიშნაცებს და მიშა საბოლოოდ დამთავრდება.**

ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რა უფრო მნიშვნელოვანია ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდისთვის: აშშ-ის, როგორც მსოფლიოში დემოკრატიის მშენებლების, იმიჯზე ზრუნვა (რაც ჩვენი პრეროგატივა სულაც არ არის), თუ ზრუნვა იმაზე, რომ შეასრულოს ქართველი ხალხის მოთხოვნა — დასაჯოს და გაასამართლოს რეჟიმის ხელმძღვანელობა, ამ მოთხოვნის შესრულება ხომ ივანიშვილის, როგორც ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური ძალის ლიდერის, პირდაპირი მოვალეობაა.

ხალხი სამართლიანად ითხოვს დამნაშავეების დასჯას, მიტაცებული ნაძარცვი ქონების ჩამორთმევას, რათა აღდგეს სამართლიანობა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მომავალ ხელისუფალს აღარ ჰქონდეს დაუსჯელობის განცდა და არ აჰყვეს თარეშის ცდუნებას და ამ დაუსჯელობამ მომავალში არ შვას ახალი დანაშაულები. ეს სჭირდება ქართველ ხალხს და ქართულ პოლიტიკურ ელიტას. ყველამ, რიგითმა ამომრჩევლებმა, პოლიტიკოსმა, ჩინოვნიკმა უნდა იცოდეს, რომ დანაშაულის ჩამდენი აუცილებლად დაისჯება.

ამიტომ გვირჩევნია, რომ აშშ-ის იმიჯზე მეტად ჩვენი ხალხის მოთხოვნასა და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე ვიზრუნოთ.

**რაც უფრო მეტად ვაამებთ ამ საკითხში დასავლეთს, მით უფრო ვაწყენინებთ საკუთარ ხალხს.**

ხაზგასმით ვამბობ: ხელისუფლების დემოკრატიულ გადაცემაზე ბჟუტური ბლეფია. „დემოკრატია არა კვახი!" — **ამერიკელები იძულებულნი იყვნენ, მიშა მოეშორებინათ, იმიტომ, რომ მან ყველანაირი რესურსი ამოწურა და პრობლემებს უქმნიდა „დემოკრატიის წარმატებული ექსპორტის" მითს, თორემ აქამდეც არაერთხელ „გაუპრავებიათ" მისთვის პირწმინდად წაგებული და დემონსტრაციულად გაყალბებული არჩევნები.**

იმის აღიარება, რომ საქართველოში მოხდა „ხელისუფლების დემოკრატიულად გადაბარება" და ამით ხბოს აღტაცება, ნიშნავს, რომ ბრმები ვართ. როგორც უკვე ვთქვი, აქამდე სააკაშვილმა, სულ ცოტა, სამი არჩევნები გააყალბა, მაგრამ მაშინ შეარჩინეს ამერიკელებმა, მხრებზე ხელიც მოუთათუნეს, რა დემოკრატი ბიჭი ხარო, და არავის გახსენებია ქართველი ხალხის ფეხქვეშ გათელილი ნება, არავის გახსენებია „ძალაუფლების დემოკრატიული გადაბარება", როგორ გავიგოთ ეს? ესე იგი, ის არჩევნები არ იყო დემოკრატიული. მაშინ რატომ აღიარებდნენ მათ ამერიკელები დემოკრატიულ არჩევნებად?

ადამიანები, რომლებზეც უკვე დადასტურებულად ცნობილია, რომ გარეულნი არიან ამაზრზენ სისხლიან დანაშაულებში, რომელთა ნაწილს ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ელფერი დაჰკრავს, უცებ გაქრნენ საქართველოდან და თავს აფარებენ დასავლეთ ევროპას და ამერიკას.

მოსახლეობას, ამომრჩეველს აქვს სავსებით ლეგიტიმური შეკითხვა: რატომ იღებს და იფარებს დასავლეთი ამ ხალხს? ანუ რა გამოდის: თუ დემოკრატიის სახელით ჩავიდენ ყოველგვარ ზღვარგადასულ დანაშაულს, არაფერი არ მომივა — ამერიკა და ევროპა შემიფარებს, როგორც ილფისა და პეტროვის გენიალურ ნაწარმოებშია — ზაგრანიცა ნამ პამოჟეტ?

**დასკვნის სახით კი ვეკითხები საკუთარ თავს და კიდევ მილიონ ას ოთხმოცდაერთი ათას რვაას სამოცდაერთ ამომრჩეველს, რომლებმაც ჩემსავით 41 შემოხაზეს: ამაზე ვოცნებობდით?**

რა თქმა უნდა, არა და ამ შემთხვევაში გამოსავალიც, თხოვნაც და, გნებავთ, მოთხოვნაც ერთადერთია: **ბატონო ბიძინა, მოგვაშორეთ ეს მავნებელი!**

**დავით მხეიძე**



**ივანიშვილმა ახლა უნდა აჩვენოს ყველას, სინამდვილეში რა დემოკრატია იყო ეს. რა ხდებოდა 9 წლის მანძილზე, როგორ შენდებოდა დემოკრატიის შუქურა სისხლზე, დახვრეტებზე, წართმევებზე, ცოცხით გაუპატიურებებზე, რეზინის ხელკეტებზე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკელებისთვის სასურველია, სააკაშვილი ისტორიაში შევიდეს, როგორც დემოკრატი მმართველი, ასე თუ ისე სუფთა რეპუტაციით, „ვარდების რევოლუცია“ ხომ მათი პროექტი იყო და სააკაშვილს მხარს წლების განმავლობაში უჭერდნენ.**

# ორი ნაბიჯი განსასჯელის სკამამდე




**მომავალში, ძალიან დიდი ალბათობით, ამოტივტივდება არაერთი ფაქტი, რომლებიც საკმარისზე მეტ საბაბს შექმნის იმისთვის, რომ სააკაშვილი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს და გამოძიებას მტიკიცებულებების შეგროვებისთვის არც ისე ბევრი დრო დასჭირდება**

**მიხეილ სააკაშვილი თითქოსდა ყველას დაავიწყდა. გასულ კვირას მასზე ძალიან ცოტას წერდნენ და არც ის ცდილობდა, საკუთარი თავის მიმართ საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. როგორც წესი, მას ახსენებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი კითხვიდან ერთ-ერთი ისმებოდა: „როდის გადადგება?“ და „ჩასვამენ თუ არა ციხეში?“; ცხადია, ფორმულირება ორივე შემთხვევაში გამარტივებულია, თუმცა შინაარსი სწორედ ასეთი იყო.**

თუ პირველ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით, ალბათ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: „გადადგება, როგორც კი ულტიმატუმს წაუყენებენ“, რადგან რეალური რესურსი წინააღმდეგობის გაწევისთვის მას არ აქვს. მართალია, ის შეიძლება ჩაებღაუჭოს მთელ რიგ იურიდიულ ბარიერებს და, მისთვის იდეალურ შემთხვევაში, საქმე ვადის ამოწურვამდე მიიყვანოს, მაგრამ არანაირი აზრი ამას არ აქვს, რადგან **არ არსებობს და, სავარაუდოდ, არც ახლო მომავალში გაჩნდება პოლიტიკური, ძალისმიერი და ფინანსური რესურსი, რომელიც ხელშესახებ პერსპექტივაში სააკაშვილის ჯგუფის ხელისუფლების სათავეში დაბრუნებას უზრუნველყოფს, ხოლო გაჯიუტება მის წინააღმდეგ საზოგადოების უდიდეს ნაწილს აამხედრებს და მის მომდევნო ბედზე მეტად ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სააკაშვილი არ არის მზად იმისთვის, რომ ახალ დაპირისპირებას გაუძლოს; ის, სავარაუდოდ, ფსიქოლოგიურად გატყდა და ძალიან ეშინია.**

სხვათა შორის, ეს სევდიანი უპერსპექტივობა, სავსებით რეალისტურად გააცნობიერა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ლევან რამიშვილმა, რომელმაც „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა: **„ვფიქრობ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად ძალიან დიდი დრო დასჭირდება“.** რუსი ჟურნალისტი, როგორც ჩანს, ერთობ გაკვირვებული დარჩა რამიშვილის პესიმიზმით და რამდენიმეჯერ სცადა, საუბარი გადაეყვანა სააკაშვილის ხელთდარჩენილ ბერკეტებზე (იმ გაგებით, „რომ ყველაფერი დაკარგული არ არის“), თუმცა რესპონდენტმა უპასუხა, რომ სერიოზულ კრიზისს არ მოელის და **„რეალურად მართვის ყველა ბერკეტი ახალ მთავრობას გადაეცემა“,** ხოლო საპარლამენტო უმრავლესობასთან დაპირისპირება და **„ამომრჩეველთა ძალიან მკაფიო სურვილების თავხედი იგნორირება არასწორი იქნება“.** ამ ინტერვიუში, სხვა ყველაფერთან ერთად, დაფიქსირდა უფსკრული სააკაშვილის თეორიულ შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების რეალურ შეუძლებლობას შორის, რომელიც, „კომერსანტის“ კორესპონდენტისგან განსხვავებით, ლევან რამიშვილმა კარგად დაინახა.

„ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციების დასუსტება გრძელდება. მართალია, პარტიული პროპაგანდა ცდილობს, დაარწმუნოს სააკაშვილის მომხრეები, რომ რევანში ძალიან მალე მოხდება, რომ მიტ რომნი აშშ-ის პრეზიდენტი გახდება და ყველაფერს დაუბრუნებს და ა. შ., თუმცა ეს სულ უფრო ემსგავსება ჰებელსის შელოცვებს „ფიურერის სასწაულმოქმედ იარაღზე“, რომელიც ბოლო, გადამწყვეტ მომენტში ომის ბედს გადაწყვეტს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს „ნაციონალების“ საშუალო და დაბალ რგოლს რეგიონულ და რაიონულ ადმინისტრაციებში იყენებენ, როგორც „ფოლქსშტურმს“ ბერლინის დაცემის დღეებში — **მათ ავალებენ ნებისმიერ ფასად მაქსიმალურად შეაფერხონ განუზომლად ძლიერი მოწინააღმდეგის წინსვლა და მოიგონ დრო ძირითადი ძალების გადაჯგუფებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნახევრადმითიურ „ძირითად ძალებს“ აღარაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, სარდლობამ უკვე მშვენივრად იცის, რომ ყველაფერი დამთავრებულია, ხოლო განსაკუთრებით წინდახედულები ალყაშემორტყმული ბერლინიდან გაიქცნენ.**

რაც შეეხება სააკაშვილის მომავალ ბედს, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა ფიქსირდება. პრაქტიკულად არავინ დავობს იმაზე, რომ **ახლო მომავალში, ძალიან დიდი ალბათობით, ამოტივტივდება არაერთი ფაქტი, რომლებიც საკმარისზე მეტ საბაბს შექმნის იმისთვის, რომ სააკაშვილი განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდეს და გამოძიებას მტიკიცებულებების შეგროვებისთვის არც ისე ბევრი დრო დასჭირდება.** მაგრამ აქვე, დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე უცნაური არგუმენტების გამოყენებას იწყებს იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის გასამართლება შეიძლება პოლიტიკურად მიზანშეწონილი არ იყოს და რომ ამას, თითქოსდა, აქტიურად შეეწინააღმდეგებიან ამერიკელები, რადგან **ამერიკელებისთვის სასურველია, სააკაშვილი ისტორიაში შევიდეს, როგორც დემოკრატი მმართველი, ასე თუ ისე სუფთა რეპუტაციით, „ვარდების რევოლუცია“ ხომ მათი პროექტი იყო და სააკაშვილს მხარს წლების განმავლობაში უჭერდნენ.**

ეს პოზიცია არსებითად არაკორექტულია, რადგან მართლმსაჯულების პოლიტიკური კონიუნქტურისადმი დაქვემდებარებას გულისხმობს და ამავე დროს, ქვეტექსტში საქართველოს სუვერენიტეტზე მაღლა უცხო ქვეყნის სავარაუდო სურვილებს აყენებს. მაგრამ, ვინაიდან მსგავსი შეხედულებები საკმაოდ ფართოდ გავრცელდა, მათზე საუბარს, ალბათ, გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ.

ტაივანი და სამხრეთ კორეა შტატებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო, და მათთან გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა, მისმა სამხრეთკორეელმა კოლეგებმა, ჩონ დუ ხვანმა და რო დე უმ, რეგიონში აშშ-ის პოზიციების განმტკიცებისთვის ძალიან ბევრი გააკეთეს. სამივეს შტატებში ჰყავდა ბევრი მეგობარი, სენატორი თუ გენერალი, და გაცილებით სერიოზული ლობისტები, ვიდრე მიხეილ სააკაშვილს, თუმცა სამივე ციხეში ჩაჯდა და ვაშინგტონს მათი ადვოკატირებით თავი არ მოუკლავს. სრულყოფილი პარალელების გავლება ამ სამეულსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, ქვეყნების განსხვავებული სპეციფიკის გამო, ერთობ რთული იქნება, თუმცა ჩენ შუიბიანის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ნამდვილად არის რამდენიმე მომენტი, რომელიც ამის შესაძლებლობას იძლევა.

**ჩენ შუიბიანი პრეზიდენტად 2000-ში აირჩიეს; მეორე ვადის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე მისმა „დემოკრატიულმა პროგრესულმა პარტიამ“ საპარლამენტო არჩევნები წააგო, რის შემდეგაც ჩენმა მისი ხელმძღვანელის პოსტი დატოვა. 2008 წლის მარტში მისი პარტია საპრეზიდენტო არჩევნებშიც დამარცხდა, ნოემბერში კი ჩენი დააპატიმრეს. მას ბრალად დასდეს საპრეზიდენტო ფონდიდან პირადი მიზნებისთვის 3,12 მილიონი დოლარის დახარჯვა (საქართველოში ეს ციფრები ბევრს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს) და 11,73 მილიონი დოლარის ე.წ. ატკატის აღება მსხვილი სამშენებლო პროექტების განხორციელების დროს. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, რომელიც შემდგომ 20-წლიანით შეუცვალეს; ციხეში კორუფციისთვის ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრებიც მოხვდნენ.**

ერთი შეხედვით, ჩვენ ერთ ბანალურ მექრთამეზე ვსაუბრობთ, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მან ტაივანის პოლიტიკურ ცხოვრებაში დადებითი როლიც შეასრულა. ის მოვიდა ხელისუფლებაში, როგორც კორუფციასთან მებრძოლი დემოკრატი, მან და მისმა პარტიამ ბოლო მოუღო „გომინდანის“ მრავალწლიან მმართველობას ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში, რომელსაც გაცილებით უფრო მასშტაბური, ლამის ტოტალური კორუფცია და მართვის ავტორიტარული მეთოდების გამოყენება ახასიათებდა. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, ამ კორუფციონერმა, ჩენ შუიბიანმა, კორუფციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ უპრეცედენტოდ მძიმე სასჯელის უკან პოლიტიკური ანგარიშსწორებაც იდგა, „გომინდანმა“ არ აპატია შუიბიანს, რომ ნახევარსაუკუნოვანი მყუდროება დაურღვია. ცხადია, ყოველივე თქმული არ ამართლებს დანაშაულს, რომელიც ტაივანის ყოფილმა პრეზიდენტმა ჩაიდინა.

**არის ერთი ნიუანსი, რომელიც ჩენ შუიბიანსა და მიხეილ სააკაშვილს ნამდვილად აახლოებს:** ორივე ქვეყანას უმცროსი ბუშის მმართველობის წლებში ხელმძღვანელობდა და ვაშინგტონის მხარდაჭერის იმედით (ან ბუშის ადმინისტრაციის ფარული წაქეზებით) დიდ მეზობელთან (ჩინეთი, რუსეთი) კონფრონტაციას აღრმავებდა. საბოლოოდ, ორივემ იმას მიაღწია, რომ მასთან მიმართებაში ამერიკულ მედიასა და საექსპერტო წრეებში გამოყენებული იქნა ფორმულირება: **„მან არასწორად აღიქვა სიგნალები ვაშინგტონიდან და ჩათვალა, რომ „მწვანე აუნთეს“.** აქ პარალელების გავლება, ალბათ, უნდა დასრულდეს, რადგან ტაივანის პრეზიდენტს ეყო ჭკუა იმისთვის, რომ ქვეყანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ომში არ ჩაება.

**საინტერესოა, რომ სამხრეთკორეელ პრეზიდენტების: ჩონ დუ ხვანს და რო დე უს გასამართლების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება კორუფციის ფაქტებს დაეთმო, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საკმარისზე მეტი საბაბი იმისთვის, რომ ძირითადი თემა სასამართლოზე ადამიანის უფლებების დარღევა, რეპრესიები და მკვლელობებიც კი გამხდარიყო. შესაძლოა, სწორედ ამ მომენტში იჩინა თავი პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინების აუცილებლობამ, რადგან მეორე შემთხვევაში საბრალდებო სკამზე, ფაქტობრივად, მთელი სისტემა აღმოჩნდებოდა, რაც ირიბად სერიოზულ დარტყმას ვაშინგტონსაც მიაყენებდა, რადგან სამხრეთ კორეა მთელი ამ წლების განმავლობაში მისი უახლოესი მოკავშირე იყო.**

კორუფციასა და მაქინაციებში დადანაშაულება ამ კონტექსტში ერთგვარ „იოლ გამოსავალს“ წარმოადგენს. ის იძლევა შესაძლებლობას, რომ პრობლემა დაყვანილ იქნას კონკრეტული ადამიანების არასრულყოფილებამდე და დანაშაულამდე, იმის ნაცვლად, რომ საუბარი რეჟიმის მანკიერებაზე, მის დანაშაულებრივ ბუნებაზე მიდგეს. ვაშინტონის მხრიდან მეტად არაპრაგმატული იქნებოდა კბილებით დაეცვა ყოფილი პრეზიდენტები, რომელთა გასამართლებას, მათი მმართველობის მძიმე შედეგებიდან და გამოძიების დასკნებიდან გამომდინარე, უამრავი ადამიანი მოითხოვს, მაგრამ მისთვის არასასურველია, რომ დანაშაულებრივი რეჟიმის მოკავშირედ წარმოჩინდეს. ფარული კომპრომისი, როგორც წესი, სწორედ ამ წერტილში მიიღწევა და არა იმასთან დაკავშირებით — უნდა გასამართლდეს თუ არა ყოფილი მმართველი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მისი დანაშაული „ზედაპირზე დევს“. **ყოფილი პარტნიორის დაცვა განსაკუთრებით რთულია ქვეყანაში, რომელიც, თუნდაც დეკლარაციის დონეზე, დემოკრატიული აღმშენებლობის გზას ადგას და ამ მხრივ აშშ-ის ქებას იმსახურებს, როგორც საქართველო — დღეს და ტაივანი და სამხრეთ კორეა — მასზე ოდნავ ადრე; პარადოქსულია, მაგრამ ორანგუტანგი-დიქტატორის, კლასიკური „ჩვენი ძაღლისშვილის“ გადარჩენა მეორე ასეთივე მაიმუნისგან გაცილებით იოლია, ვიდრე „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ყოფილი ლიდერის, რომელიც ოპონენტებმა არჩევნებში დაამარცხეს.**

ან რატომ უნდა გადაარჩინონ? რა დამსახურება აქვს ასეთი ძია სემის წინაშე? თუ ძია სემს მისი ვალი მართებს? ნასინგ პერსონალ, სან, ჯასტ ბიზნეს.

**ცხადია, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ჩვენ აქვე უნდა დავუშვათ, რომ გამოძიება ვერც ერთ საეჭვო ფაქტს ვერ მიაგნებს, ხოლო სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ სააკაშვილი მამა აბრამის ბატკანივით უცოდველია, თუმცა საზოგადოებაში სრულიად საპირისპირო მოსაზრება დომინირებს. სააკაშვილის მდგომარეობა, შესაძლოა, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს და მას განსასჯელთა სკამს ორიოდე ნაბიჯი აშორებს; ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალე საუბარი მის მომავალზე, არა პოლიტიკური, არამედ იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მოგვიწევს.**

„მე დავპირდი ჩემს ამომრჩევლებსაც და მთელს საქართველოს, რომ, ვინც კი იყო გაყალბების პროცესში ჩართული, ვინც აწამებდა ხალხს ციხეებში და ჩაიდინა სადიზმით გაჟღენთილი დანაშაულები, ყველა აგებს პასუხს ქართული, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების წინაშე და ეს უკვე ჩემი საქმე არ არის, ეს იქნება დამოუკიდებელი სასამართლოს საქმე“.

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ირაკლი ალასანია: თუკი რომელიმე ყოფილ მინისტრს დანაშაული დაუდასტურდება, ჩრდილოეთ პოლუსზეც რომ იყოს წასული, იქიდან ჩამოვიყვანთ

**თავდაცვის სამინისტრო ძირეული ცვლილებების მოლოდინშია. მინისტრობის ახალმა კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ უწყების ძირითადი მიმართულებები გამოყო და განაცხადა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოებული თავდაცვითი ომების შესწავლასა და ანალიზს გეგმავს. კონკრეტულად რა იქნება მომავალი გუნდის პრიორიტეტი და რა გზით აპირებს არჩეული მთავრობა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ თავად ირაკლი ალასანია ესაუბრება.**

**— ბატონო ირაკლი, თქვენ თქვით, რომ თავდაცვის უწყებაში ძირეული ცვლილებებია საჭირო. კონკრეტულად რა ცვლილებებს გულისხმობთ და რას გეგმავთ?**

— უპირველესად, თავდაცვის მინისტრისთვის მთავარი პრიორიტეტი იქნება ჯარისკაცი, მეომარი. მას უნდა შეუქმნას ყველამ პირობები იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში თავი გაწიროს და თავისი ქვეყანა დაიცვას. ასე რომ, **მთავარი ღირებულება ჩემთვის, რომ მივდივარ ამ უწყებაში, არის ჯარისკაცი, მისი ოჯახის სოციალური დაცვა და ვეტერანებზე ზრუნვა, რომლებსაც ძალიან დიდი თავდადების მაგალითი აქვთ ჩვენთვის ნაჩვენები. მეორე უმთავრესი პრიორიტეტია პროფესიული სამხედრო თუ სამოქალაქო კადრების დაბრუნება თავდაცვის სამინისტროში** და აქ მთავარი განმსაზღვრელი ჩემთვის იქნება გამოცდილება, პროფესიონალიზმი და სისუფთავე. ბოლო წლებში არა მხოლოდ დაითხოვეს ადამიანები, დაიჭირეს და უკანონო პატიმრობაში ჰყავდათ უამრავი ჯარისკაცი პოლიტიკური მოსაზრებებით. დეპოლიტიზაცია, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ პოლიტიკური ინსტრუმენტი არ იქნება არც ერთი სამართალდამცავი თუ უსაფრთხოების სტრუქტურა და თავდაცვის სამინისტრო, როგორც აქამდე იყო. ჩვენ ერთი კადრიც არ გვყავს დასაკარგი და ყველა დაუბრუნდება საკუთარ საქმეს.

**— დაახლოებით ერთი თვის წინ ამერიკელებმა დაიწყეს ახალი პროგრამა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას გულისხმობს. ესაა როგორც საინჟინრო მიმართულება, ისე ვერტმფრენების მოდერნიზება. გაგრძელდება თუ არა ეს პროგრამა?**

— პირველ რიგში, გავიმეორებ იმას, რომ **აუცილებელია, ჩატარდეს მიუკერძოებელი, ექსპერტული სამხედრო გამოცდილების მქონე ადამიანების ანალიზი, რამ გამოიწვია ჩვენი სამხედრო წარუმატებლობები ბოლო წლების განმავლობაში. უნდა მოხდეს ყველა შეცდომის გაზიარება, გათვალისწინება და ასე დავგეგმოთ ჩვენი თავდაცვის დოქტრინა.**

რა თქმა უნდა, მე არ ვარ უფლებამოსილი, რამე განცხადება გავაკეთო მიმდინარე პროცესებზე თავდაცვის უწყებაში. ჩემი ნდობით აღჭურვილი სამუშაო ჯგუფი ინფორმაციებს ისმენს, რამდენიმე ბრიფინგიც ჩამიტარეს, მაგრამ არ მაქვს სრულფასოვანი ინფორმაცია. მე ჩემს ხედვას, პირველ რიგში, გავაცნობ არჩეულ პრემიერ-მინისტრს და ამის შემდეგ გავაცნობთ უკვე საზოგადოებას, თუ რა იქნება ძირითადი მიმართულებები. არა მგონია, რომ თვისობრივი ცვლილებები შევიდეს ჩვენს საგარეო თავდაცვით და უსაფრთხოების პრიორიტეტებში. **სწრაფვა, რომ უფრო ახლო ოპერატიული თავსებადობა ჰქონდეს შეიარაღებულ ძალებს ჩვენს ნატოელ პარტნიორებთან, ბუნებრივია, გაგრძელდება, ისევე, როგორც გაგრძელდება ჩვენი ოპერაცია ავღანეთში, ვიდრე მისია არ იქნება შესრულებული.**

**— სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში 5 მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა თავდაცვის გასაძლიერებლად, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომმა გვაჩვენა, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები სათანადო მომზადებას ვერ ფლობდნენ. აპირებთ თუ არა იმ პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რომელთა არასწორმა პოლიტიკამაც განაპირობა ის წარუმატებლობა?**

— თქვენი შეკითხვა მართლაც განპირობებულია ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესით, თუ რა მოხდა 2008 წელს. რატომ აღმოჩნდა ასეთი დაუცველი ჩვენი ქვეყანა, როდესაც, მართალი თქვით, ხუთ მილიარდზე მეტი დახარჯა ჩვენი ფული სააკაშვილის მთავრობამ თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. როცა მე ვსაუბრობდი იმაზე, რომ უნდა იყოს შესწავლილი ყველა ჩვენი სამხედრო წარუმატებლობის მიზეზი, ამ საერთო შეფასებასა და შესწავლაში ასევე მქონდა ნაგულისხმები სწორედ 2008 წლის ტრაგიკული ომი, რის შედეგადაც ტერიტორიების თითქმის მესამედი დავკარგეთ. აბსოლუტურად ნულზე იყო კომუნიკაცია და გენერალურმა შტაბმა პრაქტიკულად კრახი განიცადა, მოიშალა მართვა და რეზერვმაც არ იმუშავა. ხაზს ვუსვამ: ეს იქნება აუცილებლად შესწავლილი და შესწავლის შემდეგ გაკეთდება დასკვნები. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, აუცილებლად დადგება.

**— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხელისუფლება თავს იმით იმართლებდა, რომ თურმე საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში პოტენციურ მოწინააღმდეგედ არ მოიაზრებოდა რუსეთი, რის გამოც ჩვენი შეიარაღებული ძალები ამ ტიპის სამხედრო მოქმედებებისთვის არ იყო მზად. შეიქმნება თუ არა ახალი სამხედრო სტრატეგია და იქნება თუ არა მასში ის საფრთხეები გათვალისწინებული, რომლებიც რეალურად არსებობს?**

— მე უნდა გავეცნო ამ დოკუმენტს და, თუ რამე ცვლილება იქნება შესატანი, ბუნებრივია, ჩვენ ამ ცვლილებებს განვახორციელებთ.

**— ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ისახავს. მეორე მხრივ კი, პოლიტიკა, რომელიც ჰქონდა წინა ხელისუფლებას ნატოსთან მიმართებაში, რჩება უცვლელი. რატომ გგონიათ, რომ ის, რაც ვერ მოხერხდა სააკაშვილის პირობებში, მოხერხდება ახლა? მხედველობაში მაქვს ერთდროულად სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ და დაახლოება რუსეთთან.**

— სააკაშვილს ჰქონდა ძალიან დიდი შანსი, როგორც პრეზიდენტს, 2004-2005 წლებში, სწორად დაეწყო ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან. ამის სრული პოტენციალი არსებობდა; ასევე ჰქონდა ისტორიული შანსი, აღედგინა დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან და გაეგრძელებინა ჩვენი ქვეყნის უფრო სწრაფი ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში.

**— კონკრეტულად როგორ?**

— მე ვიყავი მონაწილე ამ მოლაპარაკების პროცესის და, რომ გაეთვალისწინებინა შეთავაზება, დეკლარაციაზე მოეწერა ხელი, საბრძოლო მოქმედების განუახლებლობისა და დევნილთა დაბრუნების აღიარებასთან დაკავშირებით, გახსნიდა ასმაგ შესაძლებლობებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების წინ წამოწევისათვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის. ეს იყო მთავარი აქცენტი, რასაც აკეთებდა ევროკავშირი და გაერო იმდროისთვის. სააკაშვილმა ეს ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შანსი კვლავ უჩნდება უკვე ახალ ხელისუფლებას, ახალ მთავრობას. თქვენ გახსოვთ, **არაერთი განცხადება იქნა გაკეთებული თუნდაც აფხაზური მხრიდან, რომ ისინი ელოდებიან საქართველოსგან დიალოგის აღდგენას.** არავის არ მინდა ცრუ დაპირება მივცე, რომ ის იქნება ძალიან სწრაფად, მაგრამ **მე დარწმუნებული ვარ, სწორი პოლიტიკით, სწორი მიდგომით, რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის აღდგენით, ევროკავშირისა და განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამონაწილეობით, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ საქართველო გახდება სტაბილური ქვეყანა.**

**— მოკლედ, რუსეთს ნატოზე არ აქვს გართულება?**

— რა თქმა უნდა, აქვს. ნატოზე ჰქონდა რუსეთს გართულება, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნები მიისწრაფვოდნენ ალიანსისკენ, მაგრამ მათ არ მიუციათ ასეთი შესაძლებლობები და ხელმოსაკიდი კრემლისთვის, როგორც ეს მისცა მას სააკაშვილმა თავისი უგუნური, წინდაუხედავი პოლიტიკითა და სამხედრო რიტორიკით.

**— გასაგებია, მაგრამ ეს ყველაფერი სხვა გეოპოლიტიკურ რეალობაში მოხდა.**

— საქართველოში ნატოსკენ სვლა არ დაუწყია სააკაშვილს, ეს შევარდნაძის პოლიტიკაა, რომელიც გააგრძელა შემდეგ სააკაშვილმა; და ასეთი ანტაგონიზმი, ასეთი ზღვარგადასული სამხედრო რიტორიკა ჩვენ არ გვქონდა, ვიდრე სააკაშვილმა არ დაიწყო ეს. ასე რომ, ყველაფერს სწორი შეფასება სჭირდება.

**— როცა საუბარია საერთაშორისო მხარდაჭერაზე და მსოფლიოს მიერ ჩვენი კონფლიქტური რეგიონების არაღიარების პოლიტიკაზე, როგორ ახსნით იმას, რომ 2008 წლის შემდეგ ნატოს საქართველოში წვრთნები არ ჩაუტარებია?**

— 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ დაუფიქრებელი სამხედრო რიტორიკით გამოწვეული დაპირისპირებები შეიძლება გახდეს დიდ სახელმწიფოებს შორის ისეთი დაძაბულობის გაჩენის საფუძველი, როგორიც იყო თუნდაც ამერიკისა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური რიტორიკა და მათ შორის შემდეგ უკვე ჩვენი მხარდაჭერა ამერიკელების მხრიდან, როდესაც აქ შემოვიდა მათი სანაოსნო სამხედრო შესაძლებლობები. ამის განმეორება არავის უნდა. **ყველა ხედავს, რომ სააკაშვილი იყო გაუწონასწორებელი, დაუბალანსებელი ლიდერი, რომელსაც შეეძლო შარში გაეხვია მთელი მსოფლიო.**

სწორედ ამიტომ შეწყდა ეს წვრთნები. დღეს კი, როცა მოდის მთავრობა, რომელიც სტაბილურობას დაამყარებს, რომელსაც აქვს გრძელვადიანი ხედვა და წინამორბედის მსგავს პოლიტიკურ იმპულსურობას არ გამოამჟღავნებს, რა თქმა უნდა, აღდგება ასეთი ურთიერთობები.

**— ზუგდიდელებს დაჰპირდით, რომ ახალაიების კლანისგან გაათავისუფლებდით. არის დღეს ზუგდიდი ამ კლანისგან ბოლომდე თავისუფალი? როლანდ ახალაია თქვენი მისამართით დღემდე მწვავე განცხადებებს აკეთებს.**

— ახლახან ჩამოვედი ზუგდიდიდან და მინდა გითხრათ, რომ ახალაიების ბოლო ფეოდალურ-კლანური მმართველობა დაინგრა. ხალხს აქვს ღიმილი სახეზე, აღარ ეშინიათ ქუჩაში გამოსვლის, ხმამაღლა ლაპარაკის პოლიტიკაზე, ტელეფონით საუბრის და ა. შ. ასე რომ, დამთავრებულია ბოლო ფეოდალურ-კლანური მმართველობა.

**— სულ ეს არის დანაპირები, თუ მომავალში პასუხისმგებლობის საკითხზეც იქნება საუბარი?**

— რა თქმა უნდა, მე დავპირდი ჩემს ამომრჩევლებსაც და მთელს საქართველოს, რომ, ვინც კი იყო გაყალბების პროცესში ჩართული, ვინც აწამებდა ხალხს ციხეებში და ჩაიდინა სადიზმით გაჟღენთილი დანაშაულები, ყველა აგებს პასუხს ქართული, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების წინაშე და ეს უკვე ჩემი საქმე არ არის, ეს იქნება დამოუკიდებელი სასამართლოს საქმე.

**— დასასრულს, წინა ხელისუფლებისდროინდელ მინისტრებზეც გკითხავთ: ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, სად იმყოფება ექსთავდაცვის მინისტრი და დარჩება თუ არა თავის თანამდებობაზე გიგა ბოკერია?**

— პირველი: მე არ მაქვს ინფორმაცია, სად იმყოფებიან ყოფილი მთავრობის წევრები, მაგრამ ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა; **თუკი რომელიმე ყოფილ მინისტრს დანაშაული დაუდასტურდება, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, ჩრდილოეთ პოლუსზე რომ იყოს წასული, იქიდან ჩამოვიყვანთ და წარვადგენთ ქართული მართლმსაჯულების წინაშე.** რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მდივანს, ეს არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბატონი სააკაშვილი და ბოკერია ამ კუთხით.

ესაუბრა ჯაბა ჭვანია

«ვინც იყო გაყალბების პროცესში ჩართული, ვინც აწამებდა ხალხს ციხეებში, ყველა აგებს პასუხს მართლმსაჯულების წინაშე»

«ყველა ხედავს, რომ სააკაშვილი იყო გაუწონასწორებელი, დაუბალანსებელი ლიდერი, რომელსაც შეექმლო შარში გაეხვია მთელი მსოფლიო»

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირაკლი ღარიბაშვილს საკმაო სიფრთხილის გამოვლენა მოუწევს, რათა აირიდოს „მინისტრი გესტაპოელებს ხელს აფარებს“ ტიპის ბრალდებები, რომელთაც მისი არაკეთილმოსურნეები მის წინააღმდეგ აუცილებლად გამოიყენებენ, თუ ამისთვის თუნდაც იოტისოდენა საბაბს მისცემს.**

# ირაკლი ღარიბაშვილი - რკინის ხელი თუ ხავერდის ხელთათმანი?



**სულ მალე პარლამენტი ახალ მთავრობას დაამტკიცებს და საზოგადოება ყურადღებით დააკვირდება ახალი მინისტრების პირველ ნაბიჯებს. ზოგიერთ მათგანს მუშაობა მართლაც რომ გამადიდებელი შუშის ქვეშ მოუწევს და ეს, უპირველესად, შსს-ს ახალ ხელმძღვანელს, ირაკლი ღარიბაშვილს, ეხება. ყველას აინტერესებს, რა მეთოდებით და რა ვადებში მოხდება იმ პოლიტიზებული, მონსტრუოზული სისტემის დემონტაჟი, რომელიც სააკაშვილმა და მერაბიშვილმა შექმნეს. ამასთან დაკავშირებით არაერთი მკვეთრად განსხვავებული მოსაზრება და რეცეპტი არსებობს. ამის გათვალისწინებით, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღარიბაშვილის ნებისმიერ განცხადებასა და ქმედებას მრავალფეროვანი ინტერპრეტაციები მოჰყვება და მას ან „რადიკალები“, ან „ზომიერები“ (ან, სულაც, ორივე ერთად) მუდამ გააკრიტიკებენ. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება არა მხოლოდ ღარიბაშვილი, „ორ ცეცხლს შუა“ (მაგალითად) განათლების ახალი მინისტრიც მოექცევა, მაგრამ შსს-ს შემთხვევაში დისკუსიის გრადუსი გამორჩეულად მაღალი იქნება. უამრავი ადამიანი არცთუ კეთილგანწყობილი ინტერესით დააკვირდება, რას (და როგორ) ანგრევს და რას აშენებს ირაკლი ღარიბაშვილი.**

**საზოგადოების დიდი ნაწილი შსს-ს ახალ ხელმძღვანელს (ღარიბაშვილი იქნება თუ ნებისმიერი სხვა) უყურებს, როგორც პოტენციურ ჟოზეფ ფუშეს ან, სულაც, ნიკოლაი ეჟოვს და ამ გარემოებას ვერსად გავექცევით**

## მივლინება ავგიას თავლაში



როდესაც ახალი კაბინეტის წევრებზე ვსაუბრობთ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, გამოვყოთ ფაქტორი, რომელსაც შეიძლება პირობითად „ნდობის“ ან „კეთილგანწყობის ლიმიტი“ ეწოდოს. მასზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, თუ რამდენს „აცლის“ საზოგადოება ამა თუ იმ მინისტრს და რამდენ მცირე შეცდომას აპატიებს, ვიდრე მწვავე პრეტენზიებით მიადგება. „კეთილგანწყობის ლიმიტის“ ციფრებში ასახვა საკმაოდ რთულია, თუ არა შეუძლებელი, თუმცა აშკარაა, რომ მინისტრების მდგომარეობა ამ მხრივ განსხვავებულია. **მაგალითად, თეა წულუკიანის და სოზარ სუბარის შემთხვევაში ხსენებული „ლიმიტი” საკმაოდ დიდი ჩანს, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევაში შედარებით მცირე.**

**საზოგადოება ჯერჯერობით ცუდად იცნობს ღარიბაშვილს და არ იცის, რას უნდა ელოდოს მისგან; ის , რომ მინისტრობის კანდიდატი ტელეეკრანებზე პერიოდულად ჩნდება, ამ კონტექსტში განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. მან ჯერჯერობით ვერ ჩამოაყალიბა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტილი, რომელიც მის იმიჯს სანდოობის, დამაჯერებლობის შტრიხებს შეჰმატებს.** მინისტრობის კანდიდატის მცდელობა — კითხვებს სწრაფად, ლამის სხაპასხუპით უპასუხოს, მის გამოსვლებს დამაჯერებლობას არ სძენს (უფრო პირიქით); აღსანიშნავია, რომ მას უკვე ორჯერ მოუხდა ნაჩქარევად გაკეთებული, ბუნდოვანი განცხადებების კორექტირება. დღეს, გარდამავალი პერიოდის ციებ-ცხელებაში, იმიჯთან და კომუნიკაციის სტილთან დაკავშირებული საკითხები მეორეხარისხოვანი ჩანს, მაგრამ მომავალში ფიგურანტს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნან.

ჩვენ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებით ენდობა ირაკლი ღარიბაშვილს (მისი დანიშვნა თავისთავად წარმოადგენდა მკაფიო სიგნალს, რომ ივანიშვილი შსს-ზე განსაკუთრებულ კონტროლს აწესებს) და რომ მას ძალიან რთულ მონაკვეთზე მუშაობა, სისტემის ავგიას თავლის გაწმენდა მოუწევს. ერთის შეხედვით, ამ ორ გარემოებას მისდამი სიმპათია უნდა გაეღვივებინა, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილში, რომელმაც ხმა არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ მისცა, თუმცა დამოკიდებულებაში ღარიბაშვილის მიმართ მაინც ფრთხილი, ეჭვნარევი მოლოდინი დომინირებს, რომელიც, სავარაუდოდ, ბოლო წლებში დაგროვილ გამოცდილებას ეფუძნება.

საქმე ისაა, საქართველოს მთელი უახლესი ისტორიის განმავლობაში შსს-მ არაერთგზის დაამტკიცა, რომ შეუძლია ნებისმიერი კავკასიური ნაგაზი ბასკერვილების ძაღლად გადააქციოს. მანკიერი სისტემა ამახინჯებდა ყველას, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ხელმძღვანელ რგოლში მოღვაწეობდა, მიუხედავად იმისა, რა იდეები და ღირებულებები ჰქონდათ იმ მომენტში, როდესაც სამინისტროში მუშაობას იწყებდნენ. ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ ადამიანი სისტემაში შეიძლება გახდეს ან უფრო ცუდი, ან გაცილებით უფრო ცუდი, ვიდრე ადრე იყო და ბინძური მეთოდების გამოყენება და რეჟიმისთვის „ხერხემლის როლის შესრულება ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს. საპირისპირო, პოზიტიური გამოცდილება საქართველოში, უბრალოდ, არ არსებობს. ეს განწყობა დღესაც ძალაშია და, პარადოქსულად, ღარიბაშვილის გუნდის პერსპექტივების შეფასებაზეც მოქმედებს; მას ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს იმისთვის, რომ ეს დამოკიდებულება შეცვალოს. ჯერჯერობით კი, საზოგადოების დიდი ნაწილი შსს-ს ახალ ხელმძღვანელს (ღარიბაშვილი იქნება, თუ ნებისმიერი სხვა) უყურებს, როგორც პოტენციურ ჟოზეფ ფუშეს ან, სულაც, ნიკოლაი ეჟოვს და ამ გარეოებას ვერსად გავექცევით.

**სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში ოპოზიციურ საზოგადოებაში შსს აღიქმებოდა, როგორც ერთი დიდი გესტაპო და მისი წარმომადგენლების მიმართ შესაბამისი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.** პირველ პლანზე გამოვიდა მარტივი და ყველასათვის გასაგები ლოზუნგი: „სისტემა უნდა დაინგრეს!“.

ღარიბაშვილი აცხადებს, რომ „ყველა პოლიციელის პირველი მეგობარი და მათი უფლებების პირველი დამცველი” გახდება, რომ არ დაუშვებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას და შსს-ს მხოლოდ იმ დამნაშავეებს ჩამოაცილებს, რომელთა ბრალეულობას ახალი, დამოუკიდებელი სასამართლო დაადგენს. სამართლებრივი, პოლიტიკური და, უბრალოდ, ადამიანური თვალსაზრისით, ეს მიდგომა აბსოლუტურად მართებულია, მაგრამ მასზე საუბრისას, ფსიქოლოგიური ფონიც უნდა გავითვალისწინოთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი კუდ-ს და სოდ-ს ეხება. ღარიბაშვილისთვის სამწუხაროდ, გაუგებრობა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა. ჯერ საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს მისი განცხადება: **„სავარაუდოდ, კუდ-ი და სოდ-ი გაუქმდება“,** შემდეგ მას დაეფუძნა ინტერპრეტაციები ამ დეპარტამენტების თანამშრომლების ტოტალური შემცირების შესახებ და ბოლოს მინისტრობის კანდიდატმა „მაესტროს“ ეთერში თქვა: **„არასწორია, თითქოს კუდ-სა და სოდ-ს ვაუქმებთ. სამსახურიდან ადამიანების უსამართლოდ გაშვება არავითარ შემთხვევაში არ იგეგმება. რეორგანიზაციაში ამ სისტემების შესაძლო შერწყმა, სხვა ფორმის მიცემა და სისტემის გაჯანსაღება იგულისხმება. საუბარია ოპტიმიზაციაზე, თუმცა არა თანამშრომლების ხარჯზე”.** ამ განცხადებამ (სოციალური ქსელების თუ კერძო საუბრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგან სააკაშვილის მოწინააღმდეგეების საკმაოდ მოცულობითი ნაწილისთვის ხსენებული თანამშრომლები რეჟიმის ყოველდღიურ დანაშაულებრივ პრაქტიკასთან ასოცირდებიან. აშკარა გახდა, რომ მათ არ დააკმაყოფილებს მხოლოდ სტრუქტურული რეფორმა თუ ავეჯის გადაადგილება და კონკრეტული პირების დასჯას მო- ►

**ჩვენ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებით ენდობა ირაკლი ღარიბაშვილს და რომ მას ძალიან რთულ მონაკვეთზე მუშაობა, სისტემის ავგიას თავლის გაწმენდა მოუწევს**

## საქართველოში არავის არასოდეს არ უნდა გაუჩნდეს ცდუნება, რომ დანაშაულებრივი რეპრესიული მანქანის ნაწილი გახდეს, თითოეულმა პოლიციელმა უნდა იცოდეს, რომ ამისთვის აუცილებლად დაისჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა.

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ითხოვენ. მათ ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტიკური, სავსებით პრაგმატული მოტივები, რომლებიც ღარიბაშვილის ამ განცხადების უკან, სავარაუდოდ, იდგა.

### მალე მაკიაველის თარგმნას დაიწყებს

ტოტალური მოსმენები, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა ოპოზიციონერებსა და მათ ოჯახებზე, ამომრჩევლების დაშინება, დაპატიმრებები სრულიად გაუგებარი მიზეზებით, ცემა, წამება, პროვოკაცია და ათასი სხვა საზიზღრობა არ წარმოადგენდა ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთაც შსს-ში მომუშავე პირების ვიწრო ჯგუფი სჩადიოდა, ეს იყო ყოველდღიური პრაქტიკა, რომელშიც (როგორც მინიმუმი) ასეულობით ადამიანი იყო ჩართული; საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია „საფუძვლიანი ეჭვი“, რომ არ არსებობს კუდ-ის ან სოდ-ის თანამშრომელი, რომელიც ამაში ამა თუ იმ ფორმით არ მონაწილეობდა.

გასაგებია, რომ ახალი მინისტრი ცდილობს, არ დააშინოს შსს-ს (კონკრეტულად კი კუდ-ის და სოდ-ის) თანამშრომლები და კუთხეში არ მიამწყვდიოს, რადგან ამით უბიძგებს მათ, აქტიურად დაუჭირონ მხარი სააკაშვილის ჯგუფს, რომელიც, აგონიაში ყოფნის მიუხედავად, ფორმალური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ცოცხალია (აქ იგულისხმება მხარდაჭერა არალეგიტიმური მეთოდების გამოყენებით, თორემ პოლიტიკურ მხარდაჭერას ვერავინ აუკრძალავს). მათი „ჰაერში გამოკიდება“ კი, ერთი შეხედვით, უფრო პრაგმატული (და ამავე დროს ერთობ ცინიკური) ჩანს, ასეთ მდგომარეობაში ერთმანეთს და ყოფილ შეფებს აქტიურად „დაძირავენ“ და ახალ ხელმძღვანელობას ვაგონობით კომპრომატს მიუტანენ. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ „პოლიციელების პირველი მეგობრის“ კუდთან და სოდ-თან დაკავშირებულმა სენტიმენტებმა შეიძლება საზოგადოების (ისედაც ფარდობითი) მხარდაჭერა დააკარგვინონ.



**მალე, ძალიან დიდი ალბათობით, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება სახელისუფლო ბერკეტების დანაშაულებრივი გამოყენების იმდენი ფაქტი, რომ საქმე შეიძლება ამა თუ იმ ორგანიზაციის ან აღმასრულებელი სტრუქტურის დანაშაულებრივად გამოცხადებაზე მიდგეს («ნაცმოძრაობა» იქნება, კუდ-ი, სოდ-ი თუ სხვა).**

თუ სიტუაციას სისტემის შიგნიდან შევიხედავთ, დაახლოებით შემდეგ სურათს ვიხილავთ: გარეთ აბობოქრებული სტიქიაა, უამრავი ადამიანი სამართლიანობას, ზოგი კი, შურისძიებას მოითხოვს და ელოდება, როდის დაიწყება სააკაშვილის გესტაპოელების დაპატიმრება. ამ დროს მოდის ახალი მინისტრი, რომელიც აცხადებს, რომ ტოტალურ წმენდას და ათასობით ადამიანის ქუჩაში გაყრას არ აპირებს; მას შეუძლია დაიცვას კონკრეტული თანამშრომელი, პრობლემები აარიდოს და, იდეაში, საზოგადოების რისხვა სხვა მიმართულებით გადაამისამართოს. ბუნებრივია, რომ კარგი ურთიერთობა ახალ ხელმძღვანელობასთან ასეთ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება, ხოლო კავშირი სააკაშვილის ჯგუფთან და მისი თუნდაც მცირე, არაფორმალური თხოვნების გათვალისწინება ძალიან სარისკო ავანტურად გადაიქცევა. **ღარიბაშვილის „ლმობიერების“ უკან სავარაუდოდ, იმალება ყველაზე მართებული ტაქტიკა, რომელიც შსს-ში სააკაშვილისა და მერაბიშვილის გავლენის სწრაფ განულებას უზრუნველყოფს, თუმცა მთავარ პრობლემას ის არ წყვეტს. საქართველოში არავის არასოდეს არ უნდა გაუჩნდეს ცდუნება, რომ დანაშაულებრივი რეპრესიული მანქანის ნაწილი გახდეს, თითოეულმა პოლიციელმა უნდა იცოდეს, რომ ამისთვის აუცილებლად დაისჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა.**

ამ პრობლემის გადაწყვეტა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. თავი დავანებოთ იმას, რომ თავის მოქმედებაში ახალი მინისტრი და ხელისუფლება იძულებული იქნება, პოლიტიკური სიტუაცია და მთელი რიგი ტაქტიკური ფაქტორი გაითვალისწინონ, ეს ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. **მთავარია, რომ მალე, ძალიან დიდი ალბათობით, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება სახელისუფლო ბერკეტების დანაშაულებრივი გამოყენების იმდენი ფაქტი, რომ საქმე შეიძლება ამა თუ იმ ორგანიზაციის ან აღმასრულებელი სტრუქტურის დანაშაულებრივად გამოცხადებაზე მიდგეს** („ნაცმოძრაობა“ იქნება, კუდ-ი, სოდ-ი თუ სხვა). ეს კი გარკვეულ წინააღმდეგობაში შევა თითოეულ დანაშაულზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპთან, რომელზეც ევროპული სამართალი დგას. მარტივად რომ ვთქვათ, დილით ადამიანი დგებოდა და მიდიოდა სამსახურში, სადაც ხელმძღვანელის დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდა: დილით უკანონო მოსმენას აწარმოებდა, დღისით ოპოზიციონერებს სცემდა, საღამოს ზეწოლას ახდენდა გარდაცვლილი პატიმრის ოჯახზე და ეს ყოველდღე მეორდებოდა. ეს, ცხადია, გამარტივებული, უტრირებული სქემაა, თუმცა, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ ყოველივე ამაში სააკაშვილის შსს-ში ასეულობით ადამიანი იყო ჩართული; **რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში: გამოვიძიოთ თითოეული ფაქტი, რომელთა რაოდენობა მართლაც რომ ასტრონომიულია, თუ, დასაწყისისთვის, სამართლებრივი შეფასება მთლიანობაში ორგანიზაციას და მის საქმიანობას მივცეთ? რა ფორმით უნდა გაკეთდეს ეს (თუ უნდა გაკეთდეს)?**

### თბილისი-ნიურნბერგი-თბილისი

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, საერთაშორისო ტრიბუნალს ნიურნბერგში არც ერთი ორგანიზაცია, თუნდაც ყველაზე ოდიოზური „სს“-ი და გესტაპო, დანაშაულებრივად არ გამოუცხადებია; განაჩენი მხოლოდ „პირთა ჯგუფებს“ შეეხო. ციტატა: „ტრიბუნალი, წესდების თანახმად, აღიარებს დანაშაულებრივად ჯგუფს, რომელიც შედგება გესტაპოს და „სდ“-ს იმ წევრებისგან, რომლებიც იკავებდნენ წინარე პარაგრაფში ჩამოთვლილ თანამდებობებს, გაწევრიანდნენ ორგანიზაციის რიგებში ან რჩებოდნენ მასში, მაშინ, როდესაც იცოდნენ, რომ ის გამოიყენება იმ ქმედების ჩადენისთვის, რომელიც გამოცხადებულია დანაშაულებრივად წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად, ან, როგორც ორგანიზაციის წევრები, პირადად მონაწილეობდნენ მსგავსი დანაშაულის ჩადენაში“. ყურადღება მივაქციოთ ფორმულირებას „იცოდნენ... ან პირადად მონაწილეობდნენ“. ამასთანავე, ტრიბუნალმა მკაფიოდ განსაზღვრა, თუ ვის არ ეხება განაჩენი (ამონარიდი „სს“-თან დაკავშირებული მონაკვეთიდან): „იმ პირების გამოკლებით, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ ამ ორგანიზაციაში სახელმწიფო ორგანოების მიერ, თანაც ისე, რომ არჩევანის უფლება არ ჰქონდათ, აგრეთვე, იმ პირების გამოკლებით, რომელთაც მსგავსი დანაშაული ჩადენილი არ აქვთ“. საბოლოოდ, მიღებულ იქნა სიტუაცია, როდესაც ორგანიზაციის ფორმალური წევრობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო საფუძველი ამა თუ იმ პირის გასამართლებისთვის და დამნაშავედ ცნობისთვის, თუმცა საფუძველს მისი საქმიანობის გამოძიებისთვის ის ნამდვილად ქმნიდა.

დღეს აპელირება ნიურნბერგის გამოცდილების მიმართ შეიძლება უდროოდ (ან ნაადრევად) მოგვეჩვენოს, თუმცა, რაც უფრო მეტი ფაქტი გახდება ცნობილი და გამოიკვეთება იმ დანაშაულებრივი პრაქტიკის მასშტაბი (და ამაზრზენი ყოველდღიურობა), რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი, სავარაუდოდ, მიმართავდა, საუბარი „დამნაშაულებრივ ორგანიზაციებზე“ თუ არა, „ჯგუფებზე“ მაინც გაცილებით აქტუალური გახდება. ამ ვითარებაში ირაკლი ღარიბაშვილს საკმაო სიფრთხილის გამოვლენა მოუწევს, რათა აირიდოს „მინისტრი გესტაპოელებს ხელს აფარებს“ ტიპის ბრალდებები, რომელთაც მისი არაკეთილმოსურნეები მის წინააღმდეგ აუცილებლად გამოიყენებენ, თუ ამისთვის თუნდაც იოტისოდენა საბაბს მისცემს.

ერთის შეხედვით, ღარიბაშვილისთვის მომგებიანია, „გარდაქმნის პროჟექტორის“ ფუნქცია შეითავსოს და თავად გამოაქვეყნოს შსს-ს საქმიანობასთან დაკავშირებული მამხილებელი მასალები მანამ, სანამ საპარლამენტო ან არასამთავრობო კომისიები მიადგებიან, თუმცა, ამასთანავე, აშკარაა, რომ ეს ფრთხილად, ეტაპობრივად უნდა გააკეთოს, რათა სისტემის ტოტალური დესტაბილიზაცია და პოლიციის მიმართ ნდობის სრული ანიჰილაცია არ გამოიწვიოს, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემებს შეუქმნის. ასე იქნება თუ ისე, ფაქტია, **ღარიბაშვილს მუშაობა გაცილებით რთულ პირობებში მოუწევს, ვიდრე ნებისმიერ სხვა მინისტრს.**



**საკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში ოპოზიციურ საზოგადოებაში შსს აღიქმებოდა, როგორც ერთი დიდი გესტაპო და მისი წარმომადგენლების მიმართ შესაბამისი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა**

**დიმიტრი მონიავა**

## იცით თუ არა, რომ...

● XX საუკუნის 30-იან წლებში, „დიდი დეპრესიის“ პერიოდში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შიმშილისგან დაიხოცა 5 მილიონი ადამიანი.

● მსოფლიოს ისტორიაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა პირველად განახორციელა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნიკარაგუაში, XX საუკუნის 20-იან წლებში. შემდგომ კი მათმა პროტეჟემ დიქტატორმა სამოსამ თავისი მმართველობის წლებში სამასი ათასი თანამემამულე დახოცა, ანუ ყოველი მეათე ნიკარაგუელი.

● ერაყში ამერიკული აგრესიის წლებში დაიღუპა 4,5 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და 1,5 მილიონამდე მშვიდობიანი მცხოვრები. ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ სამხედრო ხარჯებმა შეადგინა 750 მილიარდი დოლარი.

● სადამ ჰუსეინის დროს ერაყში ცხოვრობდა 1,8 მილიონი ქრისტიანი, დღესდღეობით დარჩენილია მხოლოდ 500 ათასი, დანარჩენები მოკლულ იქნა ან ემიგრაციაში წავიდა.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან არის აშშ-ის პრეზიდენტის, გრანტის, მუმიის მავზოლეუმი.

● მსოფლიოში ყოველდღიურად 35 ათასი ბავშვი იღუპება შიმშილით.

● 1818 წელს მთელ საქართველოში იყო დაახლოებით 700 ეკლესია, ხოლო 1900 წელს მათი რაოდენობა 1515-მდე გაიზარდა, ფუნქციონირებდა თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიები, 6 ვაჟთა და 2 ქალთა სასულიერო სასწავლებელი.

● ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს 136 ქვეყანაში აქვს თავისი სამხედრო ბაზები.

● 1961-75 წლებში ვიეტნამში დაიღუპა 58 ათასი ამერიკელი. ჯარები შეიყვანა აშშ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ.

ომი დაიწყო ასე: ხომალდის მეთაურმა განაცხადა, რომ ვიეტნამელები მათ ხომალდზე თავდასხმას აპირებდნენ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესს განუცხადა, რომ უკვე დაესხნენ თავს. დაიწყო ომი.

სენატორი გოლდუოტერი: „ეს იყო აშკარა ტყუილი. ჯონსონმა მოატყუა სენატი“. ომში დაიღუპა 3 მილიონი ვიეტნამელი. მშვიდობიანი მოსახლეობის განზრახ განადგურებისთვის ამერიკის სასამართლოს მიერ პასუხისგებაში მიეცა მხოლოდ ლეიტენანტი კელი, რომელმაც სონგმის მთელი მოსახლეობა ამოწყვიტა, მაგრამ 4 წლის შემდეგ გაათავისუფლეს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„577 ადგილზე 1200 ავადმყოფი პატიმარი იყო მოთავსებული. საკანში რომ შეგეხედათ, დაინახავდით გაბუღულ ოთახს, ერთმანეთზე მიწოლილ დაჩაჩანაკებულ, დაშინებულ პატიმრებს, ანტისანიტარიის კერას. ამას ზედამხედველების მხრიდან მუდმივი ტერორი და მუქარა ემატებოდა.“**



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# გარდაცვლილ პატიმრებს შიგნეულობა ამოცლილი ჰქონდათ, შესაძლებელია, ციხეებში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ

**გიორგი ტუღუშმა სასჯელაღსრულების ერთკვირიანი მინისტრობის წინადადება უყოყმანოდ მიიღო და ამგვარად, სახალხო დამცველის თანამდებობა „გაავაკანტურა“. პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოჩანაწერების გავრცელებამ არა მარტო არჩევნების შედეგებზე იმოქმედა, არამედ ის საშინელი სურათიც გაამჟღავნა, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო“ მუდმივად წერდა. გადაუჭარბებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებზე საქართველოს პარლამენტში მხოლოდ დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ლაპარაკობდა. იგი შეურიგებელი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების მიმართ, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის რეაქცია მის მიერ დასმულ საკითხებზე ისეთივე არაადეკვატური იყო, როგორც სხვა ნებისმიერ შემთხვევაში. პატიმართა ოჯახის წევრებმა უკვე 2 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვეს. ისინი სახალხო დამცველად დიმიტრი ლორთქიფანიძის დამტკიცებას მოითხოვენ. საუბარი სწორედ იმით დავიწყეთ, თუ რამდენად ინფორმირებული იყო იგი პატიმრების წამების შესახებ.**



— ციხეში არაადამიანურ მოპყრობაზე და, რაც ყველაზე შემზარავია, წამებაზე ინფორმაციები ყოველთვის არსებობდა. უბრალოდ, მტკიცებულების წარმოდგენამდე არ მიდიოდა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს, როგორც იქნა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში შეიქმნა პენიტენციალური სისტემის მონიტორინგის ჯგუფი, პარლამენტის ხელმძღვანელობამ ეს მხოლოდ გარეგნული ანტურაჟისთვის გააკეთა და არა იმიტომ, რომ ციხეებიდან რეალური ინფორმაცია გამოსულიყო. ოპოზიციიდან ვიყავი მე, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკა ხერხეულიძე წარმოადგენდა. კონკრეტული ფაქტები გამომქონდა მაშინ ციხიდან. კარგად მახსოვს 2009 წლის 9 იანვარი, როდესაც მოულოდნელად დავადექი თავზე ქსნის ზონას. ხელმძღვანელი პირი იყო ვინმე არაქელოვი, წარვუდგინე მას საშვი და არ შემიშვეს. საშვის გაცემა ბაქრაძის კომპეტენციაში შედიოდა და მისი ნება იყო, მომცემდნენ თუ არა ერთჯერად საშვს. საშვის მოთხოვნა კი კონკრეტული საჩივრის ნიადაგზე შეგეძლო, ისე, უბრალოდ, მას არავინ მოგცემდა.

**— მაგალითად, შეხვედით, მოისმინეთ საჩივარი და პატიმარმა არასათანადო მოქცევის კონკრეტული ფაქტები დაგისახელათ. მერე რა ბედი ეწეოდა იმ პატიმარს?**

# «142 გარდაცვლილი პატიმრიდან ყოველ მესამეს აღენიშნებოდა ფიზიკური ზემოქმედების, წამების კვალი»

— მაგალითად, **2009 წლის იანვარში რომ შევედი, კარცერებში შემზარავი სურათი ვიხილე. ინფორმაციაც გამოვიტანე, საინფორმაციო სააგენტოებითაც გავიდა. ვნახე იქ პატიმრები, რომლებიც შვიდ გრადუს ყინვაში ჰყავდათ შეყრილი გადასაფარებლების გარეშე და პინგვინების პრინციპით თბებოდნენ. ვინც არ იცის, ეს რას ნიშნავს, ავუხსნი, რომ ამ დროს წრეში დგებიან, ვინც გათბება გარეთ გადაინაცვლებს და დანარჩენები შედიან წრეში.** დაახლოებით 20-25 ადამიანი იყო, მათ შორის, ერთი — ეპილეფსიით დაავადებული პატიმარი, რომელიც ყოველ ორ საათში ეცემოდა და გულყრა ემართებოდა. მას თავი ჰქონდა გადახსნილი, სისხლი მოსჩქეფდა. პატიმრებმა შემომჩივლეს მაშინ. ზოგიერთი 30 დღეზე მეტხანს იჯდა იქ, რაც მოქმედი კანონის უხეში დარღვევაა. მათ შორის იყო ერთი, გვარად იოსელიანი, რომელსაც სისტემატურად ამყოფებდნენ კარცერში. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ყოფნა გაიგივებულია წამებასთან. ჩემი მონიტორინგი მაშინ იყო ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია სხვა უფლებადამცველთათვისაც იყო ცნობილი და მეც ძალიან ბევრჯერ მისაუბრია კონკრეტულ ფაქტებზე, შემდეგ თვითონ ამ პატიმართა მიმართ ეს სავალალოდ შემობრუნებულა. **როდესაც ჩემმა მუშაობამ სისტემატური ხასიათი მიიღო და უკვე კონკრეტული სახელები და გვარები გამომქონდა, ვინც პატიმრებს აწამებდა, კონკრეტულად აღვწერდი, რას უშვრებოდნენ პატიმრებს, პარლამენტმა მიღო გადაწყვეტილება, აღეკვეთათ ჩემთვის შესვლის უფლება.** ამის ფორმალურ მიზეზად ის მოიტანეს, რომ თითქოს უნდა მომხდარიყო ცვლილება როტაციის წესით.

**— სად წერია ეს?**

— არსად, რა თქმა უნდა. ეს იყო დავით ბაქრაძის ერთპიროვნული გადაწყვეტილება. ის გაამხოვანებინეს ბატონ გია არსენიშვილს, რომელმაც მითხრა: — ბატონო დიმიტრი, თქვენ ჩამოცილებული ხართ თქვენს მისიას, რათა სხვა კოლეგებსაც მიეცეთ საპატიმროებში შესვლის საშუალება. ორკაციანი კომისიიდან გამიწვიეს და ორივე შემოიყვანეს „ნაციონალური მოძრაობიდან“ — ბატონი ემზარ გელაშვილი, ქარელის მაჟორიტარი და ახალქალაქის მაჟორიტარი ჰარუთინ ჰოვანესიანი, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. ჩვენ საკითხიც დავსვით ამაზე და გვაინტერესებდა, როგორ ურთიერთობდა ის იმ პატიმრებთან, რომლებმაც არც რუსული და არც სომხური ენა არ იცოდნენ. როცა ამა თუ კონკრეტული პატიმრის თხოვნით შევდიოდი, ვცდილობდი, მისი კონფიდენციალურობა დაცული ყოფილიყო. ვიცოდი, საკნებში აუცილებლად იქნებოდა ვიდეომოწყობილობა დამონტაჟებული, ამიტომ ვცდილობდი, მათგან ჩურჩულით მიმეღო საჭირო ინფორმაცია.

**— ყველაზე მძიმე ფაქტი რა გახსენდებათ?**

— არ დამავიწყდება ზუგდიდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნანახით მიღებული განცდა. დავინტერესდი ამ შენობის წარმომავლობითაც. აღმოჩნდა, რომ შენობა მეცხრამეტე საუკუნეში მეფის რუსეთის დროს აშენებული საჯინიბო იყო. როგორ წარმოგიდგენიათ საჯინიბოს ადგილას გაკეთებული ციხის საკნები, რომელთა ფართობი ორ კვადრატულ მეტრს არ აღემატებოდა და იქ ორი ადამიანი იხდიდა სასჯელს? **ხონის დაწესებულებაში ვნახე 200 ადამიანი ერთ ყაზარმაში, სრულ ანტისანიტარიაში შეყრილი, ფეკალური მასები საძინებელ გარემოსთან ახლოს იყო. უამრავი ადამიანი იტანჯებოდა უკურნებელი სენით. ეს იყო ენით აუწერელი გარემო,** რომელიც ხონში ვნახე. **განსაკუთრებით შემზარავი მაინც ქსნის ტუბდაწესებულება იყო.** ქსნის დაწესებულება სამ ნაწილად იყოფა — მინუსებად, პლიუსებად, რომელსაც პატიმრებმა „ინდია“ შეარქვეს და ცალკე დაწესებულება კარცერებით, სადაც განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფებია განთავსებული. იქ გამკაცრებულია შესვლაც, რადგან უკურნებელი სენით დაავადებულები არიან. პატიმრებს იმ კარცერებში სავალდებულო წესით ათავსებდნენ, სადაც არც ძილის საშუალება არ ჰქონდათ, არც ტუალეტის. იქ რამდენიმე დღის განმავლობაში ეტაპირებულ, შორი გზიდან მოყვანილ ავადმყოფს ამყოფებდნენ. იქ არაერთი პატიმარი გარდაცვლილა, იგივე **კოხტაშვილი.** მოთავსებიდან მესამე დღეს დაუმძიმდა მდგომარეობა და გარდაიცვალა. პასუხისმგებელი დღემდე არავინაა. თუმცა ესაა ზღვაში წვეთი იმ ფაქტებიდან, რომლებიც იქ ხდებოდა.

**ყველაზე შემზარავი, რაც იქ ვნახე, ის იყო, რომ 7-8 კაციან პალატაში ტენიდნენ 15-მდე პატიმარს, უმძიმეს ავადმყოფებს, ტემპერატურის ქვეშ მყოფებს და საღამოს 8-დან დილის 9 საათამდე ამ მდგომარეობაში ჰყავდათ.** შემდგომში, როგორც გავიგე, დაწესებულების ხელმძღვანელობამ სასტიკი საყვედური მიიღო ჩემი შეშვების გამო. იმის გამო კი არა, რომ ასე ექცეოდნენ ავადმყოფ პატიმრებს, არამედ იმის გამო, რომ მე ეს სიტუაცია ვნახე. იქ ძალიან ბევრი პატიმარი ვნახე, რომლებმაც იცოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც იქ არსებულ სიტუაციაზე მომიყვებოდნენ, აუცილებლად დასჯიდნენ, თუმცა თავს მოვალედ გრძნობდნენ, რომ მაინც ესაუბრათ. შემდგომში, სხვათა შორის, **საკუთარი განცხადებით განთავისუფლდა ტუბდაწესებულების მთავარი ექიმი. იგი პარლამენტში მოვიდა ჩემთან და მომიყვა იმ შემზარავი პრაქტიკის შესახებ, რომელსაც ახორციელებდნენ ბაჩო ახალაიას ხელისბიჭები.**

სხვათა შორის, ბაჩო ახალაიას ყველა მეგობარი იყო წარმოდგენილი სასჯელაღსრულების დირექციის ამპლუაში. ერთ-ერთი მეგობრის სახელიც კი მახსოვს, რომელიც იმ დაწესებულებაში მუშაობდა. მას ჰქონდა **ფსევდონიმი „ნინძა“** და იგი პირადად უსწორდებოდა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს. ეს დაწესებულება იმითაც იყო საზარელი, რომ საპირფარეშომდე მისასვლელი გზა ფეკალური მასებით იყო დაფარული, რომელშიც აგურები იყო ჩადებული და მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ პატიმრებს საპირფარეშომდე მისვლა. მაშინ მახსოვს ამ „ინდიაში“ 250-მდე პატიმარი იყო. ამ გადატვირთულობის, სიბინძურისა და ანტისანიტარიის გამო შეარქვეს პატიმრებმა ამ ადგილს „ინდია“. **577 ადგილზე 1200 ავადმყოფი პატიმარი იყო მოთავსებული. საკანში რომ შეგეხედათ, დაინახავდით გაბუღულ ოთახს, ერთმანეთზე მიწოლილ დაჩაჩანაკებულ, დაშინებულ პატიმრებს, ანტისანიტარიის კერას. ამას ზედამხედველების მხრიდან მუდმივი ტერორი და მუქარა ემატებოდა.**

**— ამ ყველაფერს პარლამენტში რომ ყვებო-** ▶

# «სააკაშვილის რეჟიმს ადამიანობის წინააღმდეგ აქვს ჩადენილი დანაშაულები»

**„23 წლის საღსალამათ, ჯანმრთელ ადამიანს ტრანკვილიზატორებს აძლევდნენ გამუდმებით და ერთი თვის განავლობაში, ფაქტობრივად, ექინა. ბოლოს დედამ რომ მოინახულა, ვერ იცნო თავისი შვილი. ჰკითხა მისი ასეთი მოთენთილობის მიზეზი, რაზეც მან უპასუხა, რომ ყოველდღე აძლევდნენ საძილე საშუალებებს. ერთი თვის თავზე ის აღესრულა ისე, რომ ხათუნა კალმახელიძეს პასუხისმგებლობა არ აუღია ამ საკითხზე.“**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀დით, მმართველი გუნდის დეპუტატებს რა რეაქცია ჰქონდათ?**

— მმართველი პარტია და სასჯელაღსრულების მინისტრები, როგორც კალმახელიძე, ასევე შაშკინი, ახალაია აქცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ მართალია, პარლამენტის ტრიბუნიდან მძიმე ბრალდება გაჟღერდა დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ, მაგრამ ქვეყანას ჰყავს სახალხო დამცველი, უნდა დაველოდოთ თურმე სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებას და, რომ ის იქნება მხოლოდ ობიექტური, ხოლო არსებული ობიექტური მასალებიდან გამომდინარე, ხელისუფლება აკეთებდა და გააგრძელებს, რასაც აკეთებდა და მიიყვანს ამ დაწყებულ რეფორმას ბოლომდე; რომ უმჯობესია, ლორთქიფანიძემ თვალი კარგად გაახილოს და დაინახოს ის, რაც კეთდება. ამაზე ლორთქიფანიძე არ აკეთებს განცხადებებს და, შესაბამისად, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც არის სუბიექტური და სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი დარტყმები კეთდებოდა ჩემ წინააღმდეგ.

**— მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძემ კრიმინალების დამცველიც გიწოდათ.**

— არა მხოლოდ კრიმინალების დამცველი. **ბაქრაძემ ჩემ მიმართ ბინძურ ცილისწამებას მიმართა.** გახსოვთ, როდესაც მე მას „ფეისბუქელი“ მეგობრების ბიუჯეტის ხარჯზე დაპატიჟება გავუკრიტიკე, მან თქვა, რომ ეს კარგი პრაქტიკის დანერგვა იყო, თუმცა ცუდია, როდესაც დეპუტატი ჰპირდება პატიმრის მშობელს რაღაც საფასურის სანაცვლოდ მომსახურეობის გაწევას. მე მოვთხოვე მას, დაესახელებინა, ვის გულისხმობდა, თუმცა მან ამისგან თავი შეიკავა. ამის შემდეგ იძლებული გავხდი, საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მიმემართა სასამართლოსთვის, თუმცა სასამართლომ დავის საგნის არარსებობის გამო, საქმე უკან გადმომიგდო. ამის შემდეგ რაც მოხდა, ამას ექსკლუზიურად გეტყვით. ხვალ აუცილებლად გახდება ეს მსჯელობის საგანი, რადგან, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ბაქრაძის ამ განცხადების შემდეგ პროკურატურა შეეცადა, სისხლის სამართლის საქმის ფაბრიკაცია მოეხდინა. **საქმე ალუძრეს ორ ქალბატონს, რომელთა სახელებსაც ჯერ არ დავასახელებ მათი ინტერესებიდან გამომდინარე და ერთ-ერთი ქალბატონისგან პირდაპირ მოითხოვდნენ, თუ უნდოდა, თავისუფლება შეენარჩუნებინა, დაედო ხელი ჩემთვის, მაგრამ ის აცხადებდა, რომ საერთოდ არ მიცნობდა. ადვოკატია ის ქალბატონი.** მისი ოჯახის წევრი გამეცნო შემდეგ და მომიტანა სისხლის სამართლის მასალები. მაშინ მივმართე ძალიან ცნობილ იურისტს — ნინო ნიშნიანიძეს. ჩვენ ერთობლივი ბრიფინგი გავმართეთ. შევედი ბაქრაძესთან და პირდაპირ ვუთხარი: – როგორ არ გცხვენიათ, როდესაც იცით, რომ მსგავსი ფაბრიკაცია მიმდინარეობს პროკურატურაში ჩემ მიმართ? ბაქრაძემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ რაღაც საქმის წარმოება მიდიოდა, თუმცა რას ეხებოდა ის, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. ამის შემდეგ დეპუტატი თამაზ დიასამიძე ჩავისვი მანქანაში და პირდაპირ პროკურატურაში გავაქანე. ვცადე, ძალით შევსულიყავი მურთაზ ზოდელავას კაბინეტში და მეიძულებინა ის, აბსოლუტურად ყველაფერი ეთქვა იმასთან დაკავშირებით, თუ რასთან მქონდა შეხება, თუმცა მურთაზ ზოდელავამ არ ისურვა მაშინ ჩემთან შეხვედრა. დაიმალა და ამის მოწმე გახლავთ ბატონი თამაზ დიასამიძე. **უნდოდათ ცილი დაეწამებინათ ჩემთვის, მაგრამ, რაც არ არსებობდა რეალურად, საქმეს ვერ შეკერავდნენ და ასე დარჩა განუხორციელებელი მათი მიზანი, თუმცა ის ადვოკატი ქალბატონი სასჯელს იხდის დღემდე და მის მდგომარეობაში ძალიან ბევრი პიროვნებაა.** მე ვაპირებ ამ მიმართულებითაც ვიმუშაო მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვა.



**«ერთი პატიმარი გამოიყვანეს და სხვა პატიმრების დასანახად, რომლებიც ამ ყველაფერს ე.წ. ვალჩოკებიდან უყურებდნენ, ისე სცემეს, სისხლის გუბე დააყენეს. შემდეგ გამოიყვანეს მისი 4 თანასაკნელი და აიძულეს, ოთხზე დამდგარიყვნენ და ეს სისხლი ენით აელოკათ»**

**— პატიმრების წამებაზე თუ გქონდათ ინფორმაცია?**

— წამების, არაადამიანური მოპყრობის, ღირსების შემლახავი ფაქტები ჩემთვის კონკრეტულ შემთხვევაში ცნობილი გახდა სახალხო დამცველის იმ ანგარიშებიდან, რომლებშიც მითითებულია გარემოებები, პატიმრების ინიციალები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ეს ყველაფერი. კონკრეტული ფაქტებია აღწერილი, რომლებიც ლეტალურად დასრულდა. **ყველაზე შემზარავი აღმოჩნდა ის მონაცემი, რომლის თანახმადაც ირკვეოდა, რომ 142 გარდაცვლილი პატიმრიდან ყოველ მესამეს აღენიშნებოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი, რაც არ იყო კავშირში სამედიცინო მანიპულაციასთან, ანუ სახეზე იყო წამების კვალი.** პარლამენტში ამაზე განგაშის ზარებიც დავარისხეთ, მაგრამ კარგად გვახსოვს ხათუნა კალმახელიძის უტიფარი პასუხი, რომ გარეთაც იხოცებიან ადამიანები ხანდაზმულობის მიზეზით. მოვთხოვე, გარდაცვლილ **თამაზ დადვანის საქმის** გარემოებასთან დაკავშირებით გაეკეთებინა განცხადება. ეს ის პატიმარი იყო, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა 2011 წლის დეკემბერში. **23 წლის საღსალამათ, ჯანმრთელ ადამიანს ტრანკვილიზატორებს აძლევდნენ გამუდმებით და ერთი თვის განავლობაში, ფაქტობრივად, ექინა. ბოლოს დედამ რომ მოინახულა, ვერ იცნო თავისი შვილი. ჰკითხა მისი ასეთი მოთენთილობის მიზეზი, რაზეც მან უპასუხა, რომ ყოველდღე აძლევდნენ საძილე საშუალებებს. ერთი თვის თავზე ის აღესრულა ისე, რომ ხათუნა კალმახელიძეს პასუხისმგებლობა არ აუღია ამ საკითხზე.**

კარგად მახსოვს **კახაბერ თედლიაშვილის საქმეც**, რომელიც **გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე აფრთხილებდა ყველას, რომ მოკლავდნენ.** ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოვიყენე, რომ ამეტეხა განგაში ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. მისი საქმე დღემდე არაა გამოძიებული. ცნობილია, რომ მის ხელთ აღმოჩნდა 2 მეტრის სიგრძის ბინტი, რითაც მან თავი მოიკლა, თუმცა როგორ აღმოჩნდა ეს ბინტი პატიმრის ხელში კარცერში, არავინ გამოიძია. არც ის, თუ რატომ ამბობდა მსჯავრდებული ერთი კვირით ადრე, რომ მას მოკლავდნენ. დღემდე არ გამოუძიებიათ ეს საქმე. ასეთი კიდევ მრავალი საქმეა.

კარგად მახსოვს ქალბატონ **ლიდა კორძაიას** მიერ მოცემული წერილი, სადაც ბაჩო ახალაიას სწერდა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში მყოფ პატიმარ, ბატონ **ნუგზარ გურჩიანზე** უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა, რომ განზრახული იყო მისი ლიკვიდაცია და რომ მიეღოთ შესაბამისი ზომები. ეს წერილი დათარიღებული იყო 14 თუ 15 მაისით და ივნისში ეს პატიმარი ჩამომხრჩვალი იპოვეს საკუთარ საკანში. ესენი იყო, ფაქტობრივად, შეკვეთილი მკვლელობები, რომლებზეც ხმას ვერავინ იღებდა.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ციხეში გარდაცვლილი პატიმრების ორგანოებით ვაჭრობდნენ, რადგან როცა ახლობლებს მათ ცხედრებს ატანდნენ, ორგანოები ამოცლილი ჰქონდათ.**

— სხვათაშორის, ამ ინფორმაციას არსებობის უფლება აქვს. **უამრავი შემთხვევა ვიცი, რომ ციხეში გარდაცვლილ პატიმრებს შიგნეულობა ამოცლილი ჰქონდათ. ამდენად, შესაძლებელია, ციხეებში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდნენ.**

თქვენ წამების ფაქტებზე მკითხეთ და არ შემიძლია არ გავიხსენო პატიმარ **ბადრი დავრაშოვის საქმე.** მის სახელსა და გვარს მისი თანხმობით ვასახელებ. იგი სასჯელს იხდიდა ბოლო ორი თვის განმავლობაში ე. წ. რეზბალნიცაზე. **ეს ადამიანი არის თვითმხილველი იმ გახმაურებული წამებების, რომელიც პატიმრების გარდაცვალებით დასრულდა. საუბარი ეხება დუმბაძის, ბარათაშვილის, გიორგი ოქროპირიძის გახმაურებული წამების საქმეებს.** ბატონი დავრაშოვი ამჟამადაც მკურნალობის კურსს გადის, რადგან სუიციდის მცდელობა ჰქონდა. მან ცენტრალური არტერია გადაიჭრა მარცხენა და მარჯვენა ხელზე. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ იძულებული გავხდი, 30 სექტემბერს გადავმხტარიყავი ღობეზე და პატიმრამდე შემეღწია. ეს იყო არჩევნების წინა დღეს. ჩანაწერიც მაქვს, როგორ ვესაუბრე მას მაშინ. **მან აღმიწერა, რა გარემოებაში გარდაიცვალა დუმბაძე, როგორ აუპატიურებდნენ ბარათაშვილს, როგორ „სკოჩავდნენ“ პატიმრებს, ხდიდნენ წელს ქვევით და აუპატიურებდნენ სხვადასხვა საგნის გამოყენებით და არა მხოლოდ. ამას იღებდნენ ვიდეოზეც და ფოტოთიც. შემდეგ ემუქრებოდნენ, რომ გააქათმებდნენ. მაგალითად, დუმბაძეს აგინებდნენ დედას, რის გამოც მან ვენები გადაიჭრა და ეს ადამიანი ისე დაიცალა სისხლისგან, არავინ დახმარებია. ასევე წამებითაა მოკლული საკარანტინო დაწესებულებაში სერგო თეთრაძე. ყველამ დაინახა, როგორ შეიყვანეს 60 წელს გადაცილებული ყოფილი პოლკოვნიკი იქ და შემდეგ გვამი გამოიტანეს. იქიდან ესმოდათ არაადამიანური ყმუილი, ყვირილი ადამიანისა, რომელიც შველას ითხოვდა.**

**— საკაშვილმა თავიც კი მოიწონა, რომ, როგორც კი აღმოვაჩინეთ წამების ფაქტები, მაშინვე დავაკავეთ დამნაშავეებიო, თან განაცხადა, რომ ასეთი ფაქტები ყველა ქვეყნის საპატიმროებში ხდება.**

— შემთხვევით არ ვახსენე ვიდეო და ფოტოგადაღებები. არ გამიკვირდება, თუკი ერთხელაც ვილაცის პირად არქივში აღმოჩნდება ეს ჩანაწერები. ის, რომ წამების ფაქტები რამდენიმე წელი მიმდინარეობდა, ამას ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული **პოლიტპატიმარი მიშა ამაშუკელიც** ადასტურებს. მან დეტალურად აღწერა ის ფაქტი, რომელსაც ქუთაისის დაწესებულებაში ჰქონდა ადგილი. **ერთი პატიმარი გამოიყვანეს და სხვა პატიმრების დასანახად, რომლებიც ამ ყველაფერს „ვალჩოკებიდან“ უყურებდნენ, ისე სცემეს, სისხლის გუბე დააყენეს. შემდეგ გამოიყვანეს მისი 4 თანასაკნელი და აიძულეს, ოთხზე დამდგარიყვნენ და ეს სისხლი ენით აელოკათ.** გლდანში, მაგალითად, წესად იყო ე.წ. კარმუშკაში შეხედვა და დაძახება — აბა, რამდენიც ხართ, გამოდით და საპირფარეშოში შედითო. **საპირფარეშო კი 2 კვადრატული მეტრია. 7 პატიმარი უნდა შეტენილიყო შიგნით და რამდენიმე საათი ყოფილიყო იქ. თუ კარი გაიღებოდა და რომელიმე გაბედავდა გამოსვლას, ყველა გაყავდათ საშხაპეში და შლანგებით სცემდნენ. ამას ყოველდღიური ხასიათი ჰქონდა.** ყველა პატიმარი, რომელიც გლდანში იჯდა, აღნიშნავს, რომ ღამით ვერ იძინებდნენ, რადგან წამებით გამოწვეული ყვირილისა და ღმუილის ხმა ისმოდა.

**— პატიმრების მშობლებმა უკვე 2 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს სახალხო დამცველის თანამდებობაზე თქვენს წარსადგენად.**

— დღეს როგორც სახალხო დამცველი, ასევე გენერალური პროკურორი, იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობა ისე უნდა შეირჩეს, რომ წინ აღუდგნენ სახელმწიფო მაფიას, რომელიც ამ წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ეს ადვილი არ იქნება. დღეს სახალხო დამცველმა, ერთის მხრივ, უნდა დაიცვას მათი უფლებები, ვის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა, და მეორე მხრივ, უნდა მიადევნოს ყურადღება, რომ აუცილებლად დაისაჯონ ჯალათები. მან ყოველი კვირის ბოლოს უნდა გააკეთოს ანალიზი და არა წელიწადში ერთხელ ასახოს ეს თავის ანგარიშში. უბედურება ისაა, რომ **წამების ფაქტები ეპიზოდური კი არ იყო, არამედ სისტემურ ხასიათს ატარებდა და ამ რეჟიმს ადამიანობის წინააღმდეგ აქვს ჩადენილი დანაშაულები.**

**— როგორი დასაცავია იმ რეჟიმის წარმომადგენლები, რომელთა კისერზეცაა პატიმართა წამება?**

— ამისთვის არსებობს კანონი და ისინი უნდა დაისაჯონ. მეტსაც გეტყვით, სახალხო დამცველი გენერალურ პროკურორთან ერთად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებში და პარლამენტის, ხელისუფლების პარტნიორი უნდა გახდეს. **პირველი, რასაც ბატონი ტუღუშისგან მოვითხოვდით, მას უნდა ეღიარებინა პოლიტიკური ნიშნით დაკავებულები, რასაც ვერ მივაღწიეთ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის წამოყენების ინიციატივა, ჩემთვის მოულოდნელად, ფართო საზოგადოებიდან წამოვიდა და არა რომელიმე კერძო სეგმენტიდან. სხვა საკითხია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ახალი პარლამენტი.**

**«ყველა პატიმარი, რომელიც გლდანში იჯდა, აღნიშნავს, რომ ღამით ვერ იძინებდნენ, რადგან წამებით გამოწვეული ყვირილისა და ღმუილის ხმა ისმოდა»**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მომავალი ერთი წლის განმავლობაში ადამიანებმა თუ ვერ იგრძნეს სიკეთე მატერიალური თვალსაზრისით, თუ კვლავ აღფრთოვანებული დარჩებიან ხელისუფლებითა და მისი ფანტაზიორობით, ეიფორია მალე გაივლის და კვლავ დანგრეული სახელმწიფოს წინაშე აღმოვჩნდებით, ისევე, როგორც წინა სამი ხელისუფლების დროს“.

დემურ გიორხელიძე:

# ახალ მთავრობას 2013 წელი დალხენილი რომ არ ექნება, უეჭველია. ბიუჯეტი არ გადაივსება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი ეკონომიკა კატასტროფის პირასაა მისული

**დემურ გიორხელიძე, ყოფილი პროფესიონალი სპორტსმენებისთვის დამახასიათებელი ნაბიჯებით შემოვიდა ჟურნალისტთა ყოფილ სახლში, სადაც, უკვე წელიწადია, „ქართული ოცნების“ ექსპერტთა თემატური ჯგუფების წევრები მუშაობენ: უმაღლესი კლასის ანალიტიკოსები, რომელთა ყოფილებად წარმოჩენისთვის საკუთარი ტყავიდან ძვრებოდნენ ახლა უკვე ყოფილი ხელისუფლების უმწიფარიძეები თავიანთი ნარცისი ბელადის თაოსნობით.**
**ყოფილობის ამ „მაჯამით“ იმიტომ გაგაცდინეთ, რომ უკეთ იგრძნოთ სიახლეთა ის აქცენტები, თუნდაც ეკონომიკის დარგში, რომელთაც მოუთმენლად ელოდება სრულიად საქართველო, მაშასადამე, — ჩვენ ყველანი.**
**დემურ გიორხელიძე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ იმ თემატური ჯგუფის ხელმძღვანელია, რომელსაც ჰქვია „ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა“.**



## «მომავალი ხელისუფლება ფუნდამენტური პრობლემების წინაშე დგას და მიკვირს, ასეთ ვითარებაში თანამდებობებისთვის რატომ იბრძვიან?!»

**— ბატონო დემურ, არ უნდა იყოს, მგონი, ეს მოლოდინი სულსწრაფობა... ეგებ, მითხრათ, რატომ გაჭიანურდა ახალ მთავრობაში ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელების პერსონალური დასახელება?**

— ვერ გეტყვით, რადგან ამ პროცესთან არანაირი შეხება არ მაქვს.

**ისე, გითხრათ სიმართლე, ამ ბლოკის კანდიდატურები წინასწარვე განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ჩემი თვალთახედვით, მონახაზის გაკეთება, დაახლოებითის მაინც, ძალიან იოლია, რადგან ჩვენს კრიზისულ სიტუაციაში შეზღუდულია პერსონალიების რესურსი. საუბარია სულ რამდენიმე კაცზე, რომელთაც მძლავრი პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ. ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია.**

მოდით, იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების წევრები, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ეთათბირებიან კოალიციის პოლიტიკურ ლიდერს, რაღაც ფინანსურ ნაკადებსა და პროცესებზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ.

საქართველოს ეკონომიკა დღეს ისეთ უმძიმეს მდგომარეობაშია, რომ აქედან მისი გამოყვანა მარტივი გადაწყვეტილებებით შეუძლებელია.

დავაზუსტებ: კრიზიკული ვითარებიდან, ვთქვათ, სოფლის მეურნეობას სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ვერ გამოიყვანს, ეკონომიკას ეკონომისტი ვერ უშველის.

**— ბატონო დემურ, დამაბნიეთ, აბა, ვისზე უნდა „ვილოცოთ“?**

— გეტყვით: ეკონომისტები ცალკეული მიმართულებებით შეიძლება წარმატებით მუშაობდნენ, მაგრამ ახლა ე. წ. **სისტემშჩიკების დრო დადგა, სისტემურად მოაზროვნე ადამიანებმა უნდა იტვირთონ ეს ურთულესი და უმძიმესი საქმე,** მათ შეუძლიათ გუნდთან ერთად ითამაშონ.

**— როგორც ვიცი, თქვენ შედგენილი გაქვთ პროგრამა, რომლის პრეზენტაციას რატომღაც არ ესწრებოდით...**

— ჩვენს თემატურ ჯგუფში, რომელსაც ჰქვია „ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა“ შემუშავდა ეს პროგრამა. ჩარჩო, კონსტრუქცია, შეიძლება, ჩემეული იყო, შემსრულებლები კი — კომპეტენტური სპეციალისტები, ცალკეული მიმართულებების მიხედვით. ჩვენ გავაკეთეთ „შეკრული კონცეფცია“ მაკროეკონომიკის, მცირე და საშუალო ბიზნესის, დემოგრაფიის, ცალკეული დარგების განვითარებისა და ა. შ.

**სოფლის მეურნეობისთვის შემუშავდა სრულიად ახალი კონცეფცია,** რომელიც იმდენად კონკურენტუნარიანია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ სამეცნიერო და საინვესტიციო ჯგუფში შეიძლება თამამად იქნას განხილული.

არ ვიცი, გამოიყენებენ თუ არა ამ კონცეფციებს, სხვა ხელმძღვანელი თუ მოვიდა, შეიძლება თავისი შეხედულებით შეცვალოს. თუ პოლიტიკური ჯგუფი ვინმეს მისცემს რეკომენდაციას, ბუნებრივია, იმ ვინმეს უნდა გაუწიოს ანგარიში.

**— მაგრამ დრო ხომ დაიკარგება, დრო, რომელიც ქვეყანას ისევე არ აქვს, როგორც — მოთმინება ხალხს?**

— ვერაფერს გეტყვით. ჩვენ ჩვენი საქმე ძალიან წესიერად გავაკეთეთ. ალტერნატიულ შეხედულებათა სისტემა ჯერ არავის წარმოუდგენია, საეჭვოა, რომ დღეს საქართველოში აღმოჩნდეს სხვა ჯგუფი, რომელიც შეძლებს ასეთი კომპლექსური ხედვების, ასეთი ინოვაციური კონცეფციის წარმოდგენას.

პირდაპირ გეტყვით, **ეკონომიკის განვითარების ვერავითარი ჩვეულებრივი ექსტენსიური გზები ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემს,** ყოველწლიურად 15 პროცენტითაც რომ ვიზარდოთ.

**— ცოტაა თუ რატომ?**

— 7 წლის შემდეგ გაორმაგებული კი ვიქნებით, მაგრამ მითხარით, მიზერი რომ გაორმაგდება, ეს რას ნიშნავს?

**— ალბათ, გაორმაგებულ მიზერს ნიშნავს.**

— მეც მანდა ვარ: საქართველოში გვაქვს 12 მილიარდი ლარის მოცულობის ეკონომიკა. ეს უმნიშვნელო ციფრია. **ეკონომიკა ჩვენთან იმდენად დაკნინებული და შეურაცხყოფილია, იმდენად მიგდებულია სანაგვეზე, რომ ამ მდგომარეობიდან მისი მარტივად გამოყვანა შეუძლებელია.**

მაგრამ, კიდევ ერთხელ გეტყვით, ეს უნდა მოაგვარონ იმათ, ვინც მოწოდებულია ამგვარი საკითხების გადასაწყვეტად. ჩვენ წესიერად ვმუშაობდით. გვეტყვიან — წადით სახლში, წავალთ.

**— ამით ეკონომიკას არ ეშველება?!**

— მე პირადად კონტრაქტი მაქვს დადებული, ვაკეთებ ჩემს საქმეს და სხვა პროცესისკენ არ ვიხედები, ნაკლებად მაინტერესებს.

**— მაგრამ ეკონომიკური გუნდის ჩამოყალიბების გაჭიანურებაზე ხომ გაქვთ თქვენი მოსაზრება?**

— **აქ გადამწყვეტია პოლიტიკური სისაღისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ალღო და უნარი.** რამდენი ინტრიგანი რამდენ რამეს იტყვის, რამდენი ინტრიგანი ისურვებს, თავისი გავლენა შეინარჩუნოს ახალ მთავრობაზე, ეს საქმეს არ წაადგება, რადგან ასეთ ტიპებს ნაკლებად აინტერესებთ, დადგება თუ არა ფეხზე ეკონომიკა. მათთვის მთავარია, ფინანსური ნაკადები გააკონტროლონ, რაც საშუალებას მისცემს, გვარიანი თანხა სათავისოდ „მოხსნან“. ესაა და ეს.

**— კვლავ გვატყუებს საააკაშვილი, რომელიც ახლახან ისევ გამოჩნდა ეკრანზე და განაცხადა, რომ საქართველოს ბიუჯეტი დღეს ისეა სავსე, როგორც არასდროსო?**

— თუ ნაშთი არსებობს, შესანიშნავია. უნდა არსებობდეს, ყველა ლოგიკით. მაგრამ ასეა თუ არა, გამოჩნდება მაშინ, როცა ახალი მთავრობა ფინანსური რესურსის ინვენტარიზაციას ჩაატარებს.

**ახალ მთავრობას 2013 წელი დალხენილი რომ არ ექნება, უეჭველია. ბიუჯეტი არ გადაივსება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი ეკონომიკა კატასტროფის პირასაა მისული.**

**— ვითარების გამოსასწორებლად პრიორიტეტულად რას მიიჩნევთ?**

— **პირველი ნაბიჯი, მე მგონია, კონტრაბანდის ფანტასტიკური მასშტაბების ამოძირკვაა. ყოფილმა ხელისუფლებამ 2012 წლის მარტში მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად განბაჟებისას მოსპეს ყოველნაირი შეზღუდვა. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ეშელონებს ორივე მიმართულებით საზღვარი უკონტროლოდ უნდა გადაეკვეთა. ასეულ მილიონობით ლარი ამ გზით, ბიუჯეტის გვერდის ავლით, ელიტურ კორუფციაში ილექებოდა.**

**— ტარიფების საკითხი, ბატონო დემურ, ანუ მათი შემცირება პრიორიტეტულად არ მიგაჩნიათ?**

— როგორ არა! ამის გაანგარიშებები ჩვენს თემატურ ჯგუფში გაკეთდა ფართო პროფესიული დიაპაზონის მქონე სპეციალისტების მიერ. თუკი ჩვენი ჯგუფებიდან არავინ აღმოჩნდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სხვებს დავუდებთ ჩვენს რეკომენდაციებს.

**— რომლებიც რას ღაღადებენ?**

— მაგალითად, ენერგოგენერაციამ, გადაცემამ და დისტრიბუციამ წარმატებით, რენტაბელურად რომ იმუშაოს, **ელექტროენერგიაზე ტარიფი ერთ კილოვატსაათზე 10 თეთრთან უნდა იყოს მიახლოებული.** მოჭრილი ციფრის თქმა, პროცესის დინამიკურობის გამო, არ შეიძლება.

**არაფერი წინ არ უდგას გაზის ტარიფის განახევრებას.**

ასეთია ორიენტირები, რომლებიც ძალიან დეტალურად არის შესწავლილი და გათვლილი. ბატონმა შალვა მექვაბიშვილმა თქვენს მკითხველებს ინფორმაცია ამის თაობაზე სრულად მიაწოდა.

**— თქვენი რეკომენდაციების განხორციელებას წინ რა უდგას?**

— არაფერი, გარდა პოლიტიკური ნებისა.

მოდით, ასე დავსვათ საკითხი: ბოლოს და ბოლოს, რისკენ მიდიხარ? დავსვათ ეს რიტორიკული შეკითხვა. მიდიხარ იქითკენ, რომ მოიწყო პირადი ბედნიერი ცხოვრება თუ გინდა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ბიზნესში შემოვიდეს, დასაქმდეს? ან, იქნებ, გინდა, რომ ბიუჯეტში მოაქუჩო ბევრი ფული, რომელსაც შენი ჩინოვნიკები — გუშინდელი, დღევანდელი, ხვალინდელი — თავიანთი ნებით, არცთუ ყოველთვის პატიოსანი მიზნებით განკარგავენ? **ჩინოვნიკი ყოველთვის ჩინოვნიკია. ის თუ არ გააკონტროლე, ვითარების გამოსწორებაზე, მექრთამეობის მოსპობაზე ლაპარაკი არასერიოზული იქნება.** საზოგადოებები საერთოდ, მათ შორის, ქართული საზოგადოება, არასრულყოფილია — როცა საშინელი სიღარიბეა, შემოსავლები ძალიან დაბალია, კარგი ცხოვრების დანაშაულებრივი გზით მოპოვების ცდუნებას ყველა ვერ უძლებს.

**— მართლაც წარმოუდგენლად ძნელია ამა თუ იმ ჩინოვნიკურ თანამდებობაზე კადრების შერჩევა უეჭველი პატიოსნობის გარანტიით, ესე იგი, განწირული ვართ მექრთამეობისთვის?**

— საკითხს სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ: რამდენად პროფესიული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

თუ მიდიხარ იქითკენ, რომ შენი სახელმწიფო გჭირდება მოქალაქეების ნიჭისა და უნარის განსავითარებლად, გჭირდება იმისთვის, რომ შენმა ხელისუფლებაში ყოფნამ კეთილდღეობა მოუტანოს ადამიანებს საკუთარი შრომით, შენი შრომით კი არა, მაშინ უნდა წახვიდე იმ მიმართულებით, როცა ყველაფერი, რაც სახელმწიფო დონეზეა გადასაწყვეტი, საზოგადოების განვითარებისკენ იყოს მიმართული.

ეს კი ჩვენ არასოდეს გვქონია, არადა, აუცილებელია, რადგან ჩამოყალიბებულია ისეთი რეალობა, როცა ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელია ადამიანური რესურსი.

**როგორი ხელისუფალიც გინდა იყო და ვინც გინდა იყვნენ შენი მეგობრები, მთელი ერის ინტელექტუალური შესაძლებლობა ვერ იქნება კონცენტრირებული შენს მეგობრულ გარემოცვაში. თუ ხელისუფალი ხარ, ისეთი პოლიტიკა უნდა განახორციელო, რომ შენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს ჰქონდეს თავისი ნიშა.**

აი, ამას სჭირდება, უპირველესად, გადაწყვეტა და ეს არა გვაქვს ჯერჯერობით ჩვენ.

**— ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ მის გუნდში ადგილი არ ექნება ისეთ ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური მიმართულების ხელმძღვანელთა შორის, რომლებიც შეიძლება აცდუნოს ელიტური კორუფციის ხიბლმა.**

— ბატონ ბიძინას სიტყვებში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ქვეყანაში უამრავი თანამდებობაა და თქმა იმისა, ხვალ საქართველოში ქრთამს არავინ აიღებს და მექრთამეობა ამოიძირკვება, არ იქნება სწორი. მსოფლიოში ასე სტერილურად სუფთა ქვეყანა არ არსებობს.

მთავარია, რომ ამგვარი ფაქტები გამოვლინდეს და ჩამდენი დაისაჯოს; არ შეიქმნას არც ერთი პრივილეგირებული ჯგუფი, რომელიც არ დაექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს და კონტროლს საზოგადოების მხრიდან. ამის მისაღწევად ჩვენს კონცეფციაში წამოვაყენეთ ▶

**„პირველი ნაბიჯი, მე მგონია, კონტრაბანდის ფანტასტიკური მასშტაბების ამოძირკვაა. ყოფილმა ხელისუფლებამ 2012 წლის მარტში მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად განბაჟებისას მოსპეს ყოველნაირი შეზღუდვა. ამას ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ეშელონებს ორივე მიმართულებით საზღვარი უკონტროლოდ უნდა გადაეკვეთა. ასეულ მილიონობით ლარი ამ გზით, ბიუჯეტის გვერდის ავლით, ელიტურ კორუფციაში ილექებოდა.“**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინფორმაციული სამინისტროს შექმნის წინადადება. ეს იქნება სულ სხვა ტიპის სტრუქტურა, კერძოდ, ყოველდღიური გადაწყვეტილება ყველა თანამდებობის პირის, ყველა გადარიცხვა, თუნდაც უმნიშვნელო, უნდა განთავსდეს საიტზე და მაშინ მთავრობაში მოსვლის ქართული ხიბლი გაქრება. ყველა ნორმატიული აქტი, სამინისტროსა და უწყების დონეზე გამოცემული, უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.**

ასეთად მესახება ქვეყნის მართვის ისეთი დონე, რომელიც გასაქანს არ მისცემს „ფარულსა“ და „გასაიდუმლოებულს“, რაც ასე პოპულარული იყო ყოფილ ხელისუფლებაში.

ამას დაემატება კონტროლის პალატა, რომელიც იმ ფუნქციებში უნდა აღდგეს, რომლებიც ჰქონდა და ჩამოართვეს.

თავისთავად იგულისხმება საზოგადოებრივი კონტროლი, მათ შორის, თავისუფალი პრესის მხრიდანაც. სიტყვამ მოიტანა და მებრძოლი პრესის ავანგარდში დავასახელებ თქვენს გაზეთს. „საქართველო და მსოფლიო“, რომლისთვისაც მიცემული მაქვს არაერთი ინტერვიუ, ჩემი აზრით, არის კომპეტენტურობითა და ინტელექტუალობით გამორჩეული გამოცემა, რომელსაც აქვს თავისი მიმართულება, თავისი სტილი, რაც მკითხველების მოწონებას იმსახურებს.

აქვე შევნიშნავ, რომ **პროფესიული და საზოგადოებრივი კონტროლი ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს. ორივე ერთდროულადაა საჭირო და აუცილებელი.**

**— ეთანხმებით თუ არა მიხეილ სააკაშვილს, რომ მისი ზეობის პერიოდში პირველად საუკუნეების განმავლობაში საქართველოს აღმშენებლობამ არნახულ დონეს მიაღწია?**

— არავითარი საფუძველი, მათ შორის, ოფიციალური სტატისტიკით დადასტურებული და რეალობაში არსებული ამის თქმის უფლებას არ იძლევა. ქართულმა ეკონომიკამ წარმატებას კი არ მიაღწია, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. იმპორტი საქართველოში მხოლოდ შარშან 32 პროცენტით გაიზარდა, წლეულსაც იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული. ჩვენი ეკონომიკა სრულად დეინდუსტრიალიზებულია. ბოლო 9 წლის განმავლობაში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას არავითარი ბიძგი არ მისცემია. ყველაფერი ხელისუფლების ხელში იყო და მის მიერ კონტროლდებოდა, განსაკუთრებით, — რესურსები, და როცა ხელისუფლება ძირითადი რესურსების მაკონტროლებელი და ბიზნესების განმკარგავი ხდება, მაგალითად, ვინ რომელ იმპორტს უნდა ჩაუდგეს სათავეში, იქ თავისუფალ ბიზნესგარემოზე ლაპარაკი არ შეიძლება. ბიუჯეტის ხარჯზე ისინი უზარმაზარ ფულს შოულობდნენ, **წარმოუდგენელი მასშტაბის კორუფცია ხელისუფლებამ დანერგა იმით, რომ ყოველგვარი კონტროლი მოხსნა.**

**ხელისუფლებამ გაანადგურა ბიზნესი და მონოპოლიები საკუთარ ხელში მოაქცია.** როგორ უნდა აყვავდეს ეკონომიკა ასეთ პირობებში, ყოვლად გაუგებარია.

**— სამაგიეროდ აყვავდა ელიტური კორუფცია, გაკეთდნენ „მთავრობაში გასულები“.**

— ელიტური კორუფცია საქართველოში უდიდესი მასშტაბითაა დამკვიდრებული. ასევეა ჩრდილოვანი ეკონომიკა: **დღეს საქართველოს რეალური ეკონომიკის არანაკლებ 65 პროცენტი ჩრდილოვანი ეკონომიკაა.**

**— უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეკონომიკის მართვის პრინციპების შეცვლით ეს 65 პროცენტი მზის სინათლეზე გამოვა?**

— ნაწილი, რა თქმა უნდა, გამოვა. დღევანდელი ინსტიტუციური მოწყობის შემთხვევაში, რაგინდ ანგელოზები დაინიშნონ წამყვან თანამდებობებზე, ჩრდილოვანი ეკონომიკა 35 პროცენტის მოცულობით მაინც დარჩება.

ინსტიტუციური სისტემა 22 წელიწადია არ შექმნილა: საბაზრო ეკონომიკის ყველა ინსტიტუტი განადგურებულია ან ჩანასახოვან მდგომარეობაშია და ვერ ვითარდება. **არაფერი, გარდა ჩინოვნიკის ნებისა, საქართველოში არ მუშაობდა. ფულის კურსიც კი 3-4 კაცის გავლენით ყალიბდებოდა და მხოლოდ ვიწრო ჯგუფის ინტერესებს ემსახურებოდა.**

**მომავალი ხელისუფლება ფუნდამენტური პრობლემების წინაშე დგას და მიკვირს, ასეთ ვითარებაში თანამდებობებისთვის რატომ იბრძვიან, გარემოცვა რატომ ცდილობს საკუთარი პროტეჟეების დაუმსახურებლად წამოწევას სხვებზე ცუდის თქმის ფონზე?!**

მომავალი ერთი წლის განმავლობაში ადამიანებმა თუ ვერ იგრძნეს სიკეთე მატერიალური თვალსაზრისით, თუ კვლავ აღფრთოვანებული დარჩებიან ხელისუფლებითა და მისი ფანტაზიორობით, ეიფორია მალე გაივლის და კვლავ დანგრეული სახელმწიფოს წინაშე აღმოვჩნდებით, ისევე, როგორც წინა სამი ხელისუფლების დროს.

**— ჯერჯერობით მონოპოლისტური ჯგუფების მიერ დადგენილი ფასები ძალაში რჩება.**

— ბიძინა ივანიშვილმა ძალიან დელიკატურად და სწორად მიუთითა მონოპოლისტებს, გადაედგათ ნაბიჯები იქითკენ, რომ ჩვენს მოსახლეობას ცოტათი ამოესუნთქა, მაგრამ მათ ეს ყურად არ იღეს.

ეს მონოპოლისტური ჯგუფები გააჩინა ყოფილმა ხელისუფლებამ, რაც მისი ნიჭისა და უნარის, მისი შრომის შედეგი არ იყო. მონოპოლისტებმა მუქთად მიიღეს სხვისი ბიზნესი, ქონება, ხელში ჩაიგდეს ეკონომიკის ფუნდამენტური დარგები. ფულმა კი გადარევა იცის. **უკონტროლო სახელმწიფოში, სადაც დომინირებს ოლიგარქიული ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ხელისუფლებისთვის მუშაობს და საკუთარი ხალხი მხოლოდ გასაძარცვად, მხოლოდ ფულის ამოსაქაჩად სჭირდება, სხვას არაფერს უნდა ველოდოთ, სანამ მონოპოლიების პარპაშს ბოლო არ მოეღება.** თუ ეს ადამიანები მენტალურად არ შეიცვლებიან, რაც საეჭვოა, მაშინ ისინი დარჩებიან დიდი ფულის მქონე ბობოლებად, რომელთა მიმართ საქართველოს მოსახლეობას უდიდესი ზიზღი ექნება.

ზიზღი კი ხვალ თუ ზეგ გამოვლინდება და შედეგად ისინი შთამომავლობას თავიანთ ნაძარცვ ქონებას ვერ გადასცემენ.

**— როდისთვის უნდა ველოდოთ დადებით შედეგებს?**

— ეს დამოკიდებულია მთავრობის კონფიგურაციაზე. თავის დროზე, როცა ბატონ ბიძინას შევხვდი, ვუთხარი, რომ ჩემთვის მთავარია, ვინ იქნებოდა ის 15-20 კაცი (დაახლოებით მაინც), ვინც შეძლებდა, მისი აზრით, ამ ჭაობიდან ქვეყნის ამოყვანას.

**— ეკონომიკურ გუნდს გულისხმობდით?**

— დიახ, ეკონომიკურ გუნდს და მთავარი თანამდებობებისთვის გამიზნულ ადამიანებს. ეს თუ მსოფლმხედველურად შეკრული გუნდი არ იქნება, ურთიერთმორგება დიდ დროს წაიღებს, რაც ჩვენს პირობებში დაუშვებელი ფუფუნებაა.

თუ ყველაფერი სწორად გაკეთდება, ადამიანები პირველ შედეგებს რამდენიმე თვეში იგრძნობენ.

**— რუსეთის ბაზარს რა როლი ექნება საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში?**

— რუსეთის ბაზარი შვებას მისცემს ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომელიც სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ დღეს რაიმე საუკეთესო არსებობს მსოფლიოში, ამ ბაზარზეა თავმოყრილი — კონკურენტული ბაზარი გახდა. მაგრამ ადამიანების მეხსიერებაში შემორჩენილია ქართული ბრენდები, ანუ ის, რასაც სხვა ბაზარზე დასამკვიდრებლად მილიონობით დოლარის დანახარჯი დასჭირდება. **დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ყოვლადმარაზმული სიტუაციის მოწესრიგება, რუსეთის ბაზრის გახსნა, კარგი სტიმული იქნება ჩვენი მეურნეობისთვის.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«ელექტროენერგიაზე ტარიფი ერთ კილოვატსაათზე 10 თეთრთან უნდა იყოს მიახლოებული. არაფერი წინ არ უდგას გაზის ტარიფის განახევრებას»**

# რაში უხდიდა ზარალას «სილქნეტი» ინგა გრიგოლიას 10000 ლარს და რომელ არხზე დაბრუნდება ყოფილი «ქრისტიან-დემოკრატი»

**ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტი, ტელეწამყვანი და შემდგომში პოლიტიკოსი ინგა გრიგოლია ტელეკომპანია „იმედიდან“ წასვლის შემდეგ საკმაოდ დიდ ჰონორარს იღებდა კომპანია „სილქნეტისგან“. სანდო წყაროს ცნობით, ქალბატონ ინგას ყოველთვიურად, ხელფასის სახით 10000 ლარი ერიცხებოდა. უპირველეს ყოვლისა, ამ ინფორმაციის გადამოწმება ქალბატონ ინგასთან ვცადეთ, მაგრამ ჩვენთვის ნაცნობ ტელეფონის ნომერზე მასთან დაკავშირება ვერ შევძელით.**




ამის შემდეგ „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, ეს ინფორმაცია უშუალოდ კომპანია „სილქნეტში“ გადაემოწმებინა და აღნიშნული კომპანიის პიარმენეჯერს, **თეონა წერეთელს,** დაუკავშირდა. **სატელეფონო საუბრისას ქალბატონმა თეონამ ეს ინფორმაცია ვერც უარყო და ვერც დაადასტურა,** რადგან, როგორც თავად განაცხადა, აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციაში არ შედიოდა და, შესაბამისად, კომენტარს ვერ გააკეთებდა. ძნელი აღმოჩნდა კომპანია „სილქნეტის“ ფინანსურ დეპარტამენტთან დაკავშირებაც, რათა ინფორმაციის ობიექტურობა დაგვედასტურებინა და ისევ ქალბატონ ინგას მოძებნას შევეცადეთ.

Facebook-ში ინგა გრიგოლიას ქალიშვილს, მარიამ გრიგოლიას, შეტყობინება გავუგზავნეთ — უხდიდა თუ არა კომპანია „სილქნეტი“ 10000 ლარს ყოველთვიურად ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ სად აპირებს მუშაობას? — და ვთხოვეთ, ქალბატონ ინგასთან დავეკავშირებინეთ.

მარიამ გრიგოლიას დახმარებით, ქალბატონმა ინგამ სატელეფონო საუბრისას ნაწილობრივ დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანხა და თარილი ზუსტი არ არისო. **ინგა გრიგოლიას განცხადებას „საქართველო და მსოფლიო“ უცვლელად გთავაზობთ:**

**ინგა გრიგოლია:**

„ინფორმაცია, თითქოს „იმედიდან“ წამოსვლის მერე „სილქნეტთან“ ვთანამშრომლობდი, არასწორია. „იმედის“ შემდეგ მე ჯერ ვიყავი „თბს“-ი სტუდიის გადაცემა „პრაიმტაიმის“ წამყვანი და ხელფასს იქიდან ვიღებდი, ხოლო შემდეგ — პირველი არხის ოფიციალური თანამშრომელი და გადაცემა „პოლიტიკური კვირის“ წამყვანი.

**რაც შეეხება „სილქნეტს“, ამ კომპანიასთან მქონდა კონტრაქტი ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ, დაახლოებით ერთი წელი, და ეს კონტრაქტი დიდი ხნის დასრულებულია...**

**მე ვიყავი კომპანიის მრჩეველი იმ პერიოდში, როცა კომპანია ახალი დაფუძნებული იყო და იქიდან მიღებული შემოსავალი დეკლარირებული მაქვს ოფიციალურად 2010 წლის დეკლარაციაში.** დეკლარაცია ღიაა და დაფარული ამ მიმართულებით არაფერია. საკრებულოს წევრს აქვს უფლება, იმუშაოს სხვა სამსახურშიც, ოღონდ არა ხელმძღვანელ პირად და მმართველად... ასე რომ, პოლიტიკიდან წამოსვლა-არწამოსვლასთან ეს ჩემი ძველი კონტრაქტი არაფერ შუაშია... მითუმეტეს, რომ ერთი წლის დასრულებული იყო კონტრაქტი, როცა მე კანდიდატურა მოვხსენი არჩევნებიდან... პოლიტიკიდან ჩემი წამოსვლა გადაწყდა 2012 წლის 25 სექტემბერს, კონკრეტული მიზეზით, მას მერე, რაც ცესკოში მედიარეგულირების გადაწყვეტილებას მოეწერა ხელი.

თქვენს მეორე კითხვას რაც შეეხება, სად ვაპირებ მუშაობის დაწყებას... ამ წუთისთვის კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ მაქვს......მაქვს რამდენიმე ძალიან საინტერესო წინადადება და ჯერ ვფიქრობ... მე მგონია, რომ, **ვინაიდან გუშინ საარჩევნო კამპანიაში ვიყავი, უცებ, მეორე დღესვე ეკრანზე გამოჩენა არ შემეძლო და ამიტომ პატარა პაუზა მაქვს აღებული. თუმცა ვაპირებ ძალიან აქტიურად დავუბრუნდე მედიამიმართულებას... არ ვიცი — რა პოზიციაზე: ჟურნალისტად თუ პროდიუსერად... ამას მომავალი გვიჩვენებს...** ძალიან საინტერესო შემოთავაზებები მაქვს და მათ შორის ერთ-ერთი შეეხება „მზეს“, რომლის დასაბრუნებლადაც მისი ყოფილი მფლობელი — ვანო ჩხარტიშვილი ლონდონის სასამართლოში იბრძვის და იმედი მაქვს, რომ სასამართლოს მოიგებს... უახლოეს მომავალში პირადად მექნება საუბარი ბატონ ჩხარტიშვილთან და მერე დეტალებზე შემეძლება საუბარი... თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, არ მაქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერი... ამასთანავე, ვგეგმავ, პრესასთანაც ვითანამშრომლო და დებიუტი მქონდეს პრესაში... დიდი მადლობა“.

**ეკა კახიანი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბიჭების დაპატიმრებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ტოლერანტობის ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბექა მინდიაშვილს, და ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორს, თამარ ჩერგოლეიშვილს. სწორედ მის კაბინეტში იგეგმებოდა ერთ-ერთი საჩივარი. ეს ყველაფერი ერთ-ერთმა მოწმემ თავად აღიარა, თუ როგორ შეიკრიბნენ ჩერგოლეიშვილის კაბინეტში და როგორ დაავალა მას ბექა მინდიაშვილმა, წასულიყო საჩივრით პოლიციაში...“**

# მამა დავითი: ამ ბიჭების დაპატიმრება გიგა ბოკერიას ცოლის კაბინეტში დაიგეგმა

**მსჯავრდებულები განაჩენს გალობით შეხვდნენ, ბრალი არ აღიარეს და, უკვე მესამე წელია, მოთმინებით იხდიან სასჯელს. ახლა, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების იმედიც გაჩნდა. „ჰელსინკის კავშირის“ პოლიტპატიმართა სიაში ტელეკომპანია „კავკასიის“ ინციდენტის დროს ჟურნალისტური საქმიანობისთვის უკანონოდ ხელის შეშლისა და ხულიგნობის ბრალდებით დაპატიმრებული რვა ბიჭიც მოხვდა. მათი გათავისუფლება, საქართველოს საპატრიარქოსა თუ სხვა საერო პირთა შუამდგომლობის მიუხედავად, ამ დრომდე ვერ მოხერხდა. თუ რა ელოდება დაპატიმრებულ ბიჭებს, „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი მამა დავითი (ისაკაძე) ესაუბრება.**


ლევან ჩაჩუა


ავთანდილ ზუმბაძე


რატი მაისურაძე


გიორგი გაბედავა


შოთა აფხაიძე


დავით შალამბერიძე


ჯაბა გურჩიანი


ზვიად ბლიაძე

**— მამაო, თქვენ ესწრებოდით ტელეკომპანია „კავკასიის“ ინციდენტის დროს დაკავებული ბიჭების სასამართლო პროცესებს. მეტიც, თავად ხართ მოვლენების თვითმხილველი და ინციდენტის ადგილზეც იმყოფებოდით. თუ აპირებთ, ბიჭების გათავისუფლების თხოვნით ახალ ხელისუფლებას მიმართოთ?**

— უპირველეს ყოვლისა, მივესალმები თქვენი სოლიდური და პოპულარული გაზეთის მკითხველებს. რა თქმა უნდა, ვაპირებთ, ვინაიდან **სააკაშვილის ხელისუფლებამ უპრეცედენტო ფაქტი ჩაიდინა — ადამიანები რწმენის გამო დააპატიმრა. ეს ბიჭები მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ ისინი ღმერთის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის გმობას აპროტესტებდნენ.** პროკურატურამ სასამართლო პროცესზე დაახლოებით 12-საათიანი ფირი წარმოადგინა, მასზე ამ ბიჭების გინებაც კი არ არის დაფიქსირებული, არათუ დანაშაული. თავად ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელებმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ უდანაშაულოები არიან ბიჭები და არც ჟურნალისტურ საქმიანობაში შეუშლიათ ხელიო, მაგრამ სასამართლომ არც ეს გარემოება გაითვალისწინა. ამიტომ, **თუ ჩვენ ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, ქვეყანამ ეს სამარცხვინო ლაქა უნდა მოიშოროს, რელიგიური პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ.**

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბიჭების დაპატიმრებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ტოლერანტობის ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბექა მინდიაშვილს, და ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორს, თამარ ჩერგოლეიშვილს. სწორედ მის კაბინეტში იგეგმებოდა ერთ-ერთი საჩივარი. ეს ყველაფერი ერთ-ერთმა მოწმემ თავად აღიარა, თუ როგორ შეიკრიბნენ ჩერგოლეიშვილის კაბინეტში და როგორ დაავალა მას ბექა მინდიაშვილმა, წასულიყო საჩივრით პოლიციაში...

**— როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა ყოფილიყო მათი მიზანი ამ ბიჭების დაპატიმრება?**

— მიზეზი, ორი იდეოლოგიის, სარწმუნეობისა და ათეიზმის, დაპირისპირებაა. ვინაიდან, ქრისტიანობის სწავლების მიხედვით, უნდა „გიყვარდეს მტერი შენი“, ვცდილობთ, ბექა მინდიაშვილიც, თამარ ჩერგოლეიშვილიცა და მიხეილ სააკაშვილიც პიროვნულად გვიყვარდეს, მაგრამ მათი იდეოლოგია ჩვენთვის ყოველთვის მიუღებელი იქნება და მათ ყოველთვის ვამხელთ. მაგრამ **წუთუ მხილებისთვის უნდა დაგვიჭირონ? სწორედ ასე იქცეოდნენ წარმართები და შემდეგ ბოლშევიკები. გამოდის, რომ ეს ადამიანები ნეობოლშევიზმის თანამედროვე ადეპტები და მათი იდეოლოგიის გამაგრძელებლები არიან.**

სხვათა შორის, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ **„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ქალბატონი მანანა კობახიძე დაპატიმრებულთაგან 4 ბიჭის უფლებებს იცავდა და, ბუნებრივია, მან შესანიშნავად იცის, რომ ეს ბიჭები უდანაშაულოები არიან.**

**— თუმცა დაჭერილი რვა ბიჭიდან ზოგიერთი „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“, ზოგიერთი კი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრია. „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებული ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი კი, მაგალითად, რესპუბლიკელები, მმკ-ს ხშირად აკრიტიკებდნენ და ძალადობაშიც ადანაშაულებდნენ...**

— ჩვენთან ხომ სასამართლო ზემოქმედებისგან თავისუფალი უნდა იყოს? სასამართლომ კი მათ ბრალი ვერ დაუმტკიცა. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკელი იქნება თუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, ყველა ვალდებულია, პატივი მიაგოს თავისუფალ სასამართლოს. დიახ, მე მახსოვს რესპუბლიკური პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის განცხადება აღნიშნულ საკითხზე, მაგრამ, ვინც ჩვენ ექსტრემისტებს გვეძახის, ყველას ვთხოვ, ერთი ფაქტი მაინც დაასახელონ ჩვენი ექსტრემიზმის ან აგრესიული გამოვლინების, რომელიც კანონით ისჯება.

**საქართველოში ყოველთვის ქართველები ვიჩაგრებოდით და ახლაც ასეა. ყველა ეთნოსს პატივს ვცემ და ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ყოველთვის მართლმადიდებლებს გვდევნიდნენ, ტაძრებს გვინგრევდნენ, ჩვენს სარწმუნოებას შეურაცხყოფას აყენებდნენ.**

**— მაშინ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ ხშირად ძალადობაში ადანაშაულებენ?**

— მე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრი ვარ და ამით ვამაყობ. პროტესტის გამოხატვა როდის იყო ძალადობა? დაგვისაბუთონ, რომ ჩვენ ოდესმე ვინმეს ღირსება შევულახეთ, შეურაცხყოფა მივაყენეთ, გვანახონ ასეთი ფაქტი. და თუ პროტესტის გამოხატვა არ შეიძლება, ესეც აგვიხსნან.

ჩვენ, ძირითადად, ის ადამიანები გვადანაშაულებენ, რომლებიც იდეურად უპირისპირდებიან ეკლესიას და ეროვნულ ცნობიერებას. დღეს, როცა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს ასე აკრიტიკებენ, გაიხსენონ, რომ **2008 წლის აგვისტოს ომის დროს, სწორედ ჩვენი წარმომადგენლები გორის ჰოსპიტალში დაჭრილი და დაღუპული ჯარისკაცების გადასარჩენად ექიმებთან ერთად იღვწოდნენ. სად იყვნენ მაშინ ეს ბატონები და ქალბატონები?** ფილმიც არსებობს მმკ-ს საქმიანობის შესახებ და ყველას შეუძლია ნახოს. იმიტომ კი არა, რომ თავი მოვიწონოთ, უბრალოდ, რადგან ასე დაინტერესებულები არიან „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ საქმიანობით, ნახონ, რას აკეთებდა და აკეთებს ეს ორგანიზაცია დღეს.

ზოგჯერ სიტყვა მკაცრად არის სათქმელი, ეს არანაირად არ ნიშნავს აგრესიას. ჩვენ ორი ძირითადი მიზანი გვაქვს: ჩვენი სარწმუნოების დაცვა და სამშობლოს სიყვარული.

**— ამ რვა ბიჭის გარდა, სხვა რელიგიური პატიმრების შესახებ თუ ფლობთ ინფორმაციას?**

— ადრე ხდებოდა ასეთი ფაქტები, მაგალითად, იეღოვას მოწმეებთან პოლემიკის გამო დააპატიმრეს ადამიანები. დიდი ზეწოლა მიმდინარეობდა ეკლესიაზე, როდესაც იეღოვას მოწმეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასახლეებს აშენებდნენ, რადგან ხალხი ამ მშენებლობებს აპროტესტებდა.

**— ბოლო ინტერვიუში მითხარით, რომ სასულიერო პირებს ციხეში შესვლა აუკრძალეს, გაირკვა თუ არა მიზეზი?**

— ეს მოხდა არჩევნებამდე. ახლა როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცი. **დაახლოებით 160 მღვდელმსახურს, გაურკვეველი მიზეზების გამო, საპატიმროებში შესვლა აუკრძალეს. როდესაც მიზეზით დავინტერესდით, პასუხი ვერ მივიღეთ. რამდენიმე სასულიერო პირმა წერილითაც მიმართა ადმინისტრაციას, აგვიხსენით, რატომ არ გვიშვებთო, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია.**

ძალიან მნიშვნელოვანია პატიმართა უფლებების დაცვა და ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პატიმრები უკიდურეს განსაცდელში იმყოფებოდნენ. ყველამ ნახა პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრები, რომლებმაც, ალბათ, ჩვენი ქვეყნის თითოეული მკვიდრი შეაძრწუნა. ეს აღარასდროს არ უნდა განმეორდეს საქართველოში. პატიმარს ისიც ეყოფა სასჯელად, რომ პატიმარია. თუ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, არსებობს დასჯის სხვა საშუალებები და მიუღებელია ის სადისტური მეთოდები, რომლებიც ჩვენ ვიდეოკადრებში ვნახეთ.

**— ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, საზოგადოება დამნაშავეების დაუყოვნებლივ დასჯას ითხოვს. ქრისტიანულად ადამიანი მიმტევებელი უნდა იყოს, მაგრამ რა ვუყოთ დაუსჯელობის სინდრომს, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო მეტ დანაშაულს გამოიწვევს? როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი?**

— ეკლესიური ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგში მდგომარეობს: დამნაშავემ სამართლებრივად აუცილებლად უნდა მოიხადოს სასჯელი, ეს მისი სულისთვისაც უკეთესია.

**— რა სასჯელი ელის ადამიანს, რომელიც აწამებს და შეურაცხყოფს მოყვასს?**

— რელიგიურად ეს უდიდესი ცოდვაა. მე ყველა კადრს ვერც ვუყურე. მხოლოდ რამდენიმე კადრი ვნახე. განსაკუთრებით ბავშვის წამება იყო საშინელი. იმხელა კაცი რომ ურტყამდა და ბავშვი ეხვეწებოდა, ნუ მირტყამო. რა თქმა უნდა, მათ უდიდესი ცოდვა ჩაიდინეს და საშინელი სასჯელი ელოდებათ. მთელი ცხოვრება უნდა იტირონ ამ ადამიანებმა, რომ ეპატიოთ. მთელი ცხოვრება უნდა განიცდიდეს ადამიანი, სტკიოდეს, რომ ამას სჩადიოდა. წმინდანთა ცხოვრებიდან ყოფილა მაგალითები, რომ დაუნდობელ ადამიანებს, მკვლელებსაც კი, დიდი სინანულის შემდეგ და ისიც მხოლოდ ცხოვრების ბოლოს, ეპატიათ, მაგრამ განსაკუთრებული ეპიტემია უნდა მიიღოს ადამიანმა მოძღვრისგან და, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე უნდა ინანიებდეს, რომ მიეტევოს.

**მე მინდა ვთხოვო დღეს უკვე არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას, რაც შეიძლება მალე გამოუშვან რვა პატიმარი, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოებისა და ღირსებისა დაცვის გამო დაიჭირეს. ასევე მინდა ვთხოვო ახალ ხელისუფლებას, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ დაცული იყოს სამართლიანობის პრინციპი, რადგან ეკლესიას საქართველოს ისტორიაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ეს არის ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ქვაკუთხედი. ამიტომ მართლმადიდებლური ეკლესია ყოველთვის უნდა იყოს პრიორიტეტული, სხვა კონფესიებთან მიმართებაში.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„კეზერაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი და ჩერგოლეიშვილი არიან ჩემი უბედურების მიზეზი... ყველაფერი დროებითია. მათ აუცილებლად ვაგებინებ პასუხს ჩემი შვილის დაღუპვისთვის, ეს აუცილებლად მოხდება! რომ მოვარდა სააკაშვილი, როდესაც ჩვენს შვილებს ნანგრევებში ვეძებდით, როგორც ჩანს, არ იცოდა, რა ხდებოდა და ისე მისცა 10-დღიანი ვადა სამართალდამცავებს საქმის გასახსნელად, თორემ რატომ ერთხელ არ მოიკითხა მას შემდეგ ეს ამბავი?!“**

სამართალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ნუცა თოფჩიშვილი: ბოკერიას, ჩერგოლეიშვილს, კეზერაშვილს, ჩიქოვანს აუცილებლად ვაგებინებ პასუხს ჩემი შვილის დაღუპვისთვის

**სამშენებლო კომპანია, რომელიც თავის დროზე „რუსთავი 2“-ის შენობას არემონტებდა და რომლის სახელსაც ორი ახალგაზრდის — ნიკა გელაშვილისა და გიორგი გაბუნიას გარდაცვალება უკავშირდება, ამჟამად მრავალსართულიან სახლს ჭავჭავაძის გამზირზე აშენებს, თუმცა იქვე ოთხსართულიანი ნაგებობაც ააშენეს, რომელსაც, სავარაუდოდ, ახლო მომავალში ჟურნალი „ტაბულა“ დაიკავებს. ზოგადად მშენებლობა კარგია და სამშენებლო ბიზნესიც საკმაოდ შემოსავლიანი საქმეა, მაგრამ, თუ შენობას სისხლის კვალი ამჩნევია და ფულსაც სისხლის სუნი ასდის, მორალურმა ადამიანმა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება უნდა შეძლოს.**

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 26 აპრილს თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე, ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა... შენობა, რომელშიც „ვარსკვლავების აკადემიის“ პროექტი მიმდინარეობდა, მიწასთან გასწორდა და ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ნანგრევებში ჩაიყოლა... აღნიშნულ შენობაში „რუსთავი 2“-მა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, რომელსაც კომპანია „არტ-X“-ი ახორციელებდა, რომლის დამფუძნებელიც თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლე სოფიო ჩიქოვანია, ხოლო აღმასრულებელი დირექტორი — უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას, ცოლისდა — რუსუდან ჩერგოლეიშვილი. სწორედ ეს კომპანია და ეს ადამიანები აშენებენ ვაკეში ორ ნაგებობას გვერდიგვერდ და იმედია, მომავალში მათი „შენების შედეგი“ კიდევ რამდენიმე ოჯახს არ გააუბედურებს. ადგილობრივი მოსახლეობა, წლებია, აპროტესტებს აღნიშნულ მშენებლობას, მაგრამ შედეგს ვერც ქუჩის აქციებით მიაღწიეს და ვერც სასამართლო პროცესებით.

**„საქართველო და მსოფლიოს“ აქციის ერთ-ერთი მონაწილე, რუსუდან კუკულაშვილი,** ესაუბრება:

— როდესაც მშენებლობის დაწყების შესახებ შევიტყვეთ, მაშინვე გავაპროტესტეთ, მაგრამ ვინ ჩაგაგდო რამედ! როგორც ამბობენ, იქ ისეთი დაჭაობებული ადგილი ყოფილა, ნავებით დადიოდნენ თურმე, მაგრამ ესენი უსაფრთხოების ნორმებს არად დაგიდევენ, თუმცა ეს სხვა საკითხია. **ორი წელიწადი მარტო საძირკვლის გათხრას მოანდომეს, სულ წყალი ამოდიოდა, ძლივს ამოიყვანეს საძირკველი, მერე კედლები გადაეხარათ. ამა წლის აგვისტოში კი მუშა გადმოუვარდათ ხარაჩოდან და დაეღუპათ. დღედაღამ აშენებდნენ და 32 წლის ბიჭის სიცოცხლეც შეიწირეს.** აშენდა ეს 14-სართულიანი შენობა, რომლის წინაც ჩვენ საკუთარი სახსრებით დავრგეთ ხეები. ერთ მშვენიერ დღეს მერიის სამსახურის თანამშრომლებმა მათი გაჩეხვა დაიწყეს. რომ ვიკითხეთ, თუ რატომ ჭრიდნენ ხეებს, პასუხად გადმოგვცეს წერილი, რომელშიც ეწერა, რომ რუსუდან ჩერგოლეიშვილის მოთხოვნის საფუძველზე მოიჭრა ხეები და დაიწყო მშენებლობა, აშენდა ოთხსართულიანი შენობა.

**— რატომ აპროტესტებთ აღნიშნულ მშენებლობას?**

— უკვე სამი წელიწადია, ამ საკითხზე ვდავობთ. ვერ გეტყვით, რამდენი სასამართლო გვქონდა, მაგრამ ამ ქვეყანაში სამართალს სად იპოვი? ვითხოვდით მშენებლობის შეჩერებას, რადგან საერთოდ დააბნელა ამ კორპუსებმა ჩვენი სახლები, მზე აღარ შემოდის ჩვენს ფანჯრებში. არ იკმარეს ეს თოთხმეტი სართული და კიდევ მეორე შენობა დაგვადგეს თავზე. ამბობენ, თურმე „ტაბულას“ რედაქცია გადმოდის იქ.

**— როგორ გგონიათ, თქვენი პრობლემების მიზეზი ისაა, რომ მშენებლობას ბოკერიას ოჯახი აწარმოებს?**

— დიახ, **ბოკერიასა და კეზერაშვილის ოჯახების საკუთრებაა ეს კომპანია და სამართალს სად ვიპოვიდით?!** იქვე გარაჟებიც გვქონდა, რომლებიც მერიამ წაგვართვა, გამოგვიყარეს მანქანები ქუჩაში და იქაც მიმდინარეობს მშენებლობა. ზუსტად წყალკანალის შენობის წინ ააშენეს ეს კორპუსები.

**— რას აპირებთ?**

— არ ვიცით, სად ვეძებოთ სამართალი. რასაც ვუყურებთ, ჯერ კიდევ მხნედ არიან ხელისუფლების წარმომადგენლები და აქეთ გვაშინებენ... მთავარია, სასამართლოGგათავისუფლდეს ამათი მარწუხებისგან. მერიამ ყველაფერი კანონის ფარგლებშიაო. **ერთი ძლიერი მიწისძვრა და განადგურდება ქალაქი, თუმცა სტიქიური უბედურებებიც არაა საჭირო, უსაფრთხოების ნორმებს რომ არაფრად აგდებენ, ეს თუნდაც „რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევამაც ცხადყო და შეიწირეს ორი ახალგაზრდის სიცოცხლე. აგო ვინმემ პასუხი?**

**აღნიშნულ საკითხზე „საქართველო და მსოფლიო“ „რუსთავი 2“-ის შენობის, რომელშიც პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“ მიმდინარეობდა, ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილ ნიკა გელაშვილის დედას, ნუცა თოფჩიშვილს,** შეხვდა.

— ჩვენ მეზობლებისგან გავიგეთ, რომ აქციის ჩატარებას აპირებდნენ და, რასაკვირველია, მე და ჩემი რძალი ჩავერთეთ ამ აქციაში და მედიასაც ვაცნობეთ, — **გვითხრა ქალბატონმა ნუცამ.** — ეს არის მკვლელების ჯგუფი, რომელსაც შლეიფივით თან დასდევს სისხლი და უბედურება. **სანამ ბოკერია ბოკერიობს, ამათ ხელშია ყველაფერი, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ბოკერია ჩვეულებრივი ადამიანი გახდება და სასამართლო ამათაც მისწვდებათ.** აქამდე ჩვენ ვერაფერი შევძელით, სტრასბურგის იმედად ვართ, მაგრამ, თუ აქ სასამართლო განთავისუფლდება და გამოძიება თავიდან დაიწყება, მაშინ სტრასბურგი ჩვენთვის იდეაფიქსი ნამდვილად არაა. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ!

**— მიმართავთ ახალ მთავრობას თხოვნით, რომ ხელახალი ძიება დაიწყოს?**

— რასაკვირველია, მე „ქართული ოცნების“ ყველა ლიდერთან ვიყავი, საქმის მასალებიც გადავეცი და სტუდია „მონიტორის“ მიერ გადაღებული ფილმიც ყველას დავურიგე, საქმის კურსში არიან. შალვა შავგულიძესთან კონსულტაციებზე დავდიოდით. ვაკის ამომრჩეველთან შეხვედრაზე რომ მოვიდა, მითხრა, თქვენი საქმე ჩემს კარადაში ინახებაო... ახლა გვპირდებიან, ბევრი საქმის ხელახალი გამოძიება მოხდება და იმედი მაქვს, რომ ჩვენც შევძლებთ სიმართლის დადგენას. ჩვენ ობიექტური, მიუკერძოებელი გამოძიების მეტს არც არაფერს ვითხოვთ. მიუხედავად გაყალბებისა, ჩვენს საქმეში არის ისეთი დეტალები, რის მიხედვითაც შეიძლება დამნაშავეების კვალზე გავიდეთ.

**— როგორც ცნობილია, დამნაშავე არსებობს და ეს ვინმე გვასალიაა, სასამართლომ მისი ბრალეულობა დაადგინა კიდეც...**

— რას ბრძანებთ?! **გვასალია გახლავთ მშენებელი, რომელსაც ევალებოდა სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, მან აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და გადაარჩინა ეს მკვლელები. სამაგიეროდ, დაუფასეს „თავდადება“ და მადლობის ნიშნად ადვოკატად მოუყვანეს გიორგი ყავლაშვილი, სააკაშვილის რეჟიმის პირადი ადვოკატი, რომელიც ანალოგიურ საქმეებში გამოიყენებოდა. სწორედ მისი დახმარებით აარიდეს თამარ ჩერგოლეიშვილის ოჯახს სასამართლოზე გამოცხადება. თავად გვასალია კი პირველივე სასამართლო სხდომიდან საპროცესო გარიგების საფუძველზე გაათავისუფლეს სხდომათა დარბაზიდან ისე, რომ ერთი თეთრიც არ გადაახდევინეს. ამათი მიზანი იყო, სასამართლო არ შემდგარიყო და არ გახმაურებულიყო ეს საქმე. აღარაფერს ვამბობ პროკურატურის უსინდისო ქმედებებზე, გნებავთ, გიორგი ტუღუშის დუმილზე, რომელიც ახლა თითქოს თავს იკლავს პატიმრებისთვის, რატომ არ ამოიღო ხმა ჩვენს უბედურებაზე?!** არ დარჩენილა ინსტანცია, ჩვენ რომ არ მიგვემართოს თხოვნით, რომ თავიდან დაწყებულიყო გამოძიება. პრეზიდენტს ორი ღია წერილი მივწერე, პრეზიდენტის დედასაც მივწერე, ზუსტად ვიცი, რომ წაიკითხა, მაგრამ ჩემი ტკივილი, როგორც ჩანს, გულთან ახლოს არ მიიტანა. ასე აღიმართა ჩვენ წინ კედელი, რომელიც ვერაფრით ვერ დავანგრიეთ.

**— პრეზიდენტი მაშინ თავად იყო შემთხვევის ადგილას და თქვა, რომ მისი ღირსების საკითხი იყო ამ საქმის გამოძიება, ამასთან, მან 10-დღიანი ვადა მისცა გამოძიებას სიმართლის დასადგენად...**

— რომელ ღირსებაზეა საუბარი?! **სააკაშვილის ღირსების საკითხი იყო გირგვლიანის საქმის გამოძიებაც, მაგრამ რა ქნა მერე? შეიწყალა მკვლელები და გარეთ გამოუშვა.** ჩვენი საქმე არ იყო გახმაურებული, რადგან ყველანაირად ბლოკავდნენ ჩვენს ყოველგვარ აქტიურობას. „რუსთავი 2“ ჩვენს უბედურებას როგორ გაამუქებს, ეს ხომ ერთი წრეა, ერთნაირად აქვთ სისხლში ხელები გასვრილი. **კეზერაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი და ჩერგოლეიშვილი არიან ჩემი უბედურების მიზეზი და ვინ რას გააშუქებდა?! ყველაფერი დროებითია. მათ აუცილებლად ვაგებინებ პასუხს ჩემი შვილის დაღუპვისთვის, ეს აუცილებლად მოხდება! რომ მოვარდა სააკაშვილი, როდესაც ჩვენს შვილებს ნანგრევებში ვეძებდით, როგორც ჩანს, არ იცოდა, რა ხდებოდა და ისე მისცა 10-დღიანი ვადა სამართალდამცავებს საქმის გასახსნელად, თორემ რატომ ერთხელ არ მოიკითხა მას შემდეგ ეს ამბავი?!** უგულავამ კი წაიბლუკუნა ერთი, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდაო, სწორედ მას ევალებოდა გაკონტროლება იმისა, სწორად მიმდინარეობდა სამუშაობი თუ არა.

## «ეს არის მკვლელების ჯგუფი, რომელსაც შლეიფივით თან დასდევს სისხლი და უბედურება»

**„რუსთავი 2“-ს, ირაკლი ჩიქოვანს, ჩერგოლეიშვილს და დამნაშავეებს გაუმართლათ, მხოლოდ ორი ადამიანი რომ დაიღუპა; ეს ამბავი სამი საათის შემდეგ რომ მომხდარიყო, სულ მცირე, 50 კაცი მოჰყვებოდა ნანგრევებში. 32-მეტრიან შენობას საყრდენი კედელი გამოაცალეს და ძაბრისებური ნგრევა მოხდა.** ესენი რასაც შეეხნენ, კომპანია „არტ X“-ს ვგულისხმობ, ყველგან სისხლის გუბეები დააყენეს.

**— რას გულისხმობთ?**

***(საუბარში ნუცა თოფჩიშვილის რძალი, გარდაცვლილ ნიკა გელაშვილის მეუღლე თეა კახიანი ერთვება).***

— ქუთაისში პარლამენტს აშენებს „მაგისტილი“, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ კვირცხალია და ეს პიროვნება ჩვენს საქმეში ერთ-ერთი მოპასუხეა. გასულ წელს ჩვენ სამოქალაქო წესითაც შევადგინეთ სარჩელი, შარშან 7 ოქტომბერს ჩატარდა კიდეც მოსამზადებელი სხდომა, თუმცა მას შემდეგ სასამართლოს ჩატარებას ველარ ველირსეთ. მოსამართლეს აქვს უფლება, მხოლოდ ექვსი თვე გააჭიანუროს სხდომის ჩატარება და ჩვენ ერთი წელიწადია უშედეგოდ ველოდებით პროცესის გამართვას...

ჩათვალეს, რომ სისხლის სამართლის საქმე დასრულდა და, რადგან ვერაფრით მივაღწიეთ ხელახალი გამოძიების დაწყებას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრების დახმარებით ადმინისტრაციულ საქმეზე შევიტანეთ სარჩელი, სადაც მოპასუხე ხუთი თუ ექვსი იურიდიული და ფიზიკური პირია. ვუჩივლეთ როგორც მერიის ზედამხედველობის სამსახურს, ასევე არქიტექტურის სამსახურსაც, რომლებსაც უნდა გაეკონტროლებინათ იქ მიმდინარე სამუშაოები. ასევე ერთ-ერთი მოპასუხე მხარეა „ჯორჯიან ბილდინგ კორპორეიშენი“, რომელსაც „რუსთავი 2“-მა დაუდო ხელშეკრულება და მერე, თავის მხრივ, სწორედ აღნიშნულმა კომპანიამ დაიქირავა „არტ X“. „რუსთავი 2“-მა პირდაპირ რატომ დაიქირავა მათივე კომპანია ესეც ჩვენთვის გაურკვეველია. როგორც გითხარით, „ჯორჯიან ბილდინგ კორპორეიშენის“ ხელმძღვანელი არის გიორგი კვირცხალია, რომელიც ახლა პარლამენტს აშენებს ქუთაისში და მართალია, იქაც დატრიალდა ტრაგედია და დაიღუპნენ მუშები, მაგრამ იმედია, რამე უფრო დიდი უბედურება არ მოხდება.

**— გაქვთ იმედი, რომ ახალი მთავრობა თქვენი საქმით დაინტერესდება?**

— იმედი გვაქვს კი არა, ამ იმედით ვარსებობთ, გვჯერა, რომ ჩვენი საქმით აუცილებლად დაინტერესდებიან.

**— მოკლედ, გამოდის, რომ ბოკერიასა და კეზერაშვილის ოჯახების წევრებს სისხლის სამართლის წესით გაასამართლებენ?**

— რასაკვირველია! განა ბოკერია და მისი ცოლი, ქალბატონი თამარა, არ არიან პასუხისგებაში მისაცემი დანაშაულის დაფარვისთვის?! დანაშაულის დაფარვა ჩვენი კანონმდებლობით ისჯება და სამართალი მათ კარზეც დააკაკუნებს. როგორც კი გამოძიება დაიწყება, აუცილებლად ვუჩივლებ მოსამართლეებს — დალი მეტრეველსა და თეა თანდაშვილს. ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს უსამართლო განაჩენისთვის და ქმედებისთვის.

**ადმინისტრაციული წესით რომ გავასაჩივრეთ, ყავლაშვილმა დამირეკა და შემომთავაზა 200 ათას ლარს გადაგიხდით და მოვრიგდეთო, რასაკვირველია, უარი ვუთხარი, ჩემთვის კომპენსაცია კი არა, მთავარი ისაა, საქმე გაიხსნას და დამნაშავეები დაისაჯონ.**

ესაუბრა
**გიორგი მაისურაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მჯერა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა იქნება ჩვენი სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინსვლის, სულიერების განმტკიცებისა და განათლებულობის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების, მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის მოპოვების უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეტაპი“.

მურმან ომანიძე:

# კეზერაშვილის ბანდას ძლივს გამოვასწარი

მურმან ომანიძე, ეროვნული მთავრობის პირველი ვიცეპრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ამ ბოლო არჩევნების კვალზე წლების შემდეგ პირველად გამოჩნდა ქართულ პრესაში.

**— ბატონ ბიძინას მივულოცე ისტორიული გამარჯვება „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით, — ამბობს მურმან ომანიძე, — მივმართე, რომ უდიდესი ყურადღებითა და თანალმობით ვადევნებდით თვალს კაცთმოძულე რეჟიმის მიერ სამშობლოდან დევნილი პოლიტემიგრანტები მისი და „ქართული ოცნების“ კოალიციის თავდადებულ ბრძოლას ტირანიის ბორკილებისგან ქართველი ერის გათავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისთვის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საკაცობრიო იდეალების საბოლოო გამარჯვებისა და დამკვიდრებისთვის.**

**რატომ არ ჩანდით აქამდე, ბატონო მურმან, სად იყავით?**

— ვიყავი პოლიტიკურ ემიგრაციაში. ეს მეორე ემიგრაცია იყო. პირველად ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ გავხდი იძულებული, დამეტოვებინა საქართველო, მეორედ — სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

**— რა მიზეზით, ბატონო მურმან?**

— პირველ შემთხვევაზე იმდენი დაიწერა, რომ შეიძლება აღარც ღირდეს გამეორებად. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ოპოზიციონერების უმრავლესობა, რომლებიც მაშინ აქტიურად ილაშქრებდნენ ეროვნული ხელისუფლების, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, დღეს ხვდებიან, რა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ორად გახლიჩეს საქართველოს მოსახლეობა და ერთმანეთს დაუპირისპირეს.

დღეს ისინი ცდილობენ, გაემიჯნონ თავიანთ ძველ ოპოზიციონერობას. ღმერთმა შეუნდოს!

**წარსულის გამოცდილებით დამძიმებული, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველობა ღმერთს შევთხოვდით, აეცილებინა ბატონი ბიძინასთვის ის სატანისტური ძალები, რომლებმაც წლების წინათ დასაღუპად გაწირეს ქართული ეროვნული სახელმწიფო, რომლის მშენებლობა ის-ის იყო იწყებოდა.**

მეორე ჩემი იძულებითი ემიგრაცია დაკავშირებულია მიხეილ სააკაშვილის პერიოდის ოლიგარქების პარპაშთან, როცა ელიტურმა კორუფციამ ხელთ იგდო მთელი ბიზნესი, უწინარეს ყოვლისა, იმპორტ-ექსპორტის ნაკადები, ბიუჯეტი, სრულად გაყვლიფა ხალხი და მილიარდობით ქონება ჩაიჯიბა.

საკვირველი რა არის, იცით? ეს ადამიანები, რომლებიც თავიანთი კერძო საკუთრების გამრავლებაზე იყვნენ გადაგებულნი, ფეხქვეშ თელავდნენ კერძო საკუთრების უფლებას, კლავდნენ წვრილ და საშუალო ბიზნესს, გადასახადების პერმანენტული გაზრდით ახრჩობდნენ ისედაც გაღატაკებულ ხალხს. პარალელურად კი მათი **დაქირავებული ლობისტები აქ, ჩვენთან, საზღვარგარეთ სააკაშვილის ავტორიტარულ მმართველობას წარმოგვიდგენდნენ, როგორც „დემოკრატიის შუქურის“ გამონათებას.**

აი, ამ ოლიგარქებმა, კერძოდ კეზერაშვილის ბანდამ, ჩემი და ჩემი პარტნიორების ბიზნესის ხელში ჩასაგდებად უბინძურესი ხერხები გამოიყენა.

ერთი სიტყვით, კეზერაშვილის ბანდას ძლივს გამოვასწარი და იმედით შევყურებ ჩემი ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

**— როგორია უცხოეთიდან დანახული საქართველო? როგორ აფასებთ ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებულ პროცესებს?**

— ერთ შედარებას გავაკეთებ და ნუ დამძრახავთ.

თბილისში, მოგეხსენებათ, გამართულად ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღები. ახლა აღარც კი ვიცი, დარჩა თუ არა ეს სკოლამდელი დაწესებულებები, რომლებსაც დედაქალაქის მერია „ოპტიმიზაციისა“ და „რეფორმირების“ მიზნით დაერია და ერთიმეორის მიყოლებით დახურა.

„საბავშვო ბაღების ოპტიმიზაცია“ — ამაზე დიდი სისულელე არ გამიგია, მაგრამ ახლა ამაზე ნუ ვისაუბრებთ...

„ოპტიმიზაციამდელი“ საბავშვო ბაღების ეზოებში ყოველთვის იყო „ქვიშაში სათამაშო“ კუთხეები, სადაც პატარები ქვიშის გვირაბების გაყვანით, ქვიშის სახლების აშენებით და ა. შ. უწყინრად ერთობოდნენ.

**სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ, ამ უმწიფარმა ხალხმა და იუდუშკა გოლოვლიოვებმა — ფარისევლებმა, ცრუპენტელებმა და გამყიდველებმა — ასეთ „ქვიშაში სათამაშო ადგილად“ წარმოიდგინეს მთელი საქართველო და დაიწყეს თამაში — ანგრევდნენ სახლებს და აშენებდნენ რაღაც ხუხულებს, ფატრავდნენ შენობებს და ღებავდნენ ფასადებს.**

თბილისი იქცა ამ ბიჭების სათამაშო სივრცედ, გმირთა მოედანი (განსაკუთრებით) — შადრევნების ვარიაციებით, შემდეგ — უშადრევნოდ, მწვანე კორდებით, შემდეგ — ბილიკებითა და კორდებით, ერთი ესტაკადით, მეორე ესტაკადით და გაუქმებული ქარხნის მილით მოედნის ცენტრში, რომელიც თურმე დიდების მემორიალია. ეს „რეკონსტრუქციები“ მილიონობით ლარი დაუჯდა სახელმწიფოს.

**ასე თამაშ-თამაშით გააპარტახეს ბიჭებმა საქართველო.**

**— სახელმწიფობანას ამ თამაშებს უზარმაზარი ფული სჭირდებოდა.**

— დიახ. ელიტა აქ ლაღობდა, გამათხოვრებული ადამიანები კი საზღვარგარეთ გარბოდნენ ლუკმაპურის საშოვნელად და ოჯახების გამოსაკვებად.

**რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ გრანტებისა და სესხების სახით დონორი ქვეყნებისგან მიიღო, იმ თანხით საქართველოში ახალი კუვეიტის ან შვეიცარიის აშენება შეიძლებოდა.**

— სამაგიეროდ სააკაშვილი გახდა შეიხი.

— კიდევ კარგი, რომ ხალხმა შეძლო თავისი შინაგანი ძალების, თავისი ნების მობილიზება და, ხელისუფლების მხრიდან არჩევნების არნახული ძალადობრივი გაყალბების მიუხედავად, გაიმარჯვა.

**— თქვენ, ანუ უცხოეთში მყოფი ქართველების უდიდესი უმრავლესობა, ხმაჩამორთმეულები დარჩით...**

— სამწუხაროდ, ასე მოხდა. ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, გვეიძულებინა უცხოეთში არსებული საქართველოს საელჩოები, საკონსულოები, თბილისში — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გაეხსნათ საარჩევნო უბნები. თითქოს რამდენიმე გახსნეს კიდეც, მაგრამ ეს იყო მიზერი. მზაკვრული ხერხებით კიდევ ერთხელ შეეცადა ანტიხალხური ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას.

მადლობა ღმერთს, არ გამოუვიდა. **საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობა რომ მიეღოთ, „ქართული ოცნების“ გამარჯვება კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.**

**— ბატონო მურმან, თქვენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყავით. მას შემდეგ 22 წელი გავიდა და საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატად დასახელდა მაია ფანჯიკიძე. შეაფასეთ, თუ შეიძლება.**

— ქალბატონ მაიას ჩემი შეფასება არ სჭირდება. იგი ამ ადგილის ღირსეული კანდიდატია. ალბათ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ გერმანიაში ელჩად მუშაობის დაწყებამდე მთელი ჩვენი საელჩოს მუშაობა მაშინ ჯერ კიდევ პატარა გოგოს, მაია ფანჯიკიძის (რომელიც რიგითი დიპლომატი იყო), ზურგზე გადადიოდა. იგი წარმატებით ართმევდა თავს ამ ურთულეს და მრავალმხრივ განფენილ საქმეს. იცით, რისი წყალობით?

**— თქვენ თქვით.**

— უწინარეს ყოვლისა, განსწავლულობით, შრომის საოცარი უნარის წყალობით, დიპლომატიური ალღოთი და ნიჭიერებით. ასეთ თვისებათა ამგვარი ნაზავი იშვიათია.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ იგი არ დაუშვებს იმ შეცდომებს, რომლებიც მისმა წინამორბედებმა: სალომე ზურაბიშვილმა და, განსაკუთრებით, გრიგოლ ვაშაძემ დაუშვეს, რომლებმაც გაწირეს პროფესიონალ დიპლომატთა კადრები და გვერდით დაიყენეს ისეთი შემთხვევითი ადამიანები, როგორიც მინისტრის მოადგილე ნინო კალანძე და სააკაშვილის კარნახით დაწინაურებული ცრუდიპლომატები, ბობოლების ნათესავ-მეგობრები არიან.

დარწმუნებული ვარ, რომ არ დაუშვებს, რადგან ამის საწინდარია მისი ინტელექტი და გურამ ფანჯიკიძისა და დალი კოკაიას ოჯახის უმწიკვლო სახელისა და ტრადიციების ერთგულება.

**იმედი მაქვს, რომ ევროატლანტიკური მისწრაფების პარალელურად მოგვარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც, რომ ბოლოს და ბოლოს მოვნახავთ საერთო ენას ჩვენს აფხაზ ძმებთან, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ჩვენს ძმებ ოსებთან, და შევძლებთ მინავლებული კონფლიქტის საბოლოოდ მოწესრიგებას.**

**დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ახალი მთავრობა, რომელსაც უთუოდ დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, იქნება იმ ამოცანების გადაწყვეტის შემძლე, რომლებიც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დააყენა ისტორიულმა ბედტეხილმა.**

**მჯერა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა იქნება ჩვენი სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინსვლის, სულიერების განმტკიცებისა და განათლებულობის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების, მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის მოპოვების უმნიშვნელოვანესი ისტორიული ეტაპი.**

ესაუბრა **გიორგი მექმარიაშვილი**

## «ხელისუფლების სათავეში მოსული ბიჭები «ქვიშაში თამაშით» ერთობოდნენ»



„ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობდა გენოციდი: 125 კაცი ქუჩაში მოკლეს, 420 მოქალაქე უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, ასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ გამქრალია... ეს იცით, რამხელა ციფრია? ჩვენთვის კი არა, ჩინეთისხელა ქვეყნისთვისაა კატასტროფა. ამან თუ ისე ჩაიარა, არაფერივით, მაშინ არც საზოგადოება ყოფილა აქ, არც სახელმწიფო.“

სამართალი



სოსო რობაქიძე:

# არავითარი ხელშეუხებლობა და გარანტიები, — სააკაშვილი უნდა გასამართლდეს!

**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საზოგადოება ქვეყანაში ბოლო რვა წლის მანძილზე მომხდარი დანაშაულების ობიექტურად გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოლოდინშია. არჩეული მთავრობა კი ხალხს მიუკერძოებელ სასამართლოს ჰპირდება. დაისჯებიან თუ არა რეალურად დამნაშავეები და სად უნდა მოხდეს ხელისუფლების იმ მაღალჩინოსანთა გასამართლება, რომელთა ბრალეულობაც ძიების პროცესში გამოიკვეთება, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება 2004 წლის 23 ნოემბერს სამართალდამცავების მიერ დიდუბის ეკლესიასთან მოკლული ბუტა რობაქიძის მამა — სოსო რობაქიძე.**

**— ბატონო სოსო, პირველი და უმთავრესი, რასაც საზოგადოება არჩეული მთავრობისგან ელოდება, დამოუკიდებელი სასამართლო, ობიექტური გამოძიებები და ბოლო წლების მანძილზე მომხდარი გაუხსნელი საქმეების გამომზეურებაა. თქვენი აზრით, უნდა დადგეს თუ არა ყველა იმ პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც თუნდაც რაიმე აკავშირებდათ ამ დანაშაულებთან?**

— პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე, ბუნებრივია, ახლა ბევრი საუბრობს და, ძირითადად, ზოგადი შეფასებებია. მე თუ მკითხავთ, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს. თქვენ თუ წარმოგიდგენიათ, ფაშისტურ გერმანიაში ჰიტლერი არ დაესაჯა ვინმეს და ჰიმლერი დაესაჯა?! ანუ ამითრის თქმა მინდა: ცენტრი და **სათავე ამ საშინელი რეჟიმის იყო სააკაშვილი, ამიტომ, თუ კი საერთოდ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, რა თქმა უნდა, უწინარესად, ეს უნდა იყოს პრეზიდენტი.** აქ თუ რაღაც მცირე ჭანჭიკებზე დაიწყეს ჯოხის გადატეხვა, რეალურად ეს არაფერს ნიშნავს. უნდა დაისაჯოს ახალაია, მერაბიშვილი, ადეიშვილი, რამიშვილი და სხვები. ესენი არიან სიკვდილის ბრიგადების ავტორები.

**— ბევრმა უკვე მოასწრო გაქცევა.**

— ეს არაფერს ნიშნავს, ვერავინ ვერსად გაიქცევა. ამათმა, ამ სიკვდილის მოციქულებმა, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აგონ პასუხი და თანაც ისე, რომ ანალოგიური რამ საქართველოში აღარასდროს განმეორდეს. **ამათ საზოგადოება მოექცევა ისე, როგორც ფაშისტურ პარტიას მოექცა მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და საბოლოოდ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ გაქრება პოლიტიკური ასპარეზიდან. ის, რომ თავის დროზე ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში, არამხოლოდ ერთი კაცის, მთელი ერის შეცდომა იყო და ამას უკვე ხალხი აღარ გაიმეორებს...**

**— თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, სააკაშვილმა ახალ მთავრობას რამე პრობლემები შეუქმნას? ბევრი ფიქრობს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერ კიდევ აქვს პროცესების შემობრუნების შანსი.**

— სააკაშვილი შეიძლება გიჟია და ენა ტვინისგან ცალკე გაურბის, მაგრამ ერთ რამეს უკვე ხვდება: მისი დრო საბოლოოდ დამთავრდა. რაც შეეხება შემობრუნებას, ამას, ალბათ, უფრო ის ხალხი ამბობს, რომელიც დღემდე ვერ ეგუება „ნაციონალური მოძრაობის“ კრახს. რეალურად რომელ შემობრუნებაზეა საუბარი? ამათ რისი იმედი აქვთ საერთოდ? როგორც ჩემი შვილი ვერ მობრუნდება ამ ქვეყანაზე, ისე ესენი ვერ მობრუნდებიან... ვინ მოაბრუნებს ამათ, ამ ნაძირლებს მიწა უნდა ეწვოდეთ ფეხქვეშ, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. არავითარი ხელშეუხებლობა და გარანტიები... ღმერთმა ნუ ქნას, ეს ხალხი არ დაისაჯოს, თორემ ვერც ერთი მთავრობა, ვინც უნდა მოვიდეს, დიდხანს ვერ გაძლებს. **სამართლიანობა თუ არ აღსდგა ამ ქვეყანაში, არაფერი გამოვა — ვერც სოფლის მეურნეობა განვითარდება, ვერც უმუშევრობის პრობლემა მოგვარდება და ვერც ეკონომიკა წავა წინ, იმიტომ, რომ ქართველ კაცს ასეთი მომენტი არ უნდა შეუქმნა: ღორივით შეუყარო საჭმელი საღორეში და სულში აფურთხო...**

**— თქვენ თქვით, რომ, პირველ რიგში, სააკაშვილი უნდა გასამართლდეს. ის ჯერ კიდევ ერთი წელი პრეზიდენტის პოსტზე რჩება. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთ პირობებში მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება?**

— სიმართლე გითხრათ, არა მგონია, რომ სააკაშვილი ეს ერთი წელი დარჩეს, მაგრამ რომც დარჩეს, ყურებდაჭრილი სააკაშვილი ვის რაში სჭირდება? არავინ მას არ დაიცავს — არც დასავლეთი და არც ის სენატორები, ძმაკაცებად რომ მიაჩნდა. სპეცრაზმს რაც შეეხება, იმედებს რომ ამყარებდა მასზე და გახსოვთ, არჩევნების დღეს რაც გააკეთეს ხაშურში, ისიც კი აღარ ჰყავს უკვე. ისე, ამ სპეცრაზმშიც ბევრია დამნაშავე და პასუხისგებაში მისაცემი; **ხალხს თავში რომ დამიზნებით ესროდნენ და ხელებაწეულ ადამიანებს ცემით კლავდნენ, ვინაა ამაზე პასუხისმგებელი? ვიმეორებ, თავიდან, ხელმძღვანელობიდან, უნდა დაიწყოს გასამართლება და რიგითი შემსრულებლებით დამთავრდეს.**

> **ხალხს თავში რომ დამიზნებით ესროდნენ და ხელებაწეულ ადამიანებს ცემით კლავდნენ, ვინაა ამაზე პასუხისმგებელი? ვიმეორებ, თავიდან, ხელმძღვანელობიდან, უნდა დაიწყოს გასამართლება და რიგითი შემსრულებლებით დამთავრდეს**

**— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ იგეგმება ტელეკომპანია „რეალტივის“ დამფუძნებლის, გურამ დონაძის, დაკავება.**

— **დონაძე ციხეში უნდა იყოს, რა თქმა უნდა. ეს ადამიანი ფიგურირებს ჩემს საქმეში, რობაქიძის, გირგვლიანისა და კიდევ უამრავ სიბინძურეში. არამარტო დონაძე, ასევე ციხეში უნდა იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ზურაბ მიქაძე, რომელიც გაქცეულია, და ქალაქის ყოფილი პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი. ამათ იმდენ სისაძაგლესა და არაკაცობაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, რომ მათი დაუსჯელობა, ამ შემთხვევაში, იქნება მთელი ერისა და ქვეყნის შეურაცხყოფა.**

**— მეორე მხრივ, მასობრივი დაპატიმრებები და პასუხისმგებლობის დაყენება ყველა მაღალჩინოსნის მიმართ ხომ არ მიიღებს გარკვეულწილად რევანშისტულ ხასიათს?**

— ჯერ ერთი, საუბარი არ არის ყველას მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე. აქ ლაპარაკია მხოლოდ დამნაშავეების დასჯაზე. ეს არაა რევანში. მე ხომ არ ვამბობ, უნდა მივყვეთ და განურჩევლად ყველა დავიჭიროთ, გავასამართლოთ-მეთქი?! ამას ამბობდა სააკაშვილი (ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო). სამართლიანად, კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ყველა აგებს პასუხს. რაც შეეხება შურისძიებას, არამართლზომიერად, არაკანონიერი ფორმით თუ ვინმე დაისჯება, არ აქვს მნიშვნელობა, მან რა დანაშაული ჩაიდინა, პირველი მე ამოვიღებ ხმას და გავაპროტესტებ, იმიტომ, რომ თვითონ ვარ უსამართლობის მსხვერპლი. ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს სავარძლების გამოყენება პირადი ინტერესებისთვის და ცოცხების, „დუბინკების“ მანიაკები საქმეს უნდა ჩამოშორდნენ. მე მგონი, ამისთვის იბრძოდა ამდენი წელი ქართველი ხალხი და ღმერთის წყალობით, როგორც იქნა, რაღაცას მივაღწიეთ.

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გაგახსენებთ: „ჩვენ ჩვენს ოპონენტებს ისე არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა იმსახურებს“-ო. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს განცხადება?**

— მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო ძალიან სწორი, ადეკვატური სიტყვა და ამით ბიძინა ივანიშვილმა ყველა, ვინც იქ იყვნენ, სააკაშვილიდან დაწყებული, დამთავრებული კუბლაშვილითა და სხვებით, ფაქტობრივად, „მიაჩმორა“. ბევრმა ეს განცხადება გაიგო, როგორც რაღაც პატიებისა და შერიგების რიტორიკა, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება მის სხვა სიტყვებსაც. **კაცმა თქვა, რომ იქნება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო. მორჩა, გათავდა! ამით ყველაფერი ნათელია: თუ სასამართლო იქნება, ესე იგი ამ ნაძირალა არაკაცებიდან, ეს დანაშაულებრივი რეჟიმი ვინც დანერგა, არც ერთი არ დარჩება დაუსჯელი.** ბოლოსდაბოლოს კოალიციის ლიდერებმა კარგად იციან, რომ ხალხის მთავარი დაკვეთა არის სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება; და ასეთი სახელმწიფო ვერანაირად ვერ შედგება, თუ დონაძის, ღვინიაშვილის, მიქაძისა და ადეიშვილ-მერაბიშვილისნაირი კრიმინალები თავისუფლად ივლიან.

**— თქვენი აზრით, სად უნდა მოხდეს ხელისუფლების მაღალჩინოსნების გასამართლება — საქართველოში თუ საერთაშორისო სასამართლოს მიერ?**

— არავითარი საერთაშორისო სასამართლო! ამ ადამიანებს დანაშაული საზღვარგარეთ არ ჩაუდენიათ. ისინი წლების მანძილზე სათავეში ედგნენ დანაშაულებრივ რეჟიმს ამ ქვეყანაში, გაფლანგეს სახელმწიფოს ფული, გააუბედურეს უამრავი ოჯახი, დახოცეს უდანაშაულო ადამიანები, ხალხი ქუჩაში დახვრიტეს... როცა პრეტენზია გვაქვს დემოკრატიაზე და ვესწრაფვით ცივილიზებულ სამყაროს, საერთოდ რატომ უნდა ჩნდებოდეს კითხვა: სად გასამართლდებიან ისინი?! გადაჭარბების გარეშე ვამბობ, **ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობდა გენოციდი: 125 კაცი ქუჩაში მოკლეს, 420 მოქალაქე უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, ასობით ადამიანი უგზოუკვლოდ გამქრალია... ეს იცით, რამხელა ციფრია? ჩვენთვის კი არა, ჩინეთისხელა ქვეყნისთვისაა კატასტროფა.** ამან თუ ისე ჩაიარა, არაფერივით, მაშინ არც საზოგადოება ყოფილა აქ, არც სახელმწიფო და რა გვინდა საერთოდ, რას ვითხოვთ. სხვათა შორის, არ მინდოდა ახლა ამაზე მესაუბრა, მაგრამ რადგან პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, **არანაკლებ მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი თქვენს კოლეგებსაც, ჟურნალისტებს, ვიდრე ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანს. ყველა ჟურნალისტს არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, მხედველობაში მყავს „რუსთავი 2“ და „იმედი“, მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილი მოკვდა...**

**— მიგაჩნიათ, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს?**

— პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ სამართლებრივი, ამ შემთხვევაში საუბარია მორალზე, როცა იცი, რომ სიბინძურეს ემსახურები. ახლა იტყვიან, ვმუშაობდი იმიტომ, რომ ოჯახი მყავდა სარჩენიო. ოჯახი რომ გყავს სარჩენი, ძმაო, ჩემი ოჯახი დაიქცა და შენ ამას ტაშს უკრავდი... არ გვაქვს ჩვენ სამი და ოთხიათასლარიანი ხელფასები, მაგრამ ვცხოვრობთ, როგორღაც თავი გაგვაქვს! ასე რომ, არანაირი ახსნა, არანაირი გამართლება მათ საქციელს არ აქვს. რა თქმა უნდა, ისინიც თანამონაწილენი არიან იმ საშინელი აღვირახსნილობის, რომელიც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა.

> **ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობდა გენოციდი: 125 კაცი ქუჩაში მოკლეს, 420 მოქალაქე უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, ასობით ადამიანი უგზოუკვლოდ გამქრალია...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თავისუფალ და სამართლიან“ არჩევნებს უწოდებენ იმას, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩვეული უტიფრობით მიიწერა ამომრჩევლის ხმები და 40 პროცენტი გაიფორმა! პირიქით, ობამას ეს წერილი სამომავლოდ სააკაშვილის „დემოკრატიულ მემკვიდრეობას“ უყრის საძირკველს.**

# ძია სემის მორიგი ფოკუსი



**„ქართული ოცნების“ გამარჯვებით აღფრთოვანებულ ხალხს „უფროსი ძმა“ ნათლად მიანიშნებს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შედეგები გადახედვას არ ექვემდებარება. პირსისხლიანი რეჟიმი, რომლის გასტუმრებასაც ადამიანები ერთმანეთს ულოცავენ, არსად წასულა, მეტიც – ოკენისგაღმელი პატრონები აშკარად გვაჩვევენ იმას, რომ იგი დემოკრატიის ნიმუში და პატრიოტიზმის მაგალითია. „დემოკრატიის შუქურა“ ახლა უკვე შუქურაზე მეტია; იგი „დემოკრატიული პროგრესისა და წარმატების“ ფლაგმანი ხდება.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ოპოზიციაში გადასული პარტიის ლიდერს და შეთავსებით საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ბარაკ ობამას წერილი გადასცა, რომელშიც ნათქვამია: „ვარდების რევოლუციის მემკვიდრეობის დასაცავად და თქვენი ქვეყნის მომავლის ევროპასთან დასაკავშირებლად შეუძლებელია გაკეთებულიყო იმაზე მეტი, ვიდრე ისეთი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვა, როგორიც დაადასტურებდა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატებას... ახლა, როდესაც არჩევნებმა უკვე ჩაიარა, მსოფლიო ხედავს, რომ საქართველომ ეს ეტაპი თქვენი ლიდერობით გადალახა“.

**ერთი სიტყვით, არც იფიქროთ, რომ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების გამო ვინმეს პასუხს მოთხოვთ – მთავარი ის არის, რომ სააკაშვილმა საარჩევნო ურნებთან არ დაგვხოცა! ამერიკის შეერთებული შტატები ცოცხალი თავით არ აღიარებს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში დემოკრატიის სახელით მოქმედ ბანდას უჭერდა მხარს. „თავისუფალ და სამართლიან“ არჩევნებს უწოდებენ იმას, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩვეული უტიფრობით მიიწერა ამომრჩევლის ხმები და 40 პროცენტი გაიფორმა! პირიქით, ობამას ეს წერილი სამომავლოდ სააკაშვილის „დემოკრატიულ მემკვიდრეობას“ უყრის საძირკველს.**

„ეს არის თქვენი დემოკრატიული პროგრესისა და ამ კურსის მიმართ ერთგულება, რაც თქვენი მტკიცე მემკვიდრეობა იქნება. მაშინ, როდესაც არჩევნების შედეგები თქვენთვის და თქვენი მხარდამჭერებისთვის დიდი იმედგაცრუება იყო, ამ შედეგებმა აჩვენა, რომ თქვენი მმართველობის დროს საქართველოში ჩამოყალიბდა მოქნილი და კონკურენტუნარიანი დემოკრატია. წინსვლისთვის საქართველოს დასჭირდება, რომ თქვენ განაგრძოთ ქვეყნის მართვა და პარლამენტთან და „ქართული ოცნების“ კოალიციის ლიდერებთან ერთად იმუშაოთ, რათა მთავრობის გადაბარებისა და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს. თქვენ ერთად გეკისრებათ პასუხისმგებლობა, განაგრძოთ თქვენი ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება. თქვენმა საჯარო განცხადებებმა არჩევნების შედეგების ცნობასთან დაკავშირებით, დაამტკიცა, რომ თქვენთვის უპირველესი ყველა ქართველის ინტერესის გათვალისწინებაა“.

**შეერთებულ შტატებს სწორედ ასეთი ხელისუფლება სჭირდება საქართველოში; არც ერთს არა აქვს გადამწყვეტი უმრავლესობა. ერთიც და მეორეც შეკავებულ მდგომარეობაში ჰყავთ და არც ერთს არ მისცემენ იმის საშუალებას, რომ მკვეთრი მოძრაობა გააკეთოს. „დარჩი ჩვენთან, არ მიგვატოვო“, — მიმართავს ობამა სააკაშვილს. პასუხისმგებლობაც ორივეს გეკისრებათო, შეახსენებს. თუ იმას, რაც საქართველოში ბოლო 9 წლის განმავლობაში ხდება, მართლაც „ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება“ ეწოდება, რაღას ვერჩოდით სააკაშვილს? მაინც აქ არის და სამუდამოდაც დარჩენილიყო! თუმცა არის ასეთი ფრთიანი გამოთქმა: „წადი, რათა დაბრუნდე“!**

ამასობაში სააკაშვილი საკუთარ უფლებამოსილებას სრულად იყენებს და რეგიონებში რწმუნებულებს ნიშნავს. კახეთის რეგიონში რწმუნებულად ზურაბ ჭიაბერაშვილი დაინიშნა, იმერეთში — ვახტანგ ბალავაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთში — ზაზა გოროზია, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — გიორგი ჭელიძე. საკუთარ კრეატურას ხელფასებს უზრდის და პარტიულ მშენებლობასაც განაგრძობს. ბიძინა ივანიშვილი კი ბოლომდე იმასაც ვერ ამბობს, რომ მის წინააღმდეგ რევანშისტული გეგმა არსებობს.

**„რაც შეეხება რევანშისტულ გეგმას ჩემ წინააღმდეგ, ასეთი გეგმა არ არსებობს და საზოგადოებას შეუძლია მშვიდად იყოს. თუმცა არ გამოვრიცხავ ასეთი გეგმის მზადებას, ჩვენ პოლიტიკური დევნის განხორციელებას არ ვაპირებთ და ამგვარ გეგმებს მათი არსებობის შემთხვევაში სამართლიანი სასამართლო გაარჩევს“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

ვიდრე ჩვენი ამერიკელი ძმები სასამართლოსაც ისეთივე „სამართლიანად“ არ მოგვინათლავენ, როგორც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებს, რევანშისტების გასამართლების იმედი არ დაგკარგვოდეთ, უსამართლობის გამოსწორება კი დღესაც ისევე შორია, როგორც 1 ოქტომბრამდე! ყოველ შემთხვევაში, ობამას წერილი ზუსტად ამაზე მიგვანიშნებს...

**თამარ დავითულიანი**

---

ნინო ბურჯანაძე:

## «ქართულ ოცნებას» 26 მაისის მოვლენების გამოსაძიებლად მივმართავთ



**როგორც ჟურნალისტებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბუჯრანაძემ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ განუცხადა, „სახალხო კრება“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს.**

**„თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ უარი ვთქვით საპარლამენტო არჩვენებში მონაწილეობაზე, რათა ოპოზიციური ხმები არ გაყოფილიყო. ჩვენი წარმომადგენლები პრაქტიკულად ყველა საარჩევნო უბანზე ეხმარებოდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და დარწმუნებული ვართ, რომ თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასა“ და „სახალხო კრებას“ შორის კიდევ უფრო გაღრმავდება. ძველი ხელისუფლება იმიტომაც იყო აუტანელი, რომ ჯანსაღი თანამშრომლობა მასთან წარმოუდგენელი იყო, თუ იყავი განსხვავებული აზრით განსხვავებული ორგანიზაციის წარმომადგენელი, მაშინ მოღალატედ შეგრაცხავდნენ“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.

ასევე ნინო ბურჯანაძის თქმით, „სახალხო კრება“ ახალ მთავრობას პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართავს.

**„ეს არის პირველი ჩვენი შეკრება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და ჩვენ გვაქვს სურვილი, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გაანალიზება მოვახდინოთ, ასევე ახალი ხელისუფლებისგან ველით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას უკანონო და პოლიტპატიმრების გათავისუფლების კუთხით. მარტო სახალხო კრებას ასეთი 40-ზე მეტი პატიმარი ჰყავს. ასევე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მივმართავთ 26 მაისის ტრაგიკული მოვლენების გამოძიების მიზნით დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივით. ასევე არის განსახილველი სხვა საკითხები, მათ შორის სამომავლო გეგმებთან და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შევუწყოთ ხელი იმ ჯასაღ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში იწყება“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.

---

# კუდის თანამშრომლები ზუგდიდი–ანაკლიის მონაკვეთზე სატელეფონო კაბელის ამოთხრას აკონტროლებენ

**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს საოლქო პროკურორ როლანდ ახალაიასთან ერთად გუბერნატორი (შემდგომ სოფლის მეურნეობის მინისტრი) ზაზა გოროზია განაგებდა. ეს ორი პიროვნება სრულიად ხელშეუხებელი იყო და მათ უდიდესი გავლენა ჰქონდათ რეგიონში. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ადამიანებს აქ კარგა ხანს პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული და მხოლოდ ახლაღა ალაპარაკდენენ.**

ამჯერად ზაზა გოროზიას ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი, სოფელ ინგირის მკვიდრი ბადრი ბიგვავა ამხელს. „ჩემზე, როგორც კომლზე, 12 წლის წინ დაკანონებული იქნა 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი სოფელ ინგირში. როცა სავალდებულო გახდა საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის გატარება, მივაკითხე ზუგდიდის საჯარო რეესტრს, სადაც, ჩემდა გასაკვირვად, მითხრეს, რომ ჩემი კუთვნილი მიწის ნაკვეთი გადაცემული ყოფილა ეკონომიკის სამინისტროსთვის და გაუმზადებიათ აუქციონზე გასატანა. როცა ვიკითხე, თუ რატომ მოხდა ეს და ვინ გააკეთა, მითხრეს: ჩვენ არაფერ შუაში არავართ, ეს გააკეთა შპს „ჰარვესთმაო“ , რომლის უკან, როგორც შემდეგ გავიგე, ზაზა გოროზია იდგა. ინგირსა და ერგეტაში პირდაპირი შესყიდვის ფორმით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შპს „ჰერვესთს“ 125 000 ლარად გადაეცა 463 ჰა მიწის ნაკვეთი, ანუ ერთი ჰექტარი — სულ რაღაც 140-145 ლარად. ამ მიწებში მოექცა ჩემი კუთვნილი მიწის ფართობიც. გარდა იმისა, რომ მიწები წაგვართვეს, საქონელსაც წაართვეს საძოვრები. ვის არ მივმართე განცხადებით, რომ ჩემი კუთვნილი მიწის ფართობი ოფიციალურად დამეკანონებინა, მაგრამ ამაოდ. ისიც მითხრეს, მიწა გეკუთვნის, არავინ გედავებით, მაგრამ ეს დაუზუსტებელიაო. არადა, სად და ვისთან დავაზუსტო, ვერ გავიგე, ასევე შემომთავაზეს, განცხადებით მიმემართა ეკონომიკის სამინისტროსთვის, რომ ჩემი მიწა ჩემთვის მოეყიდათ, ანუ ჩემს კუთვნილ მიწას მაყიდვინებდნენ, რაზეც უარი ვუთხარი“, — აღნიშნა ბადრი ბიგვავამ.

მისი თქმით, ხელისუფლების მზაკვრული გეგმა იაფად შეძენილი მიწების რაც შეიძლება ძვირად გაყიდვას ითვალისწინებდა, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს ამ გეგმის განხორციელება. „პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებს ეს ხელისუფლება ვერ გაყიდდა, რადგან ინვესტორს პატარა მიწები არ აინტერესებს, მას დიდი ფართობები უნდა, ამიტომ ყიდულობდნენ მიწებს მიზერულ ფასად, მერე კი გაყიდდნენ ინვესტორზე ასმაგად. ამას გოროზიას მეტი ვინ შეძლებდა, მაგრამ ვერ მოასწრეს გაყიდვა. ინგირელებს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არესებული მიწებიც წაართვეს, აეროპორტის მშენებლობას უშლის ხელსო. აეროპორტი არ აშენებულა, ნაკვეთები კი გავერადნა და გაჩანაგდა. აეროპორტის მშენებლობისა და წყალსატევების ამოვსების გამო ამ ტერიტორიის ირგვლივ მდებარე სახლები წვიმის დროს იტბორება“, — განაცხადა ბადრი ბიგვავამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბადრი ბიგვავა 2009 წელს „ცნობილი“ მეგის ქარდავას ახირების გამო გათავისუფლდა დარჩელის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობიდან. „2008 წელს სოფელ განმუხურში გადმოსულმა რუსებმა მძევლად აიყვანეს ჩვენი პოლიციელები და მათ გათავისუფლებაში მე მიმიძღვის ლომის წილი, ჯილდოები და დამსახურებები კი სხვებმა მიიღეს, ამის გამო გმოვთქვი გულისტკივილი, რაც არ მოეწონა მეგის ქარდავას და, როგორც მისთვის მიუღებელი პიროვნება, იძლებული გამხადა, დამეტოვებინა პოლიცია“, — დასძინა ბადრი ბიგვავამ,

ზაზა გოროზიას შპს „ჰარვესთს“ კიდევ ერთი პიროვნება, გალის რაიონის სოფელ გუდავას მკვიდრი, დროებით სოფელ ინგირში მცხოვრები — რემიკო ეზუგბაია უჩივის. „ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი, — წერს რემიკო ეზუგბაია, — 1997 წლიდან ვცხოვრობ სოფელ ინგირში. აქ შევიძინე 700 კვ.მ მიწის ფართობი და ამიშენეს სახლი 5 სულისათვის, მეორე ხუთ სულზე, მიწის უქონლობის გამო, დავკარგე მეორე შვილის საცხოვრებელი სახლი. ინგირის ტერიტორიაზე ერთი ჰექტარი ეკალ-ბარდებით დაფარული მიწის ფართობი გავწმინდე, ამ მიწის ფართობის დაკანონებაზე ვის არ მივმართე, მაგრამ ყველგან უარით გამომისტუმრეს, რადგან ეს მიწები თურმე შპს „ჰარვესთს“ ეკუთვნის.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**P.S. სოფელ ინგირში ერთი საინტერესო ამბავიც გავიგე: ახლახან ზუგდიდიდან ანაკლიამდე ერთი მეტრის სიღრმეში მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ჩადებული სატელეფონო კაბელის ამოთხრა დაუწყიათ. ეს არის სპეცკავშირისთვის გათვალისწინებული მრავალწვერიანი კაბელი და 18%-მდე ძვირფას ლითონებს შეიცავს. კაბელი სპეციალური ტექნიკის საშუალებით ამოაქვთ და ყოველ 20 მეტრში ჭრიან. საგულისხმო ის არი, რომ ამ პროცესს იცავენ და აკონტროლებენ კუდის თანამშრომლები.**

**„ტუღუშის თანაშემწე გიორგი მშვენიერაძემ მითხრა, რომ რამდენიმე მიზეზის გამო ჩვენ ვერ ვაღიარებთ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს და ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ, როდესაც სოზარ სუბარმა აღიარა პოლტპატიმრები, ის ხელისუფლებამ დაბლოკა და შემდეგ ხელისუფლებას მისი ხმა აღარ ესმოდა და მის ანგარიშებსაც აღარ კითხულობდაო.“**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კა(დ)რუსელი

**– შედი, ქალო, ბუდკაში!**
**– არ ვარ იმნაირი!**
**– შედი, ქალო, ბუდკაში!**
**– არ ვარ იმნაირი!**
**– შედი, რანაირიც გინდა, იმნაირი იყავი, აფეთქებაა, არ დაიღუპო!**



**ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის საბოლოო შემადგენლობის წარდგენა ამ ძველი ჭიათურული ანეკდოტით დაიწყო. „ჩემი ბავშვობისდროინდელი ანეკდოტია, მაღაროებს რომ აფეთქებდნენ ჭიათურაში“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა. შემდეგ დასძინა, არ მოსწონთ, ასე ხუმრობით რომ ვიწყებ მთავრობის წარდგენასო. ახლა მთავარია, მთავრობის დამტკიცების შემდეგაც ხუმრობის ხასიათზე იყოთ, ბატონო ბიძინა, თორემ ჩვენი მოსაწონი მთავრობა საქართველოს დღემდე არ ჰყოლია!**

რაღაც რომ არც თვითონ მოეწონა, ცხადია, რადგან უკვე წარდგენილი კანდიდატები შეცვალა. **ამირან გამყრელიძის ნაცვლად ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატად დავით სერგიენკო დაასახელა, რომელიც საჩხერის სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობდა. „კარგი პედიატრია, კარგი რეანიმატოლოგი და კარდიოლოგიაშიც ერკვევა“,** — ბრძანა ივანიშვილმა. ეს სამმაგი დატვირთვა „ექიმის, მეწარმის და ლიდერის“ მოგონებებს აღძრავს (საოცარი დამთხვევით, ისიც გამყრელიძე იყო გვარად), თუმცა ამ კანდიდატის ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ იგი ქართულად ჩინებულად მეტყველებს. სერგიენკო კონკრეტიკისგან თავს იკავებს, ხოლო გამყრელიძის (ამირანის) დანაპირებ უმუშევრობის კომპენსაციას და მომატებულ პენსიას მას რომ ველარავინ მოსთხოვს, ეს ნათელია.

**ივანიშვილის უშუალო კადრია, აგრეთვე, ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც „ქართუ ბანკის“ ტოპმენეჯმენტში მუშაობდა.** სულ მას 18-წლიანი წარმატებული კარიერა ჰქონია, რომელთაგან 13 წელი საფინანსო სისტემებში უმუშავია. ამის მიუხედავად, იგი ივანიშვილმა ფინანსთა მინისტრად როდი წარადგინა; იქ ნოდარ ხადური წამოაყენა, რომელიც მანამდე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ მოიაზრებოდა. ასე და ამგვარად, წარმატებული ფინანსისტი ეკონომიკის მინისტრი იქნება, ხოლო ეკონომიკური განვითარების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი — ფინანსთა მინისტრად. **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის კანდიდატურაც შეიცვალა — ამ პოსტს დროებით დავით ნარმანია ჩაიბარებს, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გახდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად ადრე წამოყენებული კახი კალაძე ენერგეტიკის მინისტრი გახდება.** იგი ერთნაირად შორს არის რეგიონული განვითარებისგანაც და ენერგეტიკისგანაც, თუმცა, ძირითადი თანამდებობის შეცვლის მიუხედავად, იგი ვიცე-პრემიერის ადგილს მაინც შეინარჩუნებს.

**განათლების მინისტრობის კანდიდატად დასახელდა გიორგი მარგველაშვილი, რომლის დაყოლიებაზეც ივანიშვილს ყველაზე მეტი დრო დახარჯვია.** ეს ის გიორგი მარგველაშვილია, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი პოლიტიკოსები და ამიტომ გიგა ბოკერია პოლიტიკაში უთუოდ უნდა დარჩეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნატვრა მას უკვე აუსრულდა. ბოკერია არა მარტო დარჩა პოლიტიკაში, არამედ ორ ბანაკს შორის ხიდად არის გადებული!

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დავით დარახველიძე უხელმძღვანელებს, რომელმაც ამბროლაურის მაჟორიტარული არჩევნები „ნაციონალ“ ენუქიძესთან სულ რაღაც 126 ხმით წააგო.** ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია, რომ დარახველიძე შევარდნაძის რწმუნებული იყო რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. გარემოს დაცვის მინისტრობის კანდიდატად ხათუნა გოგოლაძე დასახელდა.

სააკაშვილის საკადრო კარუსელებს საქართველო იმდენად შეეჩვია, რომ აღარც ვერონიკა ქობალიას „მდგრადად განვითარებული“ ეკონომიკა აოცებდა და აღარც უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნილი მინისტრები თუ პროკურორები. რამ გამოიწვია ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი მთავრობის წევრების ეს კადრუსელი, ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ რაკი მომავალმა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრთა წარდგენა ანეკდოტით დაიწყო, ჩვენც ასევე დავასრულოთ:

**საბჭოთა ხანაში კომპარტიის ცეკაში ერთი გლეხი მისულა და უთხოვია, რამე ისეთ სამსახურში გამამწესეთ, არაფერი რომ ვაკეთო და ჰალსტუხ-კოსტუმით ვიაროო! უპასუხეს:**

**— ეს, ბატონო, ასე არ ხდება, კადრების ამბავია!**

**— თქვენ მიმიღეთ და მე ვიკადრებ, ბატონო, ვიკადრებო! — უპასუხა ენამახვილმა გლეხმა.**

**თამარ დავითულიანი**

# რატომ არ მოაწერეს ხელი პოლიტპატიმრების დასაცავად შექმნილ მემორანდუმს სახალხო დამცველმა და საიამ?

**იურისტმა კოკა კვინიკაძემ სოციალურ ქსელ facebook- ში იმ არასამთავრობო თუ პოლიტიკური ორგანიზაციების სია გამოაქვეყნა, რომლებიც აღიარებენ ან არ აღიარებენ საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას. პარადოქსია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოში არიან ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობას არ აღიარებენ. როდესაც ჩვენ დავინტერესდით, თუ რატომ არ მოაწერეს ხელი არასამთავრობო ორგანიზაციებმა პოლიტპატიმრების დასაცავად შედგენილ მემორანდუმს, აღმოჩნდა, რომ ეს სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. ზოგიეთმა კვინიკაძეს პოპულისტიც კი უწოდა, სხვებმა კი მიზეზად მოუცლელობა და მემორანდუმის ტექსტის გაუმართაობა დაასახელეს. ფაქტი კი ერთია — მემორანდუმს მათ ხელი არ მოაწერეს. „საქართველო და მსოფლიო“ იურისტ კოკა კვინიკაძეს დაუკავშირდა.**



გიორგი ტუღუში



თამარ ჩერგოლეიშვილი

**— თქვენ გამოაქვეყნეთ იმ ორგანიზაციების სია, რომლებმაც მემორანდუმზე არ მოაწერეს ხელი. რა მოტივით განაცხადეს მათ უარი?**

— უარის მიზეზი სხვადასხვა იყო. მაგალითად, **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა** თავიდან განაცხადა, რომ ტექსტი დაუბალანსებელიაო. მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვით ადრე გადავუგზავნე და ვუთხარი, რომ, თუ საჭირო იყო, თავიდან გადავუგზავნიდი და ჩავასწორებდი, რადგან მაშინ ხელმოწერები ჯერ კიდევ არ მქონდა და პირველად სწორედ მას შევთავაზეთ მემორანდუმზე ხელის მოწერა. ნებისმიერ თქვენს შენიშვნას გავითვალისწინებთ-თქო, ვუთხარი, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ვერაფერს მოიმიზეზებდა, გვიპასუხა: **მე ასე ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიანო.**

**ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ წარმომადგენელი ცირა ჭანტურია** კი, როგორც ვიცი, დღემდე ლონდონიდან ელოდება პასუხს. როგორც მითხრა, სათაო ოფისიდან თანხმობის გარეშე ხელს ვერ მოაწერდა. არადა, ერთი თვით ადრე გადავუგზავნე აღნიშნული დოკუმენტი ხელის მოსაწერად.

**— როგორც ვიცი, ზოგიერთი მათგანი მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ მცირე დრო ჰქონდათ და ასე უცებ, საკითხში გაურკვევლად ხელს ვერ მოაწერდნენ.**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს სიცრუეა, ეს კარგად იცის ეკა ბესელიამ და დაგიდასტურებთ, ვინაიდან მაშინ მე გახლდით მისი ორგანიზაციის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წევრი და თავად მირჩია, ერთი თვით ადრე გადამეგზავნა ყველასთვის დოკუმენტი. ხელმოწერების შეგროვებაში მოძრაობა „არას“ ხელმძღვანელი ლევან ჩიტაძე მეხმარებოდა და ისიც მოწმეა, როგორ გვებნებოდნენ უარს.

**— თქვენ მიმართ ერთ-ერთი პრეტენზია ტექსტის გაუმართაობაც იყო.**

— რა ვერ გაიგეს, არ ვიცი. საქართველოში არსებულმა სერიოზულმა პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოაწერეს ხელი და მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციისთვის აღმოჩნდა ტექსტი გაუგებარი? აქ არ იყო საუბარი რომელიმე კონკრეტულ პატიმარზე, რათა არ მოჰყოლოდა გაუგებრობა. თუ მიაჩნდათ, რომ თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი მაინც არის ქვეყანაში, ხელი უნდა მოეწერათ.

ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოში ნამდვილად არიან პოლიტპატიმრები და ვითხოვთ ევროსაბჭოსგან შეიქმნას საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისია, როგორც აზერბაიჯანში. იქ სწორედ ამგვარი მიმართვის საფუძველზე უამრავი პოლიტპატიმარი გათავისუფლდა. დაგეგმილი გვქონდა პრესკონფერენციის ჩატარება, სადაც დიპლომატიურ კორპუსს ხელმოწერებს დემონსტრაციულად გადავცემდით.

**ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ახლა მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად არ სურდათ ხელის მოწერა.** არადა, აღნიშნული დოკუმენტის მთავარი არსი სწორედ ის იყო, რომ ყველა, სამოქალაქო სექტორი თუ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც კი ქვეყანაში საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები.

**— რაც შეეხება ყოფილ სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშს, მან რატომ არ მოაწერა ხელი?**

— მე და გიორგი ტუღუშმა პარლამენტში საკომიტეტო მოსმენის დროს ვიკამათეთ, ვკითხე, **რატომ ამოიღო თავისი ანგარიშებიდან „პოლიტიკური დევნა“, რომელიც მანამდე არსებობდა და მეტიც, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებშიც არის ცალკე თავი, რომელიც ეხება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს საქართველოში.** მან შეხვედრა მოითხოვა, თუმცა შეხვედრის ადგილზე მისი თანაშემწე გიორგი მშვენიერაძე დამხვდა და მითხრა, რომ **რამდენიმე მიზეზის გამო ჩვენ ვერ ვაღიარებთ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს და ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ, როდესაც სოზარ სუბარმა აღიარა პოლტპატიმრები, ის ხელისუფლებამ დაბლოკა და შემდეგ ხელისუფლებას მისი ხმა აღარ ესმოდა და მის ანგარიშებსაც აღარ კითხულობდაო.** ჩვენ არ გვსურს იგივე დაგვემართოსო. მეორე მიზეზად კი დაასახელა, რომ ომბუდსმენის აპარატი არ არის ის ორგანო, რომ ვიღაცებს სტატუსები მიანიჭოსო. არადა, სტატუსების მინიჭებაზე არ იყო საუბარი, საკითხი მხოლოდ პოლიტპატიმრების აღიარებას ეხებოდა.

**— რატომ გადაწყვიტეთ სიის ახლა გამოქვეყნება, უკავშირდება თუ არა ეს ყველაფერი სახალხო დამცველის არჩევნებს?**

— ზუსტად დროული იყო ამ სიის გამოქვეყნება. მართალია, თამარ ჩუგოშვილმა სახალხო დამცველის პოსტზე თავისი კანდიდატურა მოხსნა, ახლა არსამთავრობო სექტორი მხარს უჭერს თამარ გურჩიანს. არადა, **სწორედ გურჩიანმა განაცხადა ტელევიზიით, ტუღუში საუკეთესო სახალხო დამცველი იყოო.**

**გურჩიანს არასდროს გაუპროტესტებია ციხეებში პატიმრების წამება თუ უკანონოდ ადამიანების დაპატიმრება.**

**„ენჯეოშნიკების“ გარდა, მას არავინ იცნობს. მე თავად პოლიტპატიმარი ვიყავი და ვიცი, ვინ რას წარმოადგენს.**

**შორენა ციქარაშვილი**

**P.S.** გთავაზობთ იმ ორგანიზაციების სიას, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს პოლიტპატიმრების დასაცავად შექმნილ მემორანდუმს;

1.საქართველოს სახალხო დამცველი (ყოფილი) /გიორგი ტუღუში/;
2. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ /თამარ ჩუგოშვილი/;
3. „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ /ნანი ჯანეზაშვილი/;
4. „სამართლიანი არჩევნები“ /ნინო ლომჯარია/;
5. „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ /ცირა ჭანტურია/;
6. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ /ეკა გიგაური/;
7. წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ /მარიამ ჯიშკარიანი/.

ნაც·რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბანკები საქართველოში მხოლოდ სესხის გაცემით კი არ არიან დაინტერესებულნი, არამედ იმით, რომ კლიენტის ქონება მიითვისონ. გარდა სარგებლისა, ბანკებისთვის სხვა არაფერი არსებობს, ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ომს ან მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ეხება.“**




## მშვიდობის ნობელი ევროკავშირს მიენიჭა

2012 წლის ნობელის პრემია, **ექვსი ათეული წლის განმავლობაში ევროპაში მშვიდობის გაძლიერებისთვის, ევროკავშირს მიენიჭა.** ნობელის კომიტეტის განცხადებით, ჯილდოს მინიჭების მიზეზი გახდა ევროკავშირის ქმედებები, რომლებიც ახალი ომების აღკვეთას, ასევე კონტინენტზე ვითარების სტაბილიზებას ეხება. აღნიშნული პრემია განიხილება, როგორც ევროკავშირის მხარდაჭერა, ფინანსური კრიზისის დროს. ნობელის პრემიის ოდენობა 1,2 მილიონ დოლარს შეადგენს და მისი გადაცემის ცერემონია ოსლოში 10 დეკემბერს გაიმართება.



## ლატვიის პრეზიდენტმა თავის ხალხს რუსულის შესწავლისკენ მოუწოდა

**ლატვიის პრეზიდენტმა ანდრის ბერზინშმა თანამემამულეებს რუსული ენის შესწავლისკენ მოუწოდა. მან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის პროცესში უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რუსული ენის როლს, რომლის ცოდნაც ქვეყნის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულ საწარმოებთან საქმიანობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.**

„არ შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ ყველაფერი ლატვიურ ენაზე უნდა იყოს და იმის იმედი, რომ ამგვარი მიდგომით მსოფლიოში ჩვენს ადგილს დავიკავებთ. ტრანზიტთან დაკავშირებულ სფეროებში ლატვიურის, ინგლისურის, გერმანულისა და რუსული ენების ცოდნა აუცილებელი უნდა გახდეს“, — განაცხადა ანდრის ბერზინშმა.

# ვინ და როდის დაუკანონა საბანკო სექტორს ხალხის ძარცვის უფლება?

**ბანკების მიერ განხორციელებულ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე, ყველასათვის მტკივნეულ თემაზე, თუ როგორ ვითარდებოდა საბანკო სექტორი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნოდარ მოსულიშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ნოდარ, დავიწყოთ იმით, რომ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს პრეზიდენტი ხალხის გულის მოსაგებად საბანკო სექტორის ლიბერალიზაციას აპირებს. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხომ არ იბრძვის სააკაშვილი?**

— მე ასეთი არაფერი გამიგია, მაგრამ ასეც რომ იყოს, ჩემი აზრით, მას ძალიან გაუჭირდება მიზნის მიღწევა. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც მან სწორედ ამ ბანკების მეშვეობით დამართა ხალხს. ცოტა შორიდან დავიწყებ:

თავიდან საბანკო სექტორი ძალიან მძიმედ ვითარდებოდა, მაგრამ 1996 წელს მიღებული კანონის საფუძველზე მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდა და მცირე და საშუალო ბიზნესმაც ამოისუნთქა. 90-იანი წლების ბოლოსთვის საბანკო საქმემ უკვე შესამჩნევად წამოიწია წინ და უკვე 2004-დან 2008 წლის დასაწყისამდე საბანკო სექტორს კარგი შედეგი ჰქონდა. **სამწუხაროდ, 2008 წლის მარტიდან სიტუაცია შეიცვალა, რადგან ამ პერიოდში 1996 წელს მიღებული კანონის 20-ე მუხლში ცვლილება შევიდა. მაშინ ამ პატარა ცვლილებას ბევრმა ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ სწორედ ამ სამსიტყვიანი ცვლილების დამსახურებაა ის, რაც შემდგომ მცირე და საშუალო ბიზნესსა და მეწარმეთა დიდ ნაწილს დაემართა. ამ ცვლილებამდე ბანკებს მხოლოდ საბანკო-საფინანსო ოპერაციებისა და მანიპულაციების განხორციელების უფლება ჰქონდათ, ხოლო ცვლილების შეტანის შემდეგ ბანკებმა არასაბანკო დანიშნულების ქონების მოპოვების უფლება მიიღეს.** სწორედ იმ მომენტიდან იწყება ბანკების მიერ ქონების მიტაცება, სხვას ვერაფერს უწოდებ.

**— რამდენადაც მახსოვს, 2011 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა კრიტიკულად შეაფასა ქართული ბანკები...**

— დიახ, სწორედ 2011 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა საქართველოს საბანკო სისტემის შეფასებისას ორი მაჩვენებელი დადო: **„საქართველო 79-ე ადგილზეა კრედიტის აღების სიიოლით და 104-ე ადგილზე ბანკების სიჯანსაღის მიხედვით“.** მაშინ ამ თემასთან დაკავშირებით ტელევიზიაშიც ბევრი ისაუბრეს. მოწვეულნი იყვნენ საბანკო დარგის ქართველი ექსპერტები და უკვირდათ, ნორმალურად ვვითარდებოდით და ასეთი დასკვნა რატომ დადო მსოფლიო ეკონომიკის ფორუმმაო, ვერ გაეგოთ რაში იყო საქმე. **ეს იმ პატარა კანონ-ცვლილებამ გამოიწვია, რომლის საშუალებითაც მაღალი საკრედიტო პროცენტების საშუალებით ბანკი ძვირადღირებულ ქონებას ართმევდა მეპატრონეს და სიღატაკისთვის სწირავდა, თვითონ კი უზომოდ მდიდრდებოდა.**

ამის უფლება და საშუალება კი სააკაშვილმა მისცა ბანკებს.

**— ბატონო ნოდარ, ჩვენ ხომ ევროპული ბანკების მართვის მოდელით ვხელმძღვანელობთ და როგორ ფიქრობთ, ამგვარი ცვლილებები იქაც შესაძლებელია?**

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ — არა. ასეთი რამ ყოვლადდაუშვებული და ამაზრზენია. **ბანკები საქართველოში მხოლოდ სესხის გაცემით კი არ არიან დაინტერესებულნი, არამედ იმით, რომ კლიენტის ქონება მიითვისონ.** გარდა სარგებლისა, ბანკებისთვის სხვა არაფერი არსებობს, ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ომს ან მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ეხება.



**— სააკაშვილმა მოახლოებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შესახებ არაფერი იცოდა?**

— **სააკაშვილს არა მარტო მოახლოებული კრიზისის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია, არამედ აგვისტოს ომის შესახებაც და უკვე მარტში ბატონმა პრეზიდენტმა ყველაფერი იცოდა. ომის შემთხვევაში კრედიტების გადახდის ალბათობა ერთიორად შემცირდებოდა და რატომ გაერისკა?! ამიტომაც უკვე მარტში პრეზიდენტმა სასწრაფოდ შეიტანა ცვლილება საბანკო კანონში, ლაპარაკია არასაბანკო დანიშნულების ქონების უფლებაზე,** რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. ომის შემდგომ პერიოდში თითქმის ყველაფერი გაჩერდა და ბანკის მომხმარებელთა დიდ უმრავლესობას გადაცდენა ჰქონდა, დროზე ვერ იხდიდნენ პროცენტებს. საბანკო სექტორმა 2008 წლის მარტისთვის მიღებული კანონის საფუძველზე, დიდი ჯარიმები დააკისრა მომხმარებელს და, ცხადია, მომხმარებელმა ვერ გადაიხადა. **ამუშავდა კანონი, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის სანაცვლოდ, საბანკო სექტორი მომხმარებლის ქონებას ეპატრონებოდა.**

**— ამერიკა და ევროპა ხომ ეხმარებოდა საქართველოს კრიზისთან ბრძოლაში?**

— რასაკვირველია, ისინი ჩვენ დაგვეხმარნენ და საკმაოდ დიდი თანხებიც გადმოგვირიცხეს. შემდეგ დაინახეს, რომ ეს თანხები დანიშნულებისამებრ არ იხარჯებოდა, ხალხს არაფერი ხმარდებოდა და ეს პროცესი შეჩერდა.

**— რაზე დაიხარჯა ის თანხები?**

— დაიხარჯა ათას სისულელეზე: შუშის სახლებზე, შადრევნებზე... **იმ ფულს უპრობლემოდ შეეძლო სიტუაცია დაებალანსებინა და ყველა მშვიდობით და მაქსიმალურად ნაკლები ზარალით გამოსულიყო არსებული მძიმე მდგომარეობიდან. მოხდა პირიქით, სააკაშვილმა საბანკო სექტორს ხალხის ძარცვის უფლება დაუკანონა, შექმნა ორი ძირითადი ფენა — უმდიდრესი და უღატაკესი. საშუალო ფენა კი, რომელზეც სახელმწიფო დგას, უბრალოდ, გააუქმა. უმსხვილესი ბიზნესკომპანიები სააკაშვილის ყველა მითითებას ასრულებდნენ, აფინანსებდა მის საარჩევნო კამპანიას, გართობასა და დროსტარებას.**

**— სააკაშვილი ქვეყნის სათავეში დარჩენას სამუდამოდ გეგმავდა?**

— რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, რომ არა დასავლეთის მტკიცე პოზიცია და ჩვენი ხალხის სიბრძნე, აშკარაა, რომ ჩვენი პრეზიდენტი დაახლოებით „პრინციპატის“ მსგავსი პრეცენდენტის შექმნას აპირებდა და ეს კი უკვე სამუდამო იქნებოდა. მერე კი, ვისაც ის „აკურთხებდა“, მეფეც და გამგრძელებელიც ის იქნებოდა. კაცობრიობის ისტორიას აქვს ამის მაგალითები, მაგალითად, ძველი რომის ისტორიიდან; კალიგულას დროს მთავრობა თავისი გარყვნილებითა და აღვირახსნილობით ცუდ მაგალითს აძლევდა რომის მოქალაქეებს. **პრეზიდენტის ზნეობაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ხალხში, თურმე არანაკლები გვყავს მერი — უგულავა, რომელიც თავისი ოჯახის წევრების ჩათვლით, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ მაგალითს აძლევს საზოგადოებას.**

**— ჩვენს მერს კალიგულას ადარებთ?**

— კალიგულა მაინც ადამიანი იყო, უგულავა კი... მისი დროსტარებები გვერდზე რომ გადავდოთ, რა ადამიანს უნდა მოუვიდეს თავში პატარა ბავშვების დაბეგვრა?! საბავშვო ბაღებს ვგულისხმობ. უბნების მიხედვით მოუხდენია მათი დიფერენციაცია. პრესტიჟულ უბანში 100 ლარია ბეგარა, ნაკლებად პრესტიჟულ უბანში ფასიც ნაკლებია; ამით რამხელა დარტყმას აყენებს მშობელსაც და ბავშვსაც! არადა, ბაღში თუ არ მიიყვან ბავშვს და ხარკს არ გადაიხდი, სკოლაში არ მიიღებენ. საერთოდ, სახელისუფლო გუნდს ასეთი „ნოვატორული“ აზრები ხშირად მოსდიოდა თავში, ხალხს კი უკვე აღარ სურს ამის ატანა.

ესაუბრა **ეკა კახიანი**



მოკლედ

## აშშ და ისრაელი ირანზე «ქირურგიულ დარტყმას» ამზადებენ

**ამერიკელმა ანალიტიკოსმა დევიდ როტკოპფმა ჟურნალ Foreign Report-ში გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ აშშ-მა და ისრაელმა ირანის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გადალახეს და ერთობლივი ოპერაციის გეგმას ამზადებენ ირანის ბირთვული ობიექტების წინააღმდეგ.** სტატიაში აღნიშნულია, რომ საქმე ეხება ირანის ბირთვულ ობიექტებზე ერთობლივ ქირურგიულ შეტევას. ის რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე გაგრძელდება. ძირითად დარტყმას უპილოტო საფრენი აპარატები და ბომბდამშენები განახორციელებენ. გამოცემა წერს, რომ ისრაელს დამოუკიდებლად არ შეუძლია გაანადგუროს საწარმოები, რომლებიც მიწისქვეშ ღრმად არიან დამალულნი. აშშ-ს კი აღნიშნული ოპერაციის ჩატარება ისრაელის მხარდაჭერის გარეშეც შეუძლია.

## ნატო თურქეთს სირიის შეტევისაგან დაიცავს

**ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თურქეთს სირიის შეტევისაგან დაიცავს.** „ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო გეგმა იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში თურქეთი დავიცვათ“, — განაცხადა რასმუსენმა. შეგახსენებთ, რომ ორმხრივი სროლების შემდეგ თურქეთისა და სირიის საზღვარზე ვითარება დაძაბულია.

**მე ვთვლი, რომ სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც მოამზადა, პარლამენტში ხმა მისცა და სამოქმედოდ გაიხადა განათლებისა და მეცნიერების შესახებ მიღებული კანონი. უნდა დაისაჯონ ისინიც, ვინც სკოლებში მანდატურები შეუშვა, დაანგრია საუნივერსიტეტო სტრუქტურები (კათედრების გაუქმება და უაზრო დეპარტამენტების შექმნა), ვინც დაარღვია წოდებების გრადაცია და ყველას მისცა პროფესორის წოდების ტარების უფლება და გააუფასურა ეს მეტად საპატივცემულო თანამდებობა, ვინც არ მისცა საშუალება ახალგაზრდებს, დაეუფლოს იმ სპეციალობას, რომელიც მას სურს, და არა იმას, რომელზეც იძულებით სწავლობს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ლომაიამ დაფაზე «ბავშვის» ნაცვლად სამჯერ დაწერა «ბაშვი»... ვაი სირცხვილო!

**ადამიანებისათვის აზროვნება ღვთითბოძებული სიკეთეა, ნიჭი კი — ის გვირგვინი, რომელიც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. მსოფლიო ხალხთა ენციკლოპედიაში ქართველები ნიჭიერ ერთა შორის მოვიხსენიებით და ეს არ არის შემთხვევითი.**





საზოგადოების წინსვლას განვითარების ყველა ეტაპზე ინტელექტუალები განსაზღვრავენ, ამიტომაც იყვნენ ისინი პატივდებულები და დაფასებულები ყველა დროსა და ეპოქაში. საყოველთაოდაა ცნობილი ალექსანდრე მაკედონელისა და ანტიკური ხანის დიდი მეცნიერის, დიოგენეს, შეხვედრის ლეგენდადქცეული ამბავი, როდესაც მარმარილოს სასახლეებს მიჩვეულმა დიდმა მხედართმთავარმა კასრში მჯდომ მეცნიერთან მუხლი მოიყარა... რატომ? თვითონ არისტოტელეს აღზრდილი იყო და იმიტომ.

მეცნიერების ძირითადი საქმიანობა ფიქრი და აზროვნებაა, რომლის შედეგადაც იქმნება ის სამეცნიერო პროდუქცია, რომელიც საზოგადოების პროგრესისა და წინსვლის საფუძველია. ინტელექტუალური შრომისთვის იღებენ ისინი გასამრჯელოს, მათმა აზროვნებამ მოგვცა საშუალება, შევეცნო სამყარო და მთვარეზეც „გაგვესეირნა“.

**„ძალიან დიდი ხომ არაა მეცნიერთა ჯამაგირები“?** — გაუბედა ასეთი კითხვა სტალინს მისმა ფინანსთა სახალხო კომისარმა ზვერევმა... გენიალური იყო ბელადის პასუხი, რომელიც კომისრის მოხსენებით ბარათზე წითელი ფანქრით იყო დაწერილი: **„თქვენი ხელფასი გაანგარიშებულია მხოლოდ ადამიანის ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მეცნიერს კი... უფრო დიდი სულიერი მოთხოვნილებები აქვს და, თუ ის ვერ დავუკმაყოფილეთ, რაღა აზრი აქვს მის ფიზიკურ არსებობას?!“**

დღეს არავის უკვირს გიგანტური საჰაერო ლაინერები, კომპიუტერები, მობილური ტელეფონები და სხვა უამრავი სიკეთე, რომლითაც ადამიანები სარგებლობენ. ამ საკაცობრიო პროგრესში ქართველი მეცნიერების წვლილიცაა, თუმცა ეს ბევრმა არც კი იცის, რაც ძალიან სამწუხაროა.

მახსოვს ტელეგადაცემა „ნიკოლოზ მუსხელიშვილის ძეგლთან“. მხოლოდ ხანშიშესულებმა თუ იცოდნენ, რომ იგი მსოფლიო დონის მეცნიერი იყო... არადა, ჩემი თაობის ახალგაზრდები ასეთი ადამიანებით ვამაყობდით. ვაჟთა პირველ სკოლაში ვსწავლობდი და ჩემი კლასელებიდან რამდენიმე გამოჩენილი და წარმატებული მეცნიერი გახდა. დღეს კი რა სურათია? ბევრმა ახალგაზრდამ არც კი იცის, რომ არსებობს საქმიანობა, რომელსაც მეცნიერება ჰქვია.

**მეცნიერების გადაგვარება მაშინ დაიწყო, როდესაც ვარდოსნების „რევოლუციურმა“ პარლამენტმა მიიღო ყბადაღებული კანონი განათლებისა და მეცნიერების შესახებ, რასაც მოჰყვა მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობებისა და სხვა ქონების გაყიდვა, ხოლო იმ ადამიანების ქუჩაში გამოყრა, რომელთა პროფესიაც ფიქრი და აზროვნება იყო.**

საქართველოში ორი მძლავრი სამეცნიერო ცენტრი არსებობდა: ეროვნული აკადემია და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ისინი უწევდნენ კოორდინაციას როგორც საუნივერსიტეტო, ისე კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტში პროფესორებად, ხშირად კათედრის გამგეებად, მიწვეულები იყვნენ კვლევით სექტორში დასაქმებული ცნობილი მეცნიერები, ხოლო უნივერსიტეტებში მომუშავე ასევე ცნობილი მეცნიერები კვლევით დაწესებულებებში ხელმძღვანელობდნენ ლაბორატორიებს, განყოფილებებს, სექტორებს და ა. შ.

**ვიღაც ტვინგარეცხილმა არსებებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არავინ იცის, თუ როგორ მოხვდნენ, მეცნიერებისა და განათლების მსოფლიოში აღიარებული სტრუქტურები, კომუნისტურ გადმონაშთად მონათლეს და მეცნიერებათა აკადემიებს კვლევითი ინსტიტუტები ჯერ ჩამოართვეს... ხოლო უპატრონოდ დარჩენილები შემდეგ გააუქმეს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ პირებს მიჰყიდეს, რომელთა შორის ბევრი თაღლითი და ავანტიურისტი აღმოჩნდა...**

განა შეიძლება მეცნიერება იყოს კომუნისტური, კაპიტალისტური ან სოციალისტური, ფაშისტური და ა.შ.? მეცნიერება ზეიდეოლოგიური მიმართულებაა და მასზე საზოგადოებრივი ფორმალობები გავლენას ვერ ახდენენ, მათ მთავრობებს შეუძლიათ შეიცნონ, ხელი შეუწყონ და ადამიანების სასიკეთოდ გამოიყენოს ის... ცხადია, თუ აქვს ამისი უნარი.

მაშ, რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? **რატომ გამოაპანღურეს ცნობილი მეცნიერები უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებიდან?! რატომ მოუშალეს მათ ის ბუდე, რომელსაც კათედრები, დარგობრივი განყოფილებები, მათი მომსახურე სტრუქტურები ერქვა? რატომ დაიყვანეს მათი აზროვნება ლუკმაპურის მოძიების დონეზე?**

სამწუხაროდ, მაშინ გამოვიღვიძეთ ქართველებმა, როდესაც ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ლომაიამ დაფაზე „ბავშვის“ ნაცვლად სამჯერ დაწერა „ბაშვი“... ვაი სირცხვილო, მუსხელიშვილის, ვეკუას, რაზმაძის, ბერიტაშვილის, საბაშვილის და სხვა მსოფლიო დონის მეცნიერების სამშობლოში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საშუალო სკოლის ცოდნასაც ვერ ამჟღავნებს.

ბევრი ამბობდა, მაგრამ დაჯერება გვეძნელებოდა, რომ **სააკაშვილს ქვეყანაში მხოლოდ გაუნათლებელი და გონებაჩლუნგი ადამიანები სჭირდებოდა, რომლებიც რეაგირებას მხოლოდ პურსა და სანახაობაზე მოახდენდნენ...** ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდა, თუ ერის აზროვნების ცენტრებს მოსპობდა. ასეთები კი!.. მეცნიერებათა აკადემიები, უნივერსიტეტები, აკადემიური თეატრები, ქართული კინო, ხელოვნება, სპორტი და ა.შ. იყო.

**დროზე გამოიღვიძეს სტუდენტებმა, რომლებმაც ამხილეს, რომ თურმე მათი დეკანი... მაგისტრატურის სტუდენტია, ხოლო რექტორი — კარგი ოჯახიშვილი, მაგრამ უხარისხოა, რომ „აგრარულში“ რექტორი სულ სხვა პროფესიის, უხარისხო თინეიჯერია და ა. შ.**

მადლობა ღმერთს, რომ ქვეყნის ისტორიის უაღრესად კრიტიკულ მომენტში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც არ შეუშინდა რეჟიმს, სათავეში ჩაუდგა მავანთა მიერ ბევრჯერ მოტყუებულ და მიტოვებულ ხალხს, ერთ მუჭად შეკრა ისინი და გამარჯვებამდე მიიყვანა ქვეყანა.

**მე ვთვლი, რომ სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც მოამზადა, პარლამენტში ხმა მისცა და სამოქმედოდ გაიხადა განათლებისა და მეცნიერების შესახებ მიღებული კანონი. უნდა დაისაჯონ ისინიც, ვინც სკოლებში მანდატურები შეუშვა, დაანგრია საუნივერსიტეტო სტრუქტურები** (კათედრების გაუქმება და უაზრო დეპარტამენტების შექმნა), ვინც დაარღვია წოდებების გრადაცია და ყველას მისცა პროფესორის წოდების ტარების უფლება და გააუფასურა ეს მეტად საპატივცემულო თანამდებობა, ვინც არ მისცა საშუალება ახალგაზრდებს, დაეუფლოს იმ სპეციალობას, რომელიც მას სურს, და არა იმას, რომელზეც იძულებით სწავლობს.

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „ეს ხომ შურისძიებააო“, არა, ბატონებო, ეს შურისძიება კი არა, სამართლიანობის აღდგენაა. ეს ის არის, რომ მომავალში აღარავინ „ჩაყოს ცხვირი იქ“... რისიც არაფერი გაეგება, რათა კიდევ არ გადაჩეხოს საქართველო ისეთ უფსკრულში, რომლიდანაც ამოსვლაც ასე გაგვიჭირდა.

მეცნიერებაში ჯერ კიდევ შეიძლება თაობათა შორის იმ ჯაჭვის აღდგენა, რომელიც გაწყვეტილია. კიდევ არიან საქართველოში ჭეშმარიტი სწავლულები და მეცნიერები, რომლებსაც საკმარისი დრო დარჩათ იმისთვის, რომ მოამზადონ ღირსეული ცვლა. **სასწრაფოდ უნდა აღდგეს სადისერტაციო საბჭოები იმ პოტენციალის სრული გამოყენებით, რომლებიც ჯერ კიდევ არიან, ის დაცვის მექანიზმები, რომლებიც ადრე არსებობდნენ და გზას უკეტავდნენ მეცნიერულ ავანტიურიზმს. სამეცნიერო ხარისხი ადამიანის ცხოვრების საგზური უნდა იყოს და არა საკეკლუცო აქსესუარი... უნდა აღდგეს სამეცნიერო ხარისხების ორსაფეხურიანობა** (აკადემიური დოქტორი და მეცნიერებათა დოქტორი).

და ბოლოს: **რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდეს აკადემიებს კვლევითი ინსტიტუტები, აღუდგინოთ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს რეალური ავტონომია.** ნუ შეგვაშინებს ის, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოება ასაკოვანია, გვახსოვდეს, რომ **მეცნიერებაში ხანდაზმულობა უფრო მეტ ცოდნას ნიშნავს.**

დამაიმედებელია ის, რომ ახალ პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს უხელმძღვანელებს ადამიანი, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის ჭეშმარიტი განათლება და მეცნიერება.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
აკადემიკოსი

მსოფლიო

## ბენიამინ ნეთანიაჰუმ ისრაელში ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა

**ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ისრაელში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა. არჩევნების თარიღი ჯერჯერობით დანიშნული არ არის, თუმცა, ვარაუდობენ, რომ საპარლამენტო არჩევნები ისრაელში, შესაძლოა, იანვარში ჩატარდეს — დადგენილი ვადიდან ცხრა თვით ადრე.** ნეთანიაჰუ მიიჩნევს, რომ ქნესეთის არჩევნების ჩატარება რაც შეიძლება მალეა საჭირო. ისრაელში საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2013 წლის ოქტომბერში იგეგმებოდა. პრემიერ-მინისტრის თქმით, მან არჩევნების ადრე ჩატარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ კოალიციიდან პარტნიორებთან კამათმა შეუძლებელი გახადა 2013 წლისათვის „პასუხისმგებლიანი ბიუჯეტის” მიღება. „მე ვხედავ ჩემს ვალდებულებას, როგორც პრემიერ-მინისტრმა, წინ დავაყენო პირველ რიგში ჩვენი ნაციონალური ინტერესი. სწორედ ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება მალე“, — აღნიშნა ნეთანიაჰუმ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოლიმპიადის შემდეგ ჩერქეზეთის საკითხი ქართველებისთვის საინტერესო აღარ იქნება, „ჩერქეზეთის კულტურის ცენტრის“ მსგავსი დაწესებულებები დაიხურება ან გადაკვალიფიცირდება სხვა მიზნებისთვის, ჩუხუას მსგავსი აქტივისტები კი კავკასიის სხვა პრობლემებით დაინტერესდებიან. საქართველო ცალკე სახელმწიფოა, რომელსაც რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს. რუსეთთან ურთიერთობა მას უიმედოდ გაფუჭებული აქვს, აი, ჩვენ კი რუსებთან უნდა ვიცხოვროთ.**




# ზუგდიდელები როლანდ ახალაიას მიერ უკანონოდ გადაკეტილი კედიას ქუჩის გახსნას მოითხოვენ

**სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი საოლქო პროკურორის, არჩევნებში ვითომდა გამარჯვებულ ზუგდიდის მაჟორიტარ როლანდ ახალაიას „საქმენი საგმირონი“ მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი.**
**მან თავისი მოღვაწეობა ზუგდიდში ოფისის კეთილმოწყობითა და გამაგრებით დაიწყო, რასაც მრავალი ადამიანის ტანჯვა-წამება მოჰყვა. საოფისედ მან თვალი დაადგა ზუგდიდის ცენტრში არსებულ შპს „ზუგდიდსერვისის“ ოთხსართულიან შენობას, რომელშიც განთავსებული იყო სხვადასხვა ობიექტი პრივატიზებულ ფართობებზე.**

საქართველოს საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურისთვის გადაცემის მიზნით, შპს „ზუგდიდსერვისის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოიღეს კედიას ქუჩა №5-ში მდებარე შენობის 1027,5 კვ.მ ფართობი და 441,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამ ფართობზე განთავსდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა ისე, რომ „ზუგდიდსერვისსა“ და საოლქო პროკურატურას შორის ხელშეკრულება არ დადებულა უსასყიდლო უზუფრუქტზე.

**როლანდ ახალაიამ უპრობლემოდ მიითვისა ეს შენობა, გამოყარა იქ მომუშავე ადამიანები, გადაკეტა შენობის წინ საავტომობილო გზა, შემოავლო რკინის ღობე, დარგო ხეები და ქუჩა თავის დასასვენებელ სკვერად და თავისი სამსახურის მანქანების სადგომად აქცია.** იქ შეღწევა ჩვეულებრივი ადამიანისთვის შეუძლებელი იყო, მაგრამ შიშის გამო ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ახლა კი **„ახალმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, როლანდ ახალაიას მიერ სკვერად და მანქანების სადგომად ქცეულ ქუჩას უნდა აღუდგინოს ძველი ფუნქცია. როლანდ ახალაიას თვითნებობის გამო მანქანებს შემოვლითი გზით უხდებათ მოძრაობა“,** — აცხადებს ზუგდიდელი რევაზ დარასელია.

ზუგდიდელი გივი ჭითანავა, რომელიც როლანდ ახალაიამ ზემოთ აღნიშნული შენობიდან გამოაძევა, 5 წელზე მეტხანს ეძებდა სამართალს. **„2001 წელს, ყოველგვარი კანონის დაცვით, სათანადო საბუთების საფუძველზე, შევიძინე შპს „ზუგდიდსერვისის“ შენობის პირველ სართულზე 40 კვ.მ ფართობი, რომელიც დამიკანონა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ. ამ პრივატიზებულ ფართობში განთავსებული იყო აფთიაქი. არანაირი დაპირისპირება არც „ზუგდიდსერვისთან“ და არც ეკონომიკის სამინისტროსთან არ მქონია, სანამ არ მოვიდა როლანდ ახალაია. მას თვალში არ მოუვიდა ჩემი პრივატიზებული ფართობი და განიზრახა ჩემი გაგდება, ამიტომაც ჩემ წინააღმდეგ აამხედრა „ზუგდიდსერვისი“ და ეკონომიკის სამინისტრო; რადგან მას იმდენი გავლენა ჰქონდა, რომ ვერავინ შეჰბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, აიძულა ისინი, ჩემთვის კანონიერად გადმოცემული ფართობი უკანონოდ ეცნოთ და წამართვეს. მივმართე ყველა სასამართლო ინსტანციას. იყო საპროტესტო აქციები, მაგრამ არაფერი გამომივიდა. იმ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იყო მესაკუთრეს საკუთარი უფლებები დაეცვა“,** — გვითხრაა გივი ჭითანავამ.

ხუთწლიანი დავის შემდეგ გივი ჭითანავა შეეშვა ბრძოლას, რადგან ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ახალმა ხელისუფლებამ კი მას კვლავ გაუჩინა საკუთრების დაბრუნების იმედები. **„მე გამაჩნია ყველა დოკუმენტი, რომლებიც ჩემს სამართლიანობას დაამტკიცებს, და იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში სამართლებრივი გზით დავიბრუნებ ძალით წართმეულ ჩემს საკუთრებას“,** — განაცხადა გივი ჭითანავამ.

იმედია, არამარტო გივი ჭითანავა, არამედ ბევრი უკანონოდ დაჩაგრული ადამიანი იპოვის სამართალს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

> გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობის თემაზე. დიდი ხანია, რაც მომიმწიფდა მოთხოვნილება, გამომეთქვა ჩემი შეხედულება ამ საკითხზე და, ბოლოს და ბოლოს, დავწერე. დიდად მადლობელი დაგრჩებით.
> პატივისცემით,
> ბლოგერი რასულ კარდანოვი
> მიგითითებთ ჩემი ცოცხალი ჟურნალის მისამართს:
> http://adigeheku.com/3130.html

# საქართველო ჩერქეზი ხალხის ტრაგედიაზე თამაშობს

**2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ჩერქეზების გენოციდის შესახებ: 95 ხმა მომხრე და არც ერთი წინააღმდეგი. დადგენილების მიხედვით, 1817-1864 წლების კავკასიის ომის პერიოდში ჩერქეზების მასობრივი განადგურება, ისტორიული სამშობლოდან მათი იძულებითი განდევნა „გენოციდის აქტად“ არის აღიარებული.**

შეუძლებელია ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება: 147 წელიწადი ჩერქეზი ხალხი იცავდა ტრადიციებს, ენას და იმის იმედს, რომ დადგება დრო, როცა შესაძლებელი იქნება მშობლიურ მიწაზე დაბრუნება. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩერქეზეთის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა. **ჩერქეზთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები აღნიშნავენ, რომ „გაიოლდა ჩვენი ისტორიისთვის ბრძოლა“.**

მაგრამ დღეს, გენოციდის აღიარებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, როცა ერთგვარად დაცხრა ეიფორია იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხმა გაიგონეს, შესაძლებელი გახდა სიტუაციისთვის სხვა თვალით შეხედვა. **კარგად ვერ ვიგებ, რატომ მაინც და მაინც ახლა მოუმწიფდათ ქართველებს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების სურვილი.**

ბოლომდე გაუგებარია: როგორ აღმოჩნდა საქართველოს მწირ ბიუჯეტში თანხა თბილისში ჩერქეზთა კულტურული ცენტრის შესაქმნელად, ჩერქეზეთის კულტურის დღეების ჩასატარებლად და ქალაქ ანაკლიაში ჩერქეზთა გენოციდის მსხვერპლთა ძეგლის გასახსნელად?

საკმაო შეკითხვებია თბილისში ჩერქეზთა კულტურული ცენტრის მიმართ, დამაფიქრებელია მისი დირექტორის, მერაბ ჩუხუას, პოზიცია თვით ჩერქეზი ხალხის მიმართ.

თავის გამონათქვამებსა და პროექტებში ჩერქეზულ პრობლემატიკას იგი წარმოგვიდგენს, როგორც დიდი კავკასიური პროექტის ნაწილს, რითაც ჩვენი პრობლემა სრულიად სხვა კალაპოტში გადაჰყავს. **თუ ცენტრს „ჩერქეზული“ ეწოდება, იგი ჩერქეზების პრობლემით უნდა იყოს დაკავებული და არა სრულიად კავკასიისა.**

ქართველი პოლიტოლოგების თქმით, ჩერქეზულ პრობლემას რამდენიმე წლის განმავლობაში განიხილავდნენ საქართველოს პარლამენტში, მაგრამ 2009-2011 წლების ახალი ამბებით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ქართველ კანონმდებლებს მაინც და მაინც ჩერქეზი ხალხისადმი პატივისცემა და თანაგრძნობა არ ამოძრავებდა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოჭში გაიმართება, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა კომისია **„2014 წელს რუსეთში ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგ პროტესტის ფორმების შემუშავების საკითხებზე.“** ქართველი დეპუტატი შოთა მალაშხია ასახელებდა სამ საფუძველს ოლიმპიადის შესაძლო ბოიკოტირებისათვის: ეკოლოგია, უსაფრთხოება და ჩერქეზეთის საკითხი.

სწორედ ასეთი თანმიმდევრობით. მისმა კოლეგა გია თორთლაძემ კი განაცხადა, „ოლიმპიადა უნდა ჩავშალოთ. იგი უნდა გაიმართოს ნებისმიერ ადგილას, მაგრამ არა სოჭში“.

**კომისიის მუშაობის რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, ჩერქეზი ხალხის ტრაგედია აღიარებული იყო ოლიმპიადის ბოიკოტის პრიორიტეტულ მიმართულებად. კარგია ეს თუ ცუდი, საკამათო საკითხია. ერთის მხრივ, ამ გადაწყვეტილების გარეშე ჩვენს მრავალნატანჯ ხალხს კიდევ დიდხანს არ გაიხსენებდნენ, მეორე მხრივ, გამოდის, რომ ჩერქეზეთის ტრაგედიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ.**

ოლიმპიური თამაშები სოჭში უთუოდ გაიმართება და ათი ქართველი სპორტსმენის ჩაუსვლელობა ორგანიზატორებისთვის დიდი ტრაგედია არ იქნება. ობიექტური რეალობა კი ისეთია, რომ ოლიმპიადის შემდეგ ჩერქეზეთის საკითხი ქართველებისთვის საინტერესო აღარ იქნება, „ჩერქეზეთის კულტურის ცენტრის“ მსგავსი დაწესებულებები დაიხურება ან გადაკვალიფიცირდება სხვა მიზნებისთვის, ჩუხუას მსგავსი აქტივისტები კი კავკასიის სხვა პრობლემებით დაინტერესდებიან. **საქართველო ცალკე სახელმწიფოა, რომელსაც რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს. რუსეთთან ურთიერთობა მას უიმედოდ გაფუჭებული აქვს, აი, ჩვენ კი რუსებთან უნდა ვიცხოვროთ.**

**რასულ კარდანოვი**

# კოალიცია «ქართული ოცნების» ლიდერს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა მრავალათასიანი საზოგადოებრივი გაერთიანების სახელით მხურვალედ გილოცავთ ისტორიულ გამარჯვებას საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს ჩვენი სათაყვანებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების, ხალხის ინტერესების, მომავალი კეთილდღეობის სამსახურში.**

**უსაზღვროდ გვახარებს თქვენი ძალისხმევით მოპოვებული წარმატებები საქართველოს პარლამენტის არჩევნებში. ხალხმა იწამა, დაიჯერა თქვენი საქართველოს სიყვარულით გამთბარი სიტყვების ძალა, სიმართლე და მტკიცედ გადაწყვიტა, დაუკავშიროს თავისი ბედი თქვენს ძალისხმევას ჩვენი ბედნიერებისთვის ბრძოლასა და შრომაში.**

საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა მრავალათასიანი არმია, როგორც ყოველთვის, მზად არის, თქვენთან ერთად, არჩევნებში გამარჯვებულ ხალხთან ერთად, თავგანწირვით ჩაებას განსაცდელში მყოფი მრავალტანჯული საქართველოს გადარჩენისთვის, მისი თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური აღმავლობისთვის თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში. **ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი ძალისხმევით წარმატებით გადაწყდება ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის აღორძინების პრობლემები.**

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“, ყველაფერი, ყველგან და ყოველთვის უნდა გადავწყვიტოთ ისე, როგორც „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ გვიკარნახებს. გადაგვარჩენს მხოლოდ ერთმანეთის, წარსულის პატივისცემა და სიყვარული. ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებები ცენტრსა და ადგილებზე, როგორც ყოველთვის, მზად არიან ბოლომდე გაისარჯონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, აქტიურად ჩაებან უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მაღალი პროფესიული მომზადებითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

**გვჯერა, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრულყოფით, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის განვითარებით, ქართული არმიისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებით, ახალგაზრდა თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სამართლიანი, სოციალურად დაცული და მძლავრი სახელმწიფო ჩამოყალიბდება.**

ყოველივე ეს დადებითად აისახება ქართველი ხალხის, შეურაცხყოფილი და სოციალურად დაუცველი, ამავე დროს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ადამიანების, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების ყოფაზე. აღსრულდება ვეტერანების ოცნება — კვლავ შეიქმნას ვეტერანთა სახლი, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ვეტერანთა შორის ორგანიზაციულ-მეთოდური, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და ფართო საზოგადოებრივი ძალების მონაწილეობით, მომავალი თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში ვეტერანთა აქტიური მონაწილეობა.

**გვიგულეთ თქვენი სახელოვანი კოჰორტის მოწინავეთა რიგებში.**
**პატივისცემით,**

საქართველოს ომის,
შრომისა და სამხედრო
ძალების ვეტერანთა
ცენტრალური კავშირის
გამგეობის ბიუროს წევრები:

**რ. ნაცარიშვილი,**
**ტ. ლეფსაია,**
**გ. გვეტაძე,**
**ბ. კარტოზია,**
**გ. ხაზარაძე,**
**მ. მდინარაძე,**
**უ. შერმაზანაშვილი,**
**ი. ხაზარაძე,**
**ვ. ჯაფარიძე,**
**თ. პაპავა,**
**რ. პაპიძე,**
**მ. არევაძე,**
**ო. ლეკვეიშვილი**

**FAO-ს ექსპერტები აცხადებენ, რომ დედამიწის მთლიანი ფართობის 78% სოფლის მეურნეობისთვის გამოუსადეგარია, ფართობის 13% დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, 6% საშუალოდ პროდუქტიულია, მხოლოდ 3% — მაღალპროდუქტიული, ნოყიერი. დღეს დედამიწის მხოლოდ 11%-ია დამუშავებული, 24% საძოვრებად გამოიყენება.**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩინ-მედლები სოფლის მეურნეობის გასაჩანაგებლად

**სოფლის მეურნეობა მატერიალური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომელიც ქვეყნების განვითარების დონეს განსაზღვრავს. საქართველო აგრარული ქვეყანაა და, აპოლიტიკური ნების არსებობის შეთხვევაში, ეს დარგი დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასაც გამოკვებავდა და ექსპორტზეც შევძლებდით სოფლის მეურნეობის როგორც ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის გატანას. ასეთი შესაძლებლობების პირობებში, მაინც რამ განაპირობა ქვეყანაში აგრარული დარგის სრული განადგურება?**



## აგრარული დარგის სრული განადგურების 8 მიზეზი

ვფიქრობ, ამის მთავარი მიზეზებია:

**1) ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სრული იგნორირება და პოლიტიკური ნების უქონლობა;**

**2) მინისტრების ხშირი ცვლა და დარგის არაკვალიფიციური კადრების ხელში ჩაგდება;**

**3) ქვეყნის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის 1,5% პროცენტით დაფინანსება;**

**4) სამინისტროდან კვალიფიციური კადრების გაშვება, გაუაზრებელი, უაზრო რეფორმების გატარება;**

**5) მეცნიერებისა და ევროკავშირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების უგულებელყოფა;**

**6) ტრადიციული, მათ შორის, დამხმარე დარგების განადგურება;**

**7) უაზრო კორპორაციებისა და მომსახურე (საპიროსადემონსტრაციო პუნქტების) შექმნა;**

**8) საკუთარი ბაზრის დაუცველობა, იმპორტის წახალისება და ა. შ.**

აი, ამან გამოიწვია ქვეყანაში კატასტროფული ვითარება, როცა ადგილობრივი ფერმერი თუ გლეხი საკუთარი შრომით მოყვანილ პროდუქციას ვერ ყიდდა და დანახარჯებსაც ვერ ინაზღაურებდა.

**„ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში ფასეულობების გადაფასება, ვითომ და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება დაიწყო** (მამა ამ პოლიტიკის — კახაბერ ბედუქიძე), **მაგრამ ამ პოლიტიკაში სოფლის მეურნეობისათვის ადგილი არ მოიძებნა.** მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობა საჭირო არ იყო ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, და რომ იმპორტით მოხდებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის უზრუნველყოფა, ხელისუფლებაში საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ამ იდეის გასატარებლად ჯერ ტრადიციული დარგების განადგურება (მეცხვარეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა) იყო საჭირო. დაიწყოს კიდეც ქართული სოფლის დაცლა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე მონოპოლიების შექმნა. პარალერულად ნადგურდებოდა სამსახურები, რომლებსაც ევალებოდა სოფლის მეურნეობის იმპორტირებული პროდუქციის ხარისხისა და ვარგისიანობის შემოწმება. **ლიბერალური პოლიტიკის ეგიდით საზღვრებზე ყოველგვარი შემოწმების გარეშე შემოდიოდა საეჭვო წარმომავლობის ხილი, ბაღჩეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები.** ერთი მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტის სანაცვლოდ, თურქეთთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც თურქეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტურად დაუბეგრავად შემოტანას გულისხმობდა. ამ დროს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ექსპორტის შემთხვევაში, სტრატეგიული 100%-ით, ხოლო არასტრატეგიული 50%-ით იბეგრებოდა.

ამავე დროს, **გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, განადგურდა სოფლის მეურნეობის გადამმუშავებელი საწარმოები** (ისედაც მცირე რაოდენობა), **მოისპო სტრატეგიული დარგი — მეჩაიეობა და ნაწილობრივ მევენახეობა. მთლიანად გაანადგურეს ისეთი დარგები, როგორიცაა მეღორეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მემარცვლეობა, მებაღჩეობა, მეხილეობა.** უყურადღებობისა და მოუვლელობისგან საქართველოს ყველა რეგიონში გაიზარდა ეროზიული პროცესები და გამოიფიტა ნიადაგები. აგროტექნიკა სოფლებში არ არსებობს და გლეხი თუ საშუალო ფერმერი (პირობითად ფერმერი) კვლავ თოხის ამარადაა დარჩენილი, სერვისცენტრები საჩვენებლადაა მოწყობილი. **კრახი განიცადა მსხვილფეხა პირუტყვის შემოყვანამ და ხელოვნური დათესვლის პუნქტების გახსნამ, რაზეც ათეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა.** ესეც კამპანიურ ხასიათს ატარებდა (მამალი ძროხები). გაუქმდა სოფლად აგრონომიისა და ვეტერინარიის, ფიტოკარანტინის სამსახური, რამაც სავალალო შედეგები მოგვცა. ნარგავების 80% დაავადებულია. მეტიც, **XXI საუკუნეში საქართველოში კვლავ მძვინვარებს ზოოანთროპოზული დაავადებები: ჯილეხი, ცოფი, ტუბერკულოზი, თურქული. მსხვილფეხა პირუტყვი დაავადებულია ჰელმითური დაავადებითა და ლეიკოზით. შესაბამისად, დაბალია პროდუქტიულობა. კატასტროფული სიტუაცია გვაქვს სურსათის უსაფრთხოების საკითხებშიც. კრახი განიცადა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი 100 საწარმოს შექმნამ და სხვა პროექტებმა, რაც მხოლოდ და მხოლოდ პიარზე იყო გათვლილი.** სოფლის მეურნეობის განადგურებისათვის და ახალი ჯიშის გამოგონებისთვის (მამალი ძროხა) ქვეყნის უმაღლესი ჯილდოები გადასცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა სოფლის მეურნეობის ამაგდარ მინისტრს, ბაკურ კვეზერელს, და იქვე საკუთარი კორპორაცია შეუქმნა, ეტყობა, შეეცოდა პატარა მეგობარი, მინისტრობისას ჩაჯიბული მილიონები რას ეყოფოდა, მერეც ხომ უნდოდა ცხოვრება კაცს. არც მისი მოადგილეები დავიწყებია ამხანაგ სააკაშვილს და ისინიც სარფიანად დაასაქმა.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ **რა მდგომარეობაა მსოფლიოში აგრარულ სექტორში. FAO-ს ექსპერტები აცხადებენ, რომ დედამიწის მთლიანი ფართობის 78% სოფლის მეურნეობისთვის გამოუსადეგარია, ფართობის 13% დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, 6% საშუალოდ პროდუქტიულია, მხოლოდ 3%-ია მაღალპროდუქტიული და ნოყიერი. დღეს დედამიწის მხოლოდ 11%-ია დამუშავებული, 24% საძოვრებად გამოიყენება.**

ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც ისრაელია, სადაც აპრილიდან ოქტომბრამდე არ წვიმს, რძის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა — წლიური მონაწველი 9-12 ათას ლიტრს შეადგენს. შედარებისთვის: ამერიკაში იგი 9-10 ათასი ლიტრია, ევროპაში (საშუალო) — 8-9 ათასი ლიტრი. ისრაელი ბაღჩეული კულტურების წარმოებით მეორე, ხოლო კვერცხის წარმოებით მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 17% სოფლის მეურნეობაზე მოდის, მაშინ, როცა დარგში მოსახლეობის მხოლოდ 6%-ია დაკავებული. იტალიის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 10%-ს სოფლის მეურნეობის სექტორი იძლევა, რომელშიც მოსახლეობის 14%-ია დასაქმებული.

**საქართველოს სოფლის მეურნეობაში ოფიციალურად მოსახლეობის 57%-ია დასაქმებული. ჩვენთან სოფლის მეურნეობის წილი საერთო ეროვნულ შემოსავალში 12% შეადგენს.** ერთ ისრაელელი ფერმერი 97 თანამემამულეს კვებავს, ამერიკელი ფერმერი — 79-ს, ევროპელი (საშუალოდ) — 67-ს, უკრაინელი — 17,4-ს, რუსი — 14,7-ს, ხოლო **ქართველი ფერმერი — 0,85-ს, ე.ი. საკუთარ თავსაც ვერ უზრუნველყოფს საკვებით,** არადა, დარგში ქვეყნის 57%-ია დასაქმებული.

**საქართველოში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა 50 პროცენტი დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა არავითარ როლს არ თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. ამას საბჭოთა პერიოდიც მოწმობს. იმ დროს საქართველო მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, რომლის წილი საკვები პროდუქტებით რესპუბლიკათშორის ვაჭრობაში 10%-ს შეადგენდა.

რეზერვი და რესურსი ძალიან დიდია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 75% სახელმწიფო საკუთრებაშია და, ძირითადად, გამოუყენებელია. ამიტომ, ვფიქრობ, **საქართველოს მომავალმა მთავრობამ თამამი ნაბიჯები უნდა გადადგას გლობალურ ეკონომიკაში, უფრო მეტად ინტეგრირებისთვის ისეთი საერთაშორისო შეთანხმებების დადების გზით, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები (FTA): თურქეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ), უსაფრთხოების ნორმების (GSP) ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან, ისრაელთან.** იმედია, წახალისდებიან ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში, სოფლად დასაქმდებიან.

აღდგება ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი, რომელსაც დიდი ტრადიციები ჰქონდა, და შესანიშნავი სამეცნიერო სკოლა არსებობდა. იქნებ გვეფიქრა ისეთი ტიპის მეურნეობების შექმნაზე, როგორიც ისრაელში კიბუცებია.

სასწრაფოდ აღსადგენია მელიორაციის სამსახური და ნაკვეთების ახალი ტექნოლოგიური რწყვის სისტემაზე გადასვლა (წვეთოვანი რწყვა), რაც წყლის რესურსებს დაზოგავს; ნიადაგის ახალი ტექნოლოგიებით დამუშავება, რაც შეამცირებს ნიადაგის გამოფიტვასა და ეროზიებს; მეცხოველეობაში გეგმიური აცრების დაბრუნებას, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და მინიმუმ 5 განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებზე ცხოველებში უფასო პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას, ტრადიციული კულტურების (ჩაი, ციტრუსი და ვაზი) ნარგავების განახლებას.

**რაც მთავარია, ვხედავ რომ საამისოდ არსებობს ქვეყნის ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ფინანსური უზრუნველყოფა.**

**აი, ეს არის ჩვენი ქართული ოცნება.**

**ნიკოლოზ გუგუშვილი,**
**სოფლის მეურნეობის ექსპერტი**
**უკრაინა, კიევი.**

**საქართველოში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა 50 პროცენტი დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობა არავითარ როლს არ თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვარდების ხელისუფლებამ“ არარაობად აქცია თქვენი მსახიობური ღვაწლი და აღარაფერი დაგიტოვათ წმინდა და ხელუხლებელი, მაგრამ თქვენ მაინც ბედნიერი ხელოვანი ბრძანდებით, ამ დამთხვეულ დროს რომ არ დაემთხვა თქვენი ახალგაზრდობისა და შემოქმედებითი აღმავლობის წლები, თორემ ვინ იქნებოდით თქვენ იმ როლების გარეშე, რომლებმაც სახელი და დიდება გარგუნათ?!**

ერთი საუკუნის წინ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებით გატაცებულმა აკაკი წერეთელმა ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდა:

„ახლა არ გვგლეჯენ ენასა, სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე“-ო!

გასული წლის მაისის სახალხო გამოსვლების დარბევით აღტაცებულმა ოთარ კობერიძემ კი პატრიოტული მოძრაობის ექვსივე ხელმძღვანელისათვის ენის ამოგლეჯა და ჩამოხრჩობა მოსთხოვა ხელისუფლებას, გამოჩნდა, რომ ქართული დემოკრატია „ვარდების ეპოქაში“ მთლიანად დალპა.

ახლა ცნობილი კინომსახიობი დიდი ილიას ერთ-ერთი კომიკური პერსონაჟის — ქერელი ბექას როლშია, ღობის ძირას ჩაცუცქული ქირქილებს და იქიდან კვლავ კრიტიკის კენჭებს ესვრის ქართველ პატრიოტებს, თან ეჩვენება, რომ ამ კენჭების სროლით მთელი ქვეყანა იძვრის და ზანზარებს...

# ღია წერილი ბატონ ოთარ კობერიძესა და სხვებს

**ბატონო ოთარ! მართლაც ღვთის მიერ ბოძებული ბედნიერებაა, როცა ამა თუ იმ მსახიობს მის მიერვე განსახიერებულ ისტორიულ გმირთან ან ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟთან გააიგივებს მადლიერი ერი და მას საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდედით შემოსავს.**
**თქვენ ბრძანდებით ქართული კინოს ის რჩეული ვარსკვლავი, რომელმაც მაღალი არტისტული ოსტატობით, ნიჭიერებითა და ჰეროიკული პათოსით გამოძერწეთ მრავალი შთამბეჭდავი და ამაღელვებელი ეკრანული სახე როგორც ქართულ, ისე უცხოურ ფილმებში, მაგრამ ქართველი ხალხისთვის თქვენ მაინც საყვარელი ბაში-აჩუკი იყავით — ის შმაგი, ენერგიით სავსე და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქრისტეს მხედარი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ქართულ მიწაზე მოთარეშე ყიზილბაშთა ურდოებს.**



თქვენ სულისშემძვრელი დრამატიზმითა და ცრემლიანი ტრაგიზმის განცდით წარმოგვიდგინეთ გერმანელ კანიბალთა წინააღმდეგ მამაცურად მებრძოლ გმირთა ამაღელვებელი სახეები სამამულო ომზე შექმნილ კინოშედევრებში („შავი მთები“, „ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ“, „ელოდეთ მეკავშირეს“, „შეწყვეტილი სიმღერა“ და სხვ.), რამაც თქვენ საკაცობრიო ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებული რაინდის სახელი და დიდება მოგიტანათ.

**ამდენად, თქვენ კიდევ უფრო მეტად დავალებული ბრძანდებით იმ დროისაგან, როცა გერმანული ფაშიზმი, იმავე „ბაში-აჩუკის“ მიხედვით რომ ვთქვათ, წმინდა ტაძარზე შემოგრაგნილ გველეშაპად აღიქმებოდა, ხოლო სამამულო ომის ყველა მონაწილე ამ საზარელ ურჩხულთან მორკინალი გმირის განსახიერება იყო.**

* * *

**ბატონო ოთარ!** გულწრფელად გვიყვარდით და **ღრმად გვწამდა, რომ ფილმიდან ფილმში თქვენი უზადო არტისტული გარდასახვები მარტოდენ საგრიმიოროში მოსარგები ნიღბების მონაცვლეობას კი არ წარმოადგენდა, არამედ ეს იყო თქვენი რაინდული ბუნების, კეთილშობილებისა და ერისკაცობის შინაგანი გამოსხივება, თქვენი მგზნებარე და მრავალფეროვანი სულიერი საუნჯის თვითრეალიზაცია.**

* * *

მაგრამ მოხდა ქართველი ხალხისთვის ფრიად მოულოდნელი მეტამორფოზა — **თქვენ იმ „ნაცმოძრაობის“ აპოლოგეტად იქეცით, რომელმაც ერთიანად წაბილწა და იავარყო საქართველოს გმირული წარსული, მისი აწმყო და მომავალი, რომელმაც ძირფესვიანად მოთხარა ეროვნული სულიერების ყველა ნიში და ნიშანსვეტი, რომელმაც პირქვე დაამხო ქართული ხელოვნება და უდიერად შეურაცხყო პირადად თქვენი ღვაწლი და პოპულარობა.**

როგორც ხედავთ, ნაცმოური კინოხელოვნების რეპერტუარიდან მთლიანად განიდევნა ისტორიულ-გმირული ჟანრი, წარსულის სანაგვეზე იქნა გატანილი ბაში-აჩუკობა, ანუ სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავგამოდების ყოველგვარი მცდელობა; შეგინებულ იქნა დიდი სამამულო ომის სახსენებელი, შეურაცხყოფილ იქნა ამ ომში დაღუპულ მეომართა ნათელი ხსოვნა, გაბითურებული იქნა ომის თემაზე გადაღებული ყველა ფილმი, გაპამპულებულ იქნენ ამ ფილმებში მონაწილე მსახიობები და მათ შორის თქვენც, მრავალი გრძელი ღამე რომ გითევიათ წითელარმიელთა კოლორიტული სახეების შექმნაზე ფიქრით.

**ასე რომ, „ვარდების ხელისუფლებამ“ არარაობად აქცია თქვენი მსახიობური ღვაწლი და აღარაფერი დაგიტოვათ წმინდა და ხელუხლებელი, მაგრამ თქვენ მაინც ბედნიერი ხელოვანი ბრძანდებით, ამ დამთხვეულ დროს რომ არ დაემთხვა თქვენი ახალგაზრდობისა და შემოქმედებითი აღმავლობის წლები, თორემ ვინ იქნებოდით თქვენ იმ როლების გარეშე, რომლებმაც სახელი და დიდება გარგუნათ?!**

დღევანდელი უიდეობითა და უაზრობით მოცულ ქვეყანაში თქვენ დიდი-დიდი ერთ ტრივიალურ სერიალში შეიძლება მიეწვიეთ ნარკოტიკების, სექსისა და სისხლის სუნით აქოთებული რომელიმე კრიმინალის როლის შესასრულებლად.

**ბატონო ოთარ!** რადგანაც ჩვენს წამხდარ ქვეყანაში ამ ფიზიოლოგიური ინსტიქტების გამომხატველი სინტაგმებით დასათაურებული ფილმების გადაღებასაც მიჰყვეს ხელი, ცხადია, რომ **თქვენი დროის მაღალიდეურმა და სულიერებით აღსავსე კინოხელოვნებამ ღორული ტრანსფორმაცია განიცადა. თქვენ კი პირში წყალი ჩაიგუბეთ და ლაჩრულად გასწირეთ თქვენი ადამიანური ღირსება, ერთბაშად აქციეთ ზურგი თქვენს წარსულს, თქვენს შემოქმედებას, თქვენს გმირებს და ამით თქვენს ურიცხვ თაყვანისმცემელსა და სრულიად საქართველოს დაუმტკიცეთ, რომ თქვენც ისეთივე ბუტაფორიული სიყალბით გითამაშიათ თქვენი როლები, როგორც ნაციონალი ტაკიმასხარები თამაშობენ დღეს პატრიოტობანას.**

* * *

თქვენ მედგრად უქნევდით ბაში-აჩუკის ხმალს სეფიანთა იმპერიას, რათა სპარსული მეტროპოლიისა და სამუდამო გადაშენებისაგან გეხსნათ ბედკრული სამშობლო, მაგრამ ბოლოს ფარ-ხმალი დაყარეთ და თქვენივე ნებით გაეგეთ ფეხქვეშ ნაცმოელ კონდოტიერებსა და ოკეანისგაღმურ მეტროპოლიას. განმეორდა ისტორიული ტრაგედია — ერთი მეტროპოლია მეორემ შეცვალა და წყალწყალა ფუჭსიტყვაობად იქცა „ვარდების ხელისუფალთა“ უტიფარი ტრაბახი ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შესახებ.

* * *

ოთხასი წელი გავიდა ბაში-აჩუკის დროიდან დღემდე, მაგრამ საქართველოს დამონების მეტროპოლიური ხრიკები არ შეცვლილა, რამეთუ ნაცმოელ მარიონეტებსაც ზუსტად ისეთივე მზაკვრული ინსტრუქციები აქვთ მიღებული თავიანთი ოკეანისგაღმელი ბოსებისგან, როგორითაც ის წყეული შაჰ-აბასი მოძღვრავდა თავის ნაქართველარ და წინდაცვეთილ სატრაპებს:

**„ქართველი რომ დაიმონო, ჯერ მას შიმშილისგან და გაჭირვებისგან სხეული უნდა დაუდუნდეს, შემდეგ სული უნდა დაუმდაბლდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი მოდრეკაო“.**

ჩვენ მიერ „ბაში-აჩუკიდან“ მოხმობილი ამ გველური გეგმის მიხედვით **„ვარდების ხელისუფლებამ“ ქართველ ხალხს ერთბაშად წაჰგვარა ოდინდელი სახელი და ღირსება, ფეხქვეშ გამოაცალა მშობლიური მიწა და მას მსოფლიო რანგის მაწანწალის, ქურდის, ყაჩაღის, რეკეტიორის, მათხოვრისა და მეძავის სახელი გაუთქვა.**

დღე არ გავა, უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა ჯგუფური დაპატიმრებების შესახებ რომ არ გვაცნობოს საქართველოს ტელევიზიამ, მაგრამ ეს ისტორიული კატასტროფა თქვენც ფეხებზე გკიდიათ, ბატონო ოთარ, და თქვენს ნაცმოელ „ტრულალებსაც“, რომლებიც ფოიერვერკების სულელური ბათქა-ბუთქით აყრუებენ ქვეყანას, ხოლო დროდადრო ქართველ თუ უცხოელ „მუტრიბთა“, მომღერალთა, მეჩანგეთა და მხევალთა თანხლებით ლაღობენ და ნებივრობენ თავიანთ ზღვისპირა „ნირვანებში“, მოტელებსა და ბორდელებში. თან ისე ურცხვად ტრაბახობენ საქართველოში კრიმინალის აღკვეთით, რომ თითქოს სამშობლოდან დევნილ ქართველთა მიერ ჩადენილი დანაშაულები მათ არ ეხებოდეთ.

* * *

— „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოო!“ — თუ გახსოვთ, პირველად „ბაში-აჩუკის“ ავტორმა შეჰკადრა ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ სამშობლოს, მაგრამ ამ საშვილიშვილო შეურაცხყოფის ღირსი ყველაზე მეტად დღევანდელი საქართველოა, რომელმაც სულწაბილწული, ეროვნებადაკარგული და მეტროპოლიებში ნახეხ-ნაცვეთი ნაცმოელი ჰომუნკულუსები დაისვა თავზე.

* * *

და მაინც, მთავარი საკითხავი ისაა, **რა ჯიშისა და მოდგმის არსებებისგან შედგებოდა (და შედგება) ქართველ ფარისეველთა ხროვა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ფურთხის ღირსად ხდიდა საქართველოს და გენეტიკური მონაცვლეობით უქმნიდა სათარეშო ფონს ხელისუფლებაში დროდადრო აღზევებულ დამპყრობლებს, რენეგატებს, უზურპატორებს, კონდოტიერებსა და პირწავარდნილ დემაგოგებს.** ამ საჭირბოროტო კითხვას „თერგდალეულთა ბელადმა“ გასცა პასუხი, როცა „ბედნიერი ერი“ დაწერა და ყველა დროის ქართველ ქვემძრომს პირდაპირ და პოეტური ევფემიზმების გარეშე უწოდა „თავდახრილი“, „არგამტანი“, „არ რის მცოდნე“ და „ცბიერი“, „მტრის არ მცნობი“, „მოყვრის მგმობი“, „პირს ლაგამი ზომიერი“, „ყრუი“, „ცრუი“, „ფლიდი“, „უქმი“, „ცუღლუტი და მანკიერი“! „ერის მამამ“ არც საშოვარზე და სათქვლეფ-სალაფავზე სულგაყიდულ მედროვეთა „კოლტი“ დაივიწყა და „კაცია ადამიანის?!“ პროლოგში ისინი აშმორებული ჭაობის ბინადარ რაღაც ღორების მსგავს უსახურ არსებე-

▶

# რისთვის ან რა „სარგებლის“ ფასად გაცვალეთ ბაში-აჩუკის ჩოხა სვიმონ მაყაშვილის სპარსულ ხალათზე ან როგორ გახდით მიშას პირადი ბაში-აჩუკი, ან ხომ არ გეგონათ, რომ „შვილო, მიშას“ წამქეზებლური ძახილითა და ბაში-აჩუკის ადრინდელი იმიჯის წყალობით მომხრეთა ახალ-ახალ დასებს შესძენდით წყალწაღებულ „ვარდების ხელისუფლებას“?

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბად დაგვიხატა, რომლებიც „გიჟია“, „გიჟიას“ ძახილითა და ლაფის სროლით დაედევნენ დიდ მწერალს.

ამ საგულისხმო კონტექსტით **წმინდა ილიამ ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ამ „ჭაობში“ მფორთხავი ბოროტი ძალებისა და მზის ნათლითმოსილ მამულიშვილთა შორის დაუსრულებელი ბრძოლის ერთ დიდ არენას წარმოადგენდა (და წარმოადგენს), რის გამოც დღემდე აუხდენელ ოცნებად გვრჩება როგორც ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მარადიული იდეა, ასევე, დიდი რუსთაველის აფორისტული ვერდიქტი ბოროტებაზე სიკეთის საბოლოო გამარჯვების შესახებ.**

**ბატონო ოთარ! თუ დღეს „ბაში-აჩუკის“ მამაცი შთამომავალნი კვლავ მშობლიურ მზესა და მთვარეს შეჰხარიან, თქვენ, უკვე ცხრა წელია, რაც იმ აშმორებული ჭაობის ბინადართა შორის ტოპავთ, რომელთა პირფერული ტაში-ტუშითა და ლაქუცით „ნაციონალებმა“ ზედ თავზე დაგვამხეს მშობლიური ცარგვალი და ახლა საქართველოს მზე და მთვარე ოკეანის გაღმიდან ამოჰყავთ ისე, როგორც მათ მამათელ მამობილსა და ცეკას ყოფილ მდივანს ამოჰყავდა ჩვენი ქვეყნის მზე ჩრდილოეთიდან.**

* * *

„ნატოს“ „ეშხითა“ და ჩვენი ქვეყნის სრული გარყვნის პათოლოგიური ჟინით თურქულ სამყაროსთან მოკურკურე მიხეილ „ეფენდი“ პირდაპირ აღტაცებულია თურქეთიდან „მოზიდული“ დოლარების თოფრაკებით და მაღალი ტრიბუნებიდან „გურჯისტანის ყველაზე დიდი ინვესტორისა“ და „პირველი სავაჭრო პარტნიორის“ საპატიო ტიტულებით ამკობს და ადიდებს იმ ქვეყანას, რომელმაც ქართველთა სისხლით მრავალგზის ნაფერი მახვილი დროებით ქარქაშში მიმალა და ახლა დოლარებით ქელავს ჩვენს ქვეყანას. აქეთ კი საკალანდო გოჭებივით ნასუქ-ნაპატივები „ნაციონალები“ და სალაფავით მუცელგატიკნილი „ქართული ჭაობის“ ბინადარნი ისე ცხვირაბზუებით კიცხავენ „ბინძურ რუსულ ფულს“, რომ თითქოს იმ ამერიკულ და თურქულ დოლარებს ასდიოდეთ „შანელის“ პარფიუმერიის სუნი, რომელზეც თავად გაჰყიდეს მთელი ქვეყანა. უფრო მეტიც — **„ხელის ჭუჭყზე“ დახარბებულ პრეზიდენტს შეუძლია თვით საქართველოს ისტორიაც „დააყუდოს თავდაღმა“ და მის მიერ მოჩმახული ათასგვარი აბსურდი ურცხვად შემოგვასაღოს დოკუმენტურ სინამდვილედ:**

— „თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და იგი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო“.

— საკითხავია, ამ უგუნური განცდების ავტორს ვინ მისცა იმის უფლება, ასე თავხედურად რომ ახტება წინაპართა წმინდა საფლავებს და ქართველთა ზღვა სისხლისა და ცრემლის პატიების ინდულგენციებს ჩუქნის საქართველოს ისტორიულ მტერს?! რამდენადაც ქართული „ნაცმოძრაობისა“ და თურქეთის ერთობლივი სტრატეგიული ოპერაციები დღემდე არავის უნახავს, — სავარაუდოა, რომ მიხეილ „გადამშენებელი“ მომავლისათვის გეგმავს, თავად შემოუძღვეს თურქ ასკერებს ქართულ მიწაზე და ნატოს ეგიდით აქედან განახორციელოს მისთვის საოცნებო „ნორდს ათექ“, მაგრამ ამჯერად უწინდელზე მეტი სიფრთხილე მართებს „ნაცმოელთა ბელადს“, რათა დოლარებზე სულგაყიდულ „ჰოლივუდს“ ახლა უკვე „აგვისტოს ათ დღეზე“ არ მოუწიოს მეორე და დამამთავრებელი ფილმის გადაღება. და მეორეც — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რა მხარდამჭერი შეიძლება ეწოდოს თურქეთს, რომელიც დღესაც არხეინადაა ფეხმორთხმული მის მიერვე ოკუპირებული სამცხე-ჯავახეთისა და ტაოკლარჯეთის ტერიტორიებზე, საიდანაც ცის კიდურს სწვდება იქ გამომწყვდეულ და გამუსლიმანებულ, დამონებულ და დაჩაჩანაკებულ ქართველთა უიმედო გოდების ხმა.

* * *

„ნატოს“ ღია კართან ახლა უკვე „ასპირანტის“ სტატუსით მოყურყუტე მიხეილ სააკაშვილს სამაგალითო ისტორიულ მოვლენად და ღვთის ნების უზენაეს გამოხატულებად უნდა ახსოვდეს რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ფაქტი. **განგებამ რომ ჯვრის მადლითა და რუსეთის სამხედრო თანადგომით გვიხსნა ქრისტიანული ბიზანტიის საშინელი და გარდაუვალი კატასტროფისგან — ეს საქართველოს ხელმეორედ დაბადების ტოლფასი მოვლენა იყო და არის, მაგრამ „ნაციონალების“ ტვინგადაბრუნებული პროპაგანდა დღენიადაგ იმის ცდაშია, რომ ყველა სიწმინდესთან ერთად ისტორიული მადლიერების გრძნობაც წაჰგვაროს ქართველ ხალხს.**

* * *

მიხეილ სააკაშვილი აშკარად ცდება, როცა ქართულ-თურქული „ბიზნესურთიერთობის“ „ფუძემდებლად“ მიიჩნევს საკუთარ თავს, რადგან თურქულ ლირებზე დახარბებულ და სულით ხორცამდე გახრწნილ ქართველ ავაზაკებს საუკუნეების მიღმა გააჩნდათ „ტყვის სყიდვის“ საზიარო ბიზნესი ოსმალებთან. როცა სოლომონ დიდმა თვალების დათხრა დააწესა ამ საზარელი დანაშაულისათვის, თურქულ-ქართულმა ბანდებმა მეფის ჩამოგდება განიზრახეს.

ისტორიაში ჩაუხედავ მიხეილ სააკაშვილს შევახსენებთ, რომ რუსმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ აქაც შეგვაშველეს ხელი და მათი შემწეობით სოლომონ პირველმა ერთიანად გაჟუჟა მოწინააღმდეგეთა აშმორებული ხროვა.

**ბატონო ოთარ!** თქვენი ხვიჩა საქართველოს შეუმშრალი ცრემლია სტამბოლის ტყვეთა ბაზარზე გაყიდულ ათასობით გოჩასთან და ცირასთან ერთად. და თუ თქვენში მთლიანად არ მიმქრალა ქართული სული, მაშინ ხმამაღლა გვაუწყეთ, — ვინ იყო და ვინ არის საქართველოს საფერი ლიდერი და მამულიშვილი: სოლომონ დიდი, რომელიც საკუთარი თვალისჩინივით დაჰკანკალებდა საქართველოს გენოფონდს, თუ ჰალუცინაციებით შეპყრობილი „მსოფლიო რეფორმატორი“ მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც „უვიზო მიმოსვლის“ რეჟიმის დაწესება სურს უცხოეთისკენ მიმავალ ყველა გზაზე, რათა ჩასაძირად განწირული გემივით უფსკრულისკენ გადაყუდებული საქართველო „ზედმეტი ბარგისაგან“ განტვირთოს.

## ბატონო ოთარ! თუ დღეს «ბაში-აჩუკის» მამაცი შთამომავალნი კვლავ მშობლიურ მზესა და მთვარეს შეჰხარიან, თქვენ, უკვე ცხრა წელია, რაც იმ აშმორებული ჭაობის ბინადართა შორის ტოპავთ, რომელთა პირფერული ტაში-ტუშითა და ლაქუცით «ნაციონალებმა» ზედ თავზე დაგვამხეს მშობლიური ცარგვალი

უწმინდურო „ნაციონალებო“! ერთ დროს როსტომ რაჭის ერისთავიც თქვენსავით ლაღობდა მოძმეთა სისხლსა და ცრემლზე, მაგრამ, როცა ეროვნული განკითხვის ჟამმა დარეკა, სოლომონ დიდმა მას და მის შვილებს თვალები დასთხარა და ამ უსასტიკესი განაჩენით მომავალ თაობებს უანდერძა, რომ თურქულ ლირებზე დახარბებულ და თურქებთან მოკურკურე ყველა ორგულსა და მოღალატეს დაუნდობლად უნდა წართმეოდა მემკვიდრეც და თვალის ჩინიც.

დღეს რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული სული ზეობდეს, შავ ზღვისპირეთს ალექსანდრიის შუქურასავით უნდა ამშვენებდეს სოლომონ დიდის მონუმენტური ქანდაკება, ნიშნად დასავლეთის კარიბჭის სიმტკიცისა და შეუვალობის, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი რომელიღაც ხურუშშეყრილი ალისა და ნინოს ძეგლს გვიდგამს თურქულ-ქართული „ინტეგრაციის“ სიმბოლოდ. თუმცა მისგან არც ესაა გასაკვირელი, რადგან **ახლა საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მიხეილ დეფორმატორი ქართულ სახვით ხელოვნებაში დღემდე არნახული რაღაც იდიოტურ-ოდიოზური ჟანრის ფუძემდებელია და მის მიერ აღმართული ყველა მონუმენტური ბომონი ისეთსავე ანაქრონიზმს წარმოადგენს ქართული სივრცისთვის, როგორც მის მიერვე მოჩხიბული პოლიტიკური ბალაგანი**.

**ინვესტორ-თაღლითთა მიერ აგებულ შენობათა ფასადების წინ მოტრაბახე პრეზიდენტი საკუთარ თავზე მიიწერს ყველაფერს, რაც ამქვეყნად შენდება და კეთდება, რათა ხალხს თავი მოაჩვენოს, როგორც ახალი დროის უბადლო „შემოქმედმა“.**

საოცარი ისაა, რომ ამ „ცეხ“-პოლიკლინიკების გახსნაზე გამგებლების მიერ საგანგებოდ მორეკილი ასობით ღინტუ და ღენტო, მანთხო და მუნთხუ ქვებითა და ჯოხებით რომ უნდა ერეკებოდნენ მათ წინაშე ენადგაკრეფილ პრეზიდენტს, პირიქით — ფეხქვეშ ეგებიან და რომელ ადგილზე ემთხვიონ, აღარ იციან.

* * *

12 მარტს თელავის „სამშენებლო შოუზე“ ჩასულმა პრეზიდენტმა თავი მოიკატუნა — მე და რამაზ ნიკოლეიშვილს ქონებრივ დეკლარაციაში შესატანი არაფერი გაგვაჩნია, ჩვენ მიერ აშენებული გზების, ხიდებისა და სასტუმროების გარდაო. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ საეჭვო და გასაჩხრეკი ბევრი რამ აქვს ამ „სოფლის მაშენებელთა დუეტს“.

* * *

**ბატონო ოთარ!** თუ გახსოვთ, აკაკის დროინდელი საქართველოს ინტელიგენცია სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ნიშნით გაიყო „მამათა“ და „შვილთა“ ბანაკად. მაგრამ **ახლანდელი საქართველოს უფროს და უმცროს თაობებს შორის მხოლოდ იმ ბოროტი განზრახვით გაავლო მიხეილ სააკაშვილმა „სადემარკაციო“ ხაზი, რომ მამების ბრძნული და კეთილი ზეგავლენისგან განცალკევებული შვილები უფრო ადვილად გადაჩეხოს უცხოური გარყვნილების უფსკრულში**. დატრიალდა თაობათა განცალკევების ამსახველი მორიგი სატელევიზიო კურიოზიც: — ნორჩ ველოსიპედისტთა ავანგარდში თავის ორფუთიან ლაჟებს შორის ამოჩრილ ველოსიპედზე დაზვინულ პრეზიდენტს „რუსთავი 2“-ის სარეკლამო რგოლი ცისმარე დღე წარმოგვიდგენს, როგორც ნაცმოური „ელდორადოს“ ფანტასტიკურ, სამოთხისკენ მიმავალი ახალგაზრდა თაობის წინამძღოლად მოვლენილ ბიბლიურ მოსეს.

მაგრამ ჯერაც პირზე რძეშეუმშრალ პატარებთან ერთად **ხან ციგურებზე და ხანაც ველოსიპედზე ამხედრებული მიხეილ სააკაშვილი ჩვენ გვაგონებს ინფანტილიზმის სენით შეპყრობილ ბარდღუნიას, რომელიც ცხენჯოხებზე გადამჯდარ სოფლის ონავრებთან ერთად დარბის შუკაშუკა და სახელის გასატეხ ჭორებს უვრცელებს დათა თუთაშხიას.**

„მამათა“ ბანაკისთვის ნეტარხსენებული ლია ელიავა წარმოადგენდა (და წარმოადგენს) იდეალურ ესთეტიკურ ფენომენს, როგორც ქართველი ქალისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი სილამაზის, სიწმინდის, პატიოსნების, გონიერებისა და ერთგულების განსახიერება. თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით იგი ჭეშმარიტი სიყვარულისა და მიწიერ ვნებებზე ამაღლებული ადამიანური იდეალებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით ზრდიდა იმდროინდელ ახალგაზრდებს. „შვილების“, ანუ მიხეილ სააკაშვილის ეპოქამ მთლიანად ამოძირკვა ქართული ლექსიკიდან „ესთეტიკურისა“ და „ამაღლებულის“ ცნებები და მათ სანაცვლოდ „სექსუალური“ დაგვიდგინა ჩვენი სამარცხვინო და გაბახებული ყოფიერების ეტალონად.

და აი, სპერმის სუნზე ნაგეში მიხეილ მუსუსი და ბოლნისის რაიონის ყოვლადსამარცხვინო მაჟორიტარი დეპუტატი კობა ნაყოფია მადნეულის საბადოდან მოხვეჭილი ოქროვერცხლისა და მილიონების ფასად ეგზოტიკური ცხოველებივით დაატარებენ დედა ქეთევანის წმინდა მიწაზე უცხოეთიდან ჩამოლალულ „სექს-სიმბოლოებს“ (ანუ სუპერ-ბოზებს) და მაგალითებად უსახავენ ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს. **საქართველოს ახალი ხელისუფლება, ალბათ, იმასაც დაითვლის, რა მიზნით იფლანგება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე**.

კაცმა რომ თქვას, „ნაციონალებისთვის“ არც პოლიტიკური პროსტიტუციაა უცხო: დაეხეტებოდნენ სოფელ-სოფელ „ნაცმოელი“ დეპუტატობის კანდიდატები და ხმებს ჰყრიდნენ: — ჩვენ თუ არჩევნებში დავმარცხდებით, ქვეყანას დამანგრეველი ძალა დაეუფლება და ვარდების „ჩახჩახა ეპოქიდან“ კვლავ წარსულის წკვარამში გადაიჩეხებითო.

ამათ რომ ჭკუა მოეკითხებოდეთ, ეცოდინებოდათ, რომ თვით **მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო მანტია წარსულის სანაგვიდან მეორადი ხმარებისთვის ამოქექილი პოლიტიკური ძონძია და მთელი მისი ცხოვრება და საქმიანობა როსტომ-ხანის ბიოგრაფიულ პარალელს წარმოადგენს**. როსტომ უხსენებელიც მაშინდელ მეტროპოლიაში აღიზარდა შაჰაბას პირველის კარზე. ამ გველის ბუდეში ამოართვეს მას ქართული სული და გული და სამუდამოდ შეაძულეს დედასამშობლო და დედაენა, ჩაუნერგეს ყოველგვარი სპარსულისადმი მონური თაყვანისცემის გრძნობა, წინდაცვითეს და თხემით — ტერფამდე გათათრებული მოავლინეს ქართლ-კახეთის „ვალად“. მოსვლისთანავე, როგორც მიხეილ სააკაშვილმა, როსტომ-ხანმაც აიშენა სამეფო სასახლე და თანამდებობებზე თეირანიდან ჩამოთესლილი გათათრებული და გამაიმუნებული თანაგუნდელები დანიშნა. ხალხის გული რომ მოეგო, შაჰაბასის მზაკვრული რჩევით და შემწეობით აშენებდა ციხეებს, სასახლეებს, ქარვასლებს, ხიდებს, ფუნდუკებს, გაჰყავდა გზები და, როგორც მიხეილ გადამშენებელს, მასაც თავი მოჰქონდა ქვეყნის აღმშენებლობით. როცა კახელები აუჯანყდნენ, სპარსული ჯარი მოიხმო და ერთიანად შემუსრა „ოპოზიცია“.

**როგორც ხედავთ,** როსტომ-ხანის სტრატეგიული პარტნიორი იყო ქართველთა სისხლით გაუმაძღარი სპარსეთი.

**როგორც იცით,** მიხეილ-ხანის სტრატეგიული პარტნიორია ასევე ქართველთა სისხლით გაუმაძღარი თურქეთი.

* * *

„მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერიაო“, — გვაფრთხილებდა დიდი რუსთველი. შინაურ მტრებთან ქართველი პატრიოტების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ-ერთ საამაყო ეპიზოდს წარმოადგენს გასული წლის მაისის სახალხო აჯანყება „ნამცოელ“ ყიზილბაშთა წინააღმდეგ. იმ დღეებში ისევ აჭყვიტინდნენ „სათქვლეფ-სალაფავზე განწუწკებული „ქართული ჭაობის“ ბინადარნი და მიტინგისმარბიელ მანქურთებთან ერთად „გიჟია“, „გიჟიას“ ძახილითა და ლაფის სროლით გამოუდგნენ ქართველ პატრიოტებს.

**ბატონო ოთარ!** თქვენც იმ „ჭაობის“ წუმპეში ამოთხვრილი პირ-სახით გამოფორთხდით მაშინ პრესაში და აჯანყების ექვსივე მეთაურის ჩამოხჩრობა ითხოვეს ისე, როგორც იმ წყეულმა სვიმონ მაყაშვილმა მოსთხოვა ალი-ყული-ხანს ქართველი პატრიოტების ამოხოცვა და მერე თავადვე ასრულებდა ამ საზარელ საქმეს, ვიდრე ძირში არ გააგდებინეს გათათრებული „ბაშკა“.

რამდენადაც ამ საზიზღარი ბეზღობის დღიდან თქვენ დედაეკლესიაში შესვლის მორალური უფლება დაკარგეთ, გადმოდექით ახლა აზიზის მეჩეთის გადანგრეულ მინარეთზე და ქართველ ხალხს აუწყეთ, **— რისთვის ან რა „სარგებლის“ ფასად გაცვალეთ ბაში-აჩუკის ჩოხა სვიმონ მაყაშვილის სპარსულ ხალათზე, ან როგორ გახდით მიშას პირადი ბაში-აჩუკი, ან ხომ არ გეგონათ, რომ „შვილო, მიშას“ წამქეზებლური ძახილითა და ბაში-აჩუკის ადრინდელი იმიჯის წყალობით მომხრეთა ახალ-ახალ დასებს შესძენდით „ვარდების წყალწაღებულ ხელისუფლებას“?** დრომ სახე იცვალა: — ხავსზე ჩაჭიდებული „ნაცმოძრაობა“ ისე წაცურდა „დინების მიმართულებით“, როგორც ბაში-აჩუკის დამხრჩვალი ცხენი გაჰყვა ადიდებულ არაგვს.

* * *

**ბატონო ოთარ!** პირადად თქვენ კი ჭეშმარიტი სინანულის განცდით გმართებთ, გამოტოპოთ ნაცმოური უსჯულოების ჭაობიდან და თქვენივე ხელით ჩამოირეცხოთ მოღალატეობის ლექი და ლაფი, „რათა წარუდგეთ უფლისა მსჯავრსა სულით განწმენდილ და განბანილი“.

* * *

როცა აღზევებული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და გამარჯვების იდეალი დასჭირდა ქართველ ხალხს, გენიალურმა რუსთველმა ქაჯეთის ციხის აღების ამსახველი გმირული ეპოპეა შექმნა და სამაგიდო წიგნად უანდერძა თაობებს, როგორც პატრიოტიზმის, სიმამაცის, მეგობრობის, ერთგულებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის მარადიული სიმბოლო.

რუსთველიდან შვიდასი წლის შემდეგ დიდმა აკაკიმ ყიზილბაში ქაჯებისაგან ბახტრიონის ციხის განთავისუფლების ისტორიული ფაქტი გააცოცხლა, რათა თითოეული ქართველის გულში მბჟუტავი ეროვნული ნაპერწკალი „ერთ დიდ ცეცხლად დაენთო ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად“...

ახლანდელი მწერლუკანები და მათი პრეზიდენტი კი „ვერის უბნის მელოდიების“ ახალი ვარიაციის გმირებს ჰგვანან, რომელთაც მიწაზე ფეხი არ უდგათ და ბედისწერის თოკებზე დაკიდებულნი დაფურფუტებენ სივრცეში.

ზოგი „ანტიტყაოსანს“ ჯღაბნის, ზოგი „ამერიკული ზღაპრების“ ჩხიბვითაა გართული მაშინ, როცა აწ უკვე გარდასულ „ვარდების ეპოქას“ რეალისტ მწერალთა მთელი დასი სჭირდება, რათა პირუთვნელი სიმართლით აისახოს საზღვრებს იქით გადარეკილ და საზღვრებს შიგნით გამომწყვდეულ ათასობით ბაში-აჩუკის, გლახო ბაქრაძის, პირმთვარისას თუ პირიმზისას სოციალური და სულიერი ტრაგედია.

მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, ვინ ვიყავით და რად გვაქციეს „ნაცმოელმა“ ალქაჯებმა.

**თამაზ მუშკუდიანი**
**ბოლნისი**

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკა არ მიდის საზღვარგარეთ იმ ურჩხულების საძებნელად, რომლებიც უნდა განადგურდნენ. ის თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის თაყვანისმცემელია. ის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მცველია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების“.**



# აშშ ახლო აღმოსავლეთში გმირულად აგვარებს პრობლემას, რომელიც თავად შექმნა

**იქმნება პარადოქსული და სახიფათო სიტუაცია, როდესაც პრაქტიკულად ერთადერთი სამხედრო სუპერსახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საკუთარი პროპაგანდის მძევალი ხდება. მისი სამხედრო გეგმები, სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიები იქმნება შიდა და გარე გამოყენებისთვის განკუთვნილი პროპაგანდისტული კლიშეს მიერ.**

პროპაგანდისტული ლოგიკა კარნახობდა რეალურ პოლიტიკას.

**ამ პროპაგანდისტული კლიშეებიდან ერთ-ერთის თანახმად, ამერიკა გლობალური დემოკრატიის პოლუსია, რომელიც ხელს უწყობს გლობალურ დემოკრატიზაციას და ეხმარება ყველას, ვინც ებრძვის „შინაურ ტირანს“. ამ კლიშეს ზემოქმედების შედეგად ობამა იძულებული იყო, მხარი დაეჭირა რევოლუციური მოძრაობისთვის ეგვიპტეში, ლიბიაში და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში სწორედ პროპაგანდისტული ლოგიკა კარნახობდა რეალურ პოლიტიკას, თუმცა ამერიკულ ისტებლიშმენტში არიან ძალები, რომლებიც აბსოლუტურად შეგნებულად, ცინიკურად, ანგარებით და ყოველგვარი ვარდისფერი სათვალის გარეშე ითრევენ აშშ-ს სწორედ ასეთ თამაშში. მაგრამ ძირითადად ამერიკას სწორედ პროპაგანდისტურმა კლიშემ უბიძგა იმ რეჟიმების დამხობის ხელშეწყობისაკენ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პროამერიკული ხასიათისანი იყვნენ.**

ახლა ამერიკას ტყვიებს უშენენ ისინი, ვისაც ორიოდე დღის წინ უჭერდნენ მხარს და ახლაც უშენენ და აშშ იძულებულია, ახალ პირობებში ებრძოლოს „ალქაიდას“, როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას. ოფიციალურად აშშ ამ ორგანიზაციას არასდროს უჭერდა მხარს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, ვინც მაღრიბის ქვეყნების ე. წ. დემოკრატიზაციისგან სარგებელი მიიღო, „ალქაიდაც“ არის. ასე რომ, ამერიკა განაგრძობს იმ პრობლემის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას, რომელიც თავადვე შექმნა ან უკიდურეს შემთხვევაში გაამწვავა მაინც.

ამერიკის სტრატეგებს უფრო ეშმაკური გეგმებიც შეიძლება მიეწეროთ, მაგალითად „მართვადი ქაოსის სტრატეგია“, მაგრამ **ახლა ობამას ადმინისტრაციის ქმედება ეშმაკური „მართვადი ქაოსის სტრატეგია“ კი არა, მოახლოებული არჩევნების წინ აგორებულ ანტიამერიკანიზმის ტალღაზე იძულებითი რეაქციაა.** ესყველაფერი **რეაქტიულ პოლიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე სტრატეგიულ გეგმას.**

ახლა რომ შეიძლებოდეს პროპაგანდისტური ეფექტის მიღწევა, შიდა პოლიტიკაში ამ თემის დამუშავება არჩევნების წინ და ჩრდილოეთ აფრიკაში რაიმე ძალებისა და საშუალებების ამოქმედებისგან თავის შეკავება, ობამას ადმინისტრაცია ასეც მოიქცეოდა. გარდა ამისა, არის სირიის გადაუჭრელი პრობლემა, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის პრობლემა და ამ ყველაფრის გამო ამერიკა ჩარევის სრულმასშტაბიანი ოპერაციის ჩატარებას არ ეცდება.

**km.ru**

# ამერიკის უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა

**ამერიკის უფროსი თაობისათვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, და „მდუმარე“ თაობისათვის, რომელიც 1950-იან წლებში იზრდებოდა, უდიდეს იდეოლოგიურ და მორალურ გამოცდად იქცა ცივი ომი. მან მიზანი და სიცხადე შესძინა ამერიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ამერიკელთა ცხოვრებას. ამ ომს, რომელიც 1945-ში, ბერლინის დაცემის შემდეგ დაიწყო და 1989-ში ბერლინის კედლის დაცემით დამთავრდა, ორი თაობა აწარმოებდა. მისი დასრულების შემდეგ კი ამერიკელები პირისპირ აღმოჩნდნენ ფუნდამენტური კითხვის წინაშე: თუ ისტორიული დაპირისპირება კომუნიზმსა და თავისუფლებას შორის დასრულდა, თუ საბჭოთა იმპერია და საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუ რუსებს ამერიკელებთან მეგობრობა სურთ, მაოისტები კი კაპიტალიზმის გზას გაუდგნენ, მაშ, როგორია ჩვენი ახალი მისია მსოფლიოში? რა უნდა აკეთონ ახლა ამერიკელებმა?**



მამა-შვილი ბუშები

ამ საკითხთან დაკავშირებული დებატები მას შემდეგ დასრულდა, რაც სადამ ჰუსეინი კუვეიტში შეიჭრა. ჯორჯ ბუშ უფროსმა შეკრიბა მძლავრი კოალიცია და მოიგო ომი. ამისათვის მას სულ რაღაც 100-საათიანი სახმელეთო ოპერაცია დასჭირდა.

ამერიკელებმაც განსაზღვრეს საკუთარი მისია.

**ამერიკის შეერთებული შტატები იყო ერთადერთი და უკანასკნელი ძლიერი სახელმწიფო და მოზეიმე ბუშმა განაცხადა: „ჩვენ შევქმენით ახალ მსოფლიო წესრიგს“. ნეოკონსერვატორებმა ცამდე აიყვანეს ამერიკის „ერთპოლარული“ გამარჯვება და „გლობალური ჰეგემონიის“ დამდეგი ერა.**

მაგრამ ამერიკელები ამან ვერ აღაფრთოვანა. მათ უარი თქვეს ერაყის გამარჯვებაზე ბილ კლინტონის სასარგებლოდ. 2000 წელს კი რესპუბლიკურმა ამერიკამ მხარი დაუჭირა მეორე ბუშს, რომელიც უფრო „მოკრძალებულ“ ამერიკას ჰპირდებოდა ხალხს.

შემდეგ 9/11 მოხდა და მომწიფებულ ჯორჯ ბუშ უმცროსს ვილსონისეული ინტერვენციისაკენ უბიძგა.2001 წლის დეკემბერში თალიბანის განადგურების შემდეგ ჯორჯ ბუშ უმცროსმა გადაწყვიტა, ავღანეთი აიოვას მსგავსად გადაეკეთებინა და „ბოროტების ღერძის“ წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყო.თავის მეორე საინაუგურაციო გამოსვლაში მან განაცხადა, რომ ამერიკის მისია მსოფლიოში ტირანიის განადგურებაში მდგომარეობს.

მაგრამ მსოფლიომ დახმარებაზე უარი უთხრა. 2006 წლის დასასრულს თალიბანი დაბრუნდა, ამერიკა ერაყში დაუსრულებელ ომში ჩაერთო, რესპუბლიკელებმა დაკარგეს კონგრესი, ჯვაროსნული ლაშქრობა კი, რომელიც ბუშმა მსოფლიოში დემოკრატიის დამყარების ეგიდით გააჩაღა, არჩევნებზე „ჰამასისა“ და „ჰეზბოლას“ გამარჯვებებით დასრულდა.

2008 წლის დასასრულს ჯვაროსნებს სთხოვეს, აბარგებულიყვნენ და გასასვლელისკენ მიუთითეს.

მოვიდა ბარაკ ობამა. ობამამ მზამზარეულად მიიღო 2010-ში დაწყებული „არაბული გაზაფხულიც“, დიქტატორების დამხობაც ტუნისში, ეგვიპტეში, იემენში, ლიბიასა და სირიაში.

გამოღვიძება საშინელება იყო. როდესაც არაბული სამყაროს დიქტატორები ერთი მეორის მიყოლებით დაემხნენ, მიწებს, რომლებსაც ისინი მართავდნენ, ქენებით გადაურბინეს არაბული აპოკალიფსის ოთხმა მხედარმა: ტრაიბალიზმმა, ეთნო-ნაციონალიზმმა, ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა და ანტიამერიკანიზმმა. და ამერიკის წინაშე დადგა უბრალო შეკითხვა:

თუ ისლამური სამყარო ამდენად გაჯერებულია მრისხანებითა და სიძულვილით ჩვენ მიმართ — ჩვენი ომების, ოკუპაციების, უპილოტო საფრენი აპარატებიდან დარტყმების მიყენების, ისრაელის მხარდაჭერის, დეკადენტური კულტურის, ისლამისა და წინასწარმეტყველის შეურაცხყოფისადმი შემწყნარებლობის გამო — **რატომ უნდა მოვუწოდოთ თავისუფალი არჩევნებისაკენ იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი ამ არჩევნებს გამოიყენებს და აშშ-ის მიმართ მტრულად განწყობილ მმართველებს მისცემს ხმას?**

**მოკავშირე დიქტატორების დამხობის სავარაუდო და გარდაუვალი შედეგი თუ ისაა, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მტერი ისლამისტები უნდა მოვიდნენ, რაღატომ ვეხმარებით დიქტატორების დამხობაში?**

ცივი ომის დროს ამერიკა იჩენდა მეგობრებს იქ, სადაც მიაგნებდა. თუ ისინი მზად იყვნენ, საკუთარი ბედი ამერიკასთან დაეკავშირებინათ, ამერიკა მიესალმებოდა ყველას — შაჰიდან დაწყებული, გენერალ პინოჩეტით დამთავრებული.დემოკრატიული დისიდენტები, ისეთები, როგორიც ინდოეთში ჯავაჰარლალ ნერუ იყო, შვედეთში კი ულოფ პალმე, სწორედ ამერიკის ფრთებქვეშ აფარებდნენ თავს.

მეორე მსოფლიო და ცივი ომების პერიოდში მთავარი საკითხავი იყო არა ის, თუ რამდენად დემოკრატიული ან სულაც არადემოკრატიული გზით მოვიდა ვიღაც ხელისუფლებაში (ბოლოს და ბოლოს ადოლფ ჰიტლერი გერმანიაში კანცლერად აირჩიეს), არამედ ის, თუ ვის მხარეს იყო იგი.

სხვათა შორის, ყველა ქვეყანას არ აქვს დემოკრატიულობის უნარი.

მთელ არაბულ და ისლამურ სამყაროში ამერიკის მიმართ ესოდენ მოუთოკავი სიძულვილის პირისპირ ამერიკა კვლავ განმსაზღვრელი მომენტის წინაშე დგას: როგორია ახლა მსოფლიოში მისი მისია? რა უნდა იყოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი?



რა გლობალური ამოცანა უნდა დაისახოს ამერიკამ ახლა, რომელი მიზნისკენ უნდა ისწრაფვოდეს თავისი ტრილიონდოლარიანი თავდაცვით, სპეცსამსახურებით, უცხოეთის დახმარების ბიუჯეტით, ყველა კონტინენტსა და მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში დაქსაქსული დიპლომატიური და სამხედრო დასწრებით?ბუშისეული „ახალი მსოფლიო წესრიგი“, ამერიკის სტრატეგიული ჩაქრობის, ასევე რუსეთის, ჩინეთისა და ისლამური სამყაროს წინააღმდეგობის გათვალისწინებით, უკვე ისტორიას ჩაბარდა.

ბუშ II-ის ჯვაროსნული ლაშქრობა „დემოკრატიისთვის“ და ობამას მიერ „არაბული გაზაფხულის“ მიღება გახდა პირობა იმისათვის, რომ ხელისუფლებებში მოვიდნენ ამერიკის სურვილების მიმართ გაცილებით ნაკლებად კეთილგანწყობილი ძალები, ვიდრე თავად ამერიკის სრული მხარდაჭერით დამხობილი დესპოტები და დიქტატორები იყვნენ.

სამივე წარმოდგენა ილუზია აღმოჩნდა. იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც წელიწადში 1 ტრილიონი დოლარით ვალების გაზრდის სიჩქარით მიექანება გაკოტრებისკენ და რომელიც გადაქანცა ჯვაროსნული ლაშქრობების საუკუნემ, ალბათ, შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯონ კუინს ადამსის სიტყვები: **„ამერიკა არ მიდის საზღვარგარეთ იმ ურჩხულების საძებნელად, რომლებიც უნდა განადგურდნენ. ის თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის თაყვანისმცემელია. ის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მცველია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების“.**

**Human events**

**ახლა ობამას ადმინისტრაციის ქმედება ეშმაკური „მართვადი ქაოსის სტრატეგია“ კი არა, მოახლოებული არჩევნების წინ აგორებულ ანტიამერიკანიზმის ტალღაზე იძულებითი რეაქციაა. ეს ყველაფერი რეაქტიულ პოლიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე სტრატეგიულ გეგმას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა მსოფლიო ომს ამზადებს



**თურქულ მედიაში შეუმჩნეველი დარჩა ერთი მნიშვნელოვანი სიახლე — ბოლოდროინდელი ტურნეს დროს ჰენრი კისინჯერმა თურქეთის პრემიერს კულუარებში უთხრა შემდეგი ფრაზა: „მათ სურთ, მოაწყონ მესამე მსოფლიო ომი, მათ სურთ ყველაფერი ან არაფერი“.**



ამის შესახებ თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი გაზეთი Hurriyet წერდა.

**რამდენიმე თვის წინ ირანის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის რუსეთის სამსახური იტყობინებოდა, რომ თალიბების მიერ დატყვევებულმა ერთ-ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა „წარმოუდგენელი ინფორმაცია“ გადასცა მათ ამერიკის მიერ „განკითხვის დღის“ მზადების თაობაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ მედიაში გამოჩნდა ალ-ჰამანეის გზავნილი, რომელიც ყველა ირანელს ფინალური ბრძოლისთვის მზადებისკენ მოუწოდებდა. ყველა ექსპერტმა და მედიამ ეს შეაფასა, როგორცაშშ-ირანის ომისათვის მზადყოფნისაკენ მოწოდება.**

თალიბების განცხადებით, აშშ-ის ოფიცერი ირწმუნება, რომ პირადი ნაცნობობა აკავშირებს აშშ-ის მაღალი რანგის მრავალ მოხელესთან და ასახელებდა ისეთ ხმამაღალ სახელებს, როგორებიც არიან რომნი, მაკკეინი და აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სხვა წარმომადგენლები. ის ითხოვდა, შეენარჩუნებინათ მისთვის სიცოცხლე და ირწმუნებოდა, რომ დასახელებული პირები ამისთვის დიდ ფულს გადაიხდიდნენ. მიუხედავად ამისა, თალიბებმა მეორე დილით გამოასალმეს სიცოცხლეს.

**ამ ადამიანის ნათქვამის მიხედვით, „განკითხვის დღის“ თარიღი 2016 წლისთვისაა დანიშნული.**

ამ თარიღისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა სახეზე იქნება. მაგალითად, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მიტ რომნი გაიმარჯვებს, 2016 წელი მისი პრეზიდენტობის ბოლო წელი იქნება. გარდა ამისა, ამ დროისათვის უნდა დასრულდეს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის მეორე ეტაპი.

მთელი რიგი ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, ამერიკელი სამხედროები შეგნებულად ამცირებენ საკუთარი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მახასიათებლებს, მაგრამ სინამდვილეში ამ მხრივ გაცილებით მეტ წარმატებებს მიაღწიეს, ვიდრე საომარ სფეროში. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ამერიკელებმა უარი განაცხადეს სისტემის გამოცდაზე რუსი სამხედროების მიწვევაზე.

გადამდგარმა ამერიკელმა გენერალმა ჯონ უეინმა ნახევარი წლის წინ განაცხადა, რომ ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას უკვე შეეძლო, 99%-იანი გარანტიით შეეჩერებინა რაკეტები, რომლებიც ინდოეთის, ჩინეთისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების შეიარაღებაში ამ დროისთვის იყო.

**როგორც კი ცნობილი გახდა ჩინეთის მიერ იმ რაკეტის გამოცდის თაობაზე, რომელსაც აშშ-ის ტერიტორიაზე ნებისმიერი წერტილის განადგურება შეეძლო, პენტაგონი შეიშმუშნა და სწრაფად და საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყნებში განლაგდება აზიური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები.**

**მიმდინარე წლის 18 მაისს აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკელების მიერ მართულმა წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდული შესაძლებლობების გაზრდას და ასევე 2015 წლამდე აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროებზე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებას ითვალისწინებს.**

რესპუბლიკურ პარტიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას გამოეყვნენ მთავარი პოლიტიკური მძიმეწონოსნები, ისეთები, როგორიც ზბიგნევ ბჟეზინსკი და ჰენრი კისინჯერი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი რესპუბლიკელები არ იყვნენ, მუდამ მის მიმართ გამოხატავდნენ სიმპათიებს.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2011-2012 წლებში. ჯერ ჰენრი კისინჯერმა ჩაატარა ტურნე მთელ რიგ ქვეყნებში და შეხვდა მთელ რიგ მნიშვნელოვან ადამიანებს, მათ შორის ვლადიმერ პუტინსაც. სამწუხაროდ, კისინჯერის შეხვედრების შესახებ რაიმე პიკანტური დეტალები არ გამოჟონილა, გარდა იმისა, რომელიც დასაწყისშივე აღინიშნა.

**ზბიგნევ ბჟეზინსკიმ კი, რომელიც მანამდე მსოფლიოში ამერიკის გლობალურ დომინირებაზე ამყარებდა იმედებს, დაწერა ახალი წიგნი, რომელშიც კარდინალურად შეცვალა საკუთარი დამოკიდებულება მსოფლიო პოლიტიკისადმი. წიგნში იგი ირწმუნება, რომ მხოლოდ ობამას შეუძლია იხსნას ამერიკა იმ უფსკრულისაგან, რომელში გადაჩეხვის საფრთხის წინაშეც დგას ქვეყანა. ბჟეზინსკი თავის სტილს არ ღალატობს და მხოლოდ გეოპოლიტიკურ ტერმინოლოგიას იყენებს, მაგრამ აბსოლუტურად გასაგებია, რომ მასაც კი აშფოთებს „ყველაფერი ან არაფერი“ დევიზის პოლიტიკის გამო მოსალოდნელი საფრთხეები.**

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ იაპონიის გაძლიერება — აშშ-ის ამ მოკავშირის ფლოტს სულ მალე ავიამზიდიც ეყოლება.

**телеграфистъ.рф**





# ამერიკული გულაგი

**იცით, რაზე არ საუბრობს არც ობამა და არც რომნი წინასაარჩევნო დებატებისას? — აშშ-ის პენიტენციალურ სისტემაზე. სხვაგვარად როგორ უნდა აუხსნან ამერიკელებსა და მსოფლიო საზოგადოებას, თუ რატომაა, რომ მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ფლაგმან ქვეყანას საპატიმროებში 6 მილიონზე მეტი, ანუ იმაზე მეტი ადამიანი ჰყავს, ვიდრე საბჭოთა კავშირს ჰყავდა სტალინური რეპრესიების პერიოდში.ყველა ეს პატიმარი ერთ პენიტენციალურ ცენტრში რომ მოთავსდეს, ამერიკაში ერთი ახალი ქალაქი გაჩნდებოდა.**

ამერიკაში გულაგი გაჩნდა? საუბარია მონაცემებზე, რომლებიც კვლევის შედეგად ამერიკულმა გამოცემა New Yorker-მა გამოაქვეყნა. და პრობლემა მხოლოდ პატიმართა რაოდენობა არ არის, არამედ აშშ-ის ციხეებში შექმნილი უკიდურესად აუტანელი პირობებიც. დაახლოებით 50 ათასი პატიმარი სრულ იზოლაციაშია, მათ ვინმესთან ურთიერთობის ნება არ აქვთ.ერთადერთი, რისი უფლებაც მათ აქვთ, დღეში ერთი საათით სპორტული ვარჯიშებია. დანარჩენი პატიმრების ცხოვრება ამაზე უკეთესი არაფრითაა. ზოგიერთი შეფასების თანახმად, **ყოველდღიურად დაახლოებით 70 000 პატიმარი ძალადობის მსხვერპლი ხდება, მაგრამ ხელისუფლება თვალს ხუჭავს ამაზე. აშშ ლიდერია კიდევ ერთი მაჩვენებლით: ასობით მოზარდს მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა, რაც არანაირად არ შეესაბამება ეგრეთ წოდებული თავისუფალი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას.**

აშშ-მა ნამდვილად მოიპოვა გამარჯვება ცივ ომში, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, სახელმწიფო თავის ხალხს უცხადებს ომს. 1980 წელს, როდესაც რონალდ რეიგანი აშშ-ის პრეზიდენტად იქნა არჩეული და გადაწყვიტა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა მოეხრჩო, აშშ-ში 100 ათას მოსახლეზე 229 პატიმარი მოდიოდა. ოცი წლის შემდეგ, 2010 წელს, ქვეყანაში, რომელმაც მოიგო ცივი ომი, ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა გასამმაგდა და 100 ათას მოსახლეზე 741 პატიმარს მიაღწია.

შედარებისათვის: ნორვეგიაში 100 ათას სულ მოსახლეზე 66 პატიმარია, ესპანეთში — 144. რასობრივი პრობლემა აშშ-ში კვლავაც ძალზე მწვავედ დგას. აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი აფროამერიკელია, მაგრამ ამერიკაში შავკანიანების ციხეში მოხვედრის ალბათობა შვიდჯერ უფრო მეტია, ვიდრე თეთრკანიანებისა. **აშშ-ში მონობა გადავარდა, მაგრამ სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიანიშნებს, რომ სასჯელმისჯილი აფროამერიკელების რაოდენობა ამჟამად აღემატება 1850 წელს ქვეყანაში არსებული მონების რაოდენობას.**

არანაკლებ სკანდალურია საკითხის ეკონომიკური მხარე. პენიტენციალური სისტემა აშშ-ში კერძო კომპანიების კონტროლქვეშაა.ეს კი იმას ნიშნავს, რომ ციხეები კომერციული ორგანიზაციებისთვის შემოსავლიან ბიზნესად იქცა.

დაინტერესებული პირების ჯგუფი, რომელსაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, სასჯელის შემცირების წინააღმდეგ გამოდის, განსაკუთრებით წინააღმდეგნი არიან ნარკომოვაჭრეებისთვის სასჯელის შემცირებისა, რადგან ეს კატეგორია „კლიენტების“ სტაბილური ნაკადის გარანტიაა.

მაგალითისათვის განვიხილოთ კალიფორნიის შტატი, რომელიც ვალებში იხრჩობა, მაგრამ წელიწადში ერთი პატიმრის შესანახად 50 ათას დოლარს ხარჯავს. ეს ციფრო შვიდჯერ აღემატება თანხას, რომელიც ყოველი მოსწავლისათვის გამოიყოფა. პრიორიტეტები ცხადია:**20 წლის წინ კალიფორნიაში განათლების ხარჯები საპატიმროებში ტუსაღების შესანახ ხარჯებს ორჯერ აღემატებოდა, დღეს კი ყველაფერი პირიქითაა.**

**El Pais**

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველებს ახლა თავად მოუწევთ თავის მიხედვა. აღარავინ დააფინანსებს შეიარაღებულ ძალებს და ათასგვარ დემოკრატიულ პროექტებს. ეს კი მხოლოდ ერთს ნიშნავს: საქართველოში მოქმედი ბარტერული ქრთამები (შენ ჩემი შვილი მოაწყვე ინსტიტუტში, მე კი შემოწმების აქტს ჯარიმების გარეშე გამოგიწერ) მალე სრულად ამოქმედდება. პირველ ადგილზე კვლავ დადგება ფული, რომელიც არ აისახება დოკუმენტებში და სწორედ ის გადაწყვეტს, ვინ იქნება პრეზიდენტი, უფრო სწორად პრემიერი, და სად შევიდეს ქვეყანა.**

# უნებური დემოკრატია

**საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს არავინ გაუოცებია. ამ არჩევნებმა, უბრალოდ, დაადასტურა სიტუაციის მოსალოდნელი განვითარება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სააკაშვილი დიქტატორი და მკვლელია. საქართველოში დემოკრატიის სუნიც კი არ იდგა. სრული ავტორიტარიზმი — აი სააკაშვილის რეჟიმის აღწერილობა. ისინი, ვინც ცდილობენ, ეს ძველი შულერული ფოკუსი დემოკრატიად გაასაღონ, თავს გაუფრთხილდნენ — ამის დაჯერებას ველარავის აიძულებ ვერც რუსეთში და მით უმეტეს — საქართველოში.**



**არადა, მისი თავისუფალი ქვეყნის დემოკრატიულ პრეზიდენტად გასაღების მსურველები მაინც არსებობენ. მოსკოვის ერთ-ერთი რადიოსადგურის რომელიღაც გადაცემაში გაჟღერდა ფრაზა: „მან ხომ უმალ აღიარა დამარცხება, მას ხომ არ უცდია ხელისუფლების უზურპაცია“. ამ სიტყვების ავტორი ხშირად ჩნდება სხვადასხვა სატელევიზიო შოუში და მუდამ მარცხდება თავის სპარინგ-პარტნიორებთან ორთაბრძოლებში.**

ყველას მშვენივრად ახსოვს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილმა დააპატიმრა საგზაო პოლიციის ყველა თანამშრომელი და ახალი, ვითომდა პატიოსანი, თანამშრომლებით ჩაანაცვლა. ჩნდება კითხვა: სად არის აქ დემოკრატია? ცხადია, ეს სრული ავტორიტარიზმია. არც ერთ დემოკრატიულ პროცედურებში არ წერია მსგავსი გადაწყვეტილებების საჭიროება. როგორც ცნობილია, მაშინ სააკაშვილი შეეხო არა მხოლოდ საგზაო პოლიციას, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის თანამშრომლებსაც. ამიტომ იმის ყვირილს, რომ მექრთამეები დაიჭირეს, აზრი არ აქვს — ყველაფერი ეს იყო უფრო ფართო და ღრმა პროცესი, რომელსაც კორუფციასთან ბრძოლა კი არა, სულ სხვა მიზნები ჰქონდა.

ეს მიზნები სააკაშვილმა კი არა, საქართველოში აშშ-ის ელჩმა ბატონმა ტეფტმა დასახა. ეს იყო იმ აპარატის წმენდა, რომელსაც შეეძლო საქართველოს დაცვა პრეზიდენტის რანგში მყოფი ნევრასთენიკისგან. ეს კომბინაცია დიდი ხნის მანძილზე საგულდაგულოდ დამუშავდა, ამიტომაც გაძლო ამდენხანს, ძირითადად, მაინც აშშ-ის ღია დაფინანსების წყალობით. როგორც ცნობილია, საქართველოს მმართველობა პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ილებდა ხელფასს. ამას არც არავინ მალავდა. უცხოური შეკვეთის შესრულება, სანაცვლოდ ფულის მიღება და ამისთვის საკუთარ ხალხზე ექსპერიმენტების ჩატარება, როგორც ჩანს, დემოკრატიის რაღაც ახალი სახეობაა.

თუმცა, დავტოვოთ ჰალსტუხების მღეჭავი თავის უნიკალურ როლში და თავად არჩევნებზე გადავიდეთ. იმ ბატონმა, რომელიც მოსკოვის ზემოხსენებული რადიოს ეთერში საუბრობდა, სააკაშვილის ქცევას დემოკრატია უწოდა, მაგრამ ამაოდ. აქ დემოკრატიის სუნიც კი არ ტრიალებს, ეს არის ჩვეულებრივი მხდალი ქცევა შიშით გულგახეთქილი ავტოკრატისა, რომელსაც პატრონმა დაუცაცხანა. პატრონმა კი მართლაც დაუცაცხანა, რადგან სააკაშვილის მხრიდან უამრავი მცდელობა იყო, ზეწოლა მოეხდინათ ადგილებზე საარჩევნო კომისიებზე. ეს, ალბათ, მხოლოდ ერთი მაგალითია, რომელიც ყურით მოთრეულ „დემოკრატიაზე“ მეტყველებს.

საქართველოში ქრთამების გაქრობის შესახებ გავრცელებული ხმები მხოლოდ ლამაზი და სევდიანი ზღაპარია. საქართველოში ქრთამი იყო და იქნება მუდამ. ეს არის ნაციონალური პატივისცემის თავისებურერი გამოხატულება, რომლის გარეშეც არ არსებობს საქართველო. ერთხელ ერთმა ქართველმა კერძო საუბარში აღნიშნა: **„სააკაშვილი საქართველოს დიდი უბედურებაა, ხოლო ის, რასაც სააკაშვილი აკეთებს, ჩემი სამშობლოს დიდი ტკივილი“.** ახლა ნუ ვისაუბრებთ დემოკრატიის წამგებიანობაზე, ვთქვათ მხოლოდ ის, რომ თანამედროვე საქართველოში მან ვერ იარსება და ვერც იარსებებს.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ასე არ არის, გაიხსენოს პატიმრებთან დაკავშირებული უკანასკნელი სკანდალი, რომლის დროსაც წამებისა და განადგურების ობიექტები სწორედ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ. როგორც ჩანს, ეს ფესვგადგმული დემოკრატიის ნათელი მაგალითია. აქ აბსოლუტურად არაორაზროვნად ისახება იმ მეთოდებთან ნათესაური კავშირი, რომლებსაც გუანტანამოს ციხეში იყენებდნენ. **„გარყვნილი მრწამსების ქართული პუდელის“ პატრონისათვის წამებები მიზნის მიღწევის აბსოლუტურად კანონიერი მეთოდია.** და, მიუხედავად ამისა, პატრონმა მაინც „ფუ!“ იყვირა. ეს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში მოხდა, მაშინ ქალბატონმა კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ არ მოითმენდა ხელისუფლების უზურპაციას და არჩევნების შედეგების გაყალბებას. მიუხედავად ამისა, წარმოშობით დემოკრატმა გადაწყვიტა, რომ სათადარიგო ვარიანტი მაინც მისცემდა ხელისუფლებაში დარჩენის საშუალებას — მან ხომ წინასწარ გათვალა მოვლენათა ამგვარი განვითარება და გადაწყვიტა, მომავალი წლიდან ხელისუფლება გადაეცა პრემიერისათვის, რომელიც თავადვე იქნებოდა.

**ახლა კი საქმე ძალიან ცუდადაა. პრეზიდენტს პრემიერის სავარძელი აღარ ეღირსება. არჩევნებზე ჩაფლავებული მისი პარტია უკვე იშლება, თავად კი ელის მთელი რიგი სასამართლო სარჩელები, რომელთაგან ზოგიერთის გამო თავისუფლად გადავა სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე ხანგრძლივი პერიოდით. მისი მინისტრები უკვე გაძვრნენ საზღვარგარეთ, მაგრამ მათ ეს ვერ უშველით. იმისათვის, რომ თავი დააღწიოს, სააკაშვილი, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი, იძულებულია, მათი ლიკვიდაცია განახორციელოს, არა იზოლირებაა, რამედ სწორედ ლიკვიდირება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აუცილებლად იტყვიან, რომ სწორედ ის ბრძანებდა ადამიანების წამებას, დაშინებას, დემონსტრანტების ცემას, ზოგიერთი მსხვილი პოლიტიკოსისა და ბიზნესმენის ლიკვიდირებას. სააკაშვილს მხოლოდ ერთი მეთოდით შეუძლია ამ ადამიანების გაჩუმება.**

აშშ-ის მიერ მიტოვებული სააკაშვილი განაწყენებულია თავის ყოფილ მფარველზე. იგი ხომ ამერიკის დავალებებსა და ბრძანებებს ასრულებდა, შ მერე კი ამავე ამერიკამ მიატოვა. მაგრამ, როდესაც ამერიკასთან იჭერ საქმეს, უნდა იცნობდე მას — ის აუცილებლად მიატოვებს იმას, ვინც აღარ სჭირდება. ასე მოიქცნენ ამერიკელები ვიეტნამში, როდესაც იქ დატოვეს ისინი, ვინც აღარ სჭირდებოდათ და ვისაც შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ ვიეტნამელი კომუნისტები. ასე მოექცნენ ამერიკელები სადამ ჰუსეინს, რომელსაც ყველანაირად უჭერდნენ მხარს ირანის წინააღმდეგ და აწვდიდნენ კიდეც ქიმიურ იარაღს, რომლითაც საბოლოო ჯამში ათასობით ქურთი მოიწამლა. იგივე დაემართა ბენ ლადენსაც, იგივე ბედი ეწია პრეზიდენტ მუბარაქსაც. აშშ-მა უმალ მიატოვა ისინი, როგორც კი აღარ სჭირდებოდა და საჯიჯგნად გადაუგდო მათ, ვინც უფრო საჭირო გახდა.

იგივე ბედი ელის ჩვენს „ქართული ეპოსის მომავალ გმირს“. თუმცა ის მარტო არ იქნება. უკვე იკვეთება წრე, რომელიც აუცილებლად გადაეცემა მათ, ვისაც ჯერ მხოლოდ ახლა ამოსდით კბილი. მსხვერპლთა შორის, ცხადია, არის ჩვენი გმირიც, მაგრამ მას კამპანიას არანაკლებ საინტერესო ადამიანები გაუწევენ. ჩვენი გმირის სახრჩობელაზე შემდეგ მომდევნო პრეტენდენტების სიას შეიძლება მიეწერონ საუდის არაბეთის მეფე აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდი და ყატარის ემირი ხამიდ იბნ ხალიფა ალ ტანი.

**მაგრამ რა ელის თავად საქართველოს ახალი პოლიტიკურ განლაგებისგან?** ახალი „ბედის ნებიერი“ ხომ ამ დრომდეც აგრძელებს თავის საქმეებს რუსეთში. სწორედ ასევე არიან დამოკიდებულნი დასავლეთზე რუსეთის ის ჩინოვნიკები, რომელთაც უცხოურ ბანკებში აქვთ ფული და საზღვარგარეთ ფლობენ ქონებას. ყველა მათგანი მყარადაა წამოგებული ცსს-ს ანკესზე. ანკესი მათ ტუჩის ნაცვლად კუჭზე წამოედოთ და, თუ ცსს-ში ვილაცას აზრად მოუვა ანკესის გამოქაჩვა, დღეს კმაყოფილი ჩინოვნიკის კუჭიც გამოიფატრება. ამიტომ უკეთესია, ზედმეტად არ იკნავლონ.



**ანალოგიური მდგომარეობა აქვს ივანიშვილსაც, მაგრამ ის სულელი არაა და ესმის, რომ ბერეზოვსკის მსგავსად ლონდონში არ უნდა იცხოვროს. თუმცა მასაც მრავალ ქვეყანაში მოუხდა ცხოვრება, მაგრამ არჩია, რუსეთს არ წაჩხუბებოდა, ამიტომაც აქვს ამ დრომდე მთელი თავისი ფული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ რუსეთის წინააღმდეგ ივანიშვილი ხისტად არ წავა, აუცილებელი იქნება დახვეწილი მანევრირება, მაგრამ პუტინთან ეს ხერხი არ გაჭრის. მას მუდმივად შეუძლია რთული მანევრების ჩატარება ნებისმიერი მსურველისთვის.**

ივანიშვილმა გამოთქვა სურვილი, განაგრძოს საქართველოს ნატოში შესვლის კურსი. რა თქმა უნდა, განცხადებანაადრევადაა გაკეთებული. მან ჯერ კიდევ თავადაც არ იცის, უნდა ნატოში თუ არა. მოგვიანებით პუტინი უამბობს ამის თაობაზე. შესაძლოა, ეს ყველაფერი ცოტა სხვაგვარადაც ყოფილიყო, მაგრამ უბედურება ისაა, რომ აშშ მკვეთრად ამცირებს საქართველოს დაფინანსებას. **ქართველებს ახლა თავად მოუწევთ თავის მიხედვა. აღარავინ დააფინანსებს შეიარაღებულ ძალებს და ათასგვარ დემოკრატიულ პროექტებს. ეს კი მხოლოდ ერთს ნიშნავს: საქართველოში მოქმედი ბარტერული ქრთამები (შენ ჩემი შვილი მოაწყვე ინსტიტუტში, მე კი შემოწმების აქტს ჯარიმების გარეშე გამოგიწერ) მალე სრულად ამოქმედდება. პირველ ადგილზე კვლავ დადგება ფული, რომელიც არ აისახება დოკუმენტებში და სწორედ ის გადაწყვეტს, ვინ იქნება პრეზიდენტი, უფრო სწორად პრემიერი და სად შევიდეს ქვეყანა.** ივანიშვილს ახლავე ესმის, რომ ფიგაროს სახელგანთქმული როლი მას არ ელის.

**ცნობილი გახდა ივანიშვილის პირველი მცდარი ნაბიჯის შესახებ. „ქართულ ოცნებაში“ გამოაცხადეს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ რუსეთის გარეშე.** ცხადია, ეს მოლაპარაკებები ჩავარდნით დასრულდება. როგორც ჩანს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჯერ საკუთარი ჩალურჯებები დააგროვოს და შემდეგ გაიზიაროს სხვათა გამოცდილება. ქართულ ოცნებას სულ ერთი ნაბიჯი აშორებს პირველ ჩალურჯებამდე, მაგრამ ძალიან ადრე ხომ არაა? გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა დიალოგის დაწყება ამ კონფლიქტის ყველა მონაწილესთან. ამით ახალი საქართველო რუსეთს თავიდანვე პოზიტივს დაანახებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ უნდა ელოდო სიბრძნეს იქ, სადაც ის არ არის.

digitalmetro.us

ევროპის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ მისმა ლიდერებმა ვერ შეაფასეს სიტუაცია და გადავიდნენ გამართლებული ინტეგრაციის ზღვარს. და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან დემილიტარიზებული, მუდმივად ნეიტრალური ქვეყნების სარტყელის ნაცვლად, რაც რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობას არ გამოიწვევდა, მათ ახლებურად წარმოადგინეს დაპირისპირების ფორპოსტი და ინტერესთა შეჯახების ზონა. ამით ევროპამ მიიღო თავის ტკივილის ზონა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპამ ვერც ნაპოლეონის შეცდომებზე ისწავლა და ვერც სტალინის გამოცდილებაზე

**აღმოსავლეთით გაფართოების გადაწყვეტილებით ევროპელმა ლიდერებმა გონივრულობის ყველა ზღვარს გადააბიჯეს. ბულგარეთმა განაცხადა, რომ არ სურს ევროკავშირში შესვლა. რუმინეთიც ორჭოფობს. პოლონეთი ამბობს, რომ მხოლოდ მაშინ შევა ევროკავშირში, როდესაც ეს უკანასკნელი თავის ყველა პრობლემას მოაგვარებს... ანუ ევროინტეგრაციის პროცესი აშკარად დამუხრუჭდა და ჯერ არავინ იცის, რამდენი ხნით.**



ზემოხსენებული ქვეყნების ქცევაში თვალნათლივ ჩანს ერთგვარი „გამყიდველობის სინდრომი". როდესაც ევროპის დასავლეთში ყველაფერი კარგად იყო, ისინი იქ გაიქცნენ საბჭოთა ბლოკიდან. დღეს კი იქიდან გამორბიან და გულახდილად აცხადებენ, რომ ევროზონაში ყოფნისგან მოგებას არ ელიან, რადგან იქ პრობლემების მოგვარებაში მოუწევთ მონაწილეობის მიღება. მათ კი არ უყვართ საერთო პრობლემების გადაწყვეტა. და მზად არიან ღალატისათვის, როგორც კი დაინახავენ, რომ პრობლემები იწყება.

სინამდვილეში კი პრობლემა გაცილებით ფართოა, ვიდრე ევროპროვინციის პარაზიტული კომპლექსები.

გარკვეული თვალსაზრისით, ევროპის მთელი ისტორია მისი ინტეგრაციის მცდელობაა. მრავალ შემთხვევაში ევროსივრცის ინტეგრაციის მცდელობები წარუმატებელი იყო იმიტომ, რომ ის არღვევდა ყოველგვარი გონივრულობის საზღვრებს და იჭრებოდა ზონებში, რომლებიც მზად არ იყვნენ ამგვარი ინტეგრაციისათვის ან, უბრალოდ, არ სჭირდებოდათ ეს.

**ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მცდელობა ნაპოლეონის ეპოქა იყო. ნაპოლეონს რომ თავისი ექსპანსია დაახლოებით 1808-1810 წლებში შეეწყვიტა, გამორიცხული არ არის, რომ მის მიერ შექმნილ სახელმწიფოს ამ დრომდეც გაეძლო. ნაპოლეონი იმარჯვებდა არა იარაღით, არამედ იდეებით, რომლებიც რევოლუციური საფრანგეთიდან მიჰქონდა საამისოდ მეტნაკლებად მომზადებულ ნიადაგზე.**

ზემოხსენებულ პერიოდში გაჩერება ნიშნავდა, რომ იგი უნდა გაჩერებულიყო მაშინდელი რუსეთის საზღვრებთან. რუსეთთან მის ომს გამარჯვების პერსპექტივა არ ჰქონდა, თუ რუსეთის ტერიტორიაზე მასშტაბური ომი გაიშლებოდა. რუსეთის ტერიტორიის ევროპაში ინტეგრირება ვერ მოხდებოდა, რადგან ის ისედაც იყო ევროპა, მხოლოდ „სხვაგვარი ევროპა", ევროპული ცივილიზაციის ერთგვარი ალტერნატიული ვარიანტი.

**გადავიდა რა ინტეგრაციისათვის მზადმყოფი ტერიტორიის საზღვრებს, ნაპოლეონმა წააგო და დაკარგა გამართლებული ინტეგრაციაც კი. როგორც ამბობენ, მან გაერთიანებისათვის წამოწყებული შიდაცივილიზაციური ომი აქცია ცივილიზაციური განადგურების ცივილიზაციათაშორის ომად.**

დღევანდელი შეუჩერებელი ლტოლვა ევროპული ცივილიზაციის ზონების გაფართოებისაკენ უკვე შეეჯახა ანალოგიურ პრობლემებს. როდესაც 1951 წელს საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, გერმანიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების პროცესი დაიწყეს, რაც 1993 წელს ევროკავშირის შექმნაში გადაიზარდა, მათ დაიწყეს იმ ტერიტორიის ინტეგრაცია, რომელსაც ისტორიულად მკვეთრი შიდა საზღვრები არც გააჩნდა.

და დაიწყეს ეს ყველაფერი იმ საკითხიდან, რომლის მიხედვითაც გაერთიანება საჭირო იყო წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ანუ ფორმალურად ისინი ახდენდნენ იმის ინტეგრირებას, რაც სინამდვილეში თავისთავადაც ინტეგრირდებოდა. პროცესი საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობდა. შედეგი კი მეზობლებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა: ნაბიჯ-ნაბიჯ მასში ჩაერთნენ ისინი, ვინც ამ ყველაფრისადმი ობიექტურად მომზადებული იყო, ანუ ინტეგრირდებოდა დასავლეთევროპული ცივილიზაციის ბუნებრივი ზონა.

და, ბუნებრივია, გაჩნდნენ მსურველები, რომლებსაც ამგვარი ინტეგრაციის უპირატესობების მიღება მოუნდათ მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურ წინაპირობებს საამისოდ არ ფლობდნენ.

შედარებით თანასწორთა გაერთიანება ამ ყველაფრის შედეგად არათანასწორთა გაერთიანებად იქცა. ობიექტურად ერთი და იგივე და ერთგვაროვან დონეზე მდგართა გაერთიანება იქცა გაერთიანებად, რომელშიც ერთნი იძულებულნი იყვნენ მეორენი საკუთარ დონემდე აექაჩათ, ზოგიერთებს კი საერთოდაც სხვაგვარი ცხოვრებისეული ორგანიზაციის ტიპი აღმოაჩნდა.

თუ თავიდან საუბარი იყო მოქმედი ინტეგრაციის გაფორმებაზე ევროპის ისტორიულ ბირთვში, შემდეგ უკვე საუბარი შეეხო გაერთიანებაში ევროპის პერიფერიების ჩართვას. რა არის საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია და ლუქსემბურგი? ეს კარლ დიდის იმპერიის ტერიტორიაა, ანუ დასავლეთ ევროპა, როგორც ერთიანი ცივილიზაცია.

**გარკვეული თვალსაზრისით, ევროპის მთელი ისტორია მისი ინტეგრაციის მცდელობაა. მრავალ შემთხვევაში ევროსივრცის ინტეგრაციის მცდელობები წარუმატებელი იყო იმიტომ, რომ ის არღვევდა ყოველგვარი გონივრულობის საზღვრებს და იჭრებოდა ზონებში, რომლებიც მზად არ იყვნენ ამგვარი ინტეგრაციისათვის ან, უბრალოდ, არ სჭირდებოდათ ეს**

რა არის პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და დანაწევრებული იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაჩენილი რესპუბლიკები? სხვადასხვა დროს ეს იყო ევროპული იმპერიის პერიფერია ან ბარიერი, ბუფერული ზონა, რომელიც დასავლურ ცივილიზაციას აღმოსავლეთიდან მომავალი ნამდვილი ან სავარაუდო საფრთხეებისგან იცავდა. ეს ტერიტორია საუკუნეების მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა და XX საუკუნემდე არ გააჩნდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

ამ ტერიტორიებს შეეძლოთ პრეტენზია გამოეთქვათ პერიფერია-კოლონიების ადგილზე დასავლეთევროპულ იმპერიაში, მაგრამ გაერთიანება იქმნებოდა არა კოლონიად, არამედ თანასწორთა კავშირად. მეორეს მხრივ, დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმის ბანაკიდან გამოიქცნენ, პრეტენზიას აცხადებდნენ და აცხადებენ არა „უმცროსი პარტნიორების" როლზე, არამედ გაერთიანების თანასწორუფლებიანი მონაწილეების სტატუსზე. მათ ასეც ვერ გაიგეს, რომ უმცროსი პარტნიორები დასავლურ ბლოკში ვიღაცის მხრიდან დისკრედიტაციის გამო კი არა, იმის გამო იყვნენ, რომ მუდმივად საჭიროებდნენ დახმარებას და ეხმარებოდნენ კიდეც ისე, რომ მათი ცხოვრების დონე დამხმარეების ცხოვრების დონესაც კი უსწრებდა. **ვინაიდან განვითარების მხრივ „უმცროსები" არიან, ისინი მიეჩვივნენ დასახმარებელთა როლს, ამიტომაც სურთ ევროკავშირში — ვარაუდობენ, რომ იქაც დაეხმარებიან და სრულ უფლებას მისცემენ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის მხრივ.**

ევროპა ფიქრობდა, რომ ახალი წევრების დახმარებით საკუთარ პოტენციალს გაზრდიდა მსოფლიოს სხვა ცენტრებთან — რუსეთსა და ამერიკასთან კონკურენციაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ამ სხვა ენაზე მოალაპარაკე ახალი ძმების პრობლემებიც უნდა გადაჭრას და მათ ფობიებსაც უნდა მოემსახუროს.

**ბებერი ევროპისათვის რუსეთი, მიუხედავად ყველა იმ ანტირუსული კომპლექსისა, რომელიც ახასიათებს, პირველ რიგში, ეკონომიკური პარტნიორია, ნაწილობრივ კი მოკავშირეც აშშ-თან უხილავ კონკურენციაში. აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნისთვის კი რუსეთი, ერთის მხრივ, პოტენციური მოწინააღმდეგეა, მეორე მხრივ კი, ევროპული კომპლექსების გაღვივების ინსტრუმენტი საკუთარი ფასისა და მნიშვნელობის გაზრდისათვის რუსეთთან დაპირისპირების ამპლუაში. ძველ ევროპას რუსეთთან ურთიერთობაში ძირითადად თანამშრომლობა სჭირდება, „ახალს" — დაპირისპირება, რათა ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელოვნებას „ევროპის მცველის" როლში და ამისათვის სათანადო საზღაური მიიღოს.**

ამასთან, ევროკავშირი დგას იმ პრეტენზიის პირისპირ, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფოების ინტეგრაციას ეხება. გამოდის, რომ მან საკუთარი ზრუნვისა და ვალდებულებების ზონაში უნდა შეუშვას არა მხოლოდ საკუთარი პერიფერია და „დასავლეთისა" და „აღმოსავლეთის" გამყოფელი დაპირისპირების ზონები, არამედ ამ „აღმოსავლეთის" პერიფერიაც — ისტორიულად აბსოლუტურად სხვა რუსულ-ევროპული ცივილიზაცია. და ახლა უკვე მორყეული კიეველი და თბილისელი უზურპატორები ძველი ევროპის თავის ტკივილად უნდა იქცნენ. და რამდენადაც ეს ყველაფერი მაინც დარჩება რუსეთის ისტორიულ, ცივილიზაციურ და ნაციონალურ ინტერესებში, მათი ევროპაში მიღება ევროპისათვის ნიშნავს რუსეთთან მუდმივი დაპირისპირებისათვის თავის გაწირვას.

**ევროპის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ მისმა ლიდერებმა ვერ შეაფასეს სიტუაცია და გადავიდნენ გამართლებული ინტეგრაციის ზღვარს. და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან დემილიტარიზებული, მუდმივად ნეიტრალური ქვეყნების სარტყელის ნაცვლად, რაც რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობას არ გამოიწვევდა, მათ ახლებურად წარმოადგინეს დაპირისპირების ფორპოსტი და ინტერესთა შეჯახების ზონა. ამით ევროპამ მიიღო თავის ტკივილის ზონა.**

ყველაფერში მნიშვნელოვანია ზომიერება. 1945 წელს სტალინმა გაითვალისწინა ნაპოლეონის გამოცდილება და დროულად შეჩერდა, არ წავიდა ლა-მანშისაკენ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მისი შეჩერების უნარი არავის შესწევდა. მაგრამ მან თავიდან აიცილა პრობლემები. დასავლეთევროპელმა ლიდერებმა არც ნაპოლეონის გამოცდილება გაითვალისწინეს და არც სტალინის სწორი გადაწყვეტილებები.


© AP

km.ru

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი ზოგჯერ ამბობდა, რომ რუსია, ზოგჯერ აზუსტებდა, რომ რუსული კულტურის ადამიანია. ამ თვალსაზრისით, რუსად შეიძლება თავი მიიჩნიოს ნებისმიერი ერის წარმომადგენელმა, რომელიც უარს არ ამბობს თავის ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებზე.**



*რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი*

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-38 (139-176)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**მაშ, ვინ იყო იოსიპ ბროზ ტიტო? იგი იყო აქტიური და მებრძოლი პიროვნება, რომელიც თანდათან ამაღლდა პარტიულ და სახელმწიფო კარიერისტულ კიბეზე და უმაღლეს საფეხურს მიაღწია თავის ქვეყანაში. მას უკანდახევა არ უყვარდა, იყო მიზანსწრაფული და თავის გზაზე არც სიმკაცრეზე ამბობდა უარს, არც ცბიერება და მზაკვრობა იყო მისთვის უცხო ხილი. ორიგინალურობას ამ შემთხვევაში ვერ დავაბრალებთ. უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამაა: მისი პიროვნული ძალაუფლების ზრდის პარალელურად იცვლებოდა მისი ხასიათი და განუზომლად იზრდებოდა ამბიციურობა.**

დიდ თეორეტიკოსად და მოაზროვნედ მას ვერ მივიჩნევთ, მისი პოლიტიკური თვალთახედვა მასშტაბურობით არ გამოირჩეოდა. ცხადია, რომ ამ თვისებებით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სტალინს. თუმცა თვითონ მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში იგიც და მისი მრჩევლებიც სავსებით კომპეტენტურები იყვნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიელების დუჩეს მსგავსად, იგიც ოცნებობდა დიაი სახელმწიფოს შექმნას და თავისი ხელმძღვანელობით და თრგუნავდა საბჭოთა კავშირის „მზრუნველობა“.

სტალინი საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ნაციონალისტური მისწრაფებანი მათი სრული დანაწევრების საშიშროებას შეიცავს. ამის თავიდან აცილება კი ცენტრალიზაციის, ერთობლივი კომიტეტებისა და მთავრობების შექმნითა (არაფერი რომ არა ვთქვათ მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე) და საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით არის შესაძლებელი. სტალინი აღიარებდა კოლექტიურად გადაწყვეტილებების მეთოდს, მაგრამ ამასთანავე კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთმმართველობას რთული პრობლემების გადაწყვეტისა და დაპირისპირებული ინტერესების მოგვარების საქმეში. გასაგებია, რომ ამგვარ სიტუაციებში იგი ამჯობინებდა, გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება მას ჰქონოდა — მსოფლიო მასშტაბის გამოცდილებისა და ავტორიტეტის მქონე პიროვნებას. ტიტოს ამაზე თავისი განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა და თავისი ამბიციის დასაცავად მზად იყო დაპირისპირებოდა სტალინს. მაგრამ მისი ეს ქვენააზრები უცებ არ გამჟღავნებულა.

**რა შთაბეჭდილება მოახდინა ტიტოსა და იუგოსლავთა დელეგაციაზე 1944 წლის 19 მაისის პირველმა შეხვედრამ სტალინთან შეიძლება ვიმსჯელოთ ჯილასის (რომელიც სულაც არ გამოირჩეოდა სტალინისადმი დითირამბული დამოკიდებულებით) ჩანაწერებით: „სტალინს მარშლის ფორმა ეცვა. მაგრამ მის გარეგნობაში არაფერი იყო სამხედროსი, არ იგრძნობა ის დიდებულება, რომელიც მის პორტრეტებსა და კინოფილმებში გამოსჭვივოდა. მთიელის თავი, ყვითელი თვალების ცოცხალი, ეშმაკური, გამომცდელი გამოხედვა აღფრთოვანებას იწვევდა. შუბლი ისეთი უსიცოცხლო არ იყო, როგორც სურათებზე აღბეჭდავდნენ. იგრძნობოდა გონების მუდმივი, დაძაბული მუშაობა...**

აღგზნებული, იგი დრო და დრო მოუსვენრად ხელში ატრიალებდა ჩიბუხსა და ცისფერ ფანქარს და იოლად გადადიოდა ერთი თემიდან მეორეზე. ნერვების ერთიანი კოშტი, რომელიც რეაგირებდა თითოეულ სიტყვაზე, თითოეულ გამოხედვაზე. სტალინი იუმორსაც ფლობდა — უხეშ, მოულოდნელ იუმორს...

მას შემდეგ, რაც ყველა მაგიდას მიუჯდა, მე ვთქვი, რომ ჩვენ აღვსილნი ვართ ენთუზიაზმით იმ ყველაფრის შედეგად, რაც საბჭოთა კავშირში ვნახეთ. „ჩვენ კი არ ვართ ენთუზიაზმით აღვსილნი, — მიპასუხა მან, — თუმცა ვაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენს ხელთაა, რათა გავაუმჯობესოთ მდგომარეობა რუსეთში“. **შემდგომ მან რამდენჯერმე გამოიყენა სიტყვა „რუსეთი“ „საბჭოთა კავშირის“ ნაცვლად. ვიფიქრე, რომ ამის ახსნა შეიძლებოდა მიმდინარე ომში რუსი ხალხის როლის ხაზგასმის სურვილით. თუმცა შესაძლებელია, რომ მას ასე მიაჩნდა“.**

**ასეთი იყო მისი მრწამსი: იგი იცნობდა რუს ხალხს, უმძიმეს დროში ცხოვრობდა რუს ხალხთან ერთად და მის წიაღში, მიიჩნევდა მას დიად ხალხად და პანსლავიანიზმის ცენტრალურ ბირთვად“.**

**დავუმატოთ, რომ ამ მომენტს სტალინი შეგნებულად გამოჰყოფდა და ხაზს უსვამდა იმიტომ, რომ იმ მომენტში ურთიერთობდა სამხრეთის სლავებთან — იუგოსლავებთან და ამ დეტალითაც მიანიშნებდა სლავთა ერთობის აუცილებლობაზე მსოფლიოს უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად.**

**ალბათ, ასე იყო. ჩვენ შეგვიძლია ასე ვივარაუდოთ, რადგან ლოგიკა ამ შემთხვევაში ჩვენი ვარაუდის მოკავშირედ გამოდის.**

**საინტერესო ჩანს წიგნის ავტორების დამოკიდებულება სტალინის რუსობისადმი, ამიტომ მკითხველებს ვთხოვ, ყურადღებით წაიკითხონ ეს მოკლე აბზაცი.**

**სტალინი ზოგჯერ ამბობდა, რომ რუსია, ზოგჯერ აზუსტებდა, რომ რუსული კულტურის ადამიანია. ამ თვალსაზრისით, რუსად შეიძლება თავი მიიჩნიოს ნებისმიერი ერის წარმომადგენელმა, რომელიც უარს არ ამბობს თავის ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებზე. ამგვარად, სავსებით კანონიერად მიიჩნევა (ლექსიკის კანონებით) შემდეგი განსაზღვრა: რუსი ქართველი, რუსი სომეხი, რუსი ებრაელი და მისდ. არა რუსეთისადმი კუთვნილების თვალსაზრისით, არამედ როგორც კონკრეტული კულტურულ-ეროვნული ერთობის მანიშნებელი.**

ცნობილია, რომ უკვე მძიმე ავადმყოფმა ლენინმა საჭიროდ ჩათვალა ფრიად უცნაური ბრალდება წამოეყენებინა „ველიკორუსულ-ნაციონალისტური კამპანიის“ წამოწყებაში ქართველისა და პოლონელის მიმართ — სტალინისა და ძერჟინსკის მიმართ, რომლებიც გამოვიდნენ ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ვლადიმირ ილიჩმა გაუთანაბრა „მჩაგვრელი“ ერი „დიად“ ერთან. მაგრამ ის, რაც დამახასიათებელია გერმანელებისთვის, ინგლისელებისთვის, ფრანგებისთვის და სხვა ხალხებისთვის, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ და ამცირებენ თავიანთი კოლონიების მოსახლეობას, რუსებს აბსოლუტურად არ ეხება. თავიანთ ქვეყანაში მათ არასოდეს ჰქონიათ უპირატესობა იმის გამო, რომ ისინი „დერჟავული“ ერის წარმომადგენლები იყვნენ; ისინი კოლონიზატორები არ ყოფილან.

უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს პანსლავიზმის იდეის რეალიზაციის სტალინისეული მისწრაფება, რომელსაც ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის ლიდერები. შესაძლებელია, რომ სტალინმა გადაწყვიტა ამ შემთხვევაში გამოეყენებინა ეროვნული ფაქტორი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ერთიანობის განსამტკიცებლად. მაგრამ ასეთ გონიერ პოლიტიკას რატომ შეეწინააღმდეგნენ, რბილად რომ ვთქვათ, „ძმები სლავები“?

პოლიტიკურ ასპექტებს ამჯერად ნუ შევეხებით და ყურადღება გავამახვილოთ ორ მოვლენაზე.

პირველი, გარეგნული შეხედულების ფაქტორია. სამხრეთელი სლავები უპირატესად შავტუხა ხალხია, წარმოსადგენი. ცხოვრობენ თბილ და ნაყოფიერ მხარეში. ისინი გარეგნულად განსხვავდებოდნენ რუსების უმრავლესობისგან, რომლებსაც გადატანილი ჰქონდათ ომის პერიოდის საშინელებანი, შიმშილი, იყვნენ შეუხედავნი და ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით უკიდურესად გამწარებულნი. მათი შესვლა იუგოსლავიაში სულაც არ იყო გაწვრთნილი, გამოკვებილი, სუფთად გამოწყობილი არმიის ნაწილების საზეიმო მარში.

სლავი ხალხების ენების მსგავსება ჯერ კიდევ არ განსაზღვრავდა კულტურათა მსგავსებას, ნაწილობრივ განსხვავებული იყო ტრადიციებიც. გარეგნობაზე უკვე ვთქვით. რუსების უმეტესობის ყოფითი კულტურა დიდად მომთხოვნი არ არის, ხოლო მაღალი რუსული კულტურა ნაცნობი და ხელმისაწვდომი იყო დასავლეთის მხოლოდ ზოგიერთი წარმომადგენლისთვის. ამასთან, მრავალი სლავის რუსულ კულტურასთან თანაზიარობას ხელს უშლიდა ადგილობრივი ნაციონალიზმი: რით ვართ რუსებზე უარესები?! რას გვარგებს რუსული კულტურის ჰეგემონობის აღიარება?!

**შედეგად წარმოიქმნება არა ურთიერთკავშირი, არამედ დაპირისპირება, რომელიც წარმოიქმნება ნაცუმცირესობათა ნარცისული თვითკმაყოფილების ნიადაგზე. ასეთი რამ დამახასიათებელია ხელმძღვანელების, ინტელექტუალების, მოსამსახურეების ჯგუფებისათვის, რომლებიც ბურჟუაზიული სულისკვეთებით არიან გაჟღენთილი. ასეთ შემთხვევაში მონათესავე რუსი ხალხი აღიქმება, როგორც „უფროსი ძმა“, რაც კონკურენტთან არის გაიგივებული. წარმოიქმნება სურვილი, მიეტმასნონ სხვა დიდ კულტურას, თუნდაც ეროვნული თავმოყვარეობის დამცირების ხარჯზე, მაგალითად, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ან ამერიკულ კულტურებს. ასე თითქოს ნაკლებად საწყენი ჩანს. დიდი დაფიქრება არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ასეთ შემთხვევაში სლავი ხალხი იძულებული ხდება შეეგუოს სხვათა სულიერ ღირებულებებს და ჰეგემონად აღიაროს არა თავისი „უფროსი ძმა“, არამედ „სხვისი ბიძა“, რომლის მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის ქედმაღლური და დამამცირებელი იქნება.**

მაგრამ ამგვარმა ეთნიკურმა და საერთო- ▶

# 1946 წლის მაისში ტიტო ოფიციალური ვიზიტით კვლავ ეწვია სსრკ-ს. შეხვდა და ესაუბრა სტალინს. ეს იყო მათი მესამე და უკანასკნელი საუბარი, რომელიც იოსიპ ბროზ ტიტომ ყველაზე უფრო გულითადად მიიჩნია.

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კულტურულმა ასპექტებმა XX საუკუნის მეორე ნახევარში გადაიწია მეორე რიგში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ასპექტებთან შედარებით. **იუგოსლავიის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც არა ჰქონდა საერთო საზღვარი საბჭოთა კავშირთან, აახლოვებდა მას ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებთან. სლავების ერთობის იდეა არ იზიდავდა იუგოსლავიის ხელმძღვანელობას, რომელიც არ აღიარებდა სსრკ-ის მაცენტრალიზებელ როლს. პოლიტიკური, იდეური და ეკონომიკური მხოლოდ აძლიერებდა ბელგრადის მოსკოვზე დამოკიდებულებას, ტიტოს — სტალინზე.**

დღეს სახეზე გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო ვითარება — სლავების ერთიანობის ნიშანწყალი თვით იუგოსლავიაშიც გაქრა, მათ საერთო ერთობაზე ლაპარაკიც უაზრობად ჩანს. მოხდა ის, რაც სურდა დასავლეთს — სლავები დღეს ისე არიან დანაწევრებული, როგორც არასდროს. ტიტომ და მისმა მრჩეველებმა გაკვალეს გზა, რომელმაც დაქუცმაცებულობა ფაქტად აქცია, სლავების გავლენა მსოფლიო პროცესებზე ნულამდე დაიყვანა — პატარ-პატარა სახელმწიფოებად დანაწევრებული იუგოსლავიის „ორიგინალური" გზით სოციალიზმისკენ სვლა, რასაც ტიტო ქადაგებდა, სატელიტ სახელმწიფოებად დანაწევრდა. პანსლავიზმის იდეა დასამარდა, დღევანდელი გადასახედიდან — თუ საბოლოოდ არა, დიდი ისტორიული პერიოდით მაინც.

სტალინი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა ასეთ დასასრულს. ტიტომ და მისმა მრჩევლებმა ვერ დაინახეს და ვერ შეაფასეს მოსალოდნელი საშიშროება.

წიგნის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მათი მხრიდან გადამწყვეტი როლი ითამაშა სუბიექტურმა ფაქტორებმა: შელახულმა თავმოყვარეობამ, პირადი ძალაუფლების განვრცობა-გაძლიერებამ ქვეყანაში და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ამ ძალაუფლების განვრცობამ მეზობელ სახელმწიფოებზე.

ამგვარი პოზიცია და ქმედება კი შეიძლება შეფასდეს როგორც წმინდა წყლის ავანტიურიზმი.

## პირველი უთანხმოება

**სტალინი, როგორც ჩანს, საქმის კურსში იყო იმის თაობაზე, რომ „ცივი ომის" დაწყებისთანავე ტრუმენი მზად იყო დაებომბა ატომური იარაღით საბჭოთა კავშირის ქალაქები. ბელადი ფრიად დაინტერესებული იყო აშშ-სთან მშვიდობიანი თანამშრომლობით: ამ ქვეყანამ ომის წლებში მნიშვნელოვნად გაამყარა ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც საკუთარი საზღვრების შიგნით, ისე მათ გარეთ.**

შეიძლება ითქვას ასე: სტალინი ჩვეულებრივ გლობალური კატეგორიებით აზროვნებდა, შეეძლო უნარიანად ეწინამძღოლა უზარმაზარი ქვეყნისთვის, რომელიც ძალიან განსხვავებულ ხალხებს აერთიანებდა.

ტიტომ, რომელიც პოლიტიკური თვალთახედვით არ გამოირჩეოდა და, როგორც ვთქვით, სახელმწიფოს მართვის დიდი გამოცდილება არ ჰქონდა, ძალიან მალე მიიჩნია, რომ არა მარტო იუგოსლავიის მარშალი, და მისი ლიდერია, არამედ ირწმუნა რომ საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსია.

**1946 წლის მაისში ტიტო ოფიციალური ვიზიტით კვლავ ეწვია სსრკ-ს. შეხვდა და ესაუბრა სტალინს. ეს იყო მათი მესამე და უკანასკნელი საუბარი, რომელიც იოსიპ ბროზ ტიტომ ყველაზე უფრო გულითადად მიიჩნია. მილოვან ჯილასი იხსენებდა: „არც მე, არც არავინ ხელმძღვანელობაში ანტისტალინისტები არ ვიყავით. პირიქით, ვინმე ანტისტალინისტი რომ ყოფილიყო, მას პარტიიდან გარიცხავდნენ".**

ჯილასი მართალს ამბობდა. 1969 წელსაც კი ტიტო აღიარებდა: „იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის კონცეფცია ქვეყნის სოციალისტური მშენებლობისა და განვითარების შესახებ თავდაპირველად საბჭოთა თეორიისა და პრაქტიკის გავლენას განიცდიდა, რაც იმ პირობებში სავსებით გასაგები იყო. ეს ჩვენთვის გარედან თავსმოხვეული არ იყო, რადგან ჩვენ თავისუფალი არჩევანი გვქონდა გაკეთებული".

იუგოსლავიის კომიტეტები ძალიან ჰგავდა საბჭოებს. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია 1936 წლის სტალინური კონსტიტუციის ანალოგი იყო, ხუთწლედები — საბჭოთა ხუთწლედების მსგავსი. საბჭოთა კავშირში ხშირად ხაზგასმით წარმოაჩენდნენ იუგოსლავიას, როგორც პირველს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. როგორც ჯილასი წერდა: „დრო და დრო წარმოიქმნებოდა განსხვავებულობა საბჭოთა ხელმძღვანელობის შეხედულებებთან, მაგრამ ისინი იმ ხარისხისა არ იყო, რომ კონფლიქტის საფუძველი გამხდარიყო".

პირველი უხერხულობანი 1947 წელს იგრძნო ორივე მხარემ. პრობლემა საბერძნეთისადმი დამოკიდებულების საკითხმა წარმოქმნა. ამ ქვეყანაში 1944 წლის შემოდგომიდან ფაქტობრივად მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი მემარცხენე პარტიებსა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ და მონარქისტულ რეჟიმს შორის, რომელსაც ინგლისის ჯარები უჭერდა მხარს.

1946 წელს საბერძნეთში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც თითქოს მომგებიანი იყო კომუნისტებისთვის. მონარქია ფართო პოპულარობით არ სარგებლობდა, ინგლისელთა გავლენა კი სუსტი იყო. მაგრამ ასე მხოლოდ გარედან ჩანდა. მაგრამ ტიტო, რომელიც ოცნებობდა იუგოსლავიის მეთაურობით ბალკანეთის ქვეყნების ფედერაციის შექმნაზე, ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მან გადაწყვიტა მიიერთებინა ახალი ორგანიზაციისთვის ქვეყანა, სადაც კომუნისტები ხელისუფლების სათავეში არ იმყოფებოდნენ, — საბერძნეთი. მაგრამ ეს უკანასკნელი ინგლისისა და ნაწილობრივ აშშ-ის ინტერესებში შედიოდა, სტალინს კი არ სურდა დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება. საბჭოთა კავშირის უზარმაზარი



იოსიპ ბროზ ტიტო თანამებრძოლებთან

**სლავების ერთიანობის ნიშანწყალი თვით იუგოსლავიაშიც გაქრა, მათ საერთო ერთობაზე ლაპარაკიც უაზრობად ჩანს. მოხდა ის, რაც სურდა დასავლეთს — სლავები დღეს ისე არიან დანაწევრებული, როგორც არასდროს**

რეგიონები უზომოდ დაზარალდა ომისგან, ხალხი კი დაიღალა. საბჭოთა ატომური პროექტი, რომლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ბერია, სამეცნიეროს — კურჩატოვი, ჯერ დამთავრებული არ იყო. ატომური მონოპოლია აშშ-ს ხელში იყო. ჯერ კიდევ გადაწურული არ იყო იმედი, რომ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში დასავლეთი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას გაიღებდა.

მაგრამ ტიტო თავისაზე იდგა. მას მხარს უჭერდა ბულგარეთის ლიდერი გიორგი დიმიტროვი და საბერძნეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის მემარცხენე განწყობილების ხელმძღვანელობა. თავის პარტნიორებთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, სტალინმა მათ დაუთმო. ბულგარეთიდან, იუგოსლავიიდან და ალბანეთიდან საბერძნეთში სამხედრო დახმარების ნაკადი დაიძრა. 1946 წელს კომუნისტებმა ჩამოაყალიბეს საბერძნეთის დემოკრატიული არმია (სდა), რომელმაც ხელთ იგდო და თავის კონტროლს დაუქვემდებარა საბერძნეთის ტერიტორიის რიგი რეგიონებისა.

**სტალინს შესაძლებლობა მიეცა დარდანელის სრუტის გავლით გაეყვანა საბჭოთა ფლოტი მსოფლიო ოკეანეში, აგრეთვე ლიბიაში შეექმნა საბჭოთა ბაზები. რუსეთის საუკუნოვანი ოცნება მყარად მოეკიდა ფეხი ხმელთაშუაზღვის რეგიონში თითქოს უნდა აღსრულებულიყო. თურქეთზე ზეგავლენის მოსახდენად სომხეთის სსრ-ში მოეწყო მიტინგები სომხეთის თურქული ნაწილების (ძველი სომხეთის ცენტრის) შემოერთების მოთხოვნით.**

მოკლედ, სტალინმა მხარი დაუჭირა ტიტოს მიუხედავად იმისა, რომ ეეჭვებოდა იუგოსლავიის ლიდერის გეგმის განხორციელების. მომდევნო წელს სტალინის ეჭვი გამართლდა. ინგლისის მთავრობა, რომელიც ერთდროულად ომობდა მალაის, ინდონეზიის, ბირმის კომუნისტების წინააღმდეგ დამარცხების საშიშროების პირას აღმოჩნდა და იძულებული გახდა დახმარებისთვის მიემართა აშშ ადმინისტრაციისთვის. ამერიკამ მძლავრი სამხედრო დახმარებით უპასუხა საბერძნეთის ხელისუფლებასა და თურქეთის მთავრობას.

**მოსკოვის ურთიერთობა დასავლეთთან თანდათან დაიძაბა. ტიტო კი ჯიუტად თავისაზე იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი მონარქისტების ჯარებმა და ინგლისელებმა ამერიკელების დახმარებით დამარცხებას თავი დააღწიეს. უფრო მეტიც, ტიტომ და გიორგი დიმიტროვმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს ისე, რომ სტალინისთვის არც შეუტყობინებიათ: დაიდო იუგოსლავია-ბულგარეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ სტალინის დაჟინებული რეკომენდაციის მიუხედავად, რომ შეეკავებინათ თავი მანამდე, სანამ პარიზში არ გაფორმდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება ანტიჰიტლერულ კოალიციასა და ბულგარეთს, როგორც ჰიტლერული გერმანიის ყოფილ მოკავშირეს შორის. ამ ხელშეკრულების დადებამდე ბულგარეთზე მთელი რიგი შეზღუდვებისა ვრცელდებოდა.**

უფრო მეტიც, ტიტომ და დიმიტროვმა საჯაროდ განაცხადეს, რომ იქმნებოდა ბალკანეთის ფედერაცია. ამას დასავლეთში აღშფოთების ტალღა მოჰყვა. ბრძოლები საბერძნეთში უფრო გამწვავდა და დაუნდობელი გახდა. რეალური გახდა სსრკ-სა და დასავლეთის სამხედრო დაპირისპირება. სტალინმა სასტიკად უსაყვედურა სოფიასა და ბელგრადს და გასცა განკარგულება, რათა სომხეთში შეეწყვიტათ მიტინგები. სტალინმა ფორმალურ საბაბად გამოიყენა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ბულგარეთთან და გამოიყვანა საბჭოთა ჯარები ამ ქვეყნიდან, მოაშორა ისინი საბერძნეთის საშიშ საზღვარს (იუგოსლავიასა და ალბანეთში საბჭოთა არმიის ნაწილები არ იმყოფებოდა).

ამგვარად, ტიტომ და დიმიტროვმა ნებით თუ უნებურად კინაღამ მოახდინეს სსრკ-სა და დასავლეთს შორის ომის პროვოცირება. დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურებმა მიიჩნიეს, რომ სოფიამ და ბელგრადმა ეს ნაბიჯი მოსკოვის ნებართვით გადადგეს.

ბოლოს და ბოლოს ტიტო და დიმიტროვი იძულებული გახდნენ ეღიარებინათ თავიანთი შეცდომები. იუგოსლავიამ უარი თქვა მარშალის გეგმაზე იმ მოსაზრებით, რომ დაემშვიდებინა სტალინი. მაგრამ საბერძნეთში ტიტო მემარცხენეთა მხარდაჭერით განაგრძნობდა ცეცხლთან თამაშს. 1947 წლის დეკემბერში შეიქმნა საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობა საბერძნეთის დემოკრატიული არმიის გენერლის მეთაურობით. სტალინი არ ჩქარობდა ახალი სახელმწიფოს აღიარებას მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს საბერძნეთს.

1948 წლის იანვარში მოხდა ორი ინციდენტი, რომლებმაც გაართულა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა. ინციდენტები ალბანეთთან იყო დაკავშირებული.

ამ პატარა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ურთიერთობა უაღრესად გართულებული იყო. მისი სამხედრო ქვედანაყოფები იტალიის იმ არმიის შემადგენლობაში იყო, რომელმაც დაიპყრო ალბანეთის ტერიტორია 1939 წელს. მაშინ ესპანეთის მეფე ალბანეთის მეფედაც გამოცხადდა. საბერძნეთმა, რომელსაც იტალიელები თავს დაესხნენ, ომი ალბანეთსაც გამოუცხადა. 1945 წლის შემდეგ ინგლისმა და აშშ-მ უარი თქვა ამ ქვეყანასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე იმ მიზეზით, რომ აქ გაიმარჯვა ალბანეთის რევოლუციამ, საბერძნეთი კი მასთან საომარ მდგომარეობაში რჩებოდა. ამასთან, საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარი არ იყო ზუსტად დადგენილი.

**ალბანეთს, რომელიც ზღვასა და საბერძნეთს შორის იყო მოქცეული, დახმარება სჭირდებოდა ჩრდილოეთიდან — იუგოსლავიიდან, რომლის პოზიციები ამ ქვეყანაში ომის წლებში ძალიან განმტკიცდა. ალბანეთის სახალხო-დემოკრატიული არმია იუგოსლავიის არმიის დახმარებით იქმნებოდა, კომპარტია — იუგოსლავიის კომპარტიის დახმარებით. ომის შემდეგ ალბანეთისთვის გაწეულ უდიდეს და მრავალმხრივ დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქვეყნისთვის.**

**ტირანა ბელგრადზე იყო დამოკიდებული. ალბანეთის ლიდერი ენვერ ხოჯა განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა კოჩა ძოძეს, რომელიც მისი წინამორბედი იყო ალბანეთის კომპარტიის ცკ გენერალური მდივნის პოსტზე, შემდგომ კი მეორე პირი გახლდათ პარტიასა და სახელმწიფოში. ძოძე ტიტოს კაცი იყო და მხარს უჭერდა. იუგოსლავიის შემადგენლობაში ალბანეთის ინტეგრაციას. ტიტოს აზრით, ეს გადაწყვეტდა ალბანელი უმცირესობის საკითხს, რომლებიც კოსოვოს რაიონში ცხოვრობდნენ. ძოძეს წინააღმდეგ გაილაშქრა ალბანეთის ეკონომიკის ხელმძღვანელმა ნაკო სპირუმ. ჯოხამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.**

ხოჯას მემუარებს თუ ვენდობით, ტიტო სპირუს უწოდებდა „იმპერიალიზმის აგენტს", რომელიც ანტიიუგოსლავურ პროპაგანდას ეწეოდა.

სპირუს ბრალად ნაციონალიზმი, ანტიიუგოსლავური საქმიანობა და კლასობრივ მტრებთან კავშირის დამყარება, ჯაშუშური საქმიანობაც კი წაუყენეს.

გადაწყდა მისი გამოძახება ალბანეთის კომპარტიის ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე.

სპირუმ კი თავი მოიკლა თავის კაბინეტში, მანამდე კი წერილი გაუგზავნა საბჭოთა საელჩოს, რომელშიც ამტკიცებდა, „იუგოსლავიის ხელმძღვანელობის მიერ ჩემი მისამართით გამოთქმულ უმძიმეს ბრალდებათა გამო იძულებული ვარ თავი მოვიკლა..."

სტალინი შეუთანხმდა ტიტოს, რომ ეს ინციდენტი უნდა გამხდარიყო მოლაპარაკების საგანი ანდრეი ჟდანოვსა და სსრკ-ში იუგოსლავიის ელჩს პოპოვიჩს შორის. მათ შორის საუბარი გაიმართა ორჯერ. სტალინი ამ საუბრების შედეგებით უკმაყოფილო დარჩა. მან დეპეშა გაუგზავნა ტიტოს, რომლითაც შესთავაზა, გაეგზავნა მოსკოვში თავისი წარმომადგენლები. ისინი 1948 წლის შუა იანვარში ჩავიდნენ.

**ჯილასის მემუარების მიხედვით, სტალინს უთქვამს: „მაშასადამე, ალბანეთის ცკ თქვენს გამო თავს იკლავენ! ეს ძალიან ცუდია, ძალიან ცუდია!"**

მეორე მოვლენა უფრო მასშტაბური ხასიათის იყო, რომლის შესახებაც მომდევნო პუბლიკაციაში მოგითხრობთ.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## შინაური მოჩვენება

**ჰელოუვინი ახლოვდება და უცხოეთში დახლებზე უკვე ჩნდება ახალ-ახალი გასართობი — მეგობრების შესაშინებლად განკუთვნილი პროდუქტები. ერთ-ერთი ასეთი სათამაშო მოშინაურებული მოჩვენებაა.** My Pet Ghost,ანუ „ჩემი მოშინაურებული მოჩვენება“ — სწორედ ასე ჰქვია პატარა შავ ბოთლს, რომელსაც ეკრანი აქვს დამონტაჟებული. სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერის შემთხვევაში, ეკრანზე ჩნდებამოჩვენება, რომელიც საუბარს იწყებს. ეს ახალი გასართობი კომპანია Hallmark-მა გამოუშვა. სულ სამი შინაური მოჩვენება არსებობს, მათ განსხვავებული ვიზუალი და სახელები აქვთ: ჟენევიევ რაფლზი, ჯულიან ჰიჯინქსი და მაქსველ მაკსპუკი. მწარმოებელი დარწმუნებულია, რომ მათი შინაური მოჩვენებები ჰელოუვინის დღესასწაულზე პოპულარული იქნება.

# ყველაზე საიმედო საცავები



## ფორტ ნოქსი

**აშშ-ის სამხედრო ბაზის გალავანს მაღალი ძაბვის ელექტროსადენები აქვს შემოვლებული. დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, ხოლო პერიმეტრზე დაცვა დგას. გრანიტის კედლების სისქე 120 სანტიმეტრია, მრავალფენოვანი ფოლადის კედლების წონა კი — 750 ტონა. საცავს 22-ტონიანი კარი აქვს. გარდა ამისა, ის დაცულია კოდით, რომელიც სრულად არავინ იცის. ფორტ ნოქსში 5 ათასი ტონა ოქრო ინახება.**



## ინგლისის ბანკის ოქროს საცავი

ბრიტანეთის ყველაზე დიდ საცავში 4 600 ტონა ოქრო ინახება, ყუმბარსაწინააღმდეგო კარი ხმის ამოცნობის სისტემით არის აღჭურვილი და გრძელი, რთული აგებულების გასაღებით იღება. ბანკი კარის წონისა და საცავის სიღრმის თაობაზე ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავს, თუმცა ცნობილია, რომ საცავი მრავალსართულიანია.




## შაიენის მთა

**კოლორადოს შტატში მდებარე ამ საცავის თანამშრომლები 25-ტონიანი კარის მიღმა მუშაობენ.** ეს კარი30 მეგატონის (ნაგასაკში ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრეზე თითქმის 1000-ჯერ მეტი) აფეთქებასაც კი გაუძლებს. **საოფისე ოთახები განლაგებულიაგრანიტის მთაში, 600 მეტრის სიღრმეზე, სადაც ჰაერი სპეციალური მოწყობილობით მიეწოდება.**

ცივი ომის პერიოდში აქ ფუნქციონირებდა სარაკეტო თავდასხმის ამოცნობისა და მაუწყებლობის ცენტრი, აგრეთვე, აშშ-ის ცენტრი „NORAD“ (ჩრდილო ამერიკის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის გაერთიანებული მეთაურობის ცენტრი).

# გიტარის ფორმის ტყე საყვარელი ქალისთვის

**არგენტინულ პამპასებს შორის, შესაძლოა, გადააწყდეთ უცნაურ ტყის კუნძულს, რომლის ტერიტორიაზე ხეები ისეა დარგული, რომ მას ზემოდან აკუსტიკური გიტარის ფორმა აქვს.**



ეს ტყე პედრო ურეტოის გაშენებულია და ეძღვნება მის მეუღლე გრასიელას, რომელიც 1977 წელს გარდაიცვალა. ეს იდეა გრასიელას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, პამპასების თავზე გადაფრენისას დაებადა. მისი განხორციელება ვერც გრასიელამ და ვერც მისმა მეუღლემ, მოუცლელობის გამო ვერ შეძლეს.

ერთი წლის შემდეგ პედროს მეუღლე ტვინის ანევრიზმით გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, საყვარელი ქალის უკანასკნელი ოცნება აესრულებინა.

მან 1 კილომეტრის სიგრძეზე ევკალიპტები და კვიპაროსები ისე დარგო, რომ მათ გიტარის ფორმა მიეღოთ.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს ულამაზესი ტყე მის შემქნელს ზემოდან არასდროს უნახავს, ვინაიდან მას ფრენის და სიმაღლის ეშინია.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მეუღლე საყვარელ ქალს მთელს ტყეს უძღვნის. ბრიტანელმა უინსტონ ჰუევზმა თავის გარდაცვლილ მეუღლეს გაუშენა ტყე, რომლის შუაში გულის ფორმის სივრცეა დატოვებული.

# რიცხვების სამმაგი მაგია

**ამერიკელმა დედამ სამი ბავშვი გააჩინა და სამივე მაგიურ დღეებში — 08.08.08, 09.09.09 და 10.10.10.**



**რასაკვირველია, 2010 წლის 10 ოქტომბერს (10.10.10) მიჩიგანის შტატში სხვაბავშვებიცდაიბადნენ, მაგრამ ცოლ-ქმრისთვის ასეთი რამ პირველი არ იყო — მათი სამივე შვილის დაბადების წელი, თვე და რიცხვი ერთნაირ ციფრებში გამოისახება.**

**ცოლ-ქმარი ამბობს, რომ მათ წინასწარ არაფერი დაუგეგმავთ.უფრო მეტიც, დაგეგმვა ვერ გაამართლებდა, რადგან მათი მესამე შვილი 8-თვიანი, ხოლო მეორე დანიშნულ დროზე 2 კვირით ადრე დაიბადა.**

კალიფორნიის უნივერსიტეტის მათემატიკოსმა გამოთვალა და თქვა, რომ 2 500-დან მხოლოდ ერთი შანსია ყველაფრის ზემოაღწერილის მსგავსად დამთხვევისათვის.

ნებისმიერ შემთხვევაში სამი შვილის დედა,შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნშიმოხვდეს.



# სასიცოცხლო კოცნა

**ამ ფოტოსთვის როკო მორავიტომ 1968 წელს პულიტცერის პრემია მიიღო.**

1967 წელს აშშ-ში, ფლორიდის შტატში, მაღალი სიცხის გამო კონდიციონერი ყველას ჩართული ჰქონდა, ამან ხაზების გადატვირთვა გამოიწვია, რასაც ძაბვის მოულოდნელი ავარდნა მოჰყვა და ერთ-ერთ ელექტრიკოსს, რენდელ ჩამპიონს, ზედ ბოძზე 4160-მა ვოლტმა დაარტყა.

ამ დროს ფოტოგრაფი როკო მორავიტო თავისი დავალებიდან ბრუნდებოდა, სადაც რკინიგზის ავარია გადაიღო. უეცრად მოესმა შეყვირება, ზემოთ აიხედა და დაინახა, თუ როგორ ცდილობდა ერთი ელექტრიკოსი დაშავებული მეგობრის გადარჩენას.

ჯეი დი ტომპსონი უცებ აძვრა ელექტროგაყვანილობის ბოძზე, თავი დაუჭირა და ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა მეგობარს, ამ დროს ფოტოგრაფი უკვე იღებდა ქვემოდან.ბოლოს აღფრთოვანებულმა ტომპსონმა დაიძახა: „სუნთქავს!“, მართლაც, რენდელი გადარჩა.

# ყველაზე დიდი სათბური

**პროექტი „ედემი“ – კორნუოლის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.მსოფლიოში ყველაზე დიდ სათბურში მსოფლიოს განსაკუთრებული მცენარეებიხარობენ. პროექტი ჩაფიქრებული იყო სერ ტიმ სმიტის მიერ, მისი პროექტი კი არქიტექტორმა ნიკოლას გრიმშოუმ და ფირმა „ენტონი ჰანტმა“ შექმნეს და განახორციელეს.**



პროექტის მშენებლობას 2.5 წელიდასჭირდა. სათბური განთავსებულია 1.56 ჰექტარზე, მისი სიმაღლე — 55, სიგანე — 100, სიგრძე კი 200 მეტრია. სათბური ძირითადად გამოიყენება ტროპიკული მცენარეების გასახარებლად, ისეთების, როგორიცაა ბანანი, ყავა, კაუჩუკი და ბამბუკი. იქ სპეციალურადაა შექმნილი ტროპიკული ტემპერატურა და ტენიანობა.






## მოცარტის ოპერის რეკლამა პრეზერვატივით

**ბრიტანეთისეროვნულმა ოპერამ მოცარტის ოპერა„დონ ჟუანის“ ახალი დადგმისთვის პროვოკაციული აფიშა გამოუშვა. სარეკლამო პლაკატებზე პრეზერვატივის გაგლეჯილი შეფუთვაა გამოსახული და დიდი ასოებით აწერია: „დონ ჟუანი“. მალე“.** ინგლისის ეროვნული ოპერის წარმომადგენლის თქმით, ასეთი მარკეტინგული სვლა თავად ოპერის არსს ასახავს, ისე, როგორიც იგი დამდგმელმა რეჟისორმა რუფუს ნორისმა ჩაიფიქრა. **„ჩვენ სასაცილო და მახვილგონივრული რეკლამა გვინდოდა“,** — აცხადებენ ოპერის წარმომადგენლები, მაგრამ საზოგადოებამ რეკლამა ვულგარულად მიიჩნია. მაყურებელი ოპერის ინტერპრეტაციამ გააოგნა. ნორისის ჩანაფიქრით, დონ ჟუანი მაყურებლის წინაშე ბანალური მოძალადის სახით წარსდგა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფუტკრების სასტუმრო











**ყველასათვის ცნობილია, რომ ფუტკარი სკაში ბინადრობს, თუმცაფუტკრების 90%-ს არ უყვარს პოპულაციებში ცხოვრება და არჩევენ ცალკე „სახლში“დაბინავდნენ. ფუტკრებისთვის განკუთვნილი სასტუმროები ამ მწერების გაუჩინარების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა — პოპულაციებში მობეზრებული ფუტკარი ხომ სკას ტოვებს.** ფუტკრების სასტუმროები განსაკუთრებულად კარგად მოერგო იმ ადამიანებს, რომლებსაც ქალაქში ჰყავთ ფუტკარი და სკიდან გასულები სხვა მწერებს ეჯვარებიან. თითოეული სასტუმრო სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც მათ აერთიანებს: კედლები უნდა იყოს ხისა და ბამბუკის, შიდა ხვრელი უნდა იყოს გლუვი, ფუტკარმა იგი ვერ უნდა დააზიანოს და წვიმამ ამ „სახლში“ ვერ უნდა შეაღწიოს.

ამჟამად მიჩნეულია, რომ არც ბუნებაში და არც მედიცინაში არ არსებობს ფუტკრის რძეზე უკეთესი ბიოსტიმულატორი ცოცხალი ორგანიზმების გაახალგაზრდავებისა და გამრავლებისათვის.



## ფოტო-ავტომობილი

**აშშ-ში მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობს მიკროავტობუსი, რომელიც მასზე დამონტაჟებული ობიექტივების წყალობით ხალხს სურათებს უღებს.** Harrod Blanks Camera Van (ჰაროტ ბლანკის კამერის ფურგონი) ჯერ კიდევ 1993 წელს შეიქმნა. მიკროავტობუსი, რომლის კორპუსი ასობით ფოტოაპარატითაა აღჭურვილი, გამვლელების სახის გამომეტყველებას აფიქსირებს. 1995 წელს ფურგონი აშშ-ის მასშტაბით სამოგზაუროდ დაიძრა. ის უღებდა ფოტოებს უბრალო გამვლელებსაც და იმ ადამიანებსაც, ვინც ფოტოავტომობილით ინტერესდებოდა. როგორც მისი მფლობელი ბლანკი აცხადებს, მომავალი მოგზაურობა კანადაშია დაგეგმილი.

# ქალაქი კლდეში

**ესპანური ქალაქი სეტენილ-დე-ლას-ბოდეგასი არის გასაოცარი ადგილი, რომლის მონახულებისას აუცილებლად გაგახსენდებათ ეკლესიასტეს სიტყვები: „არ არსებობს დრო, რომელიც დააშორებს ქვებს, მაგრამ არსებობს დრო, რომელიც ერთად მოუყრის მათთავს“.**

ალბათ, უხილავმა ძალამ გააერთიანა უზარმაზარი ქვები, კლდეები და მათ შორის მოქცეული სახლები ერთ ადგილას. ანდალუზიის ეს პატარა ტერიტორია ტურისტებს ვერ აუდის, თუმცაეს ერთადერთი ქვაში ნაკვეთი ცოცხალი ქალაქი არაა დღევანდელ მსოფლიოში. დაახლოებით მსგავსი ნაკვეთი ქალაქი ლე პასი გაშენებულია ბოლივიაში. ის თავის დროზე ჩამქრალი ვულკანის კრატერში გამოთალეს.














## 200-საათიანი კინოსეანსი

**ბოლივიაში კინოთეატრების ქსელ CINE CENTER-ში უჩვეულო შეჯიბრი გაიმართა. ბოლივიის სამ დიდ ქალაქში — ლა-პასში, კოჩაბამბასა და სანტა-კრუსში მოხალისეები შეიკრიბნენ და ერთმანეთს ფილმების ყურებაში შეეჯიბრნენ.**

ღონისძიებაში მონაწილეობა 1400-მა ადამიანმა მიიღო და ყველა მათგანი მთავარი ჯილდოსთვის — 10 000 დოლარისთვის იბრძოდა. მონაწილეები ვალდებულნი იყვნენ, ეყურებინათ სხვადასხვა ჟანრის ფილმებისთვის. თითოეული ფილმის დასრულების შემდეგ, 15 წუთი ისვენებდნენ, ხოლო საუზმისთვის, სადილისთვის და ლანჩისთვის ნახევარი საათი ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ კინოთეატრში 1400-მა ადამიანმა მოიყარა თავი, 200 საათის შემდეგ დარბაზში მხოლოდ 2 მათგანი — რონალდ ქუელარი (სანტა-კრუსიდან) და ჰუბერ ფელიპესი (კოჩაბამბასადან) დარჩა; ფულადი ჯილდო 10 000 დოლარიც მათ ერგოთ და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდნენ.

## იაპონიაში დაკარგული ბურთი ალიასკაზე იპოვეს



**ფეხბურთის ბურთი, რომელიც წინა წელს ცუნამმა გაიტაცა იაპონიის სანაპიროდან, ალიასკის სანაპიროზეაღმოჩნდა. ფეხბურთის ბურთის მპოვნელი ამბობს, რომ ბურთი უნდა დაუბრუნდეს მის პატრონს. ბურთზე აწერია პატრონის სახელი და გვარი, იგი 16 წლის იაპონელი ბიჭია. როდესაც ბიჭს უთხრეს, რომ მათ იპოვეს ბურთი, ძალიან გაუხარდა.მით უფრო, რომ ეს ერთადერთია, რაც მან ცუნამის დროს დაკარგული ნივთებიდან იპოვა. მურაკამი ცხოვრობს ქალაქში, რომელიც ცუნამმა ძლიერ დააზარალა.**

# უკურნებელ დაავადებებთან მებრძოლი ექიმი იური ბურდილაძე კვლავ წარმატებულია

**გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელ საქართველოში ყველასათვის ცნობილი გახლდათ წარმატებული ექიმი — იური ბურდილაძე, რომლის ფიტოთერაპიული მკურნალობის შედეგები გასაოცარი იყო. მის წარმატებულ მკურნალობაზე წერდა საბჭოთა პერიოდის ცნობილი გაზეთი „პრავდა" და მსოფლიო მედიის წამყვანი გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი". იმ დროში ეს შემთხვევით არ ხდებოდა, წერილები რეალურ ფაქტებს ეყრდნობოდა.**

**იური ბურდილაძე**: „დავიბადე ქ. ონში. მამა, სანდრო ბურდილაძე, რაიონის განათლების განყოფილების გამგე, 1938 წელს რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოხალისედ წავედი ჯარში. მოვხვდი არხანგელსკში, სადაც ტუბერკულოზით დაავადდი. სახლში დაბრუნებულს დედამ, მარიამ ჩიკვაიძემ მიმკურნალა საგვარეულო წამლებით და განვიკურნე. სწორედ ამან მომცა სტიმული იმისა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე და გავხდი ექიმი.

მეცნიერულ დონეზე შევისწავლე დედაჩემის მიერ გადმოცემული საგვარეულო რეცეპტები. როდესაც ონში საავადმყოფოს მთავარ ექიმად ვმუშაობდი, გამაგზავნეს მოსკოვში, მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლად კუროტოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს **ბოგოლიუბოვთან**, სადაც მიმდინარეობდა ჩემი ფიტოთერაპიული წამლების კვლევა მეცნიერულად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, უკვე მტკიცედ მოვკიდე ხელი ფიტოწამლებით მკურნალობას და შედეგები მაძლევდა იმის ძალას, რომ კვლევები ამ მიმართულებით მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შემეჩერებინა.

**— ბატონო იურა, თქვენ 20-30 წლის წინ იყავით ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი მკურნალი, ბევრს დაეხმარეთ და განკურნეთ, დღეს, უკვე მრავალი წლის შემდეგ, ვფიქრობ, ეს საიდუმლოს უკვე აღარ უნდა წარმოადგენდეს, ვინ იყვნენ თქვენი პაციენტები?**



— 80-90-იან წლებში ბევრი წარმატებული პოლიტიკოსის ოჯახს ვსტუმრობდი ჩემი პროფესიის გამო. მათ შორის იყვნენ: შევარდნაძის, პატიაშვილის, გენერალ შადურის, ინაურის, გურამ მგელაძის, გორგოძის ოჯახები. ასევე იყო მოსკოვში ყოფნისასაც. ჩემი ნებით ვეხმარებოდი მცხეთის დედათა მონასტერს, ვმკურნალობდი ბერებს. მოკლედ, მორწმუნე ადამიანი ვარ და უანგარო დახმარება ჩემთვის ყველაფერია.

**— ვიცი, რომ თქვენ ციხეებში პატიმრებსაც მკურნალობდით, უმძიმესი სენით დაავადებულთ?**

— დიახ, 8-10 წლის წინ მე მათ დავეხმარე უანგაროდ, რისთვისაც მომენიჭა **ღირსების ორდენი.** ამავე პერიოდში მეცნიერულ კვლევებს ვაწარმოებდი **აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილთან.** მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი ჩემი უძველესი ქართული წამალი, რომელიც მე ოჯახიდან, ჩემი ბებიისგან და დედისგან გადმომეცა შთამომავლობით, შემდგომი მეცნიერული კვლევის შედეგია, რომელიც თანამედროვე მედიცინის ცოდნით გავაღრმავე და გავამყარე, შედეგი კი სახეზეა. უამრავი პაციენტი გადავარჩინე, თუმცა, მე ამით არასოდეს ვტრაბახობ, რადგანაც ღმერთის ნებაა, რომ მომცა ძალა და ცოდნა იმისა, რომ ადამიანებს დავეხმარო განსაცდელის ჟამს.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ, ბატონო იურა, თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელიც მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება, დღესაც ახალ პრეპარატზე მუშაობთ, რომელი დაავადების სამკურნალოდ იქნება ის გამოყენებული?**

— ჩემი ახალი პრეპარატი გახლავთ ეკოლოგურად სუფთა კომპონენტებით შექმნილი, ისე, როგორც ყველა დანარჩენი, **„ბუნებრივი ვიაგრა"** — პირობით სახელად რომ ვთქვათ, და ის მამაკაცის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის იქნება გათვალისწინებული. **ჩემი მიზანია, სიცოცხლის ბოლომდე ვემსახურო ჩემს ერს. ერთს დავამატებდი, სულით — ხორცამდე შემძრა „ციხის კადრების" ხილვამ. ახალ ხელისუფლებას ვთხოვ, კერძოდ სოზარ სუბარს, გამოიყენოს ჩემი ცოდნა, რათა უანგაროდ დავეხმარო ციხეში ტუბერკულოზით დაავადებულთ და ისინი განვკურნო.**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

გთავაზობთ მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი, საშვილოსნოს კისტა და კისტომა, შარდის ბუშტის ანთება, ღვიძლის დაავადებები, ჰეპატიტები (მათ შორის C-ჰეპატიტი), ალერგიები, ჰაიმორიტი, ფრონტიტი, მენსტრუალური ციკლის რეგულირება, პროსტატა, ადენომა, ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმა, ნაწლავის პოლიპი, ათეროსკლეროზი და სხვ.

მისამართი: ვარკეთილი-3,
3 მ/რ, სუხიშვილების ქ. კორპ. 313, I სართული.
ტელ. 551-10-59-74 (იური ბურდილაძე)
559-24-77-47
590-78-77-58 (ოფისი)
იური ბურდილაძის კონსულტაცია უფასოა!

# «ლაგუნა ვერე» — ჯანმრთელობის ოაზისი

**34 წლის წინათ, 1978 წლის 13 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა საცურაო კომპლექსი, რომლის მსგავსი იმდროინდელ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში არსად იყო. სპორტული კომპლექსი დღესაც მწყობრშია, თუმცა სერიოზული ხელის შევლება და შეკეთება სჭირდება, რადგან, 20 წელიწადზე მეტია, აქ გენერალური რემონტი არ ჩაუტარებიათ.**



— რემონტი კი არა, ძლივს გადაურჩა დანგრევას ეს უნიკალური ნაგებობა, — **ამბობს კომპლექსის გენერალური დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი,** — ნგრევის პრაქტიკა, რომელსაც დღეს უკვე ყოფილი ხელისუფლება განახორციელებდა, იყო არა მარტო ვანდალიზმი, არამედ წინა თაობების ნებისმიერი ნაკვალევის ამოძირკვის, ისტორიის მკრეხელური გადაკეთების უგნური მცდელობა.

თავის წიგნში „კუპალნიიდან" „ლაგუნა ვერემდე" იგი წერს:

„ადვილი წარმოსადგენია, რას დამართებდნენ „ახალი რეფორმატორები" „ლაგუნა ვერეს" — ქართველ არქიტექტორთა ამ გამორჩეულ ქმნილებას, ბიძინა ივანიშვილს, დიდ ქველმოქმედსა და მეცენატს, რომ არ შეენარჩუნებინა იგი ჩვენი ახალგაზრდობისთვის, ბავშვებისთვის, სპორტსმენებისთვის.

თუ წმინდა სამების კათედრალის აგებაში შეტანილი დიდი წვლილით მან ერს მართლმადიდებლობის „რწმენის კედელი" გაუმაგრა, საცურაო კომპლექსის შენარჩუნებით ერის ჯანმრთელობის ფასდაუდებელი საქმე გააკეთა. ამით მან ანტიკურ ფილოსოფოსთა მაქსიმა — „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია" — დღევანდელ რეალობაში პრაქტიკულად განახორციელა.

სპორტულ განზომილებაში გადმოვიტანოთ ეს მოვლენა და ვთქვათ, რომ დღეს მატერიალური ბაზა არსებობს, ახლა ფინანსური პრობლემების მოგვარება, პროფესიონალთა მონდომება და მთავრობის მხარდაჭერაა საჭირო, რათა არამარტო აღდგეს ქართული საწყლოსნო სპორტის დაკარგული ტრადიციები, არამედ ახალი სიმაღლეებიც დავიპყროთ".

**ასე ფიქრობს ვლადიმერ გოიაშვილი. ამბობს და აკეთებს კიდეც. „ლაგუნა ვერე" დღეს ერთგვარ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ოაზისადაც კი წარმოგვიდგება საქართველოს სინამდვილეში. ამ შედარებას ციფრების მშრალი სტატისტიკაც გვიდასტურებს: აქაურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სულ 1600-ზე მეტი ბავშვია გაერთიანებული, ცურვის ჯგუფებში — 467, წყალბურთისაში — 165.**

**ასეთია რეალობა, რომელიც მან და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს.**

— ჩვენი კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გავიდა 34 წელი — საუკუნის მესამედი, — **განაგრძობს ბატონი ვოვა,** — და დღემდე პოსტსაბჭოთა სივრცეში არ აშენებულა ასეთი მასშტაბის ობიექტი. მისი უნიკალობა და მზაობა საერთაშორისო შეჯიბრებების მისაღებად ახლაც კი ექვგარეშეა. მით უფრო, იმ წლებში უდავო იყო.

და ისევ ნაწყვეტი წიგნიდან:

„13 ოქტომბერს კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა. ცერემონიას წინ უძღოდა ერთი კურიოზი: ლენინის დიდი პორტრეტი, რომელიც ტრიბუნაზე სპეციალური კონსტრუქციით იყო აღმართული, ძლიერი ქარის ტალღამ მიწას დაამხო. ამ დროს, საუბედუროდ, იქ იდგა ჩვენი ერთ-ერთი მწვრთნელი ქალი, გვარად პეტრიკი, რომელსაც დაეცა ლენინი და ფეხი მოსტეხა.

შემდეგ, წლების განმავლობაში ამ თემაზე, სხვადასხვა ვარიანტებით, ხუმრობდნენ ჩვენები.

სასწრაფოდ მოვაცილეთ იქაურობას ჩამოვარდნილი კონსტრუქცია პორტრეტითურთ...

გახსნა მართლაც ფერადოვანი და ლამაზი გამოდგა. წარმოდგენილი იყო ცალკეულ სახეობათა ფრაგმენტებისგან შემდგარი საწყლოსნო სპორტის ერთიანი სურათი, რომელსაც თავისებური ეშხი შესძინა იმ დროის ახალმა ხილმა — სინქრონულმა ცურვამ. თბილისელებმა ეს სანახაობა „ცოცხლად" მაშინ პირველად ნახეს. სინქრონისტ გოგონების გუნდი, ჩემი კავშირების წყალობით, საკავშირო ფედერაციამ ჩვენს ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მოსკოვიდან სპეციალურად მოავლინა.

იყო გამოსვლები, თბილი მისალმებები, დაჯილდოება და ა. შ.

მოცურავე ბიჭუნებმა ჩაყვინთეს და აუზის ფსკერიდან ამოიტანეს ჩვენი კომპლექსის დიდი, სიმბოლური გასაღები, რომელიც დღესაც სამუშაო ოთახის კედელზე მიკიდია".

* * *

**ვლადიმერ გოიაშვილმა სულ ახლახან ურთულესი ოპერაცია გადაიტანა. ვუსურვოთ მას სრული გამოჯანმრთელება და ჩვეული ენერგიით საშვილიშვილო საქმის გაძღოლა.**

**ნათქვამია: დიდ ხომალდს — დიდი ცურვაო!**

**თქვენც ამას გისურვებთ, ბატონო ვოვა!**

**„საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009